

ეკონომიკა

ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და
რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი
„ЭКОНОМИКА“ - Ежемесячный международный
рецензируемый и реферируемый научный журнал
“ECONOMICS” - Monthly International reviewed
and refereed scientific journal

№ 11-12, 2016

ჟურნალი გამოდის 1918 წლიდან
Journal published since 1918

რ. შენგელია (მთ. რედაქტორი)

ი. არჩვაძე; ა. აბრალავა; ნ. აბესაძე; ნ. ბაკაშვილი; ე. ბარათაშვილი; რ. გოგოხია; ვ. დათაშვილი; მ. კაკულია; დ. კარბონი (იტალია); პ. კოღუაშვილი; ა. კურატაშვილი; ზ. ლიპარტია; გ. მალაშხია; ე. მექვაბიშვილი; ქ. მარშავა; ს. პავლიაშვილი; ვ. პაპავა; მ. როკეტლიშვილი (აშშ); უ. სამადაშვილი; ა. სილაგაძე; ა. სიჭინავა; ო. სოლდატენკო (უკრაინა); ა. სხირტლაძე; ტ. ფედოროვა (რუსეთი); დ. ქუთარაძე (რუსეთი); ა. ქუთათელაძე; რ. ქუთათელაძე; კ. ღურწყაია; გ. ლავთაძე; გ. ყუყუნიანი; გ. შუბლაძე; თ. შენგელია; ნ. ჩხილაძე; ჟ. წიკლაური; ნ. ჭიანავა; მ. ჯიბუტი; გ. ჯოლია

ШЕНГЕЛИЯ Р. (ГЛ. РЕДАКТОР)

Арчвадзе И., Абралава А., Абесадзе Н., Бараташвили Е., Бакашвили Н., Гавтадзе Г., Гогохия Р., Гурцкая К., Даташвили В., Джибути М., Джолия Г., Кавтарадзе Д. (Россия), Какулия М., Карбон Д. (Италия), Когуашвили П., Купуния Г., Кураташвили А., Кутателадзе А., Кутателадзе Р., Липартия З., Малашхия Г. Меквабишвили Э., Маршава К., Папавა В., Павлиашвили С., Рокетлишвили М. (США), Силагадзе А., Сичинава А., Сольдатенко О. (Украина), Схиртладзе А., Самадашвили У., Федорова Т. (Россия), Читанавა Н., Чихладзе Н., Шубладзе Г., Шенгелия Т., Циклаური Ж.

REVAZ SHENGELIA (EDITOR IN CHIEF)

I. ARCHVADZE; A. ABRALAVA; N. ABESADZE; E. BARATASHVILI; N. BAKASHVILI; N. CHIKHLADZE; G. GHAVTADZE; R. GOGOKHIA; V. DATASHVILI; M. KAKULIA; D. KARBON (ITALY); P. KOGHUASHVILI; A. KURATASHVILI; Z. LIPARTIA; G. MALASHKHIA; E. MEKVABISHVILI; K. MARSHAVA; S. PAVLASHVILI; V. PAPAUA; M. ROKETLISHVILI (USA); U. SAMADASHVILI; A. SILAGADZE; A. SICHINAVA; O. SOLDATENKO (UKRAINE); A. SKHIRTLDADZE; T. FEDOROVA (RUSSIA); D. QAVTARADZE (RUSSIA); A. QUTATELADZE; R. QUTATELADZE; K. GHURTSKAIA; G. KUPUNIA; G. SHUBLADZE; T. SHENGELIA; ZH. TSIKLAURI; N. CHITANAVA; M. JIBUTI; G. JOLIA.

შინაარსი

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემატიკა და პერსპექტივები

მზევინარ ნოზაძე - საპენსიო სისტემის რეფორმა:
არსი და მნიშვნელობა საქართველოსთვის ----- 6

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემატიკა

ლელა თეთრაძე - დღევანდელი და
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ----- 19

რევაზ შენგელია, ყუყუნა ნიკლაური, ნათია შენგელია -
ადამიანისეული კაპიტალი - ინვესტირების განსაკუთრებული
სფერო და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების
უმთავრესი პირობა ----- 30

მედეა ქავთარაძე, ნათია ბეჟანიძე - საქართველო
და გლობალიზაციის გამოწვევები ----- 40

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

რამაზ ოთინაშვილი, შალვა კუტუბიძე - ქართული
სათავადაზნაურო ბანკის მართვის სისტემა ----- 58

რეგიონული ეკონომიკა

Анна Валерьевна Шестакова - ПРОГНОЗИРОВАНИЕ И
МОДЕЛИРОВАНИЕ ФАКТОРОВ ВЛИЯНИЯ НА НЕФОРМАЛЬНУЮ
И АЛЬТЕРНАТИВНУЮ ЗАНЯТОСТЬ РЕГИОНА ПОЛЕСЬЯ ----- 68

ნანა ნადირაშვილი - მარკეტინგული
ინოვაციები რეგიონის განვითარებაში ----- 77

დარგობრივი ეკონომიკა

მერაბ ჯიქია, ნანა სრესელი - გაყიდვების ზრდის
ტემპებისა და ღირებულების შექმნის მახასიათებელი
ძირითადი მაჩვენებლების ანალიზი ----- 84

Лиа Бибилашвили - Концептуальные основы
энергетической стратегии Грузии ----- 107

ქეთევან კინმარიშვილი - ფუნქციონალურ-
ღირებულებითი ანალიზის ეტაპები ----- 116

| | |
|--|-----|
| ინგა გიგაური, ცირა ელგენდარაშვილი - საქართველოს სატრანზიტო პოტენციალი, რეალობა და პერსპექტივები ----- | 124 |
| გიორგი თეთრაძე, ჰაატა კოლუაშვილი - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფინანსური მხარდაჭერა სახელმწიფოებრივი აუცილებლობა ----- | 132 |

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

| | |
|--|-----|
| ინგა გიგაური, ცირა ელგენდარაშვილი - კრიზისულ სიტუაციაში საწარმოების გაკოტრების მექანიზმები და რეგულაციები საქართველოში ----- | 141 |
| მანანა სამადაშვილი, ეკატერინე გობეჯიშვილი - ადამიანური რესურსების საერთაშორისო მართვა ----- | 148 |
| ქეთევან კინმარიშვილი - ახალი ტექნიკის წარმოების მომზადების პროცესის მართვა ----- | 155 |
| ლაშა ზიზივაძე - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მენეჯერების როლი კოოპერატივების განვითარებაში - საქართველოს მაგალითზე (ინგლისურად) ----- | 162 |
| მანანა სამადაშვილი, ეკატერინე გობეჯიშვილი - ტრეინინგის მნიშვნელობა ადამიანური რესურსების მართვის პროცესში --- | 185 |
| ნანა ნადირაშვილი - მარკეტინგული პროცესების მართვაში სინერგეტიკული მიდგომის თავისებურებები ----- | 191 |
| ნინო დგვეფაძე - ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების (IMC) განვითარების ძირითადი ეტაპები ----- | 198 |

მსოფლიო ეკონომიკა

| | |
|---|-----|
| ზურა გამთენაძე, გოჩა ლობჯანიძე, თემო ბეჟანიძე, მარიამ გულიაშვილი, თორნიკე შვეარდნაძე - მიგრანტების გავლენა ეკონომიკაზე-გერმანიის მაგალითზე (ინგლისურად) - | 209 |
| ნოდარ ძიძიკაშვილი, კობა კიკაბიძე, ნანა ნადარეიშვილი - ტექნოლოგიური პლატფორმები — სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების პრიორიტეტებზე კონცენტრაციის მექანიზმი --- | 221 |

ჰაატა კოლუაშვილი – 60

| | |
|---|-----|
| ჰაატა კოლუაშვილი - ქართული სოფელი მარადიულია ----- | 234 |
| სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი --- | 251 |
| 2016 წლის ყურნალის ნომრების შინაარსი ----- | 252 |

CONTENTS

ECONOMIC REFORMS: ANALYSIS, PROBLEMS AND PERSPECTIVES

| | |
|---|---|
| Mzevinar Nozadze - Pension System Reform: the Essence and Meaning for Georgia ----- | 6 |
|---|---|

MODERN PROBLEMS OF ECONOMICS

| | |
|---|----|
| Lela Tetradze - Current Situation and Foreign Direct Investments ---- | 19 |
| Revaz Shengelia, Jujuna Tsiklauri-Shengelia, Natia Shengelia - Human Capital- the Special Sphere of Investment and the Main Condition for Increasing a Country's Competitiveness ----- | 30 |
| Medea Kavtaradze, Natia Bejanidze - Georgia and the Challenges of Globalization ----- | 40 |

FINANCES, BANKS AND EXCHANGE MARKETS

| | |
|---|----|
| Ramaz Otinashvili, Shalva Kutubidze - Administration System of the Georgian Noblemen Bank ----- | 58 |
|---|----|

REGIONAL ECONOMICS

| | |
|--|----|
| Anna V. Shestakova – Forecasting and Modeling of the influencing factors on the informal and alternative employment in the poliddy region ----- | 68 |
| Nana Nadirashvili - Marketing Innovations in the Development of the Region----- | 77 |

SECTORAL ECONOMY

| | |
|---|-----|
| Merab Jikia, Nana Sreseli - Key Indicators Analysis of Sales Growth and Value Creation Features ----- | 84 |
| Lia Bibilashvili - The Conceptual Foundations of Georgian Energy Strategy ----- | 107 |
| Ketevan Kitsmarishvili - Stages of Functional-Value Analysis----- | 116 |
| Inga Gigauri, Cira Elgendarashvili – Georgia's Transit Potencial, Reality and Prospects----- | 124 |
| Giorgi Tetradze, Paata Koghuashvili - Support for Agricultural Cooperatives is the Governmental Necessity ----- | 132 |

BUSINESS, MANAGEMENT, MARKETING

| | |
|---|-----|
| Inga Gigauri, Cira Elgendarashvili – Enterprises Bankruptcy Mechanisms and Regulations in the Georgia During Crisis ----- | 141 |
| Manana Samadashvili, Ekaterine Gobejishvili – International Human Resources Management ----- | 148 |
| Ketevan Kitsmarishvili - Preparation Process Management for New Technology Production ----- | 155 |
| Lasha Zizivadze - The Role of Managers of the Agricultural Cooperatives in the Development of Cooperatives (on the example of Georgia) ----- | 162 |
| Manana Samadashvili, Ekaterine Gobejishvili – The importance of Training in Human Resources Management Process ----- | 185 |
| Nana Nadirashvili - The Peculiarities of Synergistic Approach in the Management of Marketing Processes ----- | 191 |
| Nino Dgvepadze - Main Development Stages of Integrated Marketing Communications (IMC) ----- | 198 |

WORLD ECONOMY

| | |
|--|-----|
| Zura Gamtenadze, Gocha Lobjanidze, Teimuraz Bejanidze, Mariam Guliashvili, Tornike Shevardnadze –The Impact of Refugees and Migrants on Economy (Case: Refugees and Migrants in Germany) (In English) ----- | 209 |
| Nodar Dzidzikashvili, Koba Kikabidze, Nana Nadareishvili – Technological Platforms – the Concentration Mechanism on the Scientific-Technical Development Priorities ----- | 221 |

PAATA KOGUASHVILI - 60

| | |
|--|-----|
| Paata Koguashvili - The Georgian Village is Eternal ----- | 234 |
|--|-----|

| | |
|---------------------------------------|-----|
| PUBLICATION REQUIREMENTS ----- | 251 |
|---------------------------------------|-----|

| | |
|--|-----|
| CONTENT OF 2016 YEAR’S JOURNALS ----- | 252 |
|--|-----|



საპენსიო სისტემის რეფორმა: არსი და მნიშვნელობა საქართველოსთვის

მზევინარ ნოზაძე

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
სტუ ასოც. პროფესორი

შესავალი

ნებისმიერი ქვეყნის მთავრობის მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ რეფორმებსა და სოციალურ პროგრამებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს საპენსიო სისტემის რეფორმა. ეს კი დაკავშირებულია იმ როლთან, რომელსაც ასრულებს საპენსიო სისტემა ქვეყნის ფინანსურ და სოციალურ სფეროში.

ზოგადად, საპენსიო სისტემა მოიცავს სახელმწიფო საპენსიო სისტემას და არასახელმწიფო საპენსიო სისტემას. **სახელმწიფო საპენსიო სისტემის** მოქმედების ძირითადი პრინციპი დამყარებულია იმაზე, რომ დასაქმებული ადამიანები ამა თუ იმ ფორმით (ძირითადად ეს სოციალური გადასახადის სახით) იხდიან გადასახადს, რომლის აკუმულირებაც ხდება სახელმწიფო საპენსიო ფონდში, ხოლო ამ საპენსიო ფონდიდან პენსიები საპენსიო ასაკს მიღწეულ მოქალაქეებზე ნაწილდება. როგორც წესი, განაწილება ხდება დაახლოებით თანაბრად და პენსიის დანიშვნისას მცირე მნიშვნელობა ენიჭება საპენსიო ფონდში მოქალაქეთა შენატანების სიდიდეს.

არასახელმწიფო საპენსიო სისტემაში მოქმედებს დაგროვების პრინციპი. საპენსიო ფონდის მონაწილე მთელი შრომითი საქმიანობის პერიოდში აკეთებს შენატანებს საკუთარ საპენსიო ანგარიშზე. მისი პენსიის ოდენობა საპენსიო ასაკის მიღწევისას დაგროვილი თანხის ოდენობით განისაზღვრება.

საკვანძო სიტყვები: პენსია, დაზღვევა, შენატანი, საპენსიო უზრუნველყოფა, საპენსიო სისტემა, საპენსიო ფონდი, ეკონომიკური რეფორმა, სოციალური პროგრამები, სოციალური მომსახურება, სახელმწიფო პენსია.

ძირითადი ტექსტი

საპენსიო სისტემის რეფორმა, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

განვითარებად ქვეყნების საპენსიო სისტემაში კერძოსთან შედარებით უპირატესი ადგილი **სახელმწიფო საპენსიო სისტემას** უკავია, განსაკუთრებით კი ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში. თუმცა, ამ სისტემას მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები გააჩნია:

ა) სახელმწიფო საპენსიო სისტემა მძიმე ტვირთია ბიუჯეტისათვის, რადგანაც ნებისმიერი ქვეყნის სოციალური პროგრამების და, მათ შორის, პენსიების უზრუნველყოფა ხდება ძირითადად სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ეს ეხება არა მხოლოდ განვითარებად ქვეყნებს. ევროპის ქვეყნებში განუხრელად იზრდება საპენსიო ასაკს მიღწეულ მოქალაქეთა წილი ქვეყნის მოსახლეობაში. შესაბამისად იცვლება დასაქმებულთა და პენსიონერთა თანაფარდობა. ითვლება, რომ ასეთი საპენსიო სისტემის ნორმალური ფუნქციონირება აწყდება სიძნელეებს, თუ ერთ პენსიონერზე მოდის სამ დასაქმებულზე ნაკლები;

ბ) დადგენილია, რომ თუ ავიღებდით იმ თანხას, რომელსაც გადაიხდის საშუალო შემოსავლის მოქალაქე საპენსიო ასაკის მიღწევამდე და მოვახდენდით მის ინვესტირებას გარკვეული შემოსავლიანობით, საპენსიო ასაკის მიღწევისას ამ მოქალაქეს ექნებოდა დაგროვილი კაპიტალის მეტი ოდენობა, ვიდრე კუთვნილი პენსია. ეს სამართლიანია ევროპის თითქმის ყველა ქვეყნისათვის, მათ შორის, ისეთებისათვისაც, სადაც მაღალია პენსიის დონე.

გ) დასაქმებულთა თანაფარდობის შემცირება პენსიონერთა რიცხვთან იწვევს საგადასახადო განაკვეთების (ძირითადად

სოციალური გადასახადების) ზრდას დასაქმებულებზე და განსაკუთრებით ბიზნესზე, რაც უარყოფითად მოქმედებს ბიზნეს-გარემოზე და ეკონომიკის განვითარებაზე.

როგორც უკვე ჩვენთვის ცნობილია, გარდა სახელმწიფო საპენსიო სისტემისა, ბევრ ქვეყანაში არსებობს აგრეთვე არასახელმწიფო (კერძო) საპენსიო სისტემა. ქვეყნის მაგალითი, სადაც პარალელურად არის სახელმწიფო და არასახელმწიფო საპენსიო სისტემა, არის ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც სხვადასხვა ტიპის საპენსიო ფონდი და პროგრამები ქვეყნის ფინანსების 25%-ს აკონტროლებენ. შეერთებული შტატების შემთხვევაში ასეთი სისტემა ძირითადად მოქმედებს დამაკმაყოფილებლად, თუმცა მასაც აქვს გარკვეული ნაკლოვანებები:

ა) არასახელმწიფო საპენსიო სისტემა ატარებს ნებაყოფლობით ხასიათს, ამიტომ ბევრი დასაქმებული მოქალაქე, დაბალი შემოსავლებისა თუ წინდაუხედაობის მიზეზით საპენსიო ასაკს ყოველგვარი დანაზოგის გარეშე ხვდება. მათი სიბერის უზრუნველყოფისათვის საჭირო ხდება სხვადასხვა სოციალური პროგრამების შემუშავება, რაც დამატებითი დატვირთვაა ბიუჯეტისთვის.

ბ) საპენსიო ფონდებისა და სქემების შექმნა ძალიან ადვილია, ხოლო მათი საქმიანობის რეგულირება საკმაოდ გართულებულია ამ ფონდების სიმრავლის გამო. თუმცა ეს ნაკლოვანება მცირე ხარისხით აისახება ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყნებზე, რადგანაც ამ ქვეყნებში კერძო საპენსიო სისტემის გამართულად ფუნქციონირებას ხელს უწყობს ძლიერი საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არსებობა.

განასხვავებენ **საპენსიო უზრუნველყოფის სამი ძირითად მოდელს:**

- 1) საპენსიო უზრუნველყოფის სოლიდარულ პრინციპზე დამყარებული მოდელი.
- 2) საპენსიო უზრუნველყოფის დაგროვებით პრინციპზე დამყარებული მოდელი.

3) საპენსიო უზრუნვეყოფის შერეულ პრინციპზე დამყარებული მოდელი.

პირველი მოდელის მოქმედების პირობებში საპენსიო თანხების აკუმულაცია წარმოებს დასაქმებული მოქალაქეების ხელფასებიდან მობილიზებული გადასახდელების (გადასახადები, სადაზღვევო შენატანები) მეშვეობით. ამ მოდელის შესაბამისად, სახელმწიფო პირდაპირ აფინანსებს საპენსიო გასაცემლებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ინფლაციის და ეკონომიკური ზრდის პირობებში, როგორც წესი, იზრდება შრომის ანაზღაურების და, შესაბამისად, საპენსიო ანარიცხების ოდენობაც. პენსიების ინდექსაცია კი ტრადიციულად დასაქმებული მოქალაქეების ჯამურად გადახდილი თანხის ზრდის ხარჯზე ხდება. თუმცა, ამ მოდელს მნიშვნელოვანი რისკები ახლავს თან. უპირველესად ის, რომ მოსახლეობის დაბერების კვალობაზე მნიშვნელოვნად იცვლება შრომისუნარიანებისა და პენსიონერების თანაფარდობა. შედეგად, თუკი მცირდება დასაქმებულების რიცხვი პენსიონერების რიცხვთან მიმართებაში, ეს ნეგატიურად აისახება პენსიების ინდექსაციაზე, რაც პენსიების კლების წინაპირობაა.

მეორე მოდელი გულისხმობს პენსიის დაგროვების ინდივიდუალურ ხასიათს, პენსიის სიდიდე კი დამოკიდებულია საპენსიო შენატანის სიდიდეზე, შენატანების ვადიანობაზე და საპენსიო ფონდების მიერ განხორციელებულ საინვესტიციო პოლიტიკასა და ფინანსურ მაჩვენებლებზე. დაგროვებით მოდელი იმ შემთხვევაშია მისაღები და ეფექტიანი, როცა დაბანდებაებიდან მიღებული სარგებელი აღემატება ინფლაციისა და პენსიების ზრდას.

ხოლო მესამე მოდელი გულისხმობს გარკვეული ელემენტების შეჯერებას როგორც სოლიდარული, ასევე დაგროვებითი საპენსიო სქემების მოდელებიდან. ამგვარი მიდგომა ნაწილობრივ ამცირებს რისკებს და ზრდის მოქნილობას საპენსიო უზრუნველყოფაში სახელმწიფო და კერძო სექტორების მონაწილეობის მოცულობის განსაზღვრისას.

ამ სამ პრინციპთაგან ერთ-ერთზე დაფუძნებით მსოფლიოს

ბევრ ქვეყანაში სხვა და სხვა ტიპის საპენსიო უზრუნველყოფის სისტემები ფუნქციონირებს. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

ამერიკის მოდელი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ქვეყანაში ერთდროულად მოქმედებს სახელმწიფო და კერძო საპენსიო სქემები. აქედან სოლიდარული განაწილებითი სისტემა სტანდარტულ ფორმულას ეფუძნება. პენსიონერები იღებენ შრომისუნარიანი მოსახლეობის მიერ შესაბამის ფონდებში გადახდილ ფულს. უკანასკნელი გათვლებით, საპენსიო გადასახადის განაკვეთი შეადგენს, საშუალოდ, 10,7%-ს და წესისამებრ თანაბრად იხდება კომპანიის და დაქირავებული თანამშრომლის მიერ. დაგროვებითი სისტემა კი კერძო საპენსიო ფონდების საინვესტიციო სტრატეგიას ეფუძნება. საპენსიო რეზერვები ინვესტირდება ფასიან ქაღალდებში და საკრედიტო დაწესებულებებში.

არასახელმწიფო სექტორში დასაქმებულები აგროვებენ დამატებით პენსიას არასახელმწიფო ფონდებში, რომლებიც ყველაზე ხშირად იქმნება სამუშაო ადგილის მიხედვით. გარდა ამისა, ნებისმიერ ამერიკელს აქვს საშუალება, გახსნას საკუთარი საპენსიო ანგარიში ნებისმიერ საპენსიო ფონდში და შეიქმნას დამატებითი შემოსავლის წყარო სიბერის უზრუნველსაყოფად.

ამდენად, ამერიკელები უზრუნველყოფენ სამი ტიპის პენსიას: სახელმწიფოს, შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე (კორპორაციულს) და ინდივიდუალურს.

საგულისხმოა, რომ მსგავსი მოდელი მოქმედებს ასევე ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში და ევროპაშიც (მაგალითად, პორტუგალიაში).

ევროპული მოდელი. ეს სისტემა უპირატესად ეფუძნება სამდონიან გერმანულ მოდელს, აერთიანებს რამდენიმე განსხვავებულ სისტემას და დონეების მიხედვით განსხვავდება დაზღვეულთა ოდენობით, დაფინანსების პრინციპებით და დაცულობის ხარისხით.

პირველი დონე აერთიანებს პენსიებს, რომლებიც აუცილებელია მოსახლეობის გარკვეული ჯგუფებისთვის (მოსამსახურ-

რეები, სახელმწიფო მოხელეები, ფერმერები, ექიმები, ადვოკატები, ნოტარიუსები და ა.შ.) პირველი დონე გულისხმობს როგორც წესი სოლიდარულ პრინციპებზე დამყარებულ სახელმწიფო საპენსიო სისტემას და ეს არის ან საბაზისო ან მინიმალური პენსიის გარანტირება.

მეორე დონეს უზრუნველყოფს საპენსიო გადასახდელები, რომელსაც იხდის დაქირავებული ნებაყოფლობით საფუძველზე, დამქირავებლის ინიციატივით. მეორე დონე როგორც წესი წარმოადგენს სავალდებულო ან ნებაყოფლობით კორპორაციულ საპენსიო სქემებს (სადაც დამსაქმებელის ვალდებულებებია განსაზღვრული) - ეს არის დამატებითი პენსია, რომელიც ფაქტიურად სავალდებულოა და საკუთარ ან დასაქმებულის სასარგებლოდ განხორციელებულ შენატანებზე დამოკიდებული

მესამე დონეს წარმოადგენს ნებაყოფლობითი ინდივიდუალური დაგროვებები და ინვესტიციები საფინანსო ინსტიტუტებში.

აღსანიშნავია, რომ ევროპის ქვეყნების საპენსიო სისტემებში საპენსიო დაზღვევის აუცილებლობა განსაზღვრულია კანონით. სტატისტიკურად, უფრო დიდი წილი მოდის განაწილებით მექანიზმზე.

პენსიის ოდენობა ინდივიდუალურია ყველა დაზღვეულისთვის და დამოკიდებულია ხელფასის ოდენობასა და სისტემაში დაზღვეულად ყოფნის ხანგრძლივობაზე. ამავე დროს, პერიოდულად ხდება დაგროვებითი თანხების ინდექსაცია.

სხვადასხვა ქვეყნების საპენსიო მოდელებზე და მათ ეფექტიანობაზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: დედამიწის მოსახლეობის მატება და დაბერება, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, თანაფარდობის ცვლილება მოსახლეობის შრომისუნარიან მოქალაქეებსა და პენსიონერებს შორის.

World Population Aging 2009-ის კვლევის მიხედვით, თუ 2009 წელს 60 წლის და უფროსი ასაკის ადამიანების რაოდენობა დედამიწის მთლიან მოსახლეობაში 11%-ის დონეზე იყო, 2050

წლისთვის მისი 22%-მდე ზრდა არის მოსალოდნელი. 2050 წლისთვის 60 წლის და უფროსი ასაკის ადამიანების რაოდენობა მსოფლიოში 2 მილიარდს გადააჭარბებს.¹

აქედან გამომდინარე, მოსახლეობის დაბერება და დასაქმებულთა რიცხოვნობის შემცირება პენსიონერებთან შედარებით დაკავშირებული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მეტი საპენსიო თანხების გაცემასთან, რაც უფრო მეტად გაზრდის დეფიციტს წინასწარი გადახდის (Pay As-You-Go) საპენსიო სქემებში.

რაც შეეხება საქართველოს საპენსიო სისტემას, იგი მოიცავს სახელმწიფო საპენსიო სისტემას და კერძო საპენსიო სისტემას, რომლის როლი და მასშტაბები ჯერჯერობით უმნიშვნელოა მთლიან საპენსიო სისტემაში. სახელმწიფო პენსიის რეგულირება ხდება საქართველოს კანონით პენსიის შესახებ. ამ კანონის მიზანია საქართველოს მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზაციის უზრუნველყოფა, რომელიც საქართველოს კონსტიტუციითაა გარანტირებული.

პენსიის ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანოა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სოციალური მომსახურების სააგენტო, რომელიც ახდენს პენსიის დანიშვნას, გაცემას, შეჩერებას, განახლებას, გადაანგარიშებასა და შეწყვეტას, აგრეთვე პენსიის მიღებასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობების რეგულირებას. რადგანაც საქართველოს საპენსიო სისტემაში ძირითადი მაინც სახელმწიფო პენსიაა, საპენსიო გასაცემლები მძიმე ტვირთად აწვება ქვეყნის ისედაც მწირ ბიუჯეტს. მაგალითად, საქართველოში ყოველწლიურად გასაცემი პენსიების სიდიდე სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის დაახლოებით 13 %-ს შეადგენს. მიუხედავად მაღალი მაჩვენებლისა, რეალური პენსია საარსებო მინიმუმზე ნაკლებია. ამიტომაც, საჭიროა ქვეყანაში საპენსიო რეფორმის განხორციელება და კერძო საპენსიო სისტემის ჩამოყალიბება.

¹ <http://www.who.int/ageing/en/>

„ხანდაზმულთა სოციალური დაცვის ღონისძიებების უმთავრეს ნაწილს ხანდაზმულობის პენსია წარმოადგენს. საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ (მამაკაცებისთვის 65 წელი, ქალებისთვის 60 წელი) ყველა მოქალაქეს უფლება აქვს მიიღოს პენსია. ხანდაზმულობის პენსია 2013 წლის სექტემბერში 150 ლარამდე გაიზარდა (2010 წელს 115 ლართან შედარებით). დღეისათვის ბენეფიციარების ჯამური რაოდენობა 684 000 ადამიანს - მოსახლეობის 15%-ს შეადგენს, ხოლო საპენსიო ხარჯები - დაახლოებით 1 მილიარდ ლარს. მოსახლეობის პროგნოზი იმის გათვალისწინებით, რომ პენსიონერთა რაოდენობა მზარდია და გაეროს მონაცემებით, ასაკით პენსიონერები 2050 წლისათვის შეადგენენ საქართველოს მოსახლეობის 25%-ს, ადგილი ექნება სოციალური დანახარჯების მუდმივ ზრდას. გამომდინარე აქედან, აუცილებელია ეტაპობრივად დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საბაზისო პენსიის არამდგრადი ზრდისგან გამონჯეული წნეხის შემსუბუქებას. ასევე მნიშვნელოვანია საბაზისო პენსიის ინფლაციასთან მიზმის პრინციპის შემოღება და პენსიის ზრდის ყველაზე ღარიბ პენსიონერებზე ორიენტირება, რაც დაიცავს პენსიის მსყიდველობითუნარიანობას და მოლოდინებს მისაღებ დონეზე შეინარჩუნებს“.¹

მოსახლეობის დაბერება, რაც მსოფლიოს ტენდენციაა, საქართველოშიც შეუქცევად ხასიათს ატარებს. ამდენად, საპენსიო უზრუნველყოფის მხოლოდ სახელმწიფო სექტორის გადასაწყვეტ პრობლემად დატოვება სახელმწიფო ვალდებულების მნიშვნელოვანმატებას და ფისკალური პოლიტიკის გაუარესებას გამოიწვევს.

საქართველოში ფისკალური კონსოლიდაციის პროცესის მთავარი გამომწვევა სოციალური ხარჯების ზენოლის მართვა და ამავე დროს, მოხუცებულთათვის ადეკვატური პენსიის, ხოლო სოციალურად დაუცველთათვის ადეკვატური სოციალური დახმარების უზრუნველყოფაა. პენსიები სოციალური

¹ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. საქართველო 2020. გვ. 57.

ხარჯების უმსხვილესი კატეგორიაა და მთლიანი სოციალური დაცვის ხარჯების ნახევარზე მეტს შეადგენს. ამ მაგალითის განხილვისას, ცხადი გახდა რომ ჩვენი ქვეყანა საპენსიო რეფორმას საჭიროებს. საჭიროა მოხდეს სახელმწიფო საპენსიო სისტემის რეორგანიზება და მასთან ერთად, არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის განვითარება.

რაც შეეხება **კერძო საპენსიო დაზღვევას**, მისი რეგულირების საკითხებს ადგენს „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონი.

ფიზიკურ პირთა არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევა და უზრუნველყოფა ხორციელდება სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფისაგან დამოუკიდებლად. მათ უფლება აქვთ უზრუნველყოფილ იქნენ არასახელმწიფო პენსიებით. საქართველოში არასახელმწიფო პენსიების გაცემას სადაზღვევო კომპანიები ახორციელებენ, ანუ ხდება საპენსიო დაზღვევა. სადაზღვევო კომპანიები არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევასა და უზრუნველყოფას ახორციელებენ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული დაზღვევის ლიცენზიისა და რეგისტრირებული საპენსიო სქემების საფუძველზე.

არსებობს ორი მთავარი მიზეზი, რომელიც საქართველოს საპენსიო სისტემის რეფორმის აუცილებლობას განაპირობებს: 1) საქართველოს საბიუჯეტო-საფინანსო სისტემისათვის დიდ ტვირთს წარმოადგენს სახელმწიფო საპენსიო დაზღვევა; 2) ისევე, როგორც ევროპის ქვეყნებში, საქართველოშიც აქტიუალურია მოსახლეობაში პენსიონერთა ხვედრითი წილის ზრდის პრობლემა. დასაქმებულთა თანაფარდობა პენსიონერთან მიმართებაში ცოტათი თუ აღემატება ერთს(უცხოეთის განვითარებულ ქვეყნებში ეს თანაფარდობა 1/3-თან ტოლია).

სადაზღვევო კომპანია შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე საპენსიო სქემის დამფუძნებელი. მას უფლება აქვს განახორციელოს თავისი მუშაკების არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევა და უზრუნველყოფა როგორც დამსაქმებელ-დამფუძნებელმა.

საპენსიო სქემის დამფუძნებელ სადაზღვევო კომპანიას შეუძლია უშუალოდ მართოს საპენსიო დანაგროვის შესაბამისი

აქტივები, ამასთანავე, იგი ვალდებული ისარგებლოს სპეციალიზებული დეპოზიტარის მომსახურებით.

კერძო საპენსიო სქემის სუბიექტები (დამფუძნებლები, აქტივების მმართველი კომპანიები და სპეციალიზებული დეპოზიტარები) ვალდებული არიან იმოქმედონ მხოლოდ მონაწილეთა ინტერესების სასარგებლოდ.

„არასახელმწიფო პენსიის სახეებს მიეკუთვნება:

- მუდმივი პენსია, რომელიც ეძლევა ფიზიკურ პირს პენსიის გაცემის დაწყების დღიდან მის გარდაცვალებამდე;
- განსაზღვრული ვადით გასაცემი პენსია, რომელიც ეძლევა ფიზიკურ პირს არანაკლებ 5 წლის განმავლობაში“.¹

ძირითადი აქცენტი კერძო საპენსიო სქემების შექმნაზე უნდა გაკეთდეს. სახელმწიფო მაქსიმალურად უნდა უწყობდეს ხელს არასახელმწიფო საპენსიო სქემებს, თუმცა, მოკლე პერიოდში სახელმწიფო პენსიაზე უარის თქმა და კერძო საპენსიო დაზღვევაზე გადასვლა შეუძლებელია. საქართველოში საპენსიო სქემების ჩამოყალიბების პროცესი ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს, რაც, ერთი მხრივ, დასაქმების დაბალი დონით და, მეორე მხრივ, სამთავრობო პოლიტიკის არაადეკვატურობით არის გამოწვეული. ისეთ ქვეყნებში, როგორც საქართველოა, კერძო საპენსიო დაზღვევაზე გადასვლას ხელისუფლებიდან სტიმულირება სჭირდება.

სახელმწიფოს მხრიდან, ამგვარი ცვლილებების მიმართ ნების არსებობის გარდა, აუცილებელია შეიქმნას კერძო საპენსიო დაზღვევის განვითარების სტრატეგია, რომლის შედგენის პროცესში ჩართული იქნებიან სამთავრობო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები. სტრატეგიული გეგმის გარდა, შესაბამისად უნდა მონესრიგდეს საკანონმდებლო სისტემა. დღეისათვის საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული საპენსიო რეფორმების სამსახური ახორცილებს კერძო საპენსიო სისტემის კონცეფციაზე მუშაობას, რომლის დასრულებასაც 2017 წლისათვის ვარაუდობენ. რაც შეეხება კერძო ფონდის მართვას, ეს იქნება უცხოური კერძო

1 შათირიშვილი ჯ; კაკაშვილი ნ. სადაზღვევო საქმე. თბ; 2012, გვ. 393.

კომპანია, რომელსაც მსგავსი ფონდის მართვის გამოცდილება აქვს. წესდება გარკვეული ზღვარი იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ მიიღებს ან ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ სისტემაში. სავარაუდოდ, მამაკაცებისათვის მინიმალური ასაკი იქნება 45 წელი, ქალებისათვის კი 40 წელი. ხელფასის რამდენი პროცენტის გადახდა მოუწევს დასაქმებულს თავის საპენსიო ანგარიშზე და რა სახით ჩაერევა სახელმწიფო კერძო საპენსიო ფონდის ფუნქციონირებაში, ამასთან დაკავშირებით მიმდინარეობს საკითხის დაზუსტება შესაბამის სამსახურებში.

დასკვნა

კერძო საპენსიო სისტემის განვითარებას უდიდესი ეფექტის მოტანა შეუძლია საქართველოს საფინანსო სისტემისათვის დიდი მოცულობის ფინანსური და საინვესტიციო რესურსების სახით. ეს რესურსები კი გრძელვადიანია, რადგანაც საპენსიო პროგრამები მრავალწლიანია. ამასთან, კერძო საპენსიო სისტემის რეფორმირების პროცესში უნდა მოხდეს ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ხელშეწყობა, რადგანაც კერძო საპენსიო ფონდები ახორციელებენ საპორტფელო ინვესტიციას და თავიანთი აქტივების ფასიან ქაღალდებში ინვესტირებას.

ლიტერატურა :

1. საქართველოს კანონი არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ (1998);
2. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. საქართველო 2020;
3. შათირიშვილი ჯ; კაკაშვილი ნ. სადაზღვევო საქმე. თბ; 2012;
4. ცერცვაძე ა; ხანთაძე გ; ვეკუა ა. სადაზღვევო საქმე. თბ; 2016;
5. [www. parliament. ge](http://www.parliament.ge);
6. [www. insuranse.org.ge](http://www.insuranse.org.ge);

REFERENCES:

1. The Law on Non-State Pension Provision and Insurance (1998); (in Georgian Language);
2. Social-economic Development Strategy of Georgia. Georgia 2020; (in Georgian Language);
3. Shatirishvili J., Kakashvili N., Insurance. Tbilisi, 2012; (in Georgian Language);
4. Tsertsvadze A., Khantadze G., Vekua A., Insurance. Tbilisi, 2016; (in Georgian Language);
5. [www. parliament.ge](http://www.parliament.ge);
6. [www. insuranse.org.ge](http://www.insuranse.org.ge).

PENSION SYSTEM REFORM: THE ESSENCE AND MEANING FOR GEORGIA

Mzevinar Nozadze, Ac. Doctor of Economics,
Associate Professor of Georgian Technical University

RESUME

One of the important places in the economic reforms and social programs, implemented by any country's government, is occupied by the reform related to the pension system. This is associated with the role that the pension system plays in the financial and social field of the country.

Generally, the pension system includes the state pension system and the non-government pension one. The basic principle for operating the state pension system is relied upon the circumstance that employed people pay taxes with this or that reform (basically in the form of income tax) the accumulation of which takes place in the state pension fund. As for the non-government pension system, the principle of accumulation is operated. During the entire employment period the participator of

pension fund makes contributions to the own pension account. The amount of pension reaching the relevant pension age is determined by the amount accumulated.

Due to the fact that now the basic is the state pension system of Georgia, the pension issuances are laid on the poor budget of the country as a heavy burden. For instance, the capacity of annually issuable pensions in Georgia occupies at about 13% of expenditure part of the state budget. Despite of the high figures, the real pension is less than the minimum for existence. That's why it is necessary to implement the pension reform in the country and to establish the private pension system.

Keywords: Pension; Insurance; Amount; Pension Provision; Pension System; Pension Fund; Economic Reforms; Social Programs; Social Service; State Pension.



დღევანდელი და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

ლელა თეთრაძე

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

შესავალი

ინვესტიციები მეტად მნიშვნელოვანია ნებისმიერი წყობისა და ეკონომიკური განვითარების ქვეყნისათვის, განსაკუთრებით პრიორიტეტულია საქართველოს ეკონომიკისა და ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც ის ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას უსვამს ხაზს და ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას.

წინამდებარე სტატიაში, ძირითადად, განხილულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობისა და წარმომავლობის საკითხი და მისი როლი ეკონომიკის შემდგომ განვითარებაში, მოცემულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ ბოლო წლებისა და მიმდინარე მონაცემები და მათი ანალიზის საფუძველზე აღწერილია დღევანდელი მდგომარეობა.

საკვანძო სიტყვები: ინვესტიციები; უცხოური ინვესტიციები; პირდაპირი უცხოური ინვესტიციები; საინვესტიციო გარემო; ინვესტიციების როლი;

ძირითადი ტექსტი

ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საკითხი პრიორიტეტული უნდა იყოს ეკონომიკისა და ზოგადად ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის.

ქვეყნისათვის განვითარებული ეკონომიკა არის ერთ-ერთი

მნიშვნელოვანი ელემენტი; ეკონომიკის განვითარებისათვის კი პრიორიტეტულია ინვესტიციების მოზიდვა და ამისათვის შესაბამისი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური გარემოს შექმნა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რეალურად ქვეყნის წინაშე მდგომი ამოცანები და გამოწვევები, ის საფრთხეები, რომლებიც არსებობს, ან შეიძლება წარმოიშვას, შეუძლებელია დაიძლიოს ძლიერი ეკონომიკის გარეშე.

ინვესტიციები არის ერთ-ერთი იმ ფაქტორთაგანი, რომელსაც უდიდესი როლი ენიჭება ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის. საინვესტიციო საქმიანობა მუდმივ სრულყოფას საჭიროებს, როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი კუთხით, რათა მაქსიმალურად იქნეს აღმოფხვრილი საინვესტიციო გარემოში არსებული პრობლემები. ცხადია, ინვესტიციური ნაკადების მართვაში დიდ მნიშვნელობას იძენს ის ფაქტი, თუ რამდენად სწორად და ეფექტურად იქნება ინვესტიციები განხორციელებული.

ინვესტიციების მიზნობრივად გამოყენების, ინვესტიციური პროექტის ეფექტიანობის, სანარმოს ფინანსური მდგომარეობის შესწავლა ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. ინვესტიციების შესახებ სწორი, შესადაარი, დროული სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება და გაანალიზება მათი ეფექტიანად და მიზნობრივად განხორციელების ერთ-ერთი წინაპირობაა. ინვესტიციების განხილვისას მეტად საყურადღებოა ინვესტიციური რისკების შეფასება სახელმწიფოებრივ დონეზე და ამ რისკების ოპტიმიზაცია.

რა თქმა უნდა, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ზრდა, პირველ რიგში, არის დამოკიდებული შიდა პროცესებზე. იმაზე, თუ რა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაა ქვეყანაში, როგორ ვითარდება ის, რამდენად თავისუფალი და გახსნილია იქ ეკონომიკური გარემო. პატარა ქვეყნებს, იქიდან გამომდინარე, თუ როგორ დააღაგებენ ისინი თავიანთ ეკონომიკურ გარემოს და წყობას, აქვთ შესაძლებლობა მიიღონ დიდი ინვესტიციები, ჩაერთონ გლობალურ ეკონომიკურ პროცესებში და სერიოზული წვლილი შეიტანონ როგორც საკუთარი, ისე გლო-

ბალური ეკონომიკის განვითარებაში. გამომდინარე აქედან, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ ქვეყნის შიგნით როგორ დავალაგებთ ჩვენ ეკონომიკას და რამდენად გახსნილები ვიქნებით საგარეო ინვესტიციებისთვის, ზოგადად იმ ეკონომიკური პროცესებისთვის, რომელიც მსოფლიოში ხდება.

ეროვნული თვითმყოფადობა, ეკონომიკური თავისუფლება და გლობალურ პროცესებში ინტეგრაცია, ერთმანეთთან დაკავშირებულია. შეიძლება იყო დამოუკიდებელი და თვითმყოფადი ეროვნულად, მაგრამ ამავე დროს იყო ინტეგრირებული მსოფლიო ეკონომიკაში და გახსნილი სხვადასხვა გლობალური პროცესებისთვის. ეს არის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა იმისა, რომ ქვეყანა განვითარდეს. საჭიროა ეკონომიკური გარემოს მეტად გახსნა, უფრო კონკურენტული გარემოს დამკვიდრება.

ეკონომიკის განვითარება და სამუშაო ადგილების შექმნა, რაც დღევანდელი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემაა, შეუძლებელია მოხდეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გარეშე. ეს დაკავშირებულია მთელ რიგ სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან. თუ არ მოხდა ინვესტიციების ზრდა და სამუშაო ადგილების შექმნა, შეუძლებელია შევარჩოთ ისეთი ნეგატიური პროცესები, როგორცაა ემიგრაციის ზრდა, ან დემოგრაფიული პროცესები, რომელიც ფაქტიურად საქართველოს დეპოპულაციისკენ მიაქანებს. ყველა ამ პრობლემის მოგვარების გზა არის მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა პრიორიტეტულია იმდენად, რამდენადაც ის ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას უსვამს ხაზს და ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას. ამასთან, მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნის შიგნით განხორციელებულ მთლიან ინვესტიციაში სახელმწიფოს მონაწილეობის შემცირება, მაშინ როცა არ მცირდება მთლიანი ინვესტიციის ჯამური ოდენობა. აღნიშნული პირდაპირ მიუთითებს კერძო სექტორის მიერ განხორციელებული ინვესტიციების მოცულობის ზრდაზე.

საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. ქვეყანაში არსებული ლიბერალური საინვესტიციო გარემო და თანაბარი პირობები ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციებისათვის, საქართველოს მიმზიდველს ხდის უცხოელი ინვესტორებისთვის. სტაბილური ეკონომიკური განვითარება, ლიბერალური და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკური პოლიტიკა, შემცირებული გადასახადების რაოდენობა და საგადასახადო განაკვეთები, ლიცენზიებისა და ნებართვების მცირე რაოდენობა, ადმინისტრაციული პროცედურების სიმარტივე, განათლებული კვალიფიციური და კონკურენტული სამუშაო ძალა და სხვა მრავალი ფაქტორი წარმოადგენს მყარ საფუძველს საქართველოში ბიზნესის დანყებისა და მისი წარმატებული განვითარებისათვის.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემებით, 2015 წელს შემოსული ინვესტიციები 2014 წლის დაზუსტებულ მონაცემებზე 23 პროცენტით ნაკლებია. ამასთან, 2014-2015 წლებში მნიშვნელოვნად შეიცვალა ინვესტიციების სტრუქტურაც. გასულ წლებთან შედარებით, კერძოდ, 2015 წელს, სექტორების მიხედვით ყველაზე მეტი, 594 მილიონი დოლარის ინვესტიცია ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში, 191 მილიონი საფინანსო სექტორში და 129 მილიონი მშენებლობაში ჩაიდო. აღსანიშნავია, რომ 2011-2013 წლების, საინვესტიციოდ ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი სფერო, ენერგეტიკა, გასულ წელს მსხვილი უცხოური ინვესტიციების გარეშე დარჩა.

2015 წელს ინვესტიციები განსაკუთრებით შემცირდა ისეთ დარგებში, როგორცაა ენერგეტიკა (52%-ით), დამამუშავებელი მრეწველობა (55%-ით), სამშენებლო სექტორი (59%-ით) და უძრავი ქონება, სადაც, 2014 წელთან შედარებით, 65%-იანი კლება დაფიქსირდა. 2015 წლის მონაცემებით, ინვესტიციების შემოდინების კუთხით, ზრდა ფიქსირდება ისეთ სექტორებზე, როგორცაა ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (+27 %), საფინანსო სექტორი (+40 %), სოფლის მეურნეობა (+59%) და ჯა-


ნდაცვის სექტორი, სადაც, 2014 წელთან შედარებით, 80 %-ნი მატება ფიქსირდება.

ასეთი ვარდნის ფონზე ცხადია, განსაკუთრებული მაჩვენებელი არ არის, თუმცა მაინც აღსანიშნავია, რომ ვარდნის პროცესი მეტ-ნაკლებად შეჩერებულია და, საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2016 წლის პირველ კვარტალში საქართველოს ეკონომიკაში ბოლო წლების განმავლობაში ინვესტიციების მოცულობამ 376 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2008 წლის შემდეგ რეკორდული მაჩვენებელია. 2016 წლის პირველ კვარტალში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 103 პროცენტით მეტია 2015 წლის I კვარტალის წინასწარ მონაცემებზე. 2016 წლის აღნიშნული მაჩვენებელი 21.6 პროცენტით აღემატება 2014 წლის 1 კვარტალის დაზუსტებულ მონაცემს.

საინტერესოა, რომ ინვესტიციების მთლიან მაჩვენებელში სამი უმსხვილესი სექტორის წილმა 2016 წლის I კვარტალში 79 პროცენტი შეადგინა. საუბარია შემდეგ სამ სექტორზე: ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის სექტორი, სადაც 200 მლნ აშშ დოლარის მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ჩაიდო (სრული ინვესტიციის 53 პროცენტი), რაც, 2015 წლის 1 კვარტალთან შედარებით, 36.9%-იანი მატებაა; საფინანსო სექტორი - 58 მლნ აშშ დოლარი (2015 წელს პირველ კვარტალში იყო მინუს 4 მლნ აშშ დოლარი); ენერჯეტიკის სექტორი, სადაც 2016 წლის პირველ კვარტალში 40 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა, რაც 90 % -ით აღემატება 2015 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს (როგორც უკვე ვთქვით, გასულ წელს ამ სექტორში ყველაზე დიდი ვარდნა მოხდა. იხ. დიაგრამა 1).


საინტერესოა, რომ 2016 წლის დასაწყისში ყველაზე დიდი მოცულობის ინვესტიცია - 137 მლნ აშშ დოლარი - აზერბაიჯანიდან განხორციელდა (მთლიანი ინვესტიციების 36 %), მეორე ადგილზეა თურქეთი - 57 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციების 15 %), ხოლო მესამე ადგილს გაერთიანებული სამეფო იკავებს - 44 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციების 12 %).

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2016* წლის I კვარტალში



ტოპ 10 ქვეყანა შემოსული ინვესტიციების მიხედვით ასე გამოიყურება: აზერბაიჯანი - 137 მილიონი აშშ დოლარი, თურქეთი - 57 მილიონი, გაერთიანებული სამეფო - 44 მილიონი, კორეა - 32 მილიონი, ნიდერლანდები - 22 მილიონი, საერთაშორისო ორგანიზაციები - 16 მილიონი, ვირჯინის კ-ები (ბრიტ.) – 12 მილიონი, ლუქსემბურგი - 11 მილიონი, აშშ - 9 მილიონი, კვიპროსი - 7 მილიონი.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2015 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით, უმსხვილესი კომპანიების რეიტინგული ნუსხა ასე გამოიყურება: „ბი-ფი ჯგუფი“; სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“; სს „ბიჯეო ჯგუფი“; შპს CBD Development, „აი-



წინასწარი მონაცემები.

დის ბორჯომი“ - შპს „აიდიეს ბორჯომი ბევერიჯიზ კომპანიის“ საქართველოს ფილიალი; შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“; შპს „ტავ ურბან საქართველო“; სს „ნენსკრა ჰიდრო“; შპს „რუსთავეის აზოტი“; შპს „ბათუმი თაუერი“.

პირველი კვარტლის საინვესტიციო რეკორდად 2008 წელი ითვლება. იმ პერიოდში, კერძოდ 2008 წლის პირველ კვარტალში, საქართველოში ინვესტიციებმა - 537 მილიონი დოლარი შემოიტანეს. მას შემდეგ ქვეყანაში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კლების ტენდენციით ხასიათდება. 2009 წლის პირველ კვარტალში ინვესტიციები 114 მილიონ დოლარამდე დაეცა, მთელი წლის განმავლობაში ქვეყანაში მხოლოდ 658 მილიონი დოლარი შემოვიდა. პირველ კვარტალში საინვესტიციო მაჩვენებელმა 300 მილიონიან ზღვარს 2014 წელს გადააჭარბა, თუმცა, 2015 წელს გაუფასურების გზაზე დამდგარმა ლარმა და მასთან დაკავშირებულმა ეკონომიკურმა პრობლემებმა ინვესტიციების შემოდინება კვლავ დაამუხ-

რუჟა. 2016 წელს ყველასთვის მოულოდნელად, პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 103 პროცენტითიანი ნახტომი გააკეთა და როგორც უკვე აღვნიშნეთ 376 მილიონ ლარამდე გაიზარდა. ბოლო წლების მაჩვენებლები უცხოური ინვესტიციების შესახებ ასე გამოიყურება:

ცხრილი N1
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
მლნ. აშშ დოლარი

| წელი | სულ | I კვ | II კვ | III კვ | IV კვ |
|-------|---------|-------|-------|--------|-------|
| 2005 | 449.8 | 89.4 | 105.9 | 75.6 | 178.9 |
| 2006 | 1 190.4 | 146.0 | 306.9 | 280.7 | 456.7 |
| 2007 | 2 014.8 | 421.4 | 401.5 | 489.1 | 702.9 |
| 2008 | 1 564.0 | 537.7 | 605.4 | 134.7 | 286.2 |
| 2009 | 658.4 | 114.0 | 177.2 | 173.2 | 194.0 |
| 2010 | 814.5 | 166.5 | 208.3 | 225.6 | 214.1 |
| 2011 | 1 117.2 | 209.7 | 248.3 | 316.6 | 342.6 |
| 2012 | 911.6 | 261.2 | 217.7 | 199.0 | 233.7 |
| 2013 | 941.9 | 252.3 | 207.9 | 254.8 | 226.9 |
| 2014 | 1 758.4 | 309.5 | 196.2 | 726.0 | 526.7 |
| 2015* | 1 351.1 | 185.2 | 370.1 | 527.9 | 267.9 |
| 2016* | 376.4 | 376.4 | | | |

*** წინასწარი მონაცემები**

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის განხილვისას გასათვალისწინებელია არა მარტო უცხოეთიდან შემოსული ინვესტიციები, არამედ მათი შემდგომი განვითარებაც. კერძოდ ის, რომ წარმოების მომდევნო ეტაპზე ამ ინვესტიციებიდან მიღებული მოგება რჩება საქართველოში თუ გაედინება ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

ქვეყნის ეკონომიკის მომავალი სწორად განხორციელებული კერძო, თუ უცხოური ინვესტიციების რაოდენობასა და ხარისხზეა დამოკიდებული, ამიტომ მთელი ძალისხმევა და ყურადღება მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ რაც

შეიძლება მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ამ სფეროში არსებული პრობლემები და ნაკლოვანებები, მაქსიმალურად ვეცადოთ შევექმნათ ისეთი საინვესტიციო გარემო, რომელიც მიმზიდველი იქნება ინვესტორებისათვის.

დასკვნა

საქართველოში დაფიქსირებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უდიდეს გავლენას ახდენს ქართულ ეკონომიკაზე გამომდინარე იქიდან, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობაზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, დასაქმებულთა რიცხვის ზრდა და ზოგადად ეკონომიკის ამათუ იმ სფეროში მნიშვნელოვანი წინსვლა. აღნიშვნის ღირსია იმ კომპანიების გავლენა, რომლებიც ქართულ-უცხოური წილობრივი მონაწილეობითაა შექმნილი. უცხოური ინვესტიციებით შექმნილი კომპანიები ბაზრის სერიოზული მოთამაშეები არიან და დიდწილად სწორედ ისინი განაპირობებენ ქვეყნის ეკონომიკური აქტიურობის ძირითად ბირთვს.

ლიტერატურა:

1. გელაშვილი მ. (2000), ინვესტიციური გადაწყვეტილების მიღება, როგორც სოციალური მოვლენა. იხ. „საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში“, შრომების კრებული.
2. გელაშვილი ს. (2009), სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში, თბილისი.
3. შენგელია თ. (2010), რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია და უცხოური ინვესტიციების როლი საქართველოში, შრომების კრებული: რეგიონალიზაცია, თანამედროვე რეგიონული ეკონომიკური და სოციალური პროცესები.
4. შენგელია თ. (2010), საერთაშორისო ბიზნესის საინვესტიციო გარემო საქართველოში, კრებული: ინოვაციები

ბიზნესში.

5. სიხარულიძე დ. (2012), „უცხოური ინვესტიციების მოტივაციები და მისი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე (ინგლისურ ენაზე), ეკონომიკა და ბიზნესი, #6, თბილისი, გვ. 61-78.

www.geostat.ge - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები

REFERENCES:

1. Gelashvili M. (2000), Decision-making on Investment as a social event(in Georgian language).
2. Gelashvili S. (2009), Statistics in Economics and Business, Tbilisi (in Georgian language).
3. Shengelia T. (2010), Regional Economic Integration and the Role of Foreign Investments in Georgia, Collection of works: Regional Economy, Regional Economics and Social Processes (in Georgian language).
4. Shengelia T. (2010), The Investment Environment for International Business in Georgia. Collection of works: Innovations in Business (in Georgian language).
5. Sikharulidze D. (2012), „Motivations of Foreign Investments and their Influence on Georgian Economy (in English), Economics and Business, #6, Tbilisi, pp.61-78.
6. www.geostat.ge – Data of National Georgian Statistics Service (in Georgian language).

CURRENT SITUATION AND FOREIGN DIRECT INVESTMENTS

Lela Tetradze

Doctor of Economic Sciences

Investment is very important for every county, regardless of its political structure or level of economic development, and it is especially actual on the agenda for the economy of Georgia and its further development.

Bringing in foreign investments is noteworthy since it emphasizes the political and economic stability of the country and promotes the economic development.

This article discusses the amount and origin of foreign direct investments and their role in the economic development. It presents the current data about the foreign direct investments along with data from the past few years and analyzes these data to describe the current situation.

Keywords: Investments; Foreign Investments; Foreign Direct Investments; Investment Environment; The Role of Investments.

**ადამიანისეული კაპიტალი – ინვესტირების
განსაკუთრებული სფერო და ქვეყნის
კონკურენტუნარიანობის ამაღლების
უმთავრესი პირობა**

რევაზ შენგელია
ემდ, სტუ პროფესორი
ჟუჟუნა ნიკლაური
ემდ, სტუ პროფესორი
ნათია შენგელია
ედ, სტუ ას.პროფესორი

რეზიუმე

ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების, კონკურენტუნარიანობის ამაღლების უმთავრესი რეზერვი, როგორც კომპანიის, ისე დარგის, ქვეყნის დონეზე, უნინარეს ყოვლისა, **ადამიანისეულ კაპიტალში** უნდა ვეძებოთ. ადამიანისეული კაპიტალის, როგორც თვითმზარდი ღირებულების, გასადიდებლად კი საჭიროა მისი შემოქმედებითი პოტენციალის შეუზღუდავი რესურსების მაქსიმალური გამოყენება; ამ მიმართულებით გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სწორედ ინვესტიციებს **ადამიანისეულ კაპიტალ-ში**, რომლის გარეშე შეუძლებელია ადამიანის კრეატიულობის, ცოდნის, გამოცდილების, კვალიფიკაციის დონის ამაღლება.

კონკურენტუნარიანი ცოდნა განსაკუთრებით საჭიროა საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებისას, მაშინ, როცა საკითხი ინვესტიციების მიმართულებების განსაზღვრას ეხება, რა დონეზეც არ უნდა ხდებოდეს გადანყვეტილების მიღება.

საკვანძო სიტყვები: კრეატიული ეკონომიკა. კონკურენტუნარიანი მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნა. ადამიანური კაპიტალი. კონკურენტუნარიანი პიროვნება. მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის კვლავწარმოება და მისი განახლების ფორმები.

შესავალი

ეკონომიკური განვითარების უაღრესად საპასუხისმგებლო პერიოდშია და უახლესი 15-20 წელი განმსაზღვრელი იქნება ქვეყნისთვის, რადგან ამ ვადებში უნდა გახდეს შესაძლებელი დასავლურ ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ სხვა სივრცეში გაერთიანება. ამ მიზნის მიღწევა კი მთავრობის მიერ ახლახან შემოთავაზებული სწრაფი განვითარების კურსის რეალიზაციის და აღნიშნულ ვადებში განვითარების სწრაფი ტემპების შენარჩუნების გარეშე შეუძლებელი იქნება.

ძირითადი ტექსტი

სწრაფი ეკონომიკური განვითარების, კონკურენტუნარიანობის ამაღლების უმთავრესი რეზერვი კი როგორც კომპანიის, ისე დარგის, ქვეყნის დონეზე, ჩვენი აზრით, უწინარეს ყოვლისა, **ადამიანისეულ კაპიტალში** უნდა ვეძებოთ.

ქვეყნის განვითარების საქმეში ადამიანისეული კაპიტალის ასეთი განსაკუთრებული მნიშვნელობის მიუხედავად, დიდ ადგილს ვერ დაუთმობთ მსჯელობას ადამიანისეული კაპიტალის არსის თაობაზე ტრადიციული ეკონომიკის პირობებში, რომელიც შეზღუდული ეკონომიკური რესურსების (მინა, შრომა, კაპიტალი) რაციონალური გამოყენების თეორიას (ანუ რესურსებზე დაფუძნებულ ხედვას) ეფუძნება (სოციალურ-ეკონომიკურ ლიტერატურაში ეს საკითხი ასე თუ ისე გარკვეულწილად შესწავლილია). მაგრამ არატრადიციული-კრეატიული ეკონომიკის პირობებში (როცა გადამწყვეტი ფაქტორი ხდება შემოქმედებითი იდეა, მისი ხარისხი[6.გვ., 14-17; 98-99; 142-154; 178; 181-182] და არა მხოლოდ მაღალი ტექნოლოგიები), არასწორი იქნება არ ავლენინავთ ის პროგრესი, ახლებური, არატრადიციული, ინოვაციური მიდგომა, რომელიც ბოლო დროს შეინიშნება კომპანიებში პერსონალისადმი დამოკიდებულების საკითხში: დაქირავებული მუშახელიდან იგი იქცა-ახალ ფასეულ კატეგორიად - „**ადამიანისეულ კაპიტალად**“ (ამ კაპიტალის ძირითადი ფორმაა ცოდნა-განათლებულობა, დაგროვილი გამოცდილება და იგი იმიტომაცა „ადამიანური“, რომ მის შესაქმნელად ინვესტიცია ადამიანში

ხდება, კაპიტალის ზრდა - ცოდნის შექმნა-გაღრმავება - კი ინვესტორების ერთეულის უკუგებას, მწარმოებლურობას. ამიტომ, რომ მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების საქმეში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას კი არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, არამედ ყოველი დასაქმებული მუშაკის, ადამიანისეული კაპიტალის უკუგებას, წარმატებით გამოიყენოს წარმოების სხვა ფაქტორები, მეცნიერების უახლესი მიღწევები და ა.შ.). არადა, კაპიტალის თავისებურება კი ისაა, რომ იგი თვითმზარდი ღირებულებისაა. ამ თვისების გარეშე კაპიტალის არსი წარმოუდგენელია. იგივე შეიძლება ითქვას ადამიანის (ადამიანისეული კაპიტალის), როგორც ინტელექტუალური კაპიტალის ერთ-ერთი ფორმის შესახებ. სწორედ კრეატიული, შემოქმედი ადამიანი უზრუნველყოფს საერთო კაპიტალის ნამატს და გააჩნია სრულიად უნიკალური თვისებები, რომლებსაც ხშირად კომპანიის ხელმძღვანელები ივინყებდნენ და ახლაც ივინყებენ. ამას მოწმობს შემდეგი ფაქტი: იმისათვის, რომ ორგანიზაციამ თანამედროვე სწრაფად ცვალებად სამყაროში კონკურენტუნარიანი გახდეს, მან თავისი საქმიანობის პრაქტიკაში მრავალი ტრადიციული მიდგომა არსებითად უნდა შეცვალოს. იგი არსებული მდგომარეობიდან, როცა ცდილობს ცნობილი და აღიარებული ინდივიდების მიზიდვას, ახალ მდგომარეობაში უნდა გადავიდეს, ანუ **მნიშვნელოვან ინტელექტუალურ პოტენციალს თვითონ დაეუფლოს** და, დროის მოთხოვნების კვალობაზე, მისი სისტემატური სრულყოფა შეძლოს. აღნიშნულ ასპექტზე ყურადღება იმიტომ მახვილდება, რომ ადამიანისეულ კაპიტალს კომპანია ხშირად სრულყოფილად ვერ ფლობს. გარკვეული ხარისხით, ამ მეტად მნიშვნელოვანი კაპიტალის მფლობელები თვით ის ადამიანებია, რომელთა მიმართ დანტერესების ძლიერი მექანიზმების გამოყენებით, კონკურენტ-კომპანიებში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების გადაბირების პრაქტიკა თანამედროვე მსოფლიოში რეალურად არსებობს [1. გვ., 126], ე. ი. ვერ აფასებენ მისი პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობას. ესაა კრეატიულობა. თუ ადამიანი აგნებს საკუთარ საქმეს, „თავის ადგილზე“, იგი წარმოადგენს თვითმზარდ ღირებულებას და არანაირი ინფლაცია და კრიზისი არ

მოქმედებს ამ ღირებულებაზე. პირიქით, კრიზისულ სიტუაციაში კრეატიული, „შემოქმედებითი ადამიანის“ პოტენციალი იზრდება. სულერთია, მენეჯერია იგი, თუ რიგითი სპეციალისტი, მთავარია, რომ აკეთებს თავის საქმეს. ადამიანის ბუნება ისეა მოწყობილი, რომ მას აქვს სურვილი თვითრეალიზაციისა, პიროვნული სრულყოფისა [2.გვ.,129]. ამიტომ, ადამიანის ღირებულებას (კაპიტალის სხვა სახეობებისაგან განსხვავებით), ახასიათებს უსაზღვროდ ზრდა, იმაზე მეტად, ვიდრე ეს მასში ჩადებულ კაპიტალს შეუძლია. კომპანიები, რომლებიც ცდილობენ, გადაურჩნენ სასტიკ კონკურენციას, მუდმივად უნდა ისწრაფვოდნენ სრულყოფისაკენ. ასეთ პირობებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს კომპანიის განკარგულებაში არსებულ ისეთი უმთავრესი სიმდიდრისა და რესურსის რაციონალურ გამოყენებას, როგორც კოლექტივია თავისი უნარებითა და შესაძლებლობებით, კვალიფიკაციით, იდეებით. აქედან გამომდინარე, აუცილებელია მისი სწორი მართვა, კოლექტივისათვის მსოფლიო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი შრომის პირობების, ინოვაციური ატმოსფეროს (ისეთი გარემო, რომელშიც ადამიანი თავს თავისუფლად გრძნობს, სრულად მოტივირებულია, შემოქმედებითი საქმიანობისადმი მზადყოფნაშია და ხელმძღვანელობის მხრიდან აქვს სრული მხარდაჭერა ინოვაციურ საქმიანობაში) შექმნა და ამ მიმართულებით შესაბამისი **ინვესტიციების** მოზიდვა. სწორედ ესაა სადღეისოდ კომპანიის, დარგის, ქვეყნის კონკურენტუნარიანობისა და სიცოცხლისუნარიანობის გრძელვადიანი ფაქტორი. კოლექტივის თითოეული პერსონალი არის უმთავრესი ფაქტორი, რომელიც ქმნის სისტემას „კომპანია“. სწორედ პერსონალს უნდა უმადლოდეს ნებისმიერი ორგანიზაცია თავის არსებობას. სწორედ პერსონალია კონკურენტულ ბრძოლაში მთავარი, გადამწყვეტი ფაქტორი, სხვა შემადგენლები სხვა არაფერია, თუ არა ადამიანთა ცოდნისა და გამოცდილების ინტელექტუალური და მატერიალური ფორმით განსახიერება. თანამედროვე მოწინავე ორგანიზაციების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ გადარჩენისა და სისტემის წარმატებით ფუნქციონირებისათვის საჭიროა სწორედ სისტემის შემქმნელ ფაქტორებზე ყურადღების გამახვილება. თუ

ბაზარი ხელიდან გვეცლება, ბიუჯეტი ირღვევა, ორგანიზაცია ამოვარდა მაღალრეიტინგული და პრესტიჟული დაწესებულებების სიიდან, შეიძლება რეორგანიზდეს სისტემა და შემცირდეს პერსონალი, ჩავიძიროთ რეკლამაში და, საერთოდ, ჯვარი დავასვათ მენეჯერის საკუთარ კარიერას. ან სხვაგვარად მოვიქცეთ: გავიხსენოთ, რომ ყველა ამ პრობლემის უკან ადამიანები დგანან - კომპანიის თანამშრომლები, სწორედ მათ უნდა „უმადლოდეს“ კომპანია თავის სირთულეებს, მაგრამ თავის ხსნასა და გადარჩენასაც მათივე იპოვის! ბევრმა კორპორაციამ ამ შეგნებით დააღწია თავი კრიზისს და გადარჩა, ალორძინდა იმ გუნდისა და ადამიანების წყალობით, რომელთაც კრიტიკულ ნუთებში სასწაულების მოხდენა შეუძლიათ[2.გვ.,128-129]. აი, რას წერს თავის წიგნში „მენეჯერის კარიერა“ კორპორაცია „კრაისლერის“ ხელმძღვანელი ლი იაკოკა: „ადრე არასოდეს მცოდნია, როგორ მოიქცევიან ადამიანები ურთულეს ჟამს. ახლა კი ვიცი, რომ მათი უმრავლესობა საშველად გამოეშურება. ...ასევე ვისწავლე, რომ კრიზისულ სიტუაციაში ადამიანებს ძალუძთ შეინარჩუნონ ღირსება და იმოქმედონ აბსოლუტურად მშვიდად. ...მე აღმოვაჩინე, რომ ადამიანები გაიღებენ უდიდეს მსხვერპლს, როცა ირგვლივ ყველა იზიარებს მათს ხვედრს. როცა უმძიმესი განსაცდელები ყველას თანაბრად, ერთნაირად ეხება, შეძლებ, მთები გადააბრუნო“.

ზემოაღნიშნული გარმოებებიდან გამომდინარე ადამიანის შემოქმედებითი პოტენციალის შეუზღუდავი რესურსების (არადა ამ პოტენციალს ადამიანი ადრეულ ასაკში ფლობს. ყველა ბავშვს სურს რაიმე ახალი, საინტერესო მოიგონოს, განსაკუთრებით 2-დან 5 წლამდე. მათი ოცნებები სწორედ ამ დროსაა გამორჩეული. შემდეგ კი ამ შემოქმედებით პოტენციალს ადამიანთა უმრავლესობა კარგავს არასწორი აღზრდის, სწავლების, განათლებისა და სოციალური პრაქტიკის ზემოქმედების გამო და ალბათ მთელი ცხოვრების მანძილზე მხოლოდ 10-15 პროცენტს თუ იყენებს) მაქსიმალური გამოყენებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სწორედ ინვესტიციებს **ადამიანისეულ კაპიტალში**. ამ რესურსების ამოქმედების გარეშე შეუძლებელია ადამიანის კრეატიულობის, ცოდნის, გამოცდილების, კვალიფიკაციის დონის

ამაღლებს. მაგრამ იმისათვის რომ სასურველ შედეგებს მივაღწიოთ, საჭიროა, ჯერ ჩვენ შევიცვალოთ, მუდამ ვისწრაფვოდეთ ახლისკენ, ვიაზროვნოთ და ვიმოქმედოთ შემოქმედებითად, ანუ კრეატიულად. თანამედროვე პროგრესული ადამიანი არ უნდა იყოს მხოლოდ სხვისი შექმნილის მომხმარებელი. იმავდროულად, უნდა ვცდილობდეთ, ვიყოთ კრეატიულებიც, რადგან ვინც არ ქმნის რაიმე ახალს, ის მხოლოდ სხვის მიერ შექმნილს იმეორებს და/ან მოიხმარს. [3.გვ.9.]. ყოველივე ამის გამო **ჩვენ ვამდიდრებით იმ “სხვას”, ამით, ნებისთ თუ უნებლიედ ხელს ვუწყობთ ჩვენი ქვეყნის სულ უფრო ჩამორჩენას და გაღარიბებას.** როგორც დიდი ილია ჭავჭავაძე თავის დროზე აღნიშნავდა, “ქვეყანა იმით კი არ არის უბედური, რომ ღარიბია, არამედ იმით, რომ მცოდნე, გონებაგახსნილი, გულანთებული კაცები არ ყავს”. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მხოლოდ შემოქმედ, **მცოდნე**, არატრადიციულ, არასტანდარტულ, ახლებური აზროვნების, უფრო სწორად კრეატიული **კონკურენტუნარიანი ცოდნის მატარებელ მუშაკს** შეუძლია უშუალოდ შექმნას ახალი, სხვისგან განსხვავებული პროდუქტი [4.გვ.18.].

ასეთი დონის კონკურენტუნარიანი ცოდნა განსაკუთრებით საჭიროა საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებისას, მაშინ, როცა საკითხი ინვესტიციების მიმართულებების განსაზღვრას ეხება, რა დონეზეც არ უნდა ხდებოდეს გადაწყვეტილების მიღება. ყოველგვარი ინვესტიცია როგორ შეიძლება ეკონომიკური და სოციალური შედეგების მომტანი იყოს; ინვესტირებისას გამორიცხული არ არის ხარვეზები. ფირმამ (თუ პიროვნებამ), სახელმწიფო დაწესებულებამ ინვესტიციების მიმართულებების განსაზღვრისას შეიძლება სერიოზული შეცდომა დაუშვას, მაგალითად, დააფინანსოს ისეთი უპერსპექტივო ტექნოლოგია (თუნდაც ისეთი, რომელიც შეიძლება ეკონომიკურად არ იყოს წამგებიანი, მაგრამ სოციალური შედეგიანობის - ეკოლოგიური, უსაფრთხოების თვალსაზრისით- იმიჯის შემლახველი) და ა.შ., საქმიანობა, რომელიც მოგების მატების ნაცვლად ინვესტორს გააკოტრებს, იმიჯს დაუკარგავს. ყოველივე ამის მიზეზია გადაწყვეტილების მიმღების არაკომპეტენტურობა, ან არასწორი ინფორმაცია

ეკონომიკის, დარგის თუ კონკრეტულად ამა თუ იმ საქმიანობის შესახებ, მაგ., ტექნოლოგიის ნამდვილ სარგებლიანობაზე, ალტერნატიულ შესაძლებლობებზე. სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს მას არ აღმოაჩნდა ადამიანისეული კაპიტალისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარი, რომელიც საჭიროა კომპეტენტური გადანყვეტილების მისაღებად. შეცდომით გაცემული ინვესტიციები კი სოციალურ-ეკონომიკური მომგებიანობის საწინააღმდეგო მოვლენაა, ეს ფაქტობრივად რესურსების უაზრო ხარჯვაა. ასე, რომ მეცნიერულ-ტექნიკურ ცოდნას- ახალ ტექნოლოგიებზე, სამეურნეო კონიუნქტურის პერსპექტივებზე, მოთხოვნის მომავალ ცვლილებებზე და ა.შ., უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური ზრდის და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების უზრუნველყოფისათვის. ეს ეხება როგორც უშუალოდ კომპანიის ხელმძღვანელობას, ასევე მასში მომუშავე მთელ პერსონალს: რაც უფრო კვალიფიციური და ახალი ტექნიკის ათვისებისათვის მომზადებული, კომპეტენტური სამუშაო ძალა იქნება მოზიდული ფირმაში, მით უფრო გარანტირებული და მყარი იქნება სიახლეების სწორად (შედეგიანად) გამოყენება, შრომის მწარმოებლურობის ზრდა და წარმოებული პროდუქციის მაღალი ხარისხი, შესაბამისად, ფირმის და ქვეყნის კონკურენტუნარიანობა, ეკონომიკური წარმატებები, იმიჯი[5.გვ.37-38].

ამრიგად, ინვესტიციები ადამიანისეულ კაპიტალში ეს არის მომგებიანი და აუცილებელი როგორც ეკონომიკური წარმატებების მისაღწევად, ფირმის და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, ასევე სოციალური შედეგების თვალსაწიერი-თაც, რადგან, როგორც დიდი ილია ამბობდა, მცოდნე, განათლებულ საზოგადოებაში უფრო დაცულია კანონი, ადამიანის უსაფრთხოება, მისი უფლებები და მთლიანობაში უფრო მაღალია პიროვნების თავისუფლების დონე. ყოველივე ეს თანამედროვე პირობებში სავსებით სამართლიანად ქვეყნის იმიჯის, დემოკრატიულობის შესაფასებელ ამოსავალ პარამეტრად მიიჩნევა. საკითხისადმი ასეთი არატრადიციული მიდგომა ნებისმიერ სახელმწიფოს, მათ შორის საქართველოს, აბსოლუტურად განაწყობს, არ გასწიოს ეკონომია და მნიშვნელოვანი რესურსები-

ინვესტიციები წარმართოს საზოგადოების განათლებულობის, ადამიანისეული კაპიტალის დონის ასამაღლებლად. განათლების დაფინანსებისადმი პრიორიტეტულობის პრინციპი აუცილებლად უნდა იქნას დაცული სახელმწიფოს მიერ, მიუხედავად იმისა აქვს თუ არა ბიუჯეტს ამის შესაძლებლობა. სამწუხაროდ, რეალურად ასეთი განწყობა ბიუჯეტის დაგეგმვისას ბოლო ორი წლის გამოკლებით ნაკლებად იგრძნობა. 2011 წ. განათლების საბიუჯეტო ხარჯების წილი მშპ-ში შეადგენდა 2,7%-ს და ეს ყველაზე დაბალია როგორც ევროკავშირის (იქ მინიმალურია 4,1% - სლოვაკეთი, მაქსიმალური 6,9%-მალტა), ასევე ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად შექმნილ დამოუკიდებელ ქვეყნებში (ჩვენზე ნაკლებია აზერბაიჯანში - 2,4%, ყველაზე მაღალი - 8,6% მოლდოვაში)[5.გვ.39].

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია **დავასკვნათ:**

1. ადამიანისეული კაპიტალის როგორც თვითმზარდი ღირებულების გასადიდებლად საჭიროა მისი შემოქმედებითი პოტენციალის შეუზღუდავი რესურსების მაქსიმალური გამოყენება ;

2. თანამედროვე მკაცრი სწრაფცვალებად კონკურენტულ სამყაროში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კომპანიის განკარგულებაში არსებული რესურსებიდან უმთავრეს რესურსს და სიმდიდრეს, წარმატებული საქმიანობის საწინდარს-პერსონალს, ადამიანს, თავისი უნარ-ჩვევებით, ცოდნით, კვალიფიკაციით, იდეებით.

3. კონკურენციის პირობებში აუცილებელია ნებისმიერ ორგანიზაციაში შეიქმნას შესაბამისი ბიზნეს-გარემო, ინოვაციური ატმოსფერო უწყვეტი განათლების სისტემის, როგორც მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის კვლავწარმოების უმთავრესი პირობის, დასაწერად, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ცოდნის გამუდმებით განახლება, ქვეყანაში განათლების საერთო დონის ამაღლება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. ჯოლია, ცოდნის ეკონომიკა, თბ., 2015.
2. ჟურნალი "ეკონომიკა", №3-4, 2016წ.
3. გ. ჯოლია. კრეატიული ეკონომიკა და განვითარება. თბ., 2015.
4. ჟურნალი "ეკონომიკა", №5-6, 2014წ.
5. ჟურნალი "ეკონომიკა და ბიზნესი", №3, 2016წ.
6. Guenter Faltin, Kopf Schlaegt Kapital, Carl Hanser Verlag, Munchen, 2008.

REFERENCES:

1. G. Jolia, Knowlegde Economics, Tb., 2015 (in Georgian Language).
2. Journal "Economics", #3-4, 2016 y. (in Georgian Language).
3. G. Jolia. Creative Economy and Development. Tb., 2015(in Georgian Language).
4. Journal "Economics", #5-6, 2016 y. (in Georgian Language).
5. Journal "Economics and Business", #3, 2016 y. (in Georgian Language).
6. Guenter Faltin, Kopf Schlaegt Kapital, Carl Hanser Verlag, Munchen, 2008. (in German Language).

HUMAN CAPITAL - THE SPECIAL SPHERE OF INVESTMENT AND THE MAIN CONDITION FOR INRCEASING A COUNTRY'S COMPETITIVENESS

**Revaz Shengelia, GTU, Professor,
Jujuna Tsiklauri-Shengelia, GTU, Professor,
Natia Shengelia, GTU As. Professor**

RESUME

1. For enlarging the human capital, as self-increasaing his/her value , it is necessary to maximise the usage of the unlimited resources of its creative potential.
2. In the modern strict rapidly changing competitive world, the special

attention should be paid to the main resources and wealth of the company rather than to the general ones. This can be regarded the personnel of the company, the person with its abilities, knowledge, qualification, ideas as the precondition for successful activities.

3. During the competition it is essential for any organization to create an appropriate business environment, the innovative atmosphere of continuous education system, as for implementation of the main precondition for the reproduction of scientific-technical knowledge , which should ensure a constant update of knowledge, raise the general level of education in the country.

Keywords: Creative Economy. Competitive Scientific-technical Knowledge. Human Capital. Competitive Person. Reproduction of the Scientific-technological Knowledge and its Updated Forms.

საქართველო და გლობალიზაციის გამოწვევები

მედია ქავთარაძე

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო
აკადემიის ასოცირებული პროფესორი

ნათია ბეჟანიძე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია წარმოადგენს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ ახალ და განსაკუთრებით აქტუალურ ტენდენციას. მრავალი მეცნიერი შეისწავლის აღნიშნული პროცესის განვითარებით გამოწვეულ ცვლილებებს, მის დადებით და უარყოფით მხარეებს, ტენდენციებს, გამოწვევებს, აზრთა სხვადასხვაობებს.

გლობალიზაციის პროცესის აქტუალობა გამოიხატება იმაში, რომ ის მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მსოფლიო საზოგადოების არა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკურ, არამედ ტექნოლოგიურ და ეკოლოგიურ განვითარებაზე. მათ გათვალისწინებას აქვს როგორც პრაქტიკული, ასევე უდიდესი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა, რამდენადაც, იძლევა ადამიანური პროგრესის ყველაზე გავრცელებული საკითხების გამოყოფის, გლობალიზაციის ძირითადი გამოწვევების განსაზღვრის საშუალებას ქვეყნებისათვის.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში ნამდვილად მიმდინარეობს შესამჩნევი ტენდენციები ცვლილებებისკენ, ჩამოყალიბდა სრულიად ახალი კონკურენტული ვითარება ყველა სახის რესურსის მოპოვებისთვის, გამკაცრდა კონკურენტული ბრძოლის მეთოდები, იმატა სოციალური და პოლიტიკური ხასიათის სანქციებმა, კონფლიქტებმა საცხოვრებელი და სამუშაო ადგილების დაკარგვის გამო, ბრძოლამ უკეთესი მომავლი-

სათვის და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისთვის. აქედან გამომდინარე, ქვეყანას აუცილებლად უნდა გააჩნდეს ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის გლობალური ეკონომიკური, სოციალური და ინტიტუციონალური ზემოქმედების მექანიზმები.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაციის გამონვევები, უმუშევრობის, სიღარიბის და სოციალური უთანასწორობის პრობლემა. ინვესტიციების ზრდა ადამიანური რესურსების განვითარებაში, ეკონომიკის სტაბილური ზრდის აუცილებლობა,

შესავალი

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტების მიერ გლობალიზაცია განიხილება, როგორც მსოფლიოს ქვეყნებს შორის ინტეგრაციის ხარისხის ზრდა. იგი განპირობებულია, უპირველეს ყოვლისა, სავაჭრო და ფინანსური ნაკადების, ტექნოლოგიებისა და სამუშაო ძალის გადანაცვლებით ეროვნულ საზღვრებზე.¹

მსოფლიო ეკონომიკის გლობალური სისტემის კვლავწარმოების წინააღმდეგობები მდგომარეობს იმაში, რომ ხშირად იგი ექვემდებარება არა იმდენად მსოფლიო საზოგადოებრივ ინტერესებს, რამდენადაც ბიზნეს-ელიტის ინტერესებს. იგი მიმდინარეობს ბუნებრივ-კლიმატური და შრომითი რესურსების, სიმდიდრის, პოლიტიკაზე ეკონომიკის დამოკიდებულების არათანაბარი მდგომარეობის პირობებში. თუმცა ეს არ გულისხმობს, იმას, რომ მსოფლიო ეკონომიკის გლობალურ კვლავწარმოებას არა აქვს არანაირი კავშირი წარსულთან: შენარჩუნდება საზოგადოების ყველა ფენის, სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტების მთლიანი სისტემის დაინტერესება მოგების მაქსიმიზებაში, ამავდროულად, წარმოიქმნება ახალი მიზნები და ამოცანები, შეირჩევა სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ახალი პრინციპები, მცირდება სოციალური ურთი-

1 Потенциал и опасности глобализации. Тематический обзор. [Электронный ресурс]. – Режим доступа : // <http://www.imf.org/external/np/exr/ib/2000/rus/041200r.htm>

ერთდაპირისპირებები და ა.შ.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია გულისხმობს საზოგადოებრივი კვლავწარმოების ყველა სფეროს: საერთაშორისო ვაჭრობის, ფულად-საკრედიტო და საბანკო სისტემის, შრომის ბაზრის, ინოვაციების, სამეცნიერო მოღვაწეობის, და აგრეთვე, სოციალური, ეკონომიკური და ინსტიტუციონალური ურთიერთობების გლობალიზაციას.

დღეისათვის მსოფლიო მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სულ უფრო მეტ უპირატესობას ანიჭებს თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების, ინოვაციების გამოყენებას და დინამიურ განვითარებას. ადამიანებს აღარ სურთ მხოლოდ ნაციონალური საზღვრების ფარგლებში არსებობა, მათი სურვილია პლანეტის საკუთარ სახლად გადაქცევა.

ძირითადი ტექსტი

გლობალიზაციის პროცესის განვითარებასთან ერთად, შესამჩნევი ცვლილებები მიმდინრეობს ჩვენს ქვეყანაშიც. საქართველო უფრო ღია, დემოკრატიული, მსოფლიო პროცესებში ინტეგრირებული გახდა. ჩვენი მოქალაქეებისათვის გაიხსნა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საზღვრები, შესაძლებელი გახდა უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან საქმიანი ურთიერთობების, პოლიტიკური, სამართლებრივი და კულტურული კავშირების დამყარება. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ გზაზე მსოფლიო საზოგადოება საკმაოდ ბევრი სირთულეების წინაშე დადგა - ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, სიღარიბე, დაავადებები, ეკოლოგიური საფრთხეები, დასაქმების პრობლემები და მრავალი სხვა, რაც არც ჩვენი ქვეყნისთვის არის უცხო. ასეთი პრობლემები ნაკარნახევია მსოფლიო რესურსების დიდი ნაწილის დაპყრობის ინტერესით, ქვეყნებისა და რეგიონების, დარგებისა და ოჯახების განვითარების უთანასწორობით, მათი კულტურული და სამართლებრივი მდგომარეობის დიფერენცირებით, მოტივების განუსაზღვრელობითა და მრავალი სხვა წინააღმდეგობებით. მეტოდური თვალსაზრისით, სამართლიანი იქნებოდა ამ კითხვებზე პასუხის გაცემა

არა რაიმე იდეების დონეზე, არამედ ფასეული და პრაქტიკასთან გონივრული კავშირის საფუძველზე, უპირველესად, გამონეგებზე პასუხით, რომელსაც მთელ მსოფლიოს უგზავნის გლობალიზაციის პროცესი. მხოლოდ ამგვარად არის შესაძლებელი გლობალურ ეკონომიკაში შეღწევა, მისი მიღწევების გამოყენება ქვეყნის სასიკეთოდ და არასასურველი, ზოგჯერ კი სახიფათო შედეგების თავიდან აცილება.

უპირველესად, გლობალიზაციის მნიშვნელოვან გამონეგევას წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის სტაბილური ზრდის, სოციალური და ეკოლოგიური განვითარების აუცილებლობა. მასთან არის დაკავშირებული ადამიანის ცხოვრების ისეთი ფუნდამენტური საკითხები, როგორცაა გაფართოებული კვლავწარმოება და წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, ადამინთა ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესება, სიმდიდრის დაგროვება, ჯანსაღი ეკოლოგიური გარემოს ფორმირება, მართვის ხარისხის გაუმჯობესება როგორც ბიზნესის, ასევე სახელმწიფო და სამოქალაქო სექტორში.

გლობალური ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური ზრდის შეფერხება, პრიოდულად, ეკონომიკური კრიზისებით არის გამოწვეული. 2015 წელს მსოფლიოში არასახარბიელოდ გამოიყურებოდა ეკონომიკის ზრდის ტემპი, რაც მსხვილი ქვეყნების უკუსვლით იყო განპირობებული. ევროპასა და ცენტრალურ აზიაში ეკონომიკური ზრდა 2015 წელს 2,1 %-მდე შემცირდა, თუმცა ანალოგიური მაჩვენებელი სახარბიელო არც 2014 წელს ყოფილა და ის 2,3 %-ს შეადგენდა. ძირითად მიზეზებად ნავთობის ფასის მკვეთრი შემცირება, უკრაინის კრიზისი და ამ კრიზისის გამო რუსეთისთვის დაწესებული ეკონომიკური სანქციები სახელდება. მსოფლიო ბანკის ექსპერტების ვარაუდით გლობალური ეკონომიკის ზრდის მიმართულებით 2016 წელს მხოლოდ მცირედი წინსვლაა მოსალოდნელი.¹

აღსანიშნავია, რომ გასული 2015 წელი არასახარბიელო გა-

¹ <http://www.radiotavisupleba.ge/a/sakartvelos-ekonomikuri-zrda/27474134.html>

მოდგა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისითაც. 2014 წლის 4,8 %-იანი ზრდის შემდეგ, 2015 წელს აღნიშნული მაჩვენებელი მნიშვნელოვანი ვარდნის ტენდენციით გამოირჩეოდა და 2,5% შეადგენდა. ამის მთავარი მიზეზი ლარის დევალაცია იყო. საერთაშორისო დონეზე დოლარის გამყარებამაც იქონია უარყოფითი გავლენა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე. აქ ვგულისხმობთ იმას, რომ იურიდიული პირების ნაწილს დოლარში ჰქონდა ვალდებულება და მათ გაუძვირდათ ამ ვალდებულებების მომსახურება. ბუნებრივია, ასეთმა მდგომარეობამ მათ ბიზნესს ზიანი მიაყენა და თუკი ბიზნესს ზიანი მიადგება, ეს, საერთო ჯამში, უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე. მიუხედავად დაბალი ეკონომიკური ზრდისა და სხვა ნეგატიური პროცესებისა, რომელიც აღინიშნებოდა ქვეყნის ეკონომიკაში, რომ არა ლარის მნიშვნელოვანი გაუფასურება, მისი შედეგები არ იქნებოდა ასე საგრძნობი.

გლობალიზაციის პირობებში ჩვენი ქვეყნისთვის მთავარ გამოწვევად რჩება უმუშევრობისა და მასთან დაკავშირებული სიღარიბის და სოციალური უთანასწორობის პრობლემა. სამუშაო ადგილების შექმნისთვის უდიდესი როლი ენიჭება მთავრობის მხრიდან ბიზნესის განვითარების წახალისებას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს სხვადასხვა დარგების და ინფრასტრუქტურის განვითარებას.

უმუშევრობა ნებისმიერი ქვეყნის მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწვება და ეკონომიკური, ფსიქოლოგიური თუ სოციალური ხარჯების ზრდაში გამოიხატება. უმუშევარი ადამიანი - ეს არის სამუშაო ძალა, რომლის რაციონალურად გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა დამატებითი პროდუქციის წარმოება. განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფოს უწევს უმუშევრებისთვის კომპენსაციის გადახდა, რაც მას კიდევ უფრო მძიმე ტვირთად აწვება. ჩვენს ქვეყანაში - ეს ასე არ არის. უმუშევრები არანაირ კომპენსაციას სახელმწიფოსგან არ იღებენ. ამიტომაც უმუშევრობის ტვირთი მხოლოდ უმუშევრებს აწვებათ. დროთა განმავლობაში ხდება უმუშევრების კომპეტენციის, უნარ-ჩვევების და გამოცდილების დაქვეითე-

ბა, რაც, თავის მხრივ, მათ სამუშაოსადმი მოტივაციას უკარგავს, ამას კი უმუშევრობის ფსიქოლოგიური ხარჯების ზრდისკენ მივყავართ. აქ იგულისხმება იმ სტრესულ სიტუაციაში ყოფნა, რომელსაც უმუშევარი ადამიანები და მათი ოჯახები ეკონომიკური კრიზისის დროს მწვავედ განიცდიან. სწორედ რომ მოსახლეობის სტრესული მდგომარეობა განაპირობებს ეკონომიკური კრიზისის პირობებში სხვადასხვა სახის დანაშაულისა და სოციალური პრობლემების ზრდას ქვეყანაში. ეს პრობლემები კი ისევ სახელმწიფოს აწვება მძიმე ტვირთად, ვინაიდან აღნიშნულ პრობლემებთან გამკლავება კვლავ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

საქართველოში ამერიკის ნაციონალური დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ სოციოლოგიური კვლევის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ რესპონდენტთა დიდი ნაწილი „ყველაზე მნიშვნელოვან ეროვნულ საკითხებად“ სამუშაო ადგილებს, ინფლაციასა და სიღარიბეს მიიჩნევს. ის, რომ სამუშაო ადგილები ყველაზე მნიშვნელოვანი ეროვნული საკითხია საქართველოში, გამოკითხულთა 66 % – მა დაასახელა, ფასების ზრდა/ინფლაცია 43 %–მა, სიღარიბე კი 39% –მა. ტერიტორიული მთლიანობის საკითხი მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა 27 % მაჩვენებლით. პენსიები მნიშვნელოვანია გამოკითხულთა 21% –თვის, ხელფასები – 17% –თვის, ხელმისაწვდომი ჯანდაცვა – 17%თვის, რუსეთთან ურთიერთობა კი 12%–თვის. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ტერიტორიული მთლიანობა ეროვნული საკითხების ჩამონათვა-ლში პირველ სამეულში არ მოხვდა.¹

უმუშევრობის დონის შემცირებისათვის და ეკონომიკის სტიმულირებისათვის, სახელმწიფომ დასაქმებაზე ორიენტირებული პროექტები უნდა განახორციელოს, სამუშაო ადგილების შექმნისთვის უდიდესი როლი ენიჭება მთავრობის მხრიდან ბიზნესის განვითარების წახალისებას, რაც თავის მხრივ გულისხმობს სხვადასხვა დარგების და ინფრასტრუქტურის განვითარებას. ინფრასტრუქტურული პროექტების განხორ-

1 <http://sputnik-georgia.com/politics/20150511/42545.html>

რციელებით გაუმჯობესდება ბიზნესგარემოც და შეიქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები. ასევე, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, სახელმწიფო სახრსების ეკონომიკაში ინვესტირებით, მოხდება ბაზარზე მოთხოვნის სტიმულირება, რაც ბუნებრივად გააჩენს ახალ ბიზნეს შესაძლებლობებს და შექმნის დამატებითი კერძო ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობას.

გლობალიზაციის გამონვევაა, აგრეთვე სახელმწიფოთა შორის საგარეო ეკონომიკური კავშირების გაფართოება. საქართველოსათვის ძალიან მნიშვნელოვანია რეგიონის ქვეყნებთან ურთიერთობების განვითარება და განმტკიცება, რაც ხელს შეუწყობს რეგიონში ურთიერთდანიტერესებაზე დამყარებული პოლიტიკური თანამშრომლობის გაუმჯობესებას, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გამყარებას, ასევე სატრანსპორტო, ენერგეტიკულ და სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროებში ურთიერთობების გაღრმავებას. ასეთ ურთიერთობებს ეფექტიანობის საკმაოდ დიდი პოტენციალი გააჩნია. მაგალითად, ექსპორტისა და იმპორტის წილის ზრდას მშპ-ში მოჰყვება ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლება. აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით ქვეყნები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან.

საერთაშორისო ეკონომიკური კავშირები XXI საუკუნეში წარმოადგენს მრავალდონიან ურთიერთობათა სისტემას, რომელსაც საფუძვლად უდევს საერთაშორისო მოლაპარაკებები და შეთანხმებები. ქვეყნებსა და რეგიონებს შორის საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების არარსებობა მიუთითებს მათი ეკონომიკების არაკონკურენტუნარიანობაზე და პირიქით. ამ მიმართულებით საქართველომ გადადგა ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯები. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA), რომელიც ამოქმედდა 2014 წლიდან, საქართველოს გაუხსნის გზას ევროკავშირის შიდა ბაზარზე და ხელს შეუწყობს ქვეყანაში ხელსაყრელი ბიზნესგარემოს შექმნას და ინვესტორთა დაინტერესებას. აღნიშნული შეთანხმება წარმოადგენს ევრო-

კავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის რეალურ შესაძლებლობას.

საგარეო ვაჭრობის მოცულობის გაზრდა და უარყოფითი სავაჭრო ბალანსის შემცირება იყო და ისევე რჩება საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად. ამ გამოწვევაზე საპასუხოდ, საქართველოს მთავრობამ განახორციელა სატარიფო პოლიტიკისა და ტექნიკური რეგულირების სფეროს რეფორმა, რის შედეგადაც დღეისათვის ჩვენს ქვეყანას გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა,¹

მაგრამ, მიუხედავად გადადგმული ნაბიჯებისა, საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობები მთელი რიგი პრობლემებით ხასიათდება. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2015 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 9 933 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 13%-ით ნაკლებია. ექსპორტი შემცირდა 23%-ით და 2 204 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2011 წლის შემდეგ ყველაზე დაბალ მაჩვენებელს წარმოადგენს. იმპორტი შემცირდა 10%-ით და 7 729 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა. უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა შეადგინა -5 525 მლნ. აშშ დოლარი და სავაჭრო ბრუნვის 56%. ამ დინამიკის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი ლარის კურსზე წლის განმავლობაში დაფიქსირებული ზენოლა იყო. მიმდინარე წელს, საგადამხდელი ბალანსის თითქმის ყველა მუხლში კლების ტენდენცია დაფიქსირდა. ფულადი გზავნილები, რომელიც ქვეყანაში ვალუტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, 29%-ით შემცირდა. ამდენად, იმპორტის შემცირებაზე ლარის კურსის გაუფასურებამ უაღრესად დიდი გავლენა იქონია, რამაც უცხოური პროდუქცია ჩვენი მოსახლეობისთვის გააძვირა და იმპორტზე მოთხოვნაც მნიშვნელოვნად შეამცირა.

მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ასევე სოფლის მეურნეობის განვითარება. სოფლის მეურნეობაში ჩვენს ქვეყანაში დასაქმებულია ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის ნახევ-

1 <http://www.economy.ge/ge/economic-sectors>

ვარზე მეტი. თუმცა, ამ დარგში შექმნილი დამატებული ღირებულება, დარგის პროდუქტიულობა და მომგებიანობის დონე დაბალია, რაც ხელს უშლის დარგის კონკურენტუნარიანობის ზრდას, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე. სოფლის მეურნეობის განვითარების დაბალი დონე სოფლად სიღარიბის მასშტაბებსა და სიმწვავეში აისახება. შესაბამისად, სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტულობა, სოციალური პრობლემების აღმოფხვრასთან ერთად ხელს შეუწყობს ეკონომიკის განვითარებას, რაც ასევე აისახება მიმდინარე დარგების კონკურენტუნარიანობაზე.

ასევე მნიშვნელოვანი გამოწვევაა ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც საქართველოს ყველაზე პერსპექტიული დარგების: წარმოების, ვაჭრობის, ტურიზმის და სოფლის მეურნეობის აღორძინებისთვის უმთავრესი პირობაა. საქართველო მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული ადგილმდებარეობით წარმოადგენს კავკასიისა და ცენტრალური აზიის ბუნებრივ ლოგისტიკურ ჰაბს. თუმცა განუვითარებელი ინფრასტრუქტურა და სატრანსპორტო სისტემის დაბალი კონკურენტუნარიანობა მას არ აძლევს საშუალებას გამოიყენოს აღნიშნული პოტენციალი სრულყოფილად. არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მას არ გააჩნია ქსელური ეფექტი. ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობების დამაკავშირებელი ინფრასტრუქტურის დეფიციტის გამო არ ხდება სინერგიების ათვისება სატრანსპორტო გადაზიდვებსა და ლოგისტიკაში. საჭიროა სატრანსპორტო და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის სისტემური განვითარება, რაც კონკურენტუნარიანს გახდის საქართველოზე გამავალ სატრანსპორტო კორიდორს და შესძენს ქვეყანას ეფექტური სატრანსპორტო დერეფნის იმიჯს.¹

გლობალიზაციის პროცესის მნიშვნელოვანი გამოწვევაა სპეციალიზაციის გაღრმავება და ქვეყნების ეკონომიკების დივერსიფიციკაცია, რაც ნიშნავს თანამედროვე პლანეტარული წარმოების გლობალური დარგობრივი სტრუქტურის ფორმირე-

¹ <http://www.interpressnews.ge/>

ბას. ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ამ მიმართულების უპირატესობაა ის, რომ დივერსიფიცირებული ეკონომიკა საქონლისა და მომსახურების ასორტიმენტის გამრავალფეროვნების, დარგობრივი სტრუქტურების კრიზისის დაძლევის საშუალებას იძლევა. საქართველოს ეკონომიკა არის იმპორტზე დამოკიდებული. ერთ-ერთი მიზეზი, რომელიც აფერხებს რეალური წარმოების და მომსახურების სფეროს დივერსიფიკაციას, არის ქვეყნის რეგიონებისა და დარგების განვითარების სტრატეგიების არასრულყოფილება. ქვეყნის ეკონომიკური ინტერესები უნდა გაერთიანდეს ეკონომიკის დივერსიფიკაციისა და იმპორტის ჩანაცვლების პრობლემების და შრომის საერთაშორისო დანაწილების პროგრამების გამოყენების ირგვლივ.

გლობალიზაციის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ინვესტიციების მოცულობის ზრდა, როგორც ადამიანური რესურსების განვითარებაში, ასევე ძირითადი კაპიტალის, ეკოლოგიის, სოციალური ინფრასტრუქტურის სფეროში და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ამაღლებაში.

ბოლო ათწლეულში საქართველოს ეკონომიკის ზრდა ძირითადად განპირობებული იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის ზრდით, გაზრდილი საგარეო ვალეებით და მიგრანტების გზავნილების დიდი მოცულობებით. აღნიშნულ ფაქტორებს ემატებოდა საბანკო დაკრედიტების მკვეთრი ზრდა, ამ ყოველივეს შედეგად კი ქვეყანაში ადგილი ქონდა შიდა მოთხოვნის ზრდას, რაც მეტწილად იმპორტის გაზრდის შედეგად კმაყოფილდებოდა. მოცემულ პერიოდში ადგილი ქონდა ეკონომიკის არაადეკვატურ ზრდას. არ მოხდა ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თანმდევი ახალი და მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარება, რამაც მნიშვნელოვანწილად შეაფერხა ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

საქართველოსთვის მიზანშეწონილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდება ისეთ დარგებში, რომლებიც საექსპორტო პროდუქციის ფართომასშტაბიან წარმოებაზეა ორიენტირებული და შესაძლებელია ქვეყნის ფარგლებს გარეთ მისი

მომგებიანი რეალიზაცია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდება პრიორიტეტულ დარგებში ხელს შეუწყობს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და ეკონომიკურ ზრდას.

ეკონომიკის ეფექტიანობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებულია კაპიტალის ეფექტურ დაბანდებასთან მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაში. ამ მიმართულებით განეული ეკონომია გულისხმობს საზოგადოების ეფექტიანობის საგრძნობლად დაქვეითებას და მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის გართულებას.

არანაკლებ რთულ პრობლემას ბიზნესისათვის გლობალურ ეკონომიკაში წარმოადგენს ძირითად კაპიტალში ინვესტიციების ზრდისა და მისი გამოყენების ეფექტიანობის საკითხები. ინოვაციური ტენოლოგიების დანერგვა ყოველთვის აისახება წარმოებული პროდუქციის ხარისხობრივ პარამეტრებზე, რაც ზრდის მის კონკურენტუნარიანობას. ამდენად, ინცესტიციების გარეშე, განსაკუთრებით ახალ, ინოვაციური ტიპის ძირითად კაპიტალში, წარმოუდგენელია საზოგადოებრივი კვლავწარმოების საკითხის წარმატებით გადანყვეტა. ეკონომიკაში საჭიროა ისეთი ინსტიტუციონალური ურთიერთობების დამყარება, რაც ხელს შეუწყობს არა მხოლოდ უცხოური, არამედ ადგილობრივი კაპიტალის მოზიდვასაც.

თანამედროვე პირობებში ინოვაციური ტიპის განვითარებაზე უარის თქმა და ამ მხრივ ჩამორჩენა, საფრთხის მომტანია ეროვნული ეკონომიკისთვის. ინოვაციური განვითარების, მენციერების ინტეგრირების, წარმოებისა და მომსახურების ხარისხის მხრივ, ჩვენ საკმაოდ ჩამოვრჩებით განვითარებულ ქვეყნებს თანამედროვე ტექნოლოგიების, მენჯემენტის ხარისხის და თანამშრომელთა მოტივირებულობის დონით. ამ მიმართულებით პროგრესი გულისხმობს მნიშვნელოვან წინსვლას სოციალურ-ეკონომიკური მეცნიერებისა და ინსტიტუციონალურ დონეზე, მათი მიღწევების პრაქტიკაში გამოყენებას, საზოგადოების განვითარების ოპტიმალური სოციალურ-ეკონომიკური მოდელების ფორმირებისთვის, რომლებიც ასახავენ რეალურ სამყაროს და ხელს უწყობენ გლობალური ეკონომიკის

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

განვითარებას, ახალი პლანეტარული მიდგომის საფუძველზე. ჩვენი აზრით, ისინი უნდა ემყარებოდნენ საღ აზროვნებას, რეალურ სინამდვილეს, რეალურ მიზნებსა და ამოცანებს, გამოკვეთვებსა და გადაწყვეტილებებს, რომლებიც აისახება როგორც სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნესის, ისე ცალკეული ადამიანისა და მსოფლიოს ინტერესებში. გლობალიზაციის აღნიშნული გამოწვევები ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის დონეზე, თუმცა შესაძლებელია კიდევ რამდენიმეს გამოყოფა.

სქემა №1

| | |
|--|--|
| მსოფლიოს ეკონომიკური გლობალიზაციის ძირითადი გამოწვევები ქვეყნის დონეზე | ეკონომიკური და სოციალური ზრდის, გარემოს დაცვითი ღონისძიებების გაუმჯობესებისა და ცხოვრების ხარისხის ამაღლების, ბუნებრივ დონემდე მოსახლეობის დასაქმების ზრდის აუცილებლობა. |
| | ეკონომიკის ყველა სუბიექტს უნევს რესურსებისთვის, მომხმარებლებისთვის, ინოვაციებისთვის, მაღალკვალიფიციური მენეჯერების მოზიდვისთვის გლობალური კონკურენციის პირობებში მოქმედება. |
| | მოითხოვს შრომის საერთაშორისო დანაწილების მსხვილმასშტაბიან გამოყენებას. ეკონომიკის დივერსიფიკაციას, უსაფრთხოების ყველა სახის უზრუნველყოფას. |
| | მოითხოვს ყველა სახის რესურსების კვლავწარმოების პირობების გაუმჯობესებას, განსაკუთრებით მეჯენმენტის ხარისხის ამაღლებას, თანამშრომლების, მენეჯერების და მფლობელების სტიმულირებისა და მოტივაციის ეფექტური ფორმების გამოყენების საფუძველზე. |
| | მოითხოვს კაპიტალის ინვესტირების აქტიური ფორმების გამოყენებას, ინოვაციურ პროგრესს, მეცნიერების, განათლებისა და წარმოების ინტეგრირების საფუძველზე. |
| | მოითხოვს პროდუქციისა და მომსახურების ხარისხის ნორმების, ადამიანური რესურსების, ტექნოლოგიებისა და წარმოების პირობებისადმი გლობალური სტანდარტების გამოყენებას. |
| | მოითხოვს ეკონომიკის ყველა დონის და ფაქტორების საინვესტიციო-საინოვაციო მიმზიდველობის ფორმირებას, მაკრო ეკონომიკის ოპტიმიზების საფუძველზე. |
| | საჭიროებს სოციალურ-ეკონომიკური სირთულეების ყველა ფორმის (მონოპოლიზმი, კორუფცია, ბიუროკრატიზმი ფორმალზმი) გააღიარებას, რომელიც აფერხებს ეკონომიკის განვითარებას. |

გლობალიზაციის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს გლობალური კონკურენციის, აგრეთვე, ქვეყნის, დარგის, საქონლისა თუ წარმოების ფაქტორების კონკურენტუნარიანობის ფორმირება. მსოფლიო ბაზრის შესწავლა და მოთხოვნის განსაზღვრა, (მათ შორის პერსპექტიულის) და საკუთარი კონკურენტული უპირატესობების ფორმირება - წარმოადგენს უმთავრეს პირობას აღნიშნულ გამოწვევაზე საპასუხოდ.

მრავალი გამოკვლევის შედეგი ცხადყოფს, რომ საქართველოს ეკონომიკის კონკურენტული უპირატესობების ფორმირებისათვის მნიშვნელოვანია უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებაზე გადასვლა, ძლიერი მატერიალური და მორალური მოტივაციის შექმნა, ყველა დარგში კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის გამოცდილების დაგროვება. ამ მიზნების მიღწევის სირთულე ხშირად გამოწვეულია მათი გადაწყვეტისათვის ჩვენეული მენეჯმენტის არასაკმარისი დონით, წარმოების მეცნიერებასთან სუსტი კავშირით, არაოპტიმალური ინვესტიციებით ადამიანურ რესურსებში, განსაკუთრებით - კომპეტენციების ამაღლებაში, უახლეს ტექნოლოგიების დანერგვაში, ინფრასტრუქტურის განვითარებაში.

ინფრასტრუქტურის განვითარება საქართველოს ეკონომიკისათვის წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას, რომელზეც უნდა დაფუძნდეს ყველა სხვა ეკონომიკური ღონისძიებებიდან მიღწეული წარმატებები. ინფრასტრუქტურა წარმოადგენს ბაზისს, რომელიც გამოიწვევს ქვეყნის ეკონომიკური მიმზიდველობის ამაღლებას, საქართველოს უკეთეს შიდა, რეგიონულ და საერთაშორისო ინტეგრაციას, საცხოვრებელი და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას. თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ინფრასტრუქტურა ქვეყნის პრიორიტეტული დარგების - ტურიზმი, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, მრეწველობა ენერჯეტიკა,- განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ზრდის საშუალებაა.¹

მიუხედავად აღნიშნული გამოწვევებისა, გლობალიზაციას აქვს პოტენცილი ქვეყნის ეკონომიკას მოუტანოს სარგებე-

1 <http://progressive.ge/>

ლი. მთავარია ეფექტურად გამოვიყენოთ ის უპირატესობები, რაც საქართველოს ბუნებისგან აქვს ბოძებული: კარგი ბუნებრივ-კლიმატური პირობები, უნიკალურ გეოპოლიტიკური და გეოგრაფიული პოტენციალი. საქართველოს ტრანზიტული, ენერგეტიკული, ტურისტული, სასოფლო სამეურნეო პოტენციალის სრულფასოვნად ათვისება განაპირობებს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, დოვლათის ზრდას, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას და მდგრად ეკონომიკურ განვითარებას

დასკვნა

ამდენად, გლობალიზაციის პირობებში ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისათვის საჭიროა ისეთი მოქმედებების განხორციელება, როგორებიცაა:

- ქვეყნის გეოპოლიტიკური, გეოგრაფიული, ბუნებრივ-კლიმატური და რესურსული პოტენციალის ეფექტურად გამოყენება, რამდენადაც ისინი წამოადგენენ ეროვნული ეკონომიკის შემდგომი განვითარების საყრდენს;
- ეკონომიკური ინტეგრაციის შესაძლებლობების გამოყენება და მსოფლიო ბაზარზე პოზიციების გაფართოება, მარკეტინგული ანალიზის გათვალისწინებით;
- პრიორიტეტული დარგების განვითარება, რაც შესაძლებლობას მისცემს ქვეყანას მოიპოვოს კონკურენტუნარიანი უპირატესობა შრომის საერთაშორისო ბაზარზე;
- ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში ინოვაციურობის მდგენელის გაძლიერება;
- მეცნიერებატევად პროდუქციაზე მოთხოვნის შესწავლა და მისი წარმოების გამართვა;
- სახელმწიფოს (როგორც ბაზრის სუბიექტი) მხრიდან ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების გამაძლიერებელი პოლიტიკის აქტივიზება.

მაკროეკონომიკური სტაბილურობა წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების საფუძველს. გონივრული ფისკალური და

მონეტარული პოლიტიკა უნდა იყოს მიმართული სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შენარჩუნებაზე, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის მიმართ ნდობის ამაღლებას. აღნიშნული ასახება მოკლევადიან და გრძელვადიან ბიზნეს-გადანწყვეტილებებში, საბოლოოდ კი დასაქმებასა და ეკონომიკურ ზრდაში.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის მომავალს ვხედავთ საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს გლობალიზაციაში, ყველა ფაქტორის, საზოგადოების ყველა ფენის, საქმიანობის შედეგების, კვლავწარმოების პროპორციების, საინოვაციო და საინვესტიციო პროცესების და ინტელექტუალური კაპიტალის განვითარებაში, ადამიანთა ქცევისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში, საერთაშორისო ინტეგრაციის ინსტიტუტებისა და მექანიზმების შექმნაში. ამავდროულად, ვლინდება გლობალური ეკონომიკის ახალი დამახასიათებელი ნიშნები და მისი ახალი გამოწვევები საზოგადოებრივი კვლავწარმოების სხვადასხვა დონეზე (ქვეყნის, დარგის, ცალკეული ფირმისა თუ ადამიანის). შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში მიმდინარეობს არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდის გლობალიზაციის პროცესები, არამედ ეკონომიკური კრიზისებისაც. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვეყანას აუცილებლად უნდა გააჩნდეს ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის გლობალური ეკონომიკური, სოციალური და ინსტიტუციონალური ზემოქმედების მექანიზმები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბრალავა ა. ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია. თბილისი. 2005.
2. ასათიანი რ. გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო. თბილისი 2010.
3. Кастельс М. Информационная эпоха: экономика, общество и культура. М., 2000.
4. Потенциал и опасности глобализации. Тематический обзор. // <http://www.imf.org/external/np/exr/ib/2000/rus/041200r.htm>

5. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=32&lang=eng
6. <https://geocodna.wordpress.com/2013/10/10/%E1%83%92%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90>
7. <http://www.economy.ge/>.
8. <http://www.radiotavisupleba.ge/a/sakartvelos-ekonomikuri-rzda/27474134.html>
9. <http://sputnik-georgia.com/politics/20150511/42545.html>
10. <http://www.economy.ge/ge/economic-sectors>
11. <http://www.interpressnews.ge/>
12. <https://geocodna.wordpress.com/2013/10/10/%E1%83%92%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90>
13. <http://progressive.ge/>

REFERENCES:

1. Abralava A. National Economy and Globalization. Tbilisi. 2005. (in Georgian Language).
2. Asatiani R. Globalization, Economic Theory and Georgia. Tbilisi 2010. (in Georgian Language).
3. Castells M. The Information Age: Economy, Society and Culture. M:, 2000. (in Russian Language).
4. The potential and dangers of globalization. Thematic review (in Georgian Language). // <http://www.imf.org/external/np/exr/ib/2000/rus/041200r.htm>
5. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=32&lang=eng
6. <https://geocodna.wordpress.com/2013/10/10/%E1%83%92%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90>
7. <http://www.economy.ge/>.
8. <http://www.radiotavisupleba.ge/a/sakartvelos-ekonomikuri-rzda/27474134.html>

zrda/27474134.html

9. <http://sputnik-georgia.com/politics/20150511/42545.html>

10. <http://www.economy.ge/ge/economic-sectors>

11. <http://www.interpressnews.ge/>

12. <https://geocodna.wordpress.com/2013/10/10/%E1%83%92%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90>

13. <http://progressive.ge/>

GEORGIA AND THE CHALLENGES OF GLOBALIZATION

Medea Kavtaradze, PhD in Engineering Sciences, Associated Professor, Batumi State Maritime Academy;
Natia Bejanidze, PhD Student, Shota Rustaveli State University

RESUME

The world economy globalization is one of the most important tendencies of the country development. Its actuality is displayed in the fact that it seriously impacts the world society not only in the social-economic issues, but also in technologies and ecology development. Their consideration has a practical and a great methodological importance, because it gives a possibility to develop the whole country. Nowadays, all countries have one and the same problem – the usage of advantages of globalization and the decrease of potential related risks and disadvantages.

Simultaneously with the development of globalization processes, Georgia became more open, democratic and integrated into the world processes. The borders of different countries became open for our citizens, the establishment of business relations, political, legal and cultural relations with the foreigners also became

possible. But at the same time, the world society faces many difficulties – the violation of the countries' territorial integrity, poverty, arrests, ecological threats, employment problems, also familiar to our country. Such problems are related with the interests with the world resources management, the disbalance of the branches, development differentiation of the cultural and legal conditions, and many other factors. Taking into account the method approach, it is better to decide this issue not on the idea level, but on the basis of the analysis of the challenges, conditioned by the world globalization process.

Keywords: Challenges of Globalization; Unemployment, Poverty and Social Inequality Problem; Investment Increase in Human Resource Development; The Need for a Stable Economic Growth.



ფინანსები, ბანკები, ბირჟები



ქართული სათავადაზნაურო ბანკის მართვის სისტემა

რამაზ ოთინაშვილი
სტუ -ს პროფესორი
შალვა კუტუბიძე
სტუ-ს დოქტორანტი

რ ე ზ ი უ მ ე

სტატიაში ახსნილია სათავადაზნაურო ბანკის მართვის თავისებურებები. აღნიშნულია, რომ ბანკის ოპერაციების გაფართოებასთან ერთად, იზრდებოდა წმინდა შემოსავალი და მისი ის ნაწილი, რაც დივიდენდის სახით უნდა გაცემულიყო. ამ კუთხით მოყვანილია საყურადღებო სტატისტიკური მასალები. ასევე მოცემები გაცემულ გრძელვადიან და მოკლევადიან სესხებზე.

განხილულია წევრი-დამფუძნებლების სამი კატეგორია. გაანალიზებულია ბანკის კაპიტალი, რომელიც შედგებოდა: 1. ძირითადი; 2. სათადარიგო; 3. საერთო სარგებლობის; 4. ექსტრაორდინალური კაპიტალისაგან. ძირითადი კაპიტალი წარმოიქმნა შენატანებისაგან, რაც თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობამ გაიღო იმ ფულიდან, რომელიც მათ მიღეს მთავრობისაგან ყმების გათავისუფლებისა და ბანკის დაარსებისათვის უმაღლესად ნაბოძები 160 000 მანეთისაგან, რომელსაც ყოველწლიურად ემატებოდა მოგების 10%.

აღნიშნულია, რომ თბილისის საადგილმამულო ბანკის გამგეობამ 1890 წელს აღძრა საკითხი ფინანსთა სამინისტროს წინაშე, რათა ბანკისათვის 6%-იანი გირავნობის ფურცლების ნაცვლად 5%-იანი გირავნობის ფურცლების გამოშვების ნება დაერთოთ. ბანკის საგანგებო კრების შუამდგომლობა კონვენციის თაობაზე, ფინანსთა სამინისტრომ დააკმაყოფილა.

საკვანძო სიტყვები: ბანკი, მართვა, ოპერაციები, სესხი, კაპიტალი.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

სათავადაზნაურო ბანკი ეროვნულ საკრედიტო დაწესებულებას წარმოადგენდა. მიზანდასახულობით, კაპიტალის აგებულებით და დანიშნულებით იგი ძირფესვიანად განსხვავდებოდა რუსეთის იმპერიაში არსებული მსგავსი საკრედიტო დაწესებულებისაგან. ბანკის საქმიანობას ხელმძღვანელობდა გამგეობა. მასში შედიოდა თავმჯდომარე და ორი დირექტორი. 1894 წლის 18 მაისის საერთო კრების დადგენილებით კი თავმჯდომარე და სამი დირექტორი. მათთან ერთად არსებობდა მოსამსახურეთა გარკვეული რიცხვი, რომელსაც გამგეობა ნიშნავდა.

ბანკის გახსნისას გამგეობის წევრები ურთიერთშორის ინანილებდნენ მოვალეობებს, მაგალითად, გამგეობის ერთ-ერთი წევრი იმავე დროს ასრულებდა მოლარის მოვალეობას, შემდეგში, ბანკის მოღვაწეობის განვითარების კვალობაზე, მოსამსახურეთა რიცხვი იზრდებოდა, მაგრამ იგი არ იყო დიდი, გამგეობა ხელმძღვანელობდა სამმართველო ხარჯების ეკონომიური პრინციპით.

ქირითაღი ნაწილი

გამგეობის წევრებს, დამფასებელი კომისიის წევრებს და ბანკის სხვა მომსახურეებს ყოველთვიურად უხდიდნენ განსაზღვრულ გასამრჯელოს. გარდა ჯამაგირისა, მათ წლის დამლევს დივიდენდის სახით ეძლეოდათ ბანკის წმინდა მოგების 20%.

ბანკის ოპერაციების გაფართოებასთან ერთად, იზრდებოდა წმინდა შემოსავალი და მისი ის ნაწილი, რაც დივიდენდის სახით უნდა გაცვათ. მაგ: 1894 წელს წმინდა შემოსავლის 20%-მა შეადგინა 41351 მან.¹ ბანკის დამფუძნებლებმა მოითხოვეს გაეუქმებინათ დივიდენდი და გაედიდებინათ ჯამაგირები. ბანკს დიდი რაოდენობით ეკარგებოდა წმინდა მოგების ის ნაწილი, რაც გამოყენებული უნდა ყოფილიყო საზოგადო საქროებათა დასაკმაყოფილებლად. 1896 წელს ფინანსთა სამინისტრომ დააკმაყოფილა ბანკის საერთო კრების შუამდგომლობა დივიდე-

1 საქართველოს ცსია, ფონ 394, აღწ. 1, საქმე 1448, ფურ 9.

ნდის 10%-ით სასოფლო-სამეურნეო კაპიტალის შექმნაზე.

1893 წლიდან ბანკის წესდებით დაკანონდა ბანკის გამგეობისა და ზედამხედველი კომიტეტის გაერთიანებული სხდომები, რომელსაც ევალეობდა ბანკის ფინანსური და საზოგადოებრივი საქმიანობის მნიშვნელოვანი საკითხების ერთობლივი განხილვა.

ბანკის დამფუძნებელთა საერთო კრებას, ბანკის საქმეთა განსახილველად ინვევდნენ ჩვეულებრივს და საგანგებოს. საგანგებო კრებას ინვევდნენ ზედამხედველი კომიტეტის ნებართვით. საგანგებო კრებად შეიძლება მოწვეულიყო, აგრეთვე, თუ ამის თაობაზე განცხადებას მისცემდნენ ზედამხედველ კომიტეტს არანაკლებ 50 დამფუძნებლისა.

საერთო კრება შემდგარად ითვლებოდა იმ შემთხვევაში, თუ დაესწრებოდა ბანკის 50 წევრი, თუ 50 კაცზე ნაკლები იქნებოდა, მაშინ ორი კვირის შემდეგ ხელმეორედ მიიწვევდნენ. ამ შემთხვევაში კრება კანონიერი იქნებოდა, რამდენი დამფუძნებელიც არ უნდა დასწრებოდა. მაგრამ კრებაზე მხოლოდ ის საკითხები უნდა განეხილათ, რაც პირველი კრების დღის წესრიგით იყო გათვალისწინებული.

საერთო კრების დადგენილება გამოიტანებოდა დამსწრეთა ორი მესამედის უმრავლესობით. კრების დადგენილება სავალდებულო იყო გამგეობის ზედამხედველი კომიტეტისა და ყველა დამფუძნებლისათვის, რომლებიც კრებას არ ესწრებოდნენ ან დადგენილებას არ ეთანხმებოდნენ.

საერთო კრებაზე გამოსატანი საკითხები პირველად ზედამხედველ კომიტეტში განიხილებოდა, შემდეგ გამგეობას შეჰქონდა განსახილველად კრებაზე, თუ რომელიმე დამფუძნებელს სურდა საჩივარი შეეტანა ბანკის მმართველობაზე, უნდა მიემართა გამგეობისათვის, რომელიც მას განიხილავდა და თავის დასკვნით წარუდგენდა ზედამხედველ კომიტეტს. ზედამხედველი კომიტეტი გადაწყვეტდა მიეცემოდა ამ საქმეს შემდგომი მსვლელობა თუ არა. მაგრამ თუ წინადადება ან საჩივარი ხელმოწერილი იქნებოდა 50 დამფუძნებლის მიერ, იგი უსათუოდ უნდა განეხილა საერთო კრებას.

საერთო კრების უთუო გამგებლობაში იყო გამგეობისა და

დამფასებელი კომისიის წევრების ზედამხედველი კომიტეტის წევრთა არჩევა, განხილვა და დამტკიცება ყველა იმ გადაწყვეტილებებისა და დასკვნისა, რომელსაც ზედამხედველი კომიტეტი ლეზულობდა.

თბილისის საადაგილმამულო ბანკი გასცემდა გრძელვადიან და მოკლევადიან სესხებს. გრძელვადიანი სესხი სოფლის მამულეებზე გაიცემოდა 43 1/2%, 48 1/2%, 54 1/2 % და 61 2/3 წლით. ქალაქის მამულეებზე გრძელვადიანი სესხი გაიცემოდა 18 7/18 7/13, 10 11/12, 27 1/2% წლით.

მოკლევადიანი სესხი გაიცემოდა 2000 მან. რაოდენობით ძირითადი კაპიტალის იმ ნაწილიდან, რაც წარმოიქმნა ბანკის წევრი დამფუძნებლების მიერ შეტანილი თანხიდან, ამიტომ წესდებით მოკლევადიანი სესხით სარგებლობის უპირატესი უფლება ჰქონდათ წევრ დამფუძნებლებს. არ შეიძლებოდა ამა თუ იმ მაზრის წევრ დამფუძნებლებს იმაზე მეტი ოდენობის სესხი აეღოთ, ვიდრე მოცემული მაზრის თავადაზნაურობამ შეიტანა თანხა ბანკის დასაფუძნებლად. ბანკი სესხს აძლევდა სახნავ-სათესი, სათიბი და საბალახო მიწების დანაფასის 50%-ს, ვენახის და ხეხილის ბაღების დანაფასის 40%-ს, ქალაქში მდებარე უძრავ ქონებაში კი დანაფასის 60%-ს.

წესდებაში აღნიშნული იყო: „ნაღდი წლიური მოგებიდან, რომელიც ყველა ხარჯისა და ზარალის შემდეგ დარჩენილი უნდა გადაიდვა 45 ნასალი იმ თავნის შესადგენად, რომლითაც უნდა დაკმაყოფილდეს ზოგად სასარგებლო საქიროებანი მიწის მეპატრონე და მიწის შემმუშავებელ მცხოვრებთა თბილისის გუბერნიაში; მაგ სტიპენდიების დანიშვნა, გზების გაკეთება, სარწყავი რუების გაყვანა და სხვა. მაგ. ათი მასალა-დასაფუძნებლის თავნის გასადიდებლად, 10 ნასალი შემონახულის თავნის სამათად, ათი ნასალი სამუშაო (სერმია) თავნისათვის, რომელიც დანიშნულია საკუთრად მოკლევადიანი სესხის გადასაცემად, ხუთი ნასალი იმ თავნის შესადგენად, რომელიც დანიშნული უნდა იყოს თავადაზნაურთა შესანეგნად, ვისაც შემთხვევით რაიმე ზარალი მისცემია, მაგ; ცეცხლისაგან, მიწის ძვრისაგან და სხვა. მაგ. ათი ნასალი ბანკში მოსამსახურეთა და დამფასებელი კომისიის წევრთა სასარგებლოდ და ათი ნასალი

გამგეობის თავს-მჯდომარისა და დირექტორებისათვის“.¹

მესამე კატეგორიის წევრ დამფუძნებლებს წარმოადგენდა თავადაზნაურობა, რომლებსაც ყმების გათავისუფლებისას მთავრობისაგან არავითარი თანხა არ მიუღიათ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მათ ყმები არ ჰყავდათ. ამ კატეგორიის წევრ დამფუძნებლებს, თავადაზნაურთა კრების 1875 წლის 30 იანვრის დადგენილებით, ბანკის ძირის თანხად უნდა შეეტანათ საკუთარი უძრავი ქონების წმინდა შემოსავლის 10%.

წევრი დამფუძნებლების უფლება ითვლებოდა პირად უფლებად, მისი სიკვდილის შემთხვევაში აზნაურთა საერთო კრების 1875 წლის 29 იანვრის დადგენილებით მისი მემკვიდრეები ცალკ-ცალკე ღებულობდნენ წევრი დამფუძნებლის უფლებას. კიდევ მეტი, მშობლების სიცოცხლეშიაც კი, ოჯახიდან გამოყოფილ სრულწლოვან შვილებს შეეძლოთ ესარგებლათ ამ უფლებით. დამფუძნებელ წევრად, ყველა მათი უფლებით შეეძლოთ ყოფილიყვნენ ქალებიც, ბანკის გახსნის დღეს, 1875 წელს, პირველი კატეგორიის წევრი დამფუძნებელი იყო 480, 1881 წელს მათი რიცხვი გაიზარდა 525-მდე, 1984 წელს კი შედგებოდა 888 კაცისგან.

მეორე კატეგორიის წევრი დამფუძნებელი 1881 წელს შეადგენდა 202-ს, 1894 წელს მათი რიცხვი 712-მდე გაიზარდა.

მესამე კატეგორიის წევრი დამფუძნებელი 1881 წელს იყო 24, 1894 წელს კი – 159. წევრი დამფუძნებლების რიცხვის ზრდა გამოწვეული იყო ბანკის გახსნის შემდეგ 557 ახალი წევრის მიღებით და 298 წევრი დამფუძნებლის გარდაცვალებით, რომელთა უფლება 749 მემკვიდრეზე გადავიდა.

პირველი კატეგორიის წევრმა დამფუძნებლებმა შეიტანეს ძირი კაპიტალი 73 239 მან და 31 კაპ. მეორე კატეგორიისამ – 20869 მან და 39 კაპ, მესამე კატეგორიისამ – 2160 მან და 52 კაპ.²

თბილისის საადგილმამულო ბანკის 1874 წლის წესდებით, ბანკს უფლება ჰქონდა უძრავი ქონების გირავნობით სესხი გაცეცა მხოლოდ თბილისის გუბერნიაში. ამასთან გამოშვებული

1 გაზ. „დროება“, 1874, N434

2 საქართველოს ცსია, ფონ. 394. აღწ 1, საქ 1448. ფურ. 6

გირავნობის ფურცლებს არ უნდა გადაეჭარბებინა 1 600 000 მან. ე.ი. რაც ბანკის დაარსებისათვის აჩუქა მთავრობამ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობას. ასეთი პირობების გამო, ბანკის მოქმედების ასპარეზი ძლიერ შეზღუდული იყო.

თბილისის ბანკის ხელმძღვანელობის თხოვნის საფუძველზე ფინანსთა სამინისტრომ 1881 წლის 17 თებერვალს 1874 წლის წესდებაში ცვლილებები შეიტანა. შემოღებული იქნა ურთიერთთავდებების წესი: ბანკის მოღვაწეობის სფერო გავრცელდა: ქუთაისის, ერევნის, ბაქოს და ელიზავეტპოლის გუბერნიებზე, აგრეთვე სოხუმის სამხედრო განყოფილებაზე. 1891 წლიდან კი ბანკის მოქმედება ბათუმზეც გავრცელდა.

ბანკის მოქმედების სფეროს გაფართოებამ ზემოთ დასახელებულ გუბერნიებში და იმის გამო, რომ ბანკმა გირავნობის ფურცლების გამოშვების სრული თავისუფლება მიიღო, საგრძნობლად გაიზარდა ბანკის საკრედიტო ოპერაციები. განახლებული წესდება კიდევ უფრო თავისებურ ხასიათს აძლევდა ბანკს. კერძოდ: ბანკის წევრებად ითვლებოდნენ არა მარტო დამაარსებლები, ე.ი. თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობა, არამედ მთელი საოპერაციო რაიონის მსესხებლებიც. ამრიგად, 1881 წლიდან არსებობდა ბანკის ორი კატეგორიის წევრები: დამაარსებლები და მსესხებლები.

1895 წლიდან წევრი მსესხებლები იყო 1089, რომლებმაც სესხად აიღეს 12 689 400 მანეთი. ბანკის წევრები, როგორც წევრი დამფუძნებლები, ისე წევრი მსესხებლები, საერთო კრებაზე მონაწილეობას ლებულობდნენ ბანკის საქმიების გადანყვებაში. წევრი დამფუძნებლები გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდნენ. ისინი გრძელვადიანი სესხისათვის წელიწადში პროცენტის ერთ მეოთხედს იხდიდნენ, მსესხებლები კი ერთ პროცენტს. მოკლევადიანი სესხის მიღებისას დამფუძნებლები იხდიდნენ 5%-ს, მსესხებლები კი 8%-ს. ამასთან, დამფუძნებლები უპირატესობით სარგებლობდნენ მოკლევადიანი სესხის მიღებისას.¹

თბილისის საადგილმამულო ბაკის კაპიტალი შედგებოდა: 1. ძირითადი; 2. სათადარიგო; 3. საერთო სარგებლობის; 4. ექ-

1 საქართველოს ცსია, ფონ 394, აღწ. 1, საქმე 1448, ფურ 7.

სტრატორდინალური კაპიტალისაგან. ძირითადი კაპიტალი (ძირის კაპიტალი) წარმოიქმნა შენატანებისაგან, რაც თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობამ გაიღო იმ ფულიდან, რომელიც მათ მიღეს მთავრობისაგან ყმების გათავისუფლებისა და ბანკის დაარსებისათვის უმაღლესად ნაბოძები 160 000 მანეთისაგან, რომელსაც ყოველწლიურად ემატებოდა მოგების 10%.

ძირითადი კაპიტალის მეორე ნაწილი მოკლევადიანი სესხისათვის, წარმოიქმნა თავადაზნაურების შენატანებისაგან და იგი ყოველწლიურად იზრდებოდა მოგების 10%-ის მიმატებით.

სათადარიგო კაპიტალი წარმოიქმნა იმ აზნაურების შენატანი თანხებიდან, რომელთაც ყმებისათვის ფული არ მიუღიათ და მოგების ანარიცხებიდან, 1874 წლის წესდებით, სათადარიგო კაპიტალს ემატებოდა ყოველწლიური მოგების 10 პროცენტი. სათადარიგო კაპიტალი ბანკის წესდების თანახმად, ინახებოდა სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილებაში ან სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების სახით. სათადარიგო კაპიტალის დანიშნულება იყო, უზრუნველყო ბანკის ვალდებულება გიროს ფურცლების მფლობელთა მიმართ.

საერთო სარგებლობის კაპიტალი წარმოიქმნებოდა ბანკის ყოველწლიური მოგების 45%-ის, 1881 წლის წესდების მიღების დროიდან კი – 35%-ის ოდენობით. მისი მიზანი იყო თბილისის გუბერნიის მინათმფლობელთა და მინათმოქმედთა საერთო საჭიროებათა დაკმაყოფილება. საერთო სარგებლობის კაპიტალი ზედამხედველი კომიტეტის განაწილებით, რასაც საზოგადო კრება ამტკიცებდა ყოველწლიურად, იხარჯებოდა სხვადასხვა საჭიროებისათვის.

ექსტრატორდინალური კაპიტალი წარმოიქმნებოდა ბანკის ყოველწლიური მოგების 5 პროცენტის ანარიცხებიდან. იგი განკუთვნილი იყო იმისათვის, რომ დახმარება გაეწია ბანკის დამაარსებელი გაჭირვებული წევრებისათვის. აგრეთვე, უბედურ შემთხვევებში ფულადი დახმარებისათვის, იგი ბანკის ზედამხედველი კომიტეტის განკარგულებაში იყო, დახმარება წევრ დამფუძნებლებზე გაიცემოდა, რაიმე უბედური შემთხვევის გამო, პოლიციის ან თავადაზნაურობის სამაზრო წინამძღოლების მიერ გაცემული მონშობების საფუძველზე.

თბილისის საადგილმამულო ბანკის გამგეობამ 1890 წელს აღძრა საკითხი ფინანსთა სამინისტროს წინაშე, რათა ბანკისათვის 6%-იანი გირავნობის ფურცლების ნაცვლად 5%-იანი გირავნობის ფურცლების გამოშვების ნება დაერთოთ. როგორც ბანკის გამგეობის მოხსენებაშია აღნიშნული, 1891 წელს თბილისის საადგილმამულო ბანკის წესდების პარაგრაფებში მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნა შეტანილი. ყოველივე ამის შედეგად ფინანსთა სამინისტრომ ბანკს უფლება მისცა 5%-იანი გირავნობის ფურცლების გამოშვების და სესხის გაცემის უფლება მოიპოვა ბათუმში.

5%-იანი გირავნობის ფურცლებით სესხის გაცემის უფლების მოპოვება 1%-ით აიაფებდა საადგილმამულო კრედიტს, გარდა იმისა, რომ საერთო კრების დადგენილებით ბანკის მმართველობის გადასახადები ქალაქის მამულებზე 1 1/2%-ან დაყვანილ იქნა 1%-მდე.¹ ყოველივე ამან ხელი შეუწყო საბანკო ოპერაციების მნიშვნელოვნად გადიდებას. 1891 წელს თბილისის საადგილმამულო ბანკმა 1 972 400 მანეთის გრძელვადიანი სესხი გასცა, ანუ 632 200 მანეთით მეტი, ვიდრე 1890 წელს, როდესაც ბანკი 6% გირავნობის ფურცლებს სცემდა.²

ბანკის საგანგებო კრებაზე გამგეობის მიერ დაყენებული საკითხის ირგვლივ გაიმართა მსჯელობა. ხანგრძლივი კამათის შემდეგ, რომელიც სამ დღეს გრძელდებოდა, საგანგებო კრებამ გადაწყვიტა: „მიეცეს ნება გამგეობას, კონვერსია შეასრულოს ან სახელმწიფო ბანკის შემწეობით ისე, როგორც მოხსენებაშია ნაჩვენები ან თვით თავისის თავისუფალის ფულით მოახდინოს კონვერსია შეძლებისამებრ, ნაწილ-ნაწილ იმ პირობით კი, რომ ბანკის მოვალეებს გადახდეს ხარჯის დასაფარავად 1/4 %¹/₄კი არა, როგორც გამგეობის მოხსენებაშია, არამედ 1/2¹/₂ %.³

1 საქართველოს ცსია, ფ. 394, ა. 2, ს. 797, ფ. 16

2 იქვე ფურ. 20

3 გაზ. „ივერია“, 1893, N43.

დასკვნა

თბილისის საადგილმამულო ბანკის საგანგებო კრების შუამდგომლობა კონვენსიის თაობაზე, ფინანსთა სამინისტრომ დააკმაყოფილა. კონვენსიის ჩატარების შედეგად, თბილისის საადგილმამულო ბანკის მსესხებლებმა მნიშვნელოვანი შეღავათი მიიღეს. ისინი ამის შედეგად ყოველ ასზე 6%-ის ნაცვლად 5% სარგებელს იხდიდნენ. ყოველივე ამას, არ შეიძლებოდა კეთილისმყოფელი გავლენა არ მოეხდინა ბანკის საკრედიტო მოღვაწეობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ცსია, ფონდი 214, საქ. 3366, ფურც. 4
2. საქართველოს ცსია, ფონ 394, აღნ. 1, საქმე 1448, ფურც. 7
3. ცისაღ. ფონ 583, აღნ. 2, საქ. 1180, ფურ. 17
4. გაზ. „დროება“, 1874, № 432
5. ცისიღ, ფონ. 583, აღნ.2, საქმე 1177, ფურ. 2,3
6. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, 4241/5
7. საქართველოს ცსია, ფონ. 414 აღნ. 2, , საქ. 3, ფურ 33.
8. კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნერილები, თბ., 1949, გვ. 494
9. ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 7, თბ., 1956, გვ. 328
10. გაზ. „ივერია“, 1900, №93
11. ა. ბაქრაძე, ი. ჭავჭავაძე, თბ., 1984, გვ. 129-131.
12. ჟურ. „მოამბე“, 1896, გნ. 5
13. საქართველოს ცსია, ფონ. 394 აღნ.1, საქ. 1445, ფურ. 14.

REFERENCES:

1. GHA, Fund 214, Geo 3366, Sheet 4
2. GHA, Fund 394, Case 1448, Sheet 7
3. GHA, Fund 583, Case 1180, Sheet 17
4. Newspaper „Droeba“, 1874, № 432
5. GHA, Fund 583, Case 1177, Sheet 2,3
6. National Library of Georgia, 4241/5
7. GHA, Fund 414, Case 3, Sheet 33

8. K. Marx, F. Engels, Chosen Letters, Tbilisi, 1949, Sheet 494
9. I. Chavchavadze, Tom Works 7, Tbilisi 1956, Sheet 328
10. Newspaper „Iveria“, 1900 № 93
11. A. Bakradze, I. Chavchavadze, Tbilisi 1984, Sheet 129-131
12. Magazine „Moambe“, 1896
13. GHA, Fund 394, Case 1445, Sheet 14.

ADMINISTRATION SYSTEM OF THE GEORGIAN NOBLEMEN BANK

Ramaz Otinashvili , GTU, Professor
Shalva Kutubidze, GTU, PhD Student

RESUME

In the article „Administration System of the Georgian Noblemen Bank“ there is explained the administration characteristics of the bank for noblemen. It is notable that with the widened operations, there was the increase of the pure income and its part that would be distributed as dividends. About that there are some interesting statistical materials and data about the long and short- term loans.

There are considered 3 categories of founding members and also analyzed the bank capital that consisted of: 1. main 2. emergency; 3. general use; 4. extraordinary capitals. The main capital formed from inpayment made by noblemen of Tbilisi from the sum they received from government for emancipation of vassals and founding bank (160 00 Maneti, +10% yearly profit).

It is noted that Georgian estate bank board opened a case in 1890 and asked the ministry of finances allowance of producing 5% deposit papers instead of 6%. The ministry of finances allowed it.

Keywords: Bank; Administration; Credit; Operations; Loan; Capital.



**ПРОГНОЗИРОВАНИЕ И МОДЕЛИРОВАНИЕ
ФАКТОРОВ ВЛИЯНИЯ НА НЕФОРМАЛЬНУЮ
И АЛЬТЕРНАТИВНУЮ ЗАНЯТОСТЬ
РЕГИОНА ПОЛЕСЬЯ**

Анна Валерьевна Шестакова
(Житомир, Украина) Соискатель ученой
степени кандидата экономических наук Житомирского
национального агроэкологического университета
УДК 331.526

**FORECASTING AND MODELING OF THE
INFLUENCING FACTORS ON THE INFORMAL AND
ALTERNATIVE EMPLOYMENT IN THE POLISSYA REGION**

Anna V. Shestakova
UDC 331.526

Annotation. The article was dedicated to the forecasting and modeling of informal and alternative employment. The analysis of factors and determination of their impact on the informal and alternative employment was conducted. The author offered recommendations for the coordination of work between the rural communities and the authorities for the reproduction of labor potential in the direction of regulation of employment in rural areas.

Keywords: Reproduction of labor potential; Informal employment; Alternative employment; Rural local crafts.

**დაჯობებული ტყეების რეგიონში
არაფორმალურ და ალტერნატიულ დასაქმებაზე
მოქმედი ფაქტორების პროგნოზირება
და მოდელირება**

**ანა ვალერის ასული შესტაკოვა
უაკ 331.526**

ანოტაცია. განხორციელებულია არაფორმალური და ალტერნატიული დასაქმების შეფასება და პროგნოზირება. მოცემულია ფაქტორების ანალიზი და განისაზღვრა მათი გავლენის დონე არაფორმალურ და ალტერნატიულ დასაქმებაზე. შემოთავაზებულია რეკომენდაციები სოფლის საზოგადოებასა და ხელისუფლების ორგანოებს შორის საკოორდინაციო სამუშაოების ჩატარებაზე შრომითი პოტენციალის კვლავწარმოებისათვის სოფლად დასაქმების რეგულირების მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: შრომითი პოტენციალის კვლავწარმოება, არაფორმალური დასაქმება, ალტერნატიული დასაქმება, სასაფლო ადგილობრივი დაჭაობებული ტყეები.

ПОСТАНОВКА ПРОБЛЕМЫ

Составляющей глобальных изменений в социально-трудовой сфере сельского населения является переход видов занятости, а именно трансформация традиционных и возникновение новых ее видов (альтернативной и неформальной). Такие изменения влияют на основные показатели рынка труда в сельской местности (спрос, предложение, цену рабочей силы, появление новых субъектов хозяйственной деятельности). Это обуславливает потребность в глубоко научном исследовании данной проблематики.

Социально-экономическое развитие сельского социума базируется, прежде всего, на эффективном исследовании трудового потенциала. Кризисные процессы, которые происходят в украинской экономике сельских территорий, привели к масштабным потерям трудового потенциала и деформации его структуры. Основными

причинами негативных тенденций занятости сельского населения являются значительная трудовая миграция квалифицированных сельских работников; сложная демографическая ситуация; низкий уровень занятости и доходов сельских жителей; высокий уровень безработицы; снижение качества жизни в сельской местности. Именно поэтому анализ, оценка и прогнозирование современных тенденций влияния факторов на воспроизводство трудового потенциала сельского населения в целом являются актуальными и станут вспомогательными при формировании механизма возрождения и сохранения трудового потенциала села.

Анализ исследований. Проблеме занятости населения посвящено немало научных исследований. Их результаты широко освещены в работах ведущих украинских ученых: С. Бандура, Д. Богини, И. Гнибиденка, В. Диесперова, А. Колота, Г. Купаловой, Э. Либановой, В. Месель-Веселяка, В. Оникиенка, П. Саблука, В. Юрчишина, К. Якубы и др. Заслуживают внимание работы зарубежных ученых: В. Костакова, И. Масловой, Г. Слезингера, Дж. Кейнса, А. Маршалла, Д. Рикардо, П. Самуельсона, А. Смита и др. Аспектам формирования неформальной и альтернативной занятости населения посвятили свои труды такие ученые как В. Антонюк, В. Гимпельсон, О. Гришнова, Л. Гук, Л. Емельяненко, Л. Лисогор, В. Петюх, Е. Филиппова, Ю. Цижма и др. Однако остаются недостаточно изученными проблемы занятости сельского населения территорий усиленной экологической нагрузки, а вопросы формирования неформальной и альтернативной занятости сельского населения все еще не получили надлежащего освещения как в научной литературе, так и в нормативных материалах органов государственной власти.

Целью статьи является исследование современного состояния тенденций структуры неформальной и альтернативной занятости, а также факторов влияющих на воспроизводство трудового потенциала сельского населения.

ИЗЛОЖЕНИЕ ОСНОВНОГО МАТЕРИАЛА

Тенденции значительного сокращения трудового потенциала в сельской местности характерны для всех регионов Украины, в том числе и для региона Полесья. Стремительное развитие индустриализации городов, достаточно высокий уровень занятости и доходов городских жителей, приемлемые условия для проживания и труда, развитая инфраструктура содействуют миграционному оттоку сельских жителей в города. Кроме того, проведенные аграрные реформы существенно повлияли на сужение сферы применения труда жителей села, что стало причиной сокращения численности занятого населения в сельском хозяйстве. Поэтому формирование механизма сохранения и воспроизводства трудового потенциала сельского населения должно предусматривать аспекты приумножения трудовых ресурсов на основе неформальной и альтернативной занятости.

Как свидетельствуют статистические данные, количество действующих сельскохозяйственных предприятий в Житомирской области в 2010 г. составляло 1295 единиц. По состоянию на 2014 г. в области функционировало 1269 сельскохозяйственных предприятий, что на 3 % меньше сравнительно с 2010 г. При этом спецификой сельского хозяйства Житомирской области является то, что значительная часть валовой сельскохозяйственной продукции приходится на хозяйства населения 54,8 % (2014 г.), когда на сельскохозяйственные предприятия 45,2 % (2014 г.) соответственно [2]. Таким образом, это свидетельствует о преобладании сельскохозяйственной продукции, что изготавливается личными подсобными хозяйствами. Следовательно, занятость сельского населения в личных подсобных хозяйствах формирует сферу неформальной занятости.

Поэтому для создания конструктивных механизмов государственного регулирования альтернативной и неформальной видами занятости населения, которые являются распространенными для сельской местности необходимо провести исследование построения эконометрических моделей, чтобы осуществить количественную оценку факторов влияния на основе соответствующих моделей тренда. Построение эконометрических моделей уровня нефор-

мально занятого населения осуществлялось на основе использования статистических данных Главного управления статистики в Житомирской области за 2008-2014 гг. [1]. В процессе построения модели был использован метод наименьших квадратов [3]. Было определено, что на уровень неформально занятого населения (%) в Житомирской области влияют следующие факторы как: x_1 – доходы от продажи сельскохозяйственной продукции (%); x_2 – доходы от предпринимательской деятельности и самозанятости (%); x_3 – уровень безработного населения трудоспособного возраста (по МОТ) (тыс. чел.). В результате сформированы исходные данные для построения модели (табл. 1).

Таблица 1

Матрица значений факторов и результативного показателя модели неформальной занятости в Житомирской области

| Года | X_1 | X_2 | X_3 | Y |
|------|-------|-------|-------|------|
| 2008 | 4,4 | 2,6 | 53,9 | 27,5 |
| 2009 | 2,7 | 4,8 | 66,6 | 25,7 |
| 2010 | 7,0 | 4,7 | 60,8 | 30,8 |
| 2011 | 5,3 | 5,2 | 61,4 | 31,6 |
| 2012 | 3,2 | 2,7 | 58,9 | 25,7 |
| 2013 | 3,5 | 3,9 | 56,8 | 27,2 |
| 2014 | 3,4 | 3,4 | 66,6 | 23,5 |

Источник: составлено автором на основе [1].

Исследования уровня влияния факторов на основе частных коэффициентов детерминации указывают на то, что наибольший уровень влияния на занятость в неформальном секторе экономики имеют доходы от предпринимательской деятельности и самозанятости (частный коэффициент детерминации – 0,228); средний – безработное население трудоспособного возраста (0,171); самый низкий - доходы от продажи сельскохозяйственной продукции (0,128).

Используя прогнозные значения факторов модели, сформирована матрица прогнозных значений факторов (табл.2).

Таблица 2.

Матрица прогнозных значений факторов влияния на неформальную занятость в Житомирской области

| Года | Доход от продажи с/х продукции, % | Доход от предпринимательской деятельности и самозанятости, % | Уровень безработного населения трудоспособного возраста (по МОП) в сельской местности, тыс. чел. |
|------|-----------------------------------|--|--|
| 2016 | 4,558 | 2,798 | 59,696 |
| 2017 | 5,313 | 2,646 | 57,399 |
| 2018 | 11,477 | 3,417 | 66,601 |

Источник: собственные исследования.

Таким образом, с учетом эмпирического уравнения модели получено прогнозные значения численности неформально занятого населения в Житомирской области:

$$Y_{pr} = \begin{pmatrix} 26,018 \\ 27,162 \\ 30,88 \end{pmatrix}$$

Символично альтернативная занятость на Полесье характеризуется сельскими местными промыслами, ядром которых выступает природно-ресурсный потенциал, что обусловлено благоприятными климатическими и территориальными условиями, а также наличием лесных экосистем. К сожалению, нынче не существует единого реестра данных о занятом населении в промыслах, поскольку сельские местные промыслы не являются отдельной подотраслью АПК в национальном классификаторе видов экономической деятельности. На региональном уровне учет временных пользователей второстепенными лесными ресурсами (предпринимателей) ведет Жи-

томирское областное управление лесного и охотничьего хозяйства.

Для построения модели альтернативной занятости использованы административные данные количества временных пользователей лесными ресурсами в Житомирской области за 2008-2014 гг. и рассчитаны прогнозные значения на 2016-2018 гг. Выбрана следующая функция трендовой модели:

$$f(t) = \beta_1 + \beta_2 \times t + \beta_3 \times \sin(0,7 \times t)$$

В результате проведенных расчетов по методу наименьших квадратов получаем следующую трендовую модель:

$$f(t) = 40,372 + 12,468 \times t + 40,590 \times \sin(0,7 \times t)$$

Построенная модель имеет высокое значение коэффициента детерминации ($R^2 = 0,847$), а значение уровня значимости модели (F-распределения) свидетельствует о верно выбранной спецификации модели. На основе построенной модели рассчитан средний прогноз количества временных пользователей второстепенными лесными ресурсами в Житомирской области на 2016-2018 гг.

на 2016 г. – 153 (с вероятностью 99% не меньше 76 и не больше 230);

на 2017 г. – 192 (с вероятностью 99% не меньше 75 и не больше 309);

на 2018 г. – 218 (с вероятностью 99% не меньше 72 и не больше 363).

Проведенные расчеты свидетельствуют о стохастическом характере показателя. Не выявлены существенные факторы, которые влияют на количество временных пользователей второстепенными лесными ресурсами. Исследование тенденций изменения показателя во времени позволило получить прогноз показателя на 2016-2018 гг.

ВЫВОДЫ

Таким образом, участие населения в сельских местных промыслах на региональном уровне нуждается в законодательной поддержке, которая должна сочетать в себе систему организационных, экономико-финансовых, правовых мероприятий, которые будут на-

правлены на развитие неформальной и альтернативной видах занятости.

Концептуальные подходы по разработке стратегии альтернативной занятости сельского населения на примере Житомирского региона, которые основывается на анализе существующего состояния системы занятости, воспроизводства конкурентоспособного производства и развития бизнес-среды для инфраструктуры местных промыслов должны найти отображение в областных законах поддержки предпринимательства в данном направлении. В связи с этим, проведение координационной работы в рамках привлечения неиспользованного трудового потенциала в местных промыслах в сельской местности должно содержать следующие положения. А именно, вертикальное сотрудничество сельских советов с районными и областными органами местного самоуправления в содействии альтернативной и неформальной занятости, в частности в сельских местных промыслах; создание общественных инициативных групп (предпринимателей), которые желают в данном направлении вести деятельность; принятие к областным законопроектам (стратегией социально-экономического развития области, программ развития малого и среднего бизнеса) основ регулирования и внедрения экономической деятельности в сфере сельских местных промыслов; усовершенствование государственного управления в сфере социально-трудовых отношений через принципы гибкости рынка труда, а также внедрения международной практики механизма социального партнерства.

ЛИТЕРАТУРА:

1. Данные Главного управления статистики в Житомирской области. – [Электронный документ]. – Режим доступа: <http://www.zt.ukrstat.gov.ua/>

2. Статистический ежегодник Житомирской области за 2014 / Под ред. Г. А. Пашинской ; Главное управление статистики в Житомир. обл. - Житомир , 2015. – С. 72-127.

3. **Економетрія: Підручник** / С. І. Наконечний, Т. О. Терещенко, Т. П. Романюк; Київ. нац. екон. ун-т. – 2-е вид., доповн. та переробл. – К.: КНЕУ, 2000. – 296 с.

LITERATURE:

1. **Data of the Main Statistical Office in the Zhytomyr region.** - [Electronic document]. - Access: <http://www.zt.ukrstat.gov.ua/>(in Russian language);

2. **Statistical Yearbook of the Zhytomyr region in 2014** / Ed. GA Pashinsky; Department of Statistics in the Zhitomir. - region, Zhitomir, 2015. - S. 72-127. (in Russian language);

3. **Ekonometriya: Pidruchnik** / S. I. Nakonechny, T. O. Tereshchenko, TP Romaniuk; Kiev. nat. EKON. Univ. - 2nd appearance dopovn.. that pererobl. - K. .: KNEU, 2000. - 296 p.

მარკეტინგული ინოვაციები რეგიონის განვითარებაში

ნანა ნადირაშვილი

გორის სახელმწიფო

სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებელი,

სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია საქართველოს რეგიონში მარკეტინგული ინოვაციების ეფექტიანი გამოყენების აუცილებლობა, რაც პირველ რიგში, მიიღწევა რეგიონში არსებული ეკონომიკური სუბიექტების მიერ მარკეტინგული ძალისხმევის მაღალი ინტენსიურობით, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს შემდეგი პირობების არსებობას: რეგიონის შიდა გარემოში ფასეულობათა დომინირებული სისტემა უნდა ითვალისწინებდეს მყიდველთა ინტერესებს, როგორც რეგიონისათვის პრიორიტეტს, უნდა იცავდეს შემოქმედებითი მენარმეობის სულისკვეთებასა და ინოვაციური პროცესის უწყვეტობას, რეგიონის სამეურნეო ერთეულებს უნდა უადვილებდეს ფუნქციონირების პრინციპების გაგებას, უზრუნველყოფდეს მათ ქცევის შესაბამისი ნორმებით, რომელიც ორიენტირებული იქნება რეგიონში არსებული ფირმების, კომპანიების და სხვა ორგანიზაციების გრძელვადიანი მომგებიანობის მიღწევაზე.

საკვანძო სიტყვები: ინოვაცია, მარკეტინგი, ინოვაციური კონკურენცია.

შესავალი

ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკაზე ტრანსფორმაციის წარმატებულ წარმართვას მნიშვნელოვნად განაპირობებს ქვეყნის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეგულირების ეფექტიანი სისტემის ფორმირება. რეგიონული განვითარების ეფექტური რეგულირებისა და შესაბამისი სტრატეგიული ბიზნეს-გადაწყვეტილებათა მისაღებად მეტად მნიშვნელოვანია

ინოვაციებზე ორიენტირებული რეგიონული მარკეტინგი და ამ კუთხით რეგიონალური სიტუაციებისა და პრობლემების ობიექტური შეფასება.

საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რეგიონული ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების მკაფიო გამოკვეთას და ამ მიმართულებით მაღალი ტექნოლოგიების დანერგვას.

რეგიონების სტრატეგიული განვითარების პრინციპებისა და მიდგომების ადაპტირება - დამკვიდრებისათვის აქტუალურია საქართველოში რეგიონული განვითარების სტრატეგიული პრიორიტეტების გამოკვეთა და მისთვის კონცეფციების შემუშავება რისკ ფაქტორების გათვალისწინებით.

ძირითადი ტექსტი

ინოვაციური, ანუ ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა ეს არის ცივილიზაციის ახალი ეტაპი, რომელშიც კაცობრიობა თანდათან სულ უფრო მზარდი ტემპით შედის. მისი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია ცოდნის გადაქცევა კაცობრიობის მთავარ სიმდიდრედ და ძირითად წარმოებრივ რესურსად, რომელიც არსებითად ცვლის საზოგადოების ევოლუციის, მისი ეკონომიკური განვითარების პარადიგმას, ე. ი. მკვეთრად ამცირებს ეკონომიკური ზრდის დამოკიდებულებას ამა თუ იმ ქვეყნის ბუნებრივი რესურსების, ძირითადი კაპიტალის, ადმინისტრაციული კაპიტალისა და სხვა ექსტენსიური ფაქტორების არსებობასთან.

გლობალური ეკონომიკის უახლესი ტენდენციები და მაღალი მოთხოვნები აუცილებლობად ხდის, რომ საერთო ეროვნული წარმატების განსაზღვრაში რეგიონები გადაიქცნენ წამყვან მოთამაშეებად. ამ მხრივ რეგიონული ინოვაციური სისტემების - საწარმოო და სხვა რეგიონული კლასტერების, ტექნოლოგიური ნოუ-ჰაუების, არატრადიციული ახალი დარგების, ნოვატორულ ცოდნაზე დაფუძნებული ინიციატივების თუ რესურსების და ძლიერი სამეწარმეო გარემოს წახალისება და დანერგვა, ასევე ინოვაციებზე ორიენტირებული რეგიონული მარკეტინგი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რომლის საშუალებითაც

შესაძლებელია საქართველოს რეგიონების შედარებითი ეკონომიკური სტაგნაციის დაძლევა და განვითარებულ ქვეყნებში არსებულ სტანდარტებთან დაახლოება. რეგიონული ინოვაციური სისტემების კონცეფცია ამგვარად იძენს უზარმაზარ მნიშვნელობას. რასაც ზურგს უმაგრებს ეკონომიკურ ზრდაზე ინოვაციების უაღრესად დადებითი ეფექტების ფართოდ აპრობირებული და წარმატებული პრაქტიკა.

თანამედროვე პრაქტიკაში ინოვაციებზე ორიენტირებული რეგიონული მარკეტინგი ისევე როგორც რეგიონული კონკურენტუნარიანობა ნაკლებად შესწავლილ ეკონომიკურ ინსტრუმენტს წარმოადგენს.

საქართველოში ინოვაციებზე ორიენტირებული რეგიონული მარკეტინგის გამოყენების აუცილებლობა საბაზრო ურთიერთობათა ფორმირების პროცესში გამონწვეულია მსოფლიო პრაქტიკაში მიღებული შედეგებით. ინოვაციებზე ორიენტირებული რეგიონული მარკეტინგი არის რეგიონულ ეკონომიკაში მიმდინარე საკმაოდ რთული, მრავალფუნქციური და დინამიური საქმიანობის სახეობა რომელიც უნდა განვიხილოთ არა მიკროდონეზე, არამედ მაკროდონეზე, თუმცა საფუძველი მაინც მიკროდონეზე უნდა ვეძებოთ.

ინოვაციებზე ორიენტირებული რეგიონული მარკეტინგის ეფექტიანი გამოყენება, ჩვენეული აზრით, პირველ რიგში მიიღწევა რეგიონში არსებული ეკონომიკური სუბიექტების მიერ მარკეტინგული ძალისხმევის მაღალი ინტენსიურობით, რაც ,თავის მხრივ, გულისხმობს შემდეგი პირობების არსებობას:

1. რეგიონის შიდა გარემოში ფასეულობათა დომინირებული სისტემა უნდა ითვალისწინებდეს მყიდველთა ინტერესებს, როგორც რეგიონისათვის პრიორიტეტს, უნდა იცავდეს შემოქმედებითი მენარმეობის სულისკვეთებასა და ინოვაციური პროცესის უწყვეტობას, რეგიონის სამეურნეო ერთეულებს უნდა უადვილებდეს ფუნქციონირების პრინციპების გაგება, უზრუნველყოფდეს მათ ქცევის შესაბამისი ნორმებით, რომელიც ორიენტირებული იქნება რეგიონში არსებული ფირმების, კომპანიების და სხვა ორგანიზაციების გრძელვადიანი მომგებიანობის მიღწევაზე;

2. რეგიონში უნდა განხორციელდეს ინფორმაციის სისტემური მოპოვება და მისი გავრცელება მთელი რეგიონის ფარგლებში, აგრეთვე ინფორმაციის ერთობლივი ინტერპრეტაცია რეგიონის ყველა ეკონომიკური სუბიექტის მიერ;

3. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე უნდა შემუშავდეს რეგიონული სტრატეგია და ტაქტიკა, რომელიც ორიენტირებული იქნება მდგრადი შემოსავლის მიღების უზრუნველყოფაზე;

4. რეგიონის ყველა სამეურნეო ერთეული უნდა იყენებდეს დაგეგმვის პროგრესულ მეთოდებს, უზრუნველყოფდეს მუდმივ სწავლებას მარკეტინგის სპეციალისტების კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ახორციელებდეს მარკეტინგული საქმიანობის შეუწყვეტელ კონტროლს, საბაზრო სიტუაციების ადეკვატური ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბებას.

სუსტად განვითარებულ ქვეყნებში რეგიონული მარკეტინგის კომპლექსიდან ინტენსიურად გამოიყენება მხოლოდ საფასო პოლიტიკა, მაშინ როცა პრაქტიკულად იგნორირებულია ინოვაციათა გამოყენება, წინსვლა, საქონლის ინტენსიური განაწილება და მარკეტინგის სხვა ინსტრუმენტები.

ინოვაციებზე ორიენტირებული რეგიონული მარკეტინგი უზრუნველყოფს არა მარტო პროდუქციის გაყვანას ბაზარზე, არამედ იგი ემსახურება აგრეთვე ახალი ტექნოლოგიების ბაზარზე გასვლას, პირველ რიგში იგი ხდება გამოგონების, ნოუ-ჰაუს-ს ლიცენზიის გაყიდვით, რომელიც გამოიყენება ახალი ტექნოლოგიური პროცესის შესაქმნელად.

ინოვაციებზე ორიენტირებული რეგიონული მარკეტინგის კვლევის საერთო მიზანი ითვალისწინებს:

1. რეგიონული მარკეტინგის თეორიულ - მეთოდოლოგიურ საფუძვლებს;

2. რეგიონში ინოვაციური განვითარების პოლიტიკის ფორმირების მარკეტინგულ ასპექტებს;

3. რეგიონული მარკეტინგის ინოვაციური მართვის სისტემების ფორმირებას სინერგეტიკული მიდგომის საფუძველზე.

არჩეული სტრატეგიის შეფასება შესაძლებელია რაოდენობრივი და ხარისხობრივი კრიტერიუმებით - კერძოდ: ბაზრის წილ-

ით; გაყიდვების მოცულობის ზრდით; წარმოების ეფექტიანობით; სუფთა მოგებით; კადრების, მოსახლეობის დენადობით; კლიენტების მომსახურების მოცულობის ზრდით; ბაზრის ცოდნის გაღრმავებით; შესაძლებლობათა გამოყენებით; საშიშროებათა რაოდენობის შემცირებით; მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებით ან მოწვევის უნარით.

ინოვაციებზე ორიენტირებული რეგიონული მარკეტინგის პრინციპების, მეთოდების და ტექნოლოგიის სისტემების შექმნისა და გამოყენების ამოცანების შესრულება ხელს შეუწყობს საქართველოს რეგიონებში საბაზრო ურთიერთობების აქტიურად განვითარებას:

1. პირველ რიგში რეგიონული კონკურენტუნარიანობისა და მარკეტინგის განვითარებას საქართველოს ეკონომიკური ზრდისათვის.

2. ბაზრის მართვისადმი სისტემურ მიდგომას. საქონლის რეალიზაციის პროცესი იწყება არა პროდუქციის გამოშვების შემდეგ, არამედ მანამდე და გულისხმობს ბაზრის თანმიმდევრულ შესწავლას, მასთან წარმოების შეთანხმებას, აგრეთვე მოთხოვნის მიზანდასახულ ფორმირებას და პროდუქციის გასაღებას.

3. საინტერესო საბაზრო პრობლემების გადაწყვეტის კომპლექსური ხასიათს, რომელიც გულისხმობს, ბაზრის ყველა ელემენტის ურთიერთკავშირს - იქნება ეს საქონელი, მომხმარებელი, გასაღება თუ რეკლამა და მათი განხორციელების სპეციალური გამოკვლევის საფუძველზე.

4. კონკურენტუნარიანობისა და მარკეტინგის უპირატესობას პროგრამულ-მიზნობრივ მიდგომაში. საქონლის წარმოების, გასაღების და მოხმარების პროცესში მწარმოებელი, შუამავალი და მომხმარებელი ითვალისწინებს თავიანთ მიზნებს. ეს ინტერესები შეიძლება შეიცვალოს სხვადასხვა ფაქტორის ზემოქმედებით, როგორცაა მაგ. შემოსავლების, ფასების, ტექნიკის და ტექნოლოგიის, აგრეთვე სანედლეულო ბაზის მდგომარეობის ცვლილება, პროგრამულ-მიზნობრივი მიდგომა საშუალებას იძლევა თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში შეირჩეს ძირითადი მიზანი და შემუშავდეს პროგრამა მისი რეალიზაციისათვის თითოეული

ინტერესის გათვალისწინებით.

5. ინოვაციებზე ორიენტირებული რეგიონული მარკეტინგის სტრატეგიას, რომელიც ითვალისწინებს დარგის მოქმედების კოორდინაციას საბაზრო პროცესებში.

6. ინოვაციებზე ორიენტირებულ რეგიონული მარკეტინგის კვლევას ბაზრისა და მისი ელემენტების მართვის ეკონომიკური და სოციალურ -ფსიქოლოგიური მეთოდების ბაზაზე, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ახალი სამეურნეო მექანიზმის პირობებში.

დასკვნა

ყოველივე აქედან გამომდინარე ნათელია, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ პრობლემის კვლევას ქვეყნის განვითარებისათვის, მისი ბიზნესის სწორად წარმართვისათვის. ამდენად, ინოვაციებზე ორიენტირებული რეგიონული მარკეტინგის პრობლემების კვლევა და ამ პრობლემების გამომწვევი მიზეზების დადგენა, რეკომენდაციების შემუშავება ქვეყნისათვის კერძოდ კი რეგიონების განვითარებისათვის მეტად აქტუალურია. რეგიონის ყველა სამეურნეო ერთეული უნდა იყენებდეს დაგეგმვის პროგრესულ მეთოდებს, უზრუნველყოფდეს მუდმივ სწავლებას მარკეტინგის სპეციალისტების კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ახორციელებდეს მარკეტინგული საქმიანობის შეუწყვეტელ კონტროლს, საბაზრო სიტუაციების ადეკვატური ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ე. ბარათაშვილი, ვ. დათაშვილი, გ. ნაკაიძე, რ. ქუთათელაძე - ინოვაციების მენეჯმენტი, თბ. 2008.
2. ა. აბრალავა, ლ. გვაჯაია, რ. ქუთათელაძე - საინოვაციო მენეჯმენტი, თბ. 2009.
3. ე. ბარათაშვილი, ჯ. ზარანდია, ნ. გრძელიშვილი, ნ. გალახვარიძე - რეგიონული განვითარების დიაგნოსტიკა, თბ. 2012.

REFERENCES:

1. E. Baratashvili, V. Datashvili, G. Nakaidze, R. Kutateladze – Management of Innovations, Tb.2008. (in Georgian Language).
2. A. Abralava, L. Gvajaia, R. Kutateladze – Innovation Management, Tb.2009. (in Georgian Language).
3. E. Baratashvili, J. Zarandia, N. Grdzlishvili, N. Galakhvaridze – Diagnostic of Regional Development, Tb. 2012. (in Georgian Language).

**MARKETING INNOVATIONS
IN THE DEVELOPMENT OF THE REGION**

Nana Nadirashvili, Teacher of
Gori State Teaching University,
PhD Student of GTU

RESUME

The article “Marketing Innovations in the Development of the Region” reviews the necessity of effective usage of marketing innovations in the region of Georgia that is primarily achieved by the highly intensive marketing efforts of economical subjects that exist in the region, implicating the following conditions:

In the internal environment of the region, the dominative system of values should consider the clients’ interests as a priority for the region, protect the aspiration for creative entrepreneurship and continuity of innovative process, facilitate the economic units of the region to understand the principles of functioning, provide the appropriate standards for their conduct that is oriented on achieving the long-term profitability of firms, companies and other organizations existing in the region.

Keywords: Innovation; Marketing; Innovative Competition.



**გაყიდვების ზრდის ტემპებისა და
ღირებულების შექმნის მახასიათებელი
ქირითადი მარკეტინგების ანალიზი**

მერაბ ჯიქია

თსუ ასოცირებული პროფესორი

ნანა სრესელი

თსუ ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

ზრდის ტემპის ანალიზი შესაძლებლობას იძლევა განისაზღვროს არჩეული სტრატეგიის მიღწევის პირობები და დაფიქსირდეს ისინი ბიუჯეტის მიზნობრივ მაჩვენებელთა სახით. კერძოდ, ასეთი ანალიზი პასუხს იძლევა კითხვაზე — რა ოდენობის მოგება უნდა გამოიმუშაოს კომპანიამ, რომ გაყიდვების არჩეული ზრდის ტემპის პირობებში უზრუნველყოს გადახდისუნარიანობის შენარჩუნება; მოგების მიღების სიდიდე შეთანხმებული უნდა იყოს იმ სიდიდესთან, რომელიც ჩადებულია კომპანიის შემოსავლებისა და ხარჯების ბიუჯეტში.

დაფინანსების წყაროებში საკუთარ კაპიტალთან შედარებით უფრო იაფფასიანი ნასესხები კაპიტალის ჩართვა, ინვესტორების შემცირებას. თუმცა, ნასესხები კაპიტალის ხვედრითი წონის გადიდებისას შესაბამისად იზრდება დეფლაციის რისკი, რაც თავის მხრივ, ნიშნავს მესაკუთრეთა რისკის ზრდას. შემდგომში ეს გამოიწვევს საკუთარ კაპიტალზე შემოსავლიანობის მოსათხოვნი განაკვეთის გადიდებას, რითაც შეეძლება აქციონერებს ბიზნესში ინვესტირებული რისკის კომპენსირება.

იმისთვის, რომ შევავსოთ მომავალი მმართველობითი გადაწყვეტილებების რაციონალურობა, აუცილებელია საკუთარი და ნასესხები კაპიტალის მოსალოდნელი მნიშვნელობების გამოყენება. საანალიზო ვარიანტში დაფინანსების სტრუქტურა თუ შეიცვლება, მაშინ კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებ-

ულების გაანგარიშებაში უნდა შევიდეს მონაცემები, კორექტირებული მომავალი ცვლილებების გათვალისწინებით.

როგორც **EP**-ს, ასევე **EVA**-ს მაჩვენებელი ახასიათებს, თუ რა უნარი გააჩნია კომპანიას ან მის ბიზნეს-სეგმენტს ღირებულების შესაქმნელად.

EP-სა და **EVA**-ს მაჩვენებლებს შორის ძირითადი განსხვავება მათი გამოანგარიშების ბაზაშია. თუ **EP**-ს მაჩვენებელი ეყრდნობა ბუღალტრული ანგარიშგების მონაცემებს, **EVA**-ს მაჩვენებელი ეფუძნება ფორმულის შემადგენელი ყოველი ელემენტის კორექტირებულ მონაცემებს.

შესავალი

გაყიდვების მოცულობის ზრდა მენეჯერებისა და მესაკუთრეთა უმრავლესობის მიერ აღიქმება როგორც ბაზარზე ხვედრითი წილისა და მოგების გადიდების ფაქტორი. ამასთან, გადახდისუნარიანობის შენარჩუნების თვალსაზრისით, სწრაფ ზრდას ყოველთვის არ მოაქვს კეთილდღეობა; უფრო მეტიც, როგორი პარადოქსულიც არ უნდა იყოს, სწრაფი ტემპით ზრდა კომპანიისთვის შეიძლება სახიფათოც აღმოჩნდეს ნელი ტემპით ზრდასთან შედარებით. გაყიდვების სწრაფი ტემპით ზრდამ შეიძლება წარმოქმნას საკმაოდ მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემები, გაკოტრების ჩათვლით.

ცნობილია, რომ ბოლო ათწლეულში არსებითი ცვლილებები მოხდა კომპანიის განვითარების საბოლოო მიზნების გაგებაში და შესაბამისად, დასახული მიზნების მიღწევის წესებსა და შეფასების კონკრეტული საზომების შერჩევის საკითხებში.

საბაზრო ეკონომიკაში ბიზნესის განვითარების ძირითადი მიზნის — მოგების მაქსიმიზაციის კონცეფციის სანაცვლოდ, დღეისათვის შემოდის ღირებულების მაქსიმიზაციის კონცეფცია — **Value Based Management (VBM)**, რომელიც მნიშვნელოვანწილად გამოდის ადრინდელი მიდგომის ჩარჩოებიდან. აღნიშნული კონცეფცია, უმთავრეს ღირებულებით ფაქტორებზე კონცენტრაციის გაძლიერების გზით, მიმართულია კომპანიის სტრატეგიული ამოცანების გადაჭრაზე. ამან გამოიწვია ღირებულების შექმნის შესაბამისი საზომების მოძიების აუცილებლობა.

მოგებისა და რენტაბელობის მაჩვენებლები, რაც ტრადიციულად განიხილებოდა როგორც ეფექტიანობის ძირითადი საზომები, ყოველთვის არ იძლევა შესაძლებლობას ვიმსჯელოთ ღირებულების შექმნაზე, უფრო სწორად, მის ზრდაზე, რიგი უმთავრესი მიზეზის გამო, რომელთა შორის, პირველ რიგში, შეიძლება გამოვყოთ:

- საადრიცხვო შეფასებებით ვარირების შესაძლებლობა;
- ფულის დროითი ღირებულების იგნორირება;
- საკუთარი კაპიტალის ღირებულების იგნორირება;
- რისკ-ფაქტორისა და მასთან დაკავშირებით, დაბანდებულ კაპიტალზე უკუგების განხილვიდან გამორიცხვა.

გაყიდვების ზრდა გულისხმობს, პირველ რიგში, დამატებით დაბანდებებს როგორც საბრუნავ, ისე ძირითად აქტივებში. აღნიშნული აიძულებს კომპანიას გაზარდოს ნასესხები სახსრებით დაფინანსება (მხოლოდ მაღალრენტაბელური ბიზნესის შემთხვევებშია შესაძლებელი მოთხოვნა დამატებით დაფინანსებაზე სრულად იქნეს დაფარული გამოიმუშავებული მოგებით). სესხების მოცულობის ზრდა ამაღლებს გადახდისუნარიანობისა და კომპანიაზე კონტროლის დაკარგვის რისკებს. როგორც შედეგი, პრობლემა წარმოიქმნება გაყიდვების იმ ზრდის ტემპის დასაბუთებისას, რომელიც შეესაბამება კომპანიის განვითარების სტრატეგიულ ამოცანებს, მაგრამ ამ პირობებში ხომ არ შეექმნება საფრთხე კომპანიის გადახდისუნარიანობას.

ყოველივე ზემოაღნიშნული აუცილებელს ხდის პასუხი გაეცეს კითხვას, გაყიდვების ზრდის მოთხოვნებიდან გამომდინარე, აქტივების როგორი ზრდა შეიძლება იქნეს უზრუნველყოფილი დამატებით გარე დაფინანსების მოზიდვის გარეშე. ამის ერთადერთი ნყარო შეიძლება გახდეს ნმინდა მოგება, რომელიც რჩება დივიდენდების გაცემის შემდეგ, ანუ გაუნაწილებელი მოგება.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური მოგება, დამატებული ეკონომიკური ღირებულება, კაპიტალის საშუალო შენონილი ღირებულება, მყარი ზრდის ტემპი, საკუთარი კაპიტალის ღირებულება, მოგების რეინვესტირების კოეფიციენტი, ღირებულების მაქსიმიზაციის კონცეფცია.

ქირითალი ტაქსტი

საკუთარი კაპიტალის მატება გაუნაწილებელი მოგების ხარჯზე არის მაჩვენებელი, რომელიც განისაზღვრება როგორც საანგარიშგებო პერიოდის გაუნაწილებელი მოგების შეფარდება საკუთარ კაპიტალთან პერიოდის დასაწყისში. აღნიშნული მაჩვენებელი აღინიშნება როგორც **g**. ამასთან, აუცილებელია გვახსოვდეს, რომ გაუნაწილებელი მოგების სიდიდე დამოკიდებულია მოგების რეინვესტირების კოეფიციენტზე — **r**, რომელიც ახასიათებს წმინდა მოგების ხვედრით წონას, რეინვესტირებულს აქტივებში. აღნიშნული კოეფიციენტი დაკავშირებულია დივიდენდების ანაზღაურების კოეფიციენტთან, რომელიც, თავის მხრივ, ასახავს წმინდა მოგების იმ ნაწილს, რომელიც გაიცემა დივიდენდების სახით. თუ ეს ორი კოეფიციენტი ჯამში იძლევა 1-ს, ანუ 100%-ს, მაშინ:

$$g = NP * (r : E), (1)$$

სადაც, **NP** – წმინდა მოგებაა პერიოდის განმავლობაში;

E – კომპანიის საკუთარი კაპიტალი პერიოდის დასაწყისისთვის;

r – დაგროვების კოეფიციენტი (გაუნაწილებელი მოგების ხვედრითი წონა დივიდენდების ანაზღაურების შემდეგ).

მაშასადამე, **g** მაჩვენებლის გაანგარიშების ეკონომიკური შინაარსია ის, რომ იგი ახასიათებს გაყიდვების იმ ნამატს, რომელიც შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს დაფინანსების შიგა წყაროების ხარჯზე. ამასთან, წმინდა მოგების თანაფარდობა საკუთარ კაპიტალთან სხვა არაფერია, გარდა საკუთარი კაპიტალის რენტაბელობისა (**ROE**). როგორც ცნობილია საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა განისაზღვრება შემდეგი ფაქტორების გავლენით:

$$ROE = \frac{NP}{S} * \frac{S}{A} * \frac{A}{E} (2)$$

სადაც, **A** – აქტივების სიდიდეა;

S – გაყიდვების მოცულობა.

აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ჩავწეროთ ფორმულა:

$$g = \frac{NP}{S} * \frac{S}{A} * \frac{A}{E} * r \quad (3)$$

მიღებულმა ფორმულამ მიიღო მყარი ზრდის ტემპის ფორმულის სახელწოდება. აქ ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რომ **ROE**-ს მაჩვენებლის, ტრადიციული გაანგარიშებისგან განსხვავებით, კერძოდ, საკუთარი კაპიტალის საშუალო სიდიდის ნაცვლად, გაანგარიშებაში გამოიყენება საკუთარი კაპიტალის სიდიდის მაჩვენებელი პერიოდის დასაწყისისთვის. ფორმულის პრაქტიკული მნიშვნელობაა ის, რომ იგი შესაძლებლობას იძლევა დავადგინოთ ზრდის ტემპზე ისეთი უმთავრესი ფინანსური ფაქტორების გავლენა როგორცაა:

- 1) გაყიდვების რენტაბელობა;
- 2) აქტივების ბრუნვალობა;
- 3) პასივების სტრუქტურა;
- 4) წმინდა მოგების განაწილების პროპორცია.

მაშასადამე, კომპანიას შეუძლია დაუშვას, რომ ზრდის ტემპი იყოს მით უფრო მაღალი, რაც უფრო მაღალია გაყიდვების რენტაბელობა, აქტივების ბრუნვალობა, ფინანსური ბერკეტი და რეინვესტირებული მოგების ხვედრითი წონა (ან, რაც იგივეა, რაც უფრო ნაკლებია მოგების ხვედრითი წონა ანაზღაურებული დივიდენდების სახით).

თუ გავანალიზებთ გაყიდვების რენტაბელობის ზრდის რეზერვებს, ბრუნვალობის დაჩქარების რეზერვებს, ობიექტურად თუ შევაფასებთ საკუთარი კაპიტალის ხვედრითი წონის უსაფრთხო მნიშვნელობებს და ყოველივე ამას თუ შევათანხმებთ კომპანიის სადივიდენდო პოლიტიკასთან, შეიძლება დავასაბუთოთ გაყიდვების ის ზრდის ტემპი, რომელიც მისაღებია კომპანიისთვის.

მხედველობაშია მისაღები ის, რომ ზემოაღნიშნული ფორმულიდან **g**-ს მაჩვენებლის სიდიდეს აქვს გაანგარიშებითი და სარეკომენდაციო ხასიათი. გაყიდვების ფაქტობრივი ზრდის ტემპი შეიძლება იყოს მოცემულ სიდიდეზე როგორც მეტი, ისე ნაკლები. აუცილებელია შევაფასოთ და გავითვალისწინოთ **g**-ს სიდიდიდან ფაქტობრივი ზრდის ტემპის გადახრის შედეგები.

იმ შემთხვევაში, როცა გაყიდვების ზრდის ტემპის ფაქტობრივი სიდიდე მეტია **გ**-ს გაანგარიშებით სიდიდეზე, კომპანიამ დამატებით უნდა მოიზიდოს გარე დაფინანსების წყაროები გაყიდვების გადიდებასთან დაკავშირებით აქტივების ზრდის დასაფინანსებლად. ახალი გარე წყაროების მოზიდვამ შეიძლება პირდაპირი საფრთხე შეუქმნას გადახდისუნარიანობის დაკარგვას. შესაბამისად, ასეთი გადანყვეტილების მიღებას წინ უნდა უძღოდეს ფულადი საშუალებების მოძრაობის ბიუჯეტის შედგენა, მისი დეტალური ანალიზი ცალკეული გარღვევების გამოვლენის მიზნით და სათანადო ღონისძიებების შემუშავება მათ სალიკვიდაციოდ.

კომპანიამ შეიძლება თავიდან აიცილოს ფინანსური პრობლემები, თუ ის მოახერხებს უზრუნველყოს ღონისძიებათა რეალიზაცია გაყიდვების რენტაბელობის დონის ასამაღლებლად (მაგალითად, ფასების პოლიტიკის დაზუსტება, გაყიდვების ზრდის პირობებში მუდმივი ხარჯების ეკონომია, არაეფექტიანი სეგმენტების გაყიდვა), საოპერაციო ციკლის შესამცირებლად (მარაგების მოცულობისა და შენახვის ვადების ოპტიმიზაცია, დებიტორებთან ანგარიშსწორების ვადების შემცირება), ასევე თუ გადახედავს მოგების განაწილების პოლიტიკას და ა.შ.

თუ გაყიდვების ზრდის ტემპის ფაქტობრივი სიდიდე ნაკლებია **გ**-ს გაანგარიშებით სიდიდეზე, მაშინ კომპანიას წარმოექმნება თავისუფალი ფულადი საშუალებები. ჭარბი ფულადი საშუალებების არსებობამ შეიძლება გამოიწვიოს დაბანდებული კაპიტალის ეფექტიანობის შემცირება. ცხადია, მეტისმეტად დაბალმა ზრდის ტემპმა შეიძლება წარმოქმნას სხვა პრობლემა, კერძოდ, შემცირდეს ბაზარზე დაკავებული ხვედრითი წონა და კომპანიას დაემუქროს შთანთქმის საშიშროება.

ვთქვათ საანალიზო სანარმოში ჩატარებულმა ანალიზის შედეგებმა აჩვენეს, რომ კომპანიაში მისაღებ ზრდის ტემპზე გადანყვეტილების მისაღებად არსებობს შემდეგი მონაცემები: გაყიდვების რენტაბელობა — 1,7%; აქტივების ბრუნვადობა — 1,82; აქტივებისა და საკუთარი კაპიტალის თანაფარდობა — 2,3; მოგების ხვედრითი წონა, რომელიც ანაზღაურდება დივიდენდების სახით — 0,3; ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, კაპიტალიზაციის

კოეფიციენტი ტოლია — 0,7. ასეთ პირობებში, გაყიდვების მის-
 ლები ზრდის ტემპის სიდიდე ახლოსაა 5%-თან:

$$g = 1.7 \times 1.82 \times 2.3 \times 0.7 = 5\%.$$

გაყიდვების ზრდის ტემპის უფრო მაღალი მნიშვნელობა
 აუცილებელს ხდის გადავიანგარიშით ვარიანტები, რომლებიც
 ახასიათებს გაანგარიშებაში მონაწილე ერთი ან რამდენიმე ფაქ-
 ტორის ცვლილებას (რენტაბელობის ზრდა, ბრუნვადობის დაჩქა-
 რება და სხვ.).

მხოლოდ მას შემდეგ, როცა დასაბუთდება გაყიდვების ზრდის
 ტემპი და მოხდება მისი შეთანხმება იმ ციფრებთან, რაც საფუძვ-
 ლად უდევს გაყიდვების ბიუჯეტს, შესაძლებელია გადასვლა და-
 ნახარჯების პროგნოზულ ანალიზსა და შემოსავლებისა და ხარ-
 ჯების ბიუჯეტის შედგენაზე.

კაპიტალის საშუალო შენონილი ღირებულება (**weighted aver-
 age cost capital – WACC**) — ახასიათებს საწარმოს ყველა ამოქ-
 მედებული ფინანსური რესურსის ღირებულებას — საკუთარ და
 ნასესხებ კაპიტალს, წყაროების მთლიან მოცულობაში მათი ხვე-
 დრითი წონის გათვალისწინებით. ამ მაჩვენებლის პრინციპული
 მნიშვნელობა ისაა, რომ მისი სიდიდე ახასიათებს დაბანდებულ
 მთლიან კაპიტალზე შემოსავლიანობის მოთხოვნილ ნორმას.

კაპიტალის საშუალო შენონილი მაჩვენებლის (**WACC**) ღირებ-
 ულება გაიანგარიშება ფორმულით:

$$WACC = r_e * \left(\frac{E}{V}\right) + r_d * \left(\frac{D}{V}\right) * (1 - t) \quad (4)$$

სადაც, r_e — საკუთარი (სააქციო) კაპიტალის შემოსავლიანო-
 ბის

მოთხოვნილი განაკვეთია;

E — საკუთარი კაპიტალის სიდიდე;

D — ნასესხები კაპიტალის სიდიდე;

$V=E+D$ — დაფინანსების წყაროების (საკუთარისა და ნას-
 ესხების) ერთობლივი სიდიდე;

r_d — ნასესხები კაპიტალის მოზიდვის განაკვეთი;

t — მოგების გადასახადის განაკვეთი.

დაფუშვით, რომ ნასესხები კაპიტალის მოზიდვის განაკვეთი, საგადასახადო ეკონომიის გათვალისწინებით 10%-ის ტოლია, საკუთარი კაპიტალის შემოსავლიანობის მოსათხოვნი განაკვეთია — 14%; თანაფარდობა საკუთარ და ნასესხებ კაპიტალს შორის შეადგენს: 1:1, ხოლო მოგების გადასახადის განაკვეთი კი 15%-ს.

$$\text{WACC} = 14 \times 0.5 + 10 (1 - 0.15) \times 0.5 = 11.3\%.$$

მაშასადამე, აქტივებში დაბანდებულ კაპიტალზე (ან კონკრეტულ პროექტზე), მინიმალურად აუცილებელმა შემოსავლიანობის დონემ უნდა შეადგინოს 11,3%. ეს შესაძლებლობას იძლევა გადახდილ იქნეს პროცენტი ნასესხებ კაპიტალზე და დაკმაყოფილდეს მესაკუთრეთა მოლოდინი (ჩვენი მაგალითის შემთხვევაში შემოსავლიანობის 14%-იანი განაკვეთი). მაგრამ, თუ დაბანდება შემოსავლიანობის დონე ფაქტობრივად 11,3%-ზე ნაკლები იქნება, მაშინ მესაკუთრეები ვერ მიიღებენ შემოსავლიანობის საჭირო 14%-ს.

სანარმოს ხელმძღვანელობამ უნდა იცოდეს კაპიტალის განსხვავებული სტრუქტურა თუ როგორ აისახება დამატებით მოზიდული კაპიტალის ღირებულებაზე. აქედან გამომდინარე, სავსებით გასაგებია მათი მისწრაფება კაპიტალის სტრუქტურის ცვლილების გზით შეამცირონ დამატებით მოსაზიდი კაპიტალის ღირებულება. ამასთან, აუცილებელია შემდეგი პრინციპული დებულების გათვალისწინება:


იქიდან გამომდინარე, რომ ნასესხები კაპიტალი ითვლება უფრო იაფფასიან ნყაროდ (პროცენტებზე საგადასახადო ეკონომიის ეფექტი, გარდა ამისა კრედიტორების რისკი უფრო დაბალია ვიდრე მესაკუთრეების, ამიტომ რისკის საკომპენსაციოდ მესაკუთრეებმა დაბანდებულ კაპიტალზე უნდა მიიღონ უფრო მეტი უკუგება), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნასესხები კაპიტალის ზრდა და საკუთარის გამოდევნა აღნიშნული პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობას იძლევა.

იმავდროულად, ნასესხები კაპიტალის ხვედრითი წონის მნიშვნელოვანი გადიდება იწვევს ფინანსური რისკის ზრდას, რამდენადაც, პირველ რიგში, ნასესხები კაპიტალის უკვე არსებული მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა აიძულებს კრედიტორებს გაზ-

არდონ საპროცენტო განაკვეთები; და მეორე, ნასესხები კაპიტალის ხვედრითი წონის გადიდება ზრდის მესაკუთრეთა რისკს, რაც იწვევს აუცილებლობას გაზარდონ საკუთარ კაპიტალზე შემოსავლიანობის მოსათხოვნი განაკვეთი.

ყოველივე ზემოაღნიშნული გამოიწვევს კაპიტალის საშუალო შენონილი ღირებულების (WACC) გადიდებას. აქედან გამომდინარე WACC-ის დამოკიდებულება წყაროების სტრუქტურაზე სქემატურად შეიძლება შემდეგი სახით წარმოვადგინოთ (იხ. სქემა №1).

სქემა გვიჩვენებს, რომ დაფინანსების წყაროებში საკუთარ კაპიტალთან შედარებით უფრო იაფფასიანი ნასესხები კაპიტალის ჩართვა, იწვევს WACC-ის შემცირებას. თუმცა, ნასესხები კაპიტალის ხვედრითი წონის გადიდებისას შესაბამისად იზრდება დეფლაციის რისკი, რაც თავის მხრივ, ნიშნავს მესაკუთრეთა რისკის ზრდას. შემდგომში ეს გამოიწვევს საკუთარ კაპიტალზე შემოსავლიანობის მოსათხოვნი განაკვეთის გადიდებას, რითაც შეეძლება აქციონერებს ბიზნესში ინვესტირებული რისკის კომპენსირება.



სქემა №1. ერთობლივი კაპიტალის სტრუქტურის გავლენა მის ღირებულებაზე

მაშასადამე, ნასესხები და საკუთარი კაპიტალის განმსაზღვრელი თანაფარდობისას მიიღწევა წყაროების ოპტიმალური სტრუქტურა, რომლის პირობებში **WACC**-ის სიდიდე იქნება მინიმალური. ცხადია, ისევე როგორც ნებისმიერი მოდელი, აღნიშნული მიდგომაც დაზუსტებას მოითხოვს კონკრეტული ბიზნესის ფუნქციონირების თავისებურებიდან და კომპანიის წინაშე მდგარი მიზნობრივი ამოცანებიდან გამომდინარე, რომელთა შორისაა დაფინანსების წყაროების მოზიდვაც.

კაპიტალის საშუალო შენონილი ღირებულების განსაზღვრისას პრინციპული საკითხებია:

- გაანგარიშებისას გამოყენებულ უნდა იქნეს ბუღალტრული ბალანსის მონაცემებით საკუთარი და ნასესხები კაპიტალის თანაფარდობის არსებული სტრუქტურა, თუ კაპიტალის ის სტრუქტურა, რომელიც იქნება სანარმოს დაფინანსების მისაღები ვარიანტის შედეგად;

- კაპიტალის საშუალო შენონილი ღირებულების ფორმულაში გამოვიყენოთ დაფინანსების ცალკეული ტიპის ღირებულება ჩამოყალიბებული (ისტორიული) შეფასებით, თუ ავიღოთ მათი საბაზრო ღირებულება.

აღნიშნული საკითხები წყდება კაპიტალის საშუალო შენონილი ღირებულების განსაზღვრის მიზნებისა და ასევე, არსებული ინფორმაციების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით. თუ ამოსავალია ის, რომ კაპიტალის საშუალო შენონილი ღირებულება გამოიყენება როგორც კრიტერიუმი მისაღები საინვესტიციო და ფინანსური გადაწყვეტილებების ეფექტიანობის შესაფასებლად, რომელთა რეალიზაციის შედეგებიც მომავალში გამოვლინდება, ცხადია, ასეთ შემთხვევაში კაპიტალის ღირებულებისა და მისი სტრუქტურის ჩამოყალიბებულმა შეფასებამ შეიძლება მოგვცეს არარეალური სურათი.

მაშასადამე, იმისთვის, რომ შევაფასოთ მომავალი მმართველობითი გადაწყვეტილებების რაციონალურობა, აუცილებელია საკუთარი და ნასესხები კაპიტალის მოსალოდნელი მნიშვნელობების გამოყენება. საანალიზო ვარიანტში დაფინანსების სტრუქტურა თუ შეიცვლება, მაშინ კაპიტალის საშუალო შენონილი

ღირებულების გაანგარიშებაში უნდა შევიდეს მონაცემები, კორექტირებული მომავალი ცვლილებების გათვალისწინებით.

ნასესხები საშუალებების გამოყენებაზე გადანყვეტილების მიღებისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ყველა არსებითი ხარჯი, რაც დაკავშირებულია ვალის მიღებასა და მის მომსახურებასთან. ასეთი სახეობის ხარჯად, პირველ რიგში, განიხილავენ პროცენტებს საბანკო კრედიტსა და კომპანიის სესხებზე. ამასთან, მოზიდული ნასესხები საშუალებების ღირებულებაში შეიძლება შევიდეს ისეთი ხარჯები, როგორცაა მაგალითად, საკონსულტაციო და საინფორმაციო ხარჯები, რაც დაკავშირებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მისი აუდიტის ჩატარებასთან და სხვ.

ნასესხები კაპიტალის ღირებულებაში კორექტივი შეიტანება მოგების გადასახადის განაკვეთის გათვალისწინებით. კორექტივის არსია ის, რომ პროცენტები კრედიტსა და სესხების მომსახურებაზე ამცირებს მოგების გადასახადის საგადასახადო ბაზას. საგადასახადო ეკონომიის ეფექტის საფუძველზე პროცენტებში ნასესხები კაპიტალის რეალური, ნამდვილი ღირებულება — $r_d(1-t)$, სადაც t — მოგების გადასახადის განაკვეთია.

რამდენადაც საწარმოები თავიანთი საქმიანობის დაფინანსებისთვის ჩვეულებრივ იყენებენ ნასესხებ საშუალებებს მათი მოზიდვის განსხვავებული პირობებით (საპროცენტო განაკვეთები, მოზიდვის ვადები, სხვა ხარჯები, რაც ადიდებს მოზიდული საშუალებების ღირებულებას), r_d -ს (მოზიდული ნასესხები კაპიტალის განაკვეთი) მაჩვენებლის სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს სიდიდე, რომელიც ახასიათებს (ნასესხები) საშუალებების მოზიდვის საშუალო შენონილ განაკვეთს.

საკუთარი კაპიტალის ღირებულება (r_e) — არის დაბანდებულ კაპიტალზე მისაღები შემოსავლიანობის ნორმა, მოცემულ ინვესტირებაზე რისკ ფაქტორების გათვალისწინებით. საკუთარი კაპიტალის ღირებულების განსაზღვრისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა მიდგომა. პრაქტიკაში ყველაზე ფართო გავრცელება ჰპოვა გაანგარიშების მეთოდებმა, რომლებიც ეფუძნება გრძელვადიანი აქტივების შეფასების მოდელების

გამოყენებას (**capital assets pricing model – CAMP**), ასევე კუმულაციური განაკვეთებით განაგარიშებებმა, რაც ითვალისწინებს დაბანდებულ საშუალებებზე სხვადასხვა რისკ ფაქტორს.

საკუთარი კაპიტალის ღირებულება (შემოსავლიანობის განაკვეთი), ანუ (r_e) CAMP-ის მოდელის მიხედვით გაიანგარიშება ფორმულით:

$$r_e = R_f + \beta (R_m - R_f), (5)$$

სადაც, R_f — რისკის გარეშე შამოსავლიანობის განაკვეთია;

β — კოეფიციენტი, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის აქციებზე ფასების ცვლილებას ბაზრის მოცემულ სეგმენტზე ყველა კომპანიის აქციებზე ფასების ცვლილებასთან შედარებით;

$(R_m - R_f)$ — პრემია საბაზრო რისკზე;

R_m — საფონდო ბაზარზე შემოსავლიანობის საშუალო საბაზრო განაკვეთები.

მაშასადამე, აღნიშნულ მიდგომას საფუძვლად უდევს კონკრეტული კომპანიის აქციებში დაბანდებათა რისკის შეფასება საბაზრო რისკებთან შედარებით. რისკების შეფასებით განისაზღვრება ინვესტორის შემოსავლიანობა, ანუ დაბანდებულ საკუთარ კაპიტალზე მისაღები შემოსავლიანობის ნორმა.

ყოველივე ზემოაღნიშნული განვიხილოთ კონკრეტული კომპანიის “OMEGA”-ს მაგალითზე, რომელიც მომავალი წლისთვის ადგენს კაპიტალდაბანდებების ბიუჯეტს. კომპანიის ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ წმინდა მოგება მომავალ წელს იქნება 650 000 ლარი, ხოლო დივიდენდების გაცემის კოეფიციენტი (წმინდა მოგების ხვედრითი წონა, რომელიც მიმართული იქნება დივიდენდების ასანაზღაურებლად) — 30%. მიმდინარე პერიოდში საკუთარი კაპიტალის შემოსავლიანობის განაკვეთი შეადგენს — 16%-ს.

კომპანია “OMEGA”-ს შეუძლია მოიზიდოს ნებისმიერი საშუალებები 200 000 ლარამდე 14%-იანი განაკვეთით, მოგების გადასახადის განაკვეთია 15%, ნასესხებ საშუალებებზე 200 000 ლარის ზევით განაკვეთი იქნება 15%, ხოლო 300 000 ლარზე უფრო ზევით — 16%. თუ კომპანია “OMEGA” გამოუშვებს დამატებით ჩვეულებრივ აქციებს, მაშინ მის საკუთარ კაპიტალზე

მოსათხოვნი შემოსავლიანობის განაკვეთი აინვეს 19%-მდე. კომპანიას მოცემული მომენტისთვის გააჩნია კაპიტალის შემდეგი სტრუქტურა: ნასესხები საშუალებები — 40% და საკუთარი კაპიტალი — 60%. ვაჩვენოთ დაფინანსებაზე მოთხოვნის ცვლილება, თუ რა გავლენას მოახდენს კაპიტალის საშუალო შენონილ E -რეზულეზებაზე ($WACC$).

პირველ რიგში, არსებული მდგომარეობით გავიანგარიშოთ $WACC$ -ის სიდიდე:

$$WACC = 16 \times 0,6 + 14 \times (1 - 0,15) \times 0,4 = 14,4\%.$$

დაფინანსებაზე მოთხოვნის ზრდის შესაბამისად გაიზრდება $WACC$ -ის სიდიდეც ნებისმიერი კაპიტალის მოზიდვა 200 000 ლარამდე არ შეცვლის $WACC$ -ის სიდიდეს, მაგრამ ნასესხები დაფინანსების მოცულობის გადიდება აღნიშნულ თანხაზე ზევით გამოიწვევს საპროცენტო განაკვეთის გადიდებას 14%-დან 15%-მდე, შესაბამისად შეიცვლება $WACC$ -ის მაჩვენებელიც:

$$WACC = 16 \times 0,6 + 15 \times (1 - 0,15) \times 0,4 = 14,7\%.$$

ნასესხები კაპიტალის შემდგომი გადიდება (300 000 ლარის ზევით), ასევე გამოიწვევს $WACC$ -ის სიდიდის ცვლილებას:

$$WACC = 16 \times 0,6 + 16 \times (1 - 0,15) \times 0,4 = 15\%.$$

აქციების გამოშვების გავლენა ასევე აისახება $WACC$ -ის მაჩვენებელზე:

$$WACC = 19 \times 0,6 + 16 \times (1 - 0,15) \times 0,4 = 16,8 \%.$$

შეიძლება შევაფასოთ დაფინანსების რა მოცულობის პირობებში მოხდება $WACC$ -ის მაჩვენებლის ცვლილება. პირველ რიგში, განვიხილოთ ტოლობა:

$$D + E = V. (6)$$

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურიდან გამომდინარე (40% - ნასესხები კაპიტალი და 60% - საკუთარი კაპიტალი) შეიძლება შემდეგი ტოლობების დანერა:

$$D = \frac{2}{3} E; (7)$$

$$E = \frac{3}{2} D (8)$$

იმ შემთხვევაში, როდესაც მოზიდული ნასესხები წყაროების მოცულობა გადააჭარბებს 200 000 ლარს, მოცემული პირობების მიხედვით, ნასესხები სახსრებით დაფინანსების განაკვეთი გაიზრდება. შესაბამისად, ზემოაღნიშნული გამოიწვევს ერთობლივი დაფინანსების ღირებულების ზრდას. გავიანგარიშოთ ერთობლივი დაფინანსების რა მოცულობის (V_1) პირობებში მოხდება მისი ღირებულების ცვლილება. გაანგარიშებისას დავეყრდნობით კაპიტალის მიზნობრივ სტრუქტურას:

$$D_1 + E_1 = V_1 \quad 9$$

$$D_1 + \frac{3}{2} D_1 = V_1 \quad 10$$

$$200000 + \frac{3}{2} * 200000 = V_1$$

$$V_1 = 500\ 000 \text{ ათასი ლარი.}$$

მაშასადამე, სანამ დაფინანსებაზე მოთხოვნა არ გადააჭარბებს 500 000 ლარს, კაპიტალის საშუალო შენონილი ღირებულება არ შეიცვლება და იქნება 14,4%. ამის შემდგომ ყოველი ლარის მოზიდვა 14,7% დაჯდება.

ნასესხები კაპიტალის შემდგომი ზრდა (30000 ლარზე ზევით) გამოიწვევს WACC-ის სიდიდის ამალლებას 15%-მდე. ეს მოხდება მაშინ როდესაც ერთობლივი დაფინანსების მოცულობა ტოლი იქნება 750 000 ლარის. ჩავატაროთ შესაბამისი გაანგარიშება.

$$D_2 + \frac{3}{2} D_2 = V_2 \quad (11)$$

$$300000 + \frac{3}{2} * 300000 = V_2$$

$$V_2 = 750\ 000$$

და ბოლოს, დაფინანსების მოცულობის ცვლილება საკუთარი კაპიტალის ზრდის ხარჯზე ასევე მოახდენს გავლენას WACC-ის

სიდიდეზე. ეს მოხდება მას შემდეგ, რაც საკუთარი კაპიტალის ზრდის წყარო — გაუნაწილებელი მოგება მთლიანად იქნება გამოყენებული. მხედველობაში თუ მივიღებთ იმას, რომ კომპანიაში არსებული სადივიდენდო პოლიტიკის თანახმად, წმინდა მოგების 30% ნაზღაურდება დივიდენდების სახით, შესაბამისად მისი 70% შეიძლება წარმართოს საკუთარი კაპიტალის გასაზრდელად — რეინვესტირების გზით, მაშინ:

$$F_1 + \frac{2}{3}E_1 = V_3 \quad (12)$$


$$V_3 = 455000 + \frac{2}{3} \times 455000 = 758\ 333$$

მაშასადამე, დაფინანსების მოცულობისას, როცა ის გადააჭარბებს 758 333 ლარს, WACC-ის სიდიდე ტოლი იქნება 16,8%-ის.

რასაკვირველია, ზემოაღნიშნული გაანგარიშების საფუძველზე მიღებული შედეგები პრაქტიკაში შეიძლება კიდევ უფრო დაზუსტდეს. კერძოდ, წარმოდგენილი გაანგარიშებები ეყრდნობა კაპიტალის მიზნობრივი სტრუქტურის მკაცრ დაცვას, რომლიდანაც სინამდვილეში კომპანიას შეუძლია გამოსვლა. გარდა ამისა, აღნიშნულ გაანგარიშებაში არ იყო გათვალისწინებული ამორტიზაციის თანხა, მაშინ როცა საკუთარი წყაროების ხარჯზე ხელმისაწვდომი დაფინანსების მოცულობა განისაზღვრება წმინდა მოგებისა და ამორტიზაციის თანხის ჯამობრივი სიდიდით.

თუმცა, მიუხედავად გაკეთებული დაშვებებისა, თავისთავად მიდგომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ორიენტირად გადაწყვეტილებების მისაღებად, რომელიც პრაქტიკაში კორექტირებული იქნება არსებული დამატებითი ინფორმაციების გათვალისწინებით.

ახლა განვიხილოთ ღირებულების შექმნის მახასიათებელი ძირითადი მაჩვენებლები.



სქემა №2. დამატებული ღირებულების შექმნის ძირითადი ელემენტები

წარმოდგენილი სქემა ნათლად ასახავს დამატებული ღირებულების შექმნის ძირითად პირობებს: ინვესტირებული კაპიტალის ფაქტორები შემოსავლიანობა უფრო მაღალი უნდა იყოს შემოსავლიანობის მოსათხოვნი განაკვეთზე. მხოლოდ ასეთ პირობებში წარმოიქმნება დადებითი მარჟა, რომელიც იძლევა მით უფრო დიდ ეფექტს (შესაბამისად, მით უფრო მეტ დამატებულ ღირებულებას), რაც უფრო დიდია ინვესტირებული კაპიტალის მოცულობა.

შემოსავლიანობის მოსათხოვნი ნორმის სახით ძირითადად გამოიყენება კაპიტალის საშუალო შენონილი ღირებულება, რომელიც ახასიათებს ერთობლივი ფინანსური რესურსების ღირებულებას. ამასთან მსჯელობისას ლოგიკა შემდეგნაირად იქნება: დაბანდებული ერთობლივი კაპიტალიდან უკუგება არ უნდა იყოს ნაკლები მისი მოზიდვის ღირებულებაზე.

ეკონომიკური მოგება (EP). საერთო მიდგომიდან გამომდინარე (რომელიც ჩადებულია აღნიშნული მაჩვენებლის გაანგარიშებაში) — ის არის სხვაობა გადასახადების გადახდის შემდეგ მიღებულ საოპერაციო მოგებასა (**NOPAT**) და მოსათხოვნი მოგებას შორის (მოზიდული კაპიტალის ღირებულების გათვალ-

ისწინებით). მოცემული მაჩვენებლის გასაანგარიშებლად გამოიყენება ფორმულა:

$$EP = A (ROI - WACC) \quad (13)$$

სადაც, **A** — კომპანიის ან ბიზნეს-სეგმენტის აქტივებია.

ფრჩხილების გახსნის შემდეგ ფორმულაში თუ გავითვალისწინებთ, რომ $ROI = NOPAT : A$ მივიღებთ:

$$EP = NOPAT - A \times WACC \quad (14)$$

მაშასადამე, **NOPAT**-ის მაჩვენებლის სიდიდე თუ ასახავს ფაქტობრივად მიღებულ მოგებას, $A \times WACC$ -ის ნამრავლის სიდიდე ახასიათებს მოგების თანხას, რომელიც კომპანიამ ან ბიზნეს-სეგმენტმა უნდა გამოიმუშაოს ფინანსური რესურსების ერთობლივი ღირებულების ამოქმედების შედეგად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიღებული მოგება საკმარისი უნდა იყოს არა მარტო ნასესხებ კაპიტალზე პროცენტების ასანაზღაურებლად, არამედ მან უნდა დააკმაყოფილოს დაბანდებულ კაპიტალზე მესაკუთრეთა მოლოდინი.

ზოგიერთ მეთოდიკაში, **ROI**-ის ან **ROCE**-ს მაჩვენებლის არჩევიდან გამომდინარე შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეკონომიკური შინაარსით მსგავსი მოდიფიკაცია:

$$EP = IC (ROCE - WACC), \quad (15)$$

ანუ $EP = NOPAT - IC \times WACC$, (16)

სადაც, **IC** — ინვესტირებული კაპიტალი.

განსხვავება ამ მაჩვენებლებს შორის დაკავშირებულია კომპანიის მიერ ინვესტირებული კაპიტალის გაანგარიშების მეთოდის შერჩევასთან.

ფინანსური კოეფიციენტების ტრადიციული ანალიზისგან განსხვავებით, რომელიც ეყრდნობა მაჩვენებელთა ფაქტობრივ სიდიდეთა დინამიკის შეფასებას, აღნიშნული მიდგომა აგებულია რენტაბელობის ფაქტობრივ და მოსათხოვნ სიდიდეებს შორის შეპირისპირებაზე. მაგალითისათვის განვიხილოთ საანალიზო კომპანიის მონაცემები (იხილეთ ცხრილი №1).

ეკონომიკური მოგების განგარიშება

ცბრილი №1

| მაჩვენებლები | საანალიზო პერიოდი | გასული პერიოდი | გადაბრა (±) |
|-----------------------|-------------------|----------------|-------------|
| 1. ROI, % | 18 | 16 | +2 |
| 2. WACC, % | 20 | 20 | - |
| 3. აქტივები, მლნ ლარი | 100 | 100 | - |
| 4. EP, მლნ ლარი | -2 | -4 | +2 |

როგორც ვხედავთ, ტრადიციული ანალიზი, რომელიც ორიენტირებულია უშუალოდ რენტაბელობის მაჩვენებელთა გამოყენებაზე, ასახავს დადებით სურათს, რაც დაკავშირებულია ინვესტიციების რენტაბელობის ზრდასთან. ამასთან, ეფექტიანობის შესაფასებლად შემოსავლიანობის მოსათხოვნი ნორმის ცნების გამოყენება (ჩვენი მაგალითის მიხედვით იგი შეადგენს 20%-ს) შესაძლებლობას იძლევა გავაკეთოთ დასკვნა სერიოზულ პრობლემაზე: ორივე განხილულ პერიოდში რენტაბელობის ფაქტობრივი დონე ნაკლებია მოსათხოვნი ნორმაზე, რაც ნიშნავს გარკვეული ოდენობის ღირებულების დაკარგვას.

ფორმულაში **WACC** სიდიდის ნაცვლად შეიძლება გამოყენებული იქნეს შემოსავლიანობის სხვა ნებისმიერი დადგენილი დონე, რომელიც უნდა უზრუნველყოს კომპანიამ ან ბიზნეს-სეგმენტმა. მაგალითად, თუ კომპანიაში შემოსავლიანობის მოსათხოვნი განაკვეთი შეადგენს 10%-ს, ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა ბიზნეს-სეგმენტი, რომელშიც **ROI-ს (ROCE-ს)** სიდიდე აღემატება მოცემულ განაკვეთს (10%-ს), ჩაითვლება დამატებული ღირებულების შემქმნელად; მაშინ როცა ბიზნეს-სეგმენტი 10%-ს დაბალი შემოსავლიანობით ანგრეეს ანუ “შთანთქავს” ღირებულებას.

დამატებული ეკონომიკური ღირებულება (EVA). ეს მაჩვენებელი შემუშავებულ იქნა საკონსულტაციო ფირმა **Stern Stewart and Co-ს** მიერ. რიგი ნაკლოვანებები და პრობლემები, რაზეც ზემოთ გვქონდა მსჯელობა, აღმოიფხვრება **EVA-ს** მაჩვენებლის

გამოყენებით, მასში გარკვეული კორექტივების შეტანის გზით. ყველაზე ზუსტი შეფასების მისაღებად მოგებისა და ინვესტირებული კაპიტალის სიდიდეში გათვალისწინებული იყო 150-ზე მეტი კორექტივის შეტანა.

მსჯელობა იგივე ფორმულებზე, რომლებიც გამოიყენება ეკონომიკური მოგების (EP) გასაანგარიშებლად, მხოლოდ იმ პრინციპული განსხვავებით, რომ EVA-ს სიდიდის გაანგარიშებაში შევა კორექტირებული NOPAT-ის სიდიდე, ასევე ROI-ისა და ROCE-ს მაჩვენებლების კორექტირებული მნიშვნელობები. მაშასადამე,

$EVA = A$ კორექტირებული x (ROI კორექტირებული — WACC),
 ანუ $EVA = NOPAT$ კორექტირებული - A — კორექტირებული x WACC.

EVA-ს გაანგარიშებისას კორექტირებული საოპერაციო მოგების სიდიდე, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ბუღალტრული ხარჯებიდან იმ ელემენტების გამორიცხვას, რომლებსაც შეუძლიათ გრძელვადიანი სარგებლის მიღების უზრუნველყოფა. ეს ეხება მარკეტინგის ხარჯებს, პერსონალის მომზადების ხარჯებს, ასევე ხარჯებს, რომლებიც გაიწევა სამეცნიერო-კვლევით და საკონსტრუქტორო სამუშაოებზე და სხვ.

ინვესტირებული კაპიტალის კორექტირებული სიდიდე გულისხმობს მის შეფასებას საბაზრო ღირებულებით, დისკრეტული ხასიათის რიგი ხარჯების კაპიტალიზაციას, როგორცაა სამეცნიერო-კვლევით და საკონსტრუქტორო სამუშაოებზე განეული ხარჯები, რაც შესაძლებლობას იძლევა გავითვალისწინოთ არა მარტო ინვესტიციები არსებულ აქტივებში, არამედ მათში მათი პოტენციური ზრდაც.

EVA-ს გამოსათვლელი ფორმულის მე-3 კომპონენტი — კაპიტალის საშუალო შენონილი ღირებულება (WACC) უნდა ეყრდნობოდეს საკუთარი და ნასესხები კაპიტალის საბაზრო და არა საბალანსო შეფასებას.

როგორც EP-ს, ასევე EVA-ს მაჩვენებელი ახასიათებს, თუ რა უნარი გააჩნია კომპანიას ან მის ბიზნეს-სეგმენტს ღირებულების შესაქმნელად.

თუ, $EVA > 0$ ეს ნიშნავს დამატებითი ღირებულების შექმნას. როგორც უკვე გავარკვეით, ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როცა ინვესტიციის ფაქტორივი შემოსავლიანობა მაღალია მოთხოვნილ შემოსავლიანობაზე ($ROI > WACC$),

$EVA = 0$, ამ ტოლობას იმ შემთხვევაში ექნება ადგილი, როცა $ROI = WACC$, რაც ნიშნავს იმას, რომ დაბანდებიდან უკუგება შეესაბამება შემოსავლიანობის მოთხოვნილ განაკვეთს.

თუ $EVA < 0$, ეს ნიშნავს ღირებულების შთანთქმას. ინვესტიციიდან ფაქტორივი შემოსავლიანობა ნაკლებია შემოსავლიანობის მოთხოვნილ განაკვეთზე ($ROI < WACC$).

დასკვნა

კვლევის შედეგები იძლევა შემდეგი დასკვნების ჩამოყალიბების მსაფუძველზე შესაძლებელია შემდეგი დასკვნები. კერძოდ:

- მყარი ზრდის ტემპის მაჩვენებლის ანალიზი შესაძლებლობას იძლევა განისაზღვროს არჩეული სტრატეგიის მიღწევის პირობები და დაფიქსირდეს ისინი ბიუჯეტის მიზნობრივი მაჩვენებლების სახით. ასეთი ანალიზი პასუხს იძლევა კითხვაზე — რა სიდიდის მოგება უნდა გამოიმუშაოს კომპანიამ, რომ გაყიდვების არჩეული ზრდის ტემპის პირობებში უზრუნველყოს გადახდისუნარიანობის შენარჩუნება; მისაღები მოგების სიდიდე შეთანხმებული უნდა იყოს იმ სიდიდესთან, რომელიც კომპანიის შემოსავლებისა და ხარჯების ბიუჯეტით არის გათვალისწინებული.

- ეკონომიკური მოგების (EP) მაჩვენებელს გარკვეული უპირატესობები აქვს ბუღალტრული მოგების მაჩვენებელთან შედარებით რადგან შესაძლებლობას იძლევა შეფუპირისპიროთ ფაქტორივი და მოსათხოვნი მოგება. მოსათხოვნი მოგების სიდიდის დასაბუთების შესაძლებლობა ამაღლებს მის მოქნილობას. ამასთან, გარდაუვალმა სუბიექტურობამ შემოსავლიანობის მოთხოვნის მაჩვენებლის შეფასებაში, შეიძლება შეამციროს მოცემული მაჩვენებლის საიმედოობის ხარისხი.

- ეკონომიკური მოგების (EP) მაჩვენებლის ნაკლოვანებების არის, რომ არსებობს ბუღალტრული ანგარიშგების მონაცე-

მების გამოყენების პრობლემა მოგებისა და რენტაბელობის გასაანგარიშებლად (ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, თუ რა გავლენას ახდენს სააღრიცხვო პოლიტიკა მოგების სიდიდეზე). ამასთან, ბუღალტრული ბალანსის მონაცემები სხვადასხვა მიზეზის გამო ყოველთვის არ იძლევა შესაძლებლობას ობიექტურად შევაფასოთ ინვესტირებული კაპიტალის სიდიდე. ამ მიზეზებიდან მთავარია:

- ✓ აქტივებისა და ვალდებულებების შესაფასებლად ისტორიული ფასების გამოყენება;

- ✓ ინფლაციის დამახინჯებული გავლენა;

- ✓ დროითი ფაქტორის გაუთვალისწინებლობა;

- ✓ ბუღალტრულ ბალანსში ასახვას ვერ პოულობს კომპანიის გრძელვადიანი განვითარებისთვის ისეთი უმთავრესი ინვესტიციები, როგორიცაა: ახალი ბრენდის შექმნა, კომპანიის იმიჯი, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა გუნდის ჩამოყალიბება, გამოცდილების დაგროვება წარმოების ორგანიზაციაში და სხვ

- ✓ კაპიტალის საშუალო შენონილი ღირებულების მაჩვენებელი ახასიათებს კაპიტალის ინვესტორის კომპენსაციის დონეს, მათ მიერ საშუალებების სხვა მიმართულებით (მოცემული სანარმოს გარდა) გამოუყენებლობის პირობებში. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქმიანობის დასაფინანსებლად კაპიტალის ცალკეული ინვესტორის მონაწილეობის ხარისხი შეიძლება არაერთგვაროვანი იყოს, დაფინანსების თიოეული სახეობის ღირებულება განისაზღვრება მოცემული წყაროს ხვედრითი წონით, დაფინანსების მთლიან მოცულობაში.

- ეკონომიკური მოგების (**EP**) და დამატებული ეკონომიკური ღირებულების (**EVA**) მაჩვენებლებს შორის ძირითადი განსხვავება მათი გამოანგარიშების ბაზაშია. თუ **EP**-ს მაჩვენებელი ეყრდნობა ბუღალტრული ანგარიშგების მონაცემებს, **EVA**-ს მაჩვენებელი ეფუძნება ფორმულის შემადგენელი ყოველი ელემენტის კორექტირებულ მონაცემებს.. **EVA** წარმოადგენს **EP**-ს განვითარების შედეგს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლ. ბახტაძე, რ.კაკულია, მ.ჩიკვილაძე, საგადასახადო საქმე, თბ., 2007, გვ. 171;
2. თ. გამსახურდია, საქართველოს საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე, თსუ გამომცემლობა. თბ., 2003, გვ. 143;
3. იაკობ მესხია, დავით ჭიოტაშვილი, საჯარო ფინანსები, გადასახადები და ბიუჯეტი, თბ., 2012, გვ. 24;
4. ელენე სეხნიაშვილი, www.liberali.ge/ge/liberali/articles/117615/6 თებ, 2014 LL.M (EMLE, Bologna, Hamburg).

REFERENCES:

- 1.L. Balkhatdze, R. Kakulia, M.Chikviladze, - Taxation, Tbilisi 2007, page 171; (In Georgian Language).
2. T.Gamsakhurdia, Problems of Georgian taxation-budgetary system functioning, TSU publishing, Tbilisi 2003, page 143; (In Georgian Language).
3. Iakob Meskhia, DaviT Chiotashvili, Public Finance, taxation and budget; Tbilisi 2012, page 24; (In Georgian Language).
4. Elene Sekhniashvili, www.liberali.ge/ge/liberali/articles/117615/6 თებ, 2014 LL.M (EMLE, Bologna, Hamburg). (In Georgian Language).

KEY INDICATORS ANALYSIS OF SALES GROWTH AND VALUE CREATION FEATURES

Merab Jikia

Associated Professor of TSU

Nana Sreseli

Associated Professor of TSU

RESUME

The analyze of growth speed gives the opportunity to identify the terms to achieve the selected strategy and to fix them in a form of budget purposes indicators. Such analyze answers the following question – what is the amount of profit that company requires to generate for

maintaining its solvency in the position of the selected growth of sales. The profit generation value should be coordinated with the amount of income and expenses included in the budget.

Financing with the low interest rate loans comparing with the own capital, results in the decrease of WACC, however the increase of borrowing capital causes the raise of risk of deflation, that means shareholders risk growing. Such tendency will lead to further increase of equity profitability ratio, which will make the chance to compensate the risk of investment for shareholders.

In order to evaluate the rationality of management decision, the feasible value of own and borrowed capital should be used. In case of the financial structure changes, the calculation of average capital should be adjusted, taking into account the future changes.

The index of EP and EVA characterizes the company's or its business segment's ability to generate values.

The main difference between of EP and EVA index is the way of calculation. If EP index is based on accounting information, EVA index is based on adjusted data of each element of formula.

Keywords: Economic Profit; Additional Economic Value; The Weighted Average Cost of Capital (WACC); Solid Growth Rate; Cost of Capital; Profit Reinvestment Ratio; Concept of Value Maximization.

КОНЦЕПТУАЛЬНЫЕ ОСНОВЫ ЭНЕРГЕТИЧЕСКОЙ СТРАТЕГИИ ГРУЗИИ

Лиа Бибилашвили

Академический доктор экономики

РЕЗЮМЕ

В статье рассмотрены и проанализированы основные проблемы, стоящие перед энергетическим сектором Грузии, и разработаны стратегические направления их реализации на перспективу. Основное внимание уделено базовым ориентирам развития энергетического комплекса, таким, как освоение местных энергоресурсов, в том числе изыскание и максимальное использование гидроресурсов, обеспечение энергетической безопасности, диверсификация энергоносителей, освоение источников нетрадиционной энергии и, что крайне важно – радикальное повышение энергоэффективности. На передний план выдвинуты также вопросы улучшения инвестиционной среды.

Ключевые слова: Энергетический комплекс, энергетического потенциала, концептуальные основы.

ВВЕДЕНИЕ

Обеспечение Грузии электроэнергией и топливом за счет собственных энергетических ресурсов, и её интеграция на равноправных началах, в региональный или мировой энергетические рынки, исходя из геополитических особенностей страны, является одним из основных факторов развития растущими темпами, её независимости, безопасности и социально-экономического положения. Энергетический комплекс является большой и сложной производственно-экономической системой. В него входят производства, обеспечивающие все сектора экономики и население любыми видами энергии и частично технологическим сырьём. Он состоит из предприятий по добыче, обогащению, хранению, транспортировке, и использованию энергетических ресурсов, а также из систем экологической защиты.

ОСНОВНАЯ ЧАСТЬ

Энергетический комплекс оказывает определяющее влияние на развитие общества, исполняет ведущую роль в создании материально-технической базы, и стимулировании научно-технического прогресса, формировании инфраструктуры экономики и повышении эффективности общественного производства. Энергетический комплекс является живительным источником сложного хозяйственного организма, и одной из основ цивилизации в целом, оказывает значительное влияние на уровень и динамику развития производственных сил страны, создает необходимые предпосылки, для повышения уровня жизни и улучшения условий труда.

Поэтому не случайно, что использование энергетического потенциала и в частности, оценка уровня производства и потребление энергии на душу населения, как основа общественного прогресса, являются одним из признанных показателей уровня развития всех стран, а надежное энергетическое обеспечения страны – одной из наиболее актуальных проблем современности. Более того, по оценке экспертов уровень и динамика энерго потребления в экономической системе современной глобализации – «биосфера – общество – экономика» - гораздо более объективные и адекватные параметры характеристики развития экономики, чем показатель внутреннего валового продукта страны.

Основные задачи энергетической стратегии Грузии существенно отличаются от задач тех стран, которые располагают достаточным количеством органических топливных ресурсов собственного производства. Грузия, как известно, на протяжении длительного исторического периода не имела достаточных запасов разведанной и задействованной первичной энергии. Более того, в течение почти всего XX века была вынуждена импортировать около 85% первичного топлива.

Почти такое же положение в настоящее время, по состоянию на 2013 год Грузия свою потребность собственными энергоресурсами удовлетворяет только на 34.5%-ов, (см.таблицу 1). В формировании собственных энергоресурсов ведущее место принадлежит гидроэ-

ნერგის, 7.11,2 тыс. т. (49,9%) на втором месте биотопливо (дрова и другие) – 481.1 тыс. т. (33,6%) и третьем месте уголь – 168 тыс. т. (11,8%) и т.д. По потреблению энергетических ресурсов на первом месте нефтепродукты, 1077,6 тыс. т. (28,9%) на втором природный газ – 1058,7 тыс. т. (28,4%) на третьем электроэнергия – 780 тыс. т. (20,9%)

Таблица 1.

Энергетический баланс Грузии в 2013 г. (тыс.т.т) [3]

| Показатели | Количество | % к итогу |
|---|------------|-----------|
| Производство | 1428,7 | 34,4 |
| Импорт | 2831,5 | 86,3 |
| Экспорт | 110,8 | - 2,6 |
| Изменение запаса | - 3,6 | - 0,1 |
| Внутренняя поставка | 4145,8 | 100 |
| Трансформация энергии, потери и собственное потребление | 419,5 | 10,1 |
| Конечное потребление | 3726,3 | 89,9 |
| В том числе: Промышленность | 582,7 | 14,1 |
| Строительство | 71,4 | 1,7 |
| Транспорт | 963,1 | 23,2 |
| Сельское хозяйство | 13,7 | 0,3 |
| Неэнергетические цели | 296,6 | 7,2 |
| Прочие | 1798,8 | 43,4 |

В то же время Грузии представлено большинство из всех существующих на земле видов энергии: уголь, торф, нефть, природный газ, термальные воды, и имеются хорошие перспективы, для использования энергии ветра, солнца, биомассы и термальные воды.

Безценным богатством страны среди вышеупомянутых, являются гидроэнергетические ресурсы. Технические гидроэнергетические ресурсы Грузии оценены 80, а экономические - 40 млрд. квт.ч. Однако на сегодняшний день из них освоено только 9%.

Особо следует отметить географическое положение страны и её стратегический потенциал, как в восточно-западном, так и в северо-южном направлениях. Все это в единстве представляет твердую основу развития экономики Грузии, и мощный инструмент ей внутренней и внешней политики.

Вместе с природными условиями, значительным богатством является производственный, научно-технический и кадровый потенциал энергетического комплекса.

Одновременно с развитием отрасли к категории важнейших целей энергетической стратегии Грузии относится проблема сокращения высокой энергоёмкости национального хозяйства. Вместе с трудностями характерными для периода переходной экономики энергетическая стратегия Грузии должна предусматривать темпы развития мировой и региональной экономики. В настоящее время баланс производства-потребления энергетических ресурсов Грузии недостаточен, и составляет на душу населения лишь 0,8 тонн, условного топлива в год, в то время как аналогичный средний мировой показатель оценен в 1,9 а в развитых странах – более 3-х тонн. В таблице 2 представлены сравнительные показатели, энергоёмкости продукции и энерговооруженности населения Грузии, США, и мира в среднем (см таб. 2).

Важнейшими задачами энергетической стратегии являются: определение путей достижения качественно нового состояния ЭК, увеличение объема, собственной энергетической продукции, на региональном рынке и рост конкурентоспособности использования энергетических коммуникаций с учетом прогнозируемых результатов использования энергетического потенциала Грузии и определения приоритетов развития ЭК. Формирование мероприятий и механизмов проведения государственной энергетической политики.

Таблица 2.

Средние показатели энергоёмкости и энерговооружённости в 2011 году.

| Показатели | Грузия | Мир | США |
|---|--------|-------|--------|
| Производство на душу населения - Электроэнергии, квт.ч | 2204 | 2933 | 13227 |
| - Энергии в целом, тут | 1,962 | 7,543 | 42,387 |
| Потребление на душу населения - Электроэнергии квт.ч. | 2058 | 2933 | 12947 |
| - Энергии в целом тут | 0,79 | 1,88 | 7,02 |
| Емкость ВВП - Электроэнергии квт.ч | 0,97 | 0,39 | 0,31 |
| - Энергии в целом кг.ут | 0,4 | 0,25 | 0,17 |

Концептуальные основы энергетической стратегии [2]

- обеспечение снабжения экономики и населения страны энергоресурсами, по доступным и стимулирующим энергосбережение ценам, сведение до минимума факторов риска и вероятности возникновения кризисных ситуаций в энергообеспечении;

- уменьшение энергоёмкости энергии и рациональное использование энергоресурсов в производственном и бытовом секторах, использование энергосберегающих технологий и оборудования, снижение затрат на добычу, переработку и транспортировку продукции ЭК.

- улучшение финансового положения и эффективное использование потенциала ЭК, исходя из целей обеспечения социально – экономического развития страны.

- усовершенствование структуры производства энергетической продукции, внедрение новых технологий её добычи, переработки и транспортировки, с целью минимизации техногенного воздействия энергетики на окружающую среду.

Парламент Грузии своим Постановлением от 24 июня 2015 года утвердил Основные направления государственной политики энергетики Грузии.

В нем предусматриваются [1]

- диверсификация источников поставки энергии, оптимальное освоение энергетических ресурсов Грузии и создание резервов.
- освоение возобновляемых энергетических ресурсов страны.
- этапное сближение Законодательства Грузии, с Законодательством Евросоюза.
- развитие энергетического рынка страны и улучшение механизма торговли энергией.
- увеличение роли Грузии как транзитной страны региона.
- Грузия – региональный центр производства, чистой энергии и торговли этой энергией.
- разработка и осуществление единой политики энергоэффективности.
- предусмотрение компонентов защиты природной среды при осуществлении энергетических проектов.
- улучшение качества обслуживания и защита интересов потребителей.

Основным методом решения задач энергетической стратегии является формирование энергетического рынка, основанного на цивилизованных, недискриминационных экономических отношениях. В то же время Государство, ограничивая свои хозяйственные функции в ЭК, усиливает собственную роль регулятора в вопросах развития рыночных отношений и в сфере естественных монополий, а также тарифов и их поэтапной либерализации.

Основными механизмами Государственного регулирования являются:

- тарифное, налоговое, таможенное, антимонопольное регулирование, институциональное преобразование ЭК.
- повышение эффективности управления предприятиями, находящимися в государственной собственности.
- внедрение и утверждение технических регламентов, национальных стандартов и норм, способствующих улучшению управления процессом развития энергетики и стимулирующих энергос-

бережение.

- стимулирование и поддержка инициатив хозяйственных субъектов в инвестиционной, инновационной и энергосберегающей сферах.

Естественно, что долгосрочные механизмы энергетической стратегии подразумевают политическую и экономическую стабильность страны, формирование рациональной структуры национальной экономики, ориентацию материального производства и социальной сферы, на внедрение менее энергоемких технологий и активную помощь и поддержку со стороны государства, в процессе реализации долгосрочных энергетических программ.

Энергетическая политика, как составная часть стратегии опирается на постоянный процесс коренных и последовательных реформ в ЭК, в недрение технических новшеств. При этом особо выделяются мепоприятия, стимулирующие инвестиционную среду. Поэтому основное внимание должно уделяться привлечению инвестиций.

Улучшение инвестиционной среды подразумевает проведение государством протекционистской налоговой, таможенной и регулирующей политики в процессе реабилитации и строительства энергетических объектов.

Достижение высоких темпов ввода новых энергетических мощностей особенно в гидроэнергетическом строительстве, станет возможным только в условиях создания привлекательной среды для инвестиций. Работе над этими вопросами должно уделяться особое внимание в энергетических структурах и в органах государственного управления, с учетом того, что развитие энергетики опережающими темпами имеет определяющее значение для общего развития экономики.

ЛИТЕРАТУРА:

1. Парламент Грузии, Постановление от 24 июня 2015 года, «Об основных направлениях государственной политики энергетического сектора Грузии»
2. Энергетическая стратегия Грузии (Д. Мирцхулава, Д.Чомахидзе и другие) Тбилиси 2004 г.
3. Энергетический баланс Грузии 2013 года; статистическая служба Грузии, Тбилиси 2014 г.

LITERATURE:

1. The Parliament of Georgia, Resolution of 24 June, 2015, “On the main directions of Georgia’s energy sector public policy” (in Russian language);
2. Tbilisi, 2004, Energy Strategy of Georgia (D.Mirtskhulava, D.Chomakhidze and others) (in Russian language);
3. Georgia’s energy balance, 2013; Statistical Service of Georgia, Tbilisi, 2014 (in Russian language).

**საქართველოს ენერგეტიკული სტრატეგიის
კონცეპტუალური საფუძვლები**

ლია ბიბილაშვილი
ეკონომიკის დოქტორი, ასოც. პროფესორი
რეზიუმე

სტატიაში განხილულია და გაანალიზებულია ძირითადი პრობლემები, რომლებიც დგას საქართველოს ენერგეტიკული სექტორის წინაშე, ასევე შემუშავებულია მათი რეალიზაციის სტრატეგიული მიმართულებები. ძირითადი ყურადღება ენიჭება ენერგეტიკული კომპლექსის განვითარების საბაზო ორიენტირებს, ისეთებს, როგორცაა: ადგილობრივი რესურსების ათვისება, მათ შორის ჰიდრორესურსების ძიება და მაქსიმალური გამოყენება, ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნ-

ველყოფა, ენერგომატარებლების დივერსიფიკაცია, არატრადიციული ენერჯის წყაროების ათვისება და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ენერგოეფექტურობის რადიკალური ამაღლება. წინა პლანზე წამოწეულია ასევე საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების საკითხები.

საკვანძო სიტყვები: ენერგეტიკული კომპლექსი, ენერგეტიკული პოტენციალი, არატრადიციული ენერჯია.

THE CONCEPTUAL FOUNDATIONS OF GEORGIAN ENERGY STRATEGY

Lia Bibilashvili

Academic Doctor of Economics,
Associate Professor

RESUME

The article discusses and also analyzes the major problems facing Georgian energy sector, their implementation has been developed to the direction of the strategic perspective. The main attention is given to the energy complex development of basic guidelines. Those are the local resources, including the hydro-search and maximum utilization of energy security, energy diversification, non-conventional energy resources and the most important task is to raise the energy efficiency of a radical. In the foreground, the improvement of investment environment is quite important.

Keywords: Energetic Complex; Energetic Potential; Non-traditional Energy.

ფუნქციონალურ-ღირებულებითი ანალიზის ეტაპები

ქეთევან კინმარიშვილი
სტუ ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

ნებისმიერი ობიექტის სასიცოცხლო ციკლის ყველა სტადიაზე სრულყოფის ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს ფუნქციონალურ-ღირებულებითი ანალიზი (ფლა). იგი არის ობიექტის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის კომპლექსური მეთოდი, რომლის მიზანია მისი სასარგებლო ფუნქციების განვითარება, მისი მომხმარებლისთვის მნიშვნელობისა და განხორციელებაზე დანახარჯების ოპტიმალური შეფარდებისას.

საკვანძო სიტყვები: მოსამზადებელი, საინფორმაციო, ანალიტიკური, კვლევითი, სარეკომენდაციო და დანერგვის ეტაპი.

შესავალი

ფუნქციონალურ-ღირებულებითი მეთოდი გამოიყენება აშშ-ს, ინგლისის, საფრანგეთის და სხვა განვითარებულ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების სამრეწველო კომპანიების მიერ. ეს მეთოდი შემუშავებულ იქნა აშშ-ი და პირველად 1947 წელს გამოიყენეს „ჯენერალ ელექტრიკ“-ში. კომპანის ინჟინერი ლოურენს დ. მაილსი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ წარმოების ხარჯების შემცირება უნდა დაწყებულიყო პროდუქციის სამომხმარებლო თვისებებისა და მისი შემადგენელი ნაწილების ტექნიკური ფუნქციების ანალიზით. ყურადღების ცენტრში მოექცა, თუ რამდენად გამართლებულია მოცემულ პროდუქციაზე გაწეული ხარჯი. პროდუქციის მახასიათებლებიდან გამომდინარე, რომლებიც აკმაყოფილებენ ამა თუ იმ მოთხოვნილებებს, მისი ყველა თვისება ერთნაირად სასარგებლო არ არის.

ქირითადი ნანილი

ფუნქციონალური ანალიზი შედგება რამდენიმე ეტაპისგან: მოსამზადებელი, საინფორმაციო, ანალიტიკური, კვლევითი, სარეკომენდაციო და დანერგვის.

1. **მოსამზადებელ ეტაპზე** საბოლოოდ ადგენენ ანალიზის ობიექტს. მაგალითად, კვლევის ობიექტი შეიძლება გახდეს მასობრივი წარმოების პროდუქცია, ან პროდუქცია, რომელიც ხარისხის თვალსაზრისით ეჭვს ბადებს. პირველ შემთხვევაში მოქმედებს მასობრიობის ფაქტორი: ერთეული პროდუქციის თვითღირებულების უმნიშვნელო შემცირებაც კი საგრძნობ ეკონომიას გამოიწვევს და პროდუქციის რეალიზაციიდან დამატებით მოგებასაც მოიტანს. მეორე შემთხვევაში ირჩევენ ანალოგიურ, ადგილობრივ თუ უცხოური ნიმუშებზე დაბალი ხარისხის ან მაღალი თვითღირებულების ნაწარმს. ასეთი ანალიზი მნიშვნელოვანია საგარეო ეკონომიკური კავშირების გაფართოების პირობებში, როცა უდიდესი როლი ენიჭება საექსპორტო საქონლის კონკურენტუნარიანობას.

განსაკუთრებით მიზანშეწონილია ფუნქციონალური ანალიზი ჩაუტარდეს პროდუქციას, რომელიც ჯერ არ არის ჩაშვებული წარმოებაში. ამ შემთხვევაში ჯერ კიდევ არის დრო, რათა, სანამ გაიმართება დანადგარები და გაფორმდება ხელშეკრულებები ნედლეულის, მასალების, ინსტრუმენტების და ა.შ. მონოდებაზე, პროდუქციის კონსტრუქციაში თუ წარმოების ტექნოლოგიაში შეტანილ იქნას საჭირო ცვლილებები.

კვლევის ობიექტის არჩევა ხდება კონკრეტული სფეროების სპეციალისტების მონაწილეობით შემოთავაზებული ვარიანტებზე მსჯელობის შემდეგ. ობიექტის არჩევის შემდეგ ყალიბდება სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან ყველაზე კომპეტენტური სპეციალისტები. ამის შესახებ ფირმის ხელმძღვანელი გასცემს შესაბამის ბრძანებას. ბრძანებით განისაზღვრება ანალიტიკური სამუშაოების ჩატარების ვადები ცალკეული ეტაპების მიხედვით და ცალკეული მონაწილის პასუხისმგებლობა კონკრეტულ სამუშაო უბანზე, აგრეთვე, ანაზღაურება შესრულებული სამუშაოსთვის.

ფუნქციონალური ანალიზის სამუშაო შეიძლება ჩაითვალოს შესრულებულად, თუ მოიძებნება პროდუქციის ან პროცესის ის ვარიანტი, რომელსაც აქვს დაბალი თვითღირებულება და მაღალი ხარისხი.

2. საინფორმაციო ეტაპზე გროვდება ინფორმაცია შესწავლის ობიექტის შესახებ: დანიშნულება, ტექნიკური შესაძლებლობები, ხარისხი, თვითღირებულება.

მთელი ინფორმაცია კომპიუტერში ან სპეციალურ ბარათებზე აისახება: დანვრილებითაა ჩამოთვლილი ცალკეული დეტალების ფუნქციები, მასალა, რომლისგანაც ისინია დამზადებული, მათი თვითღირებულება. პარალელურად, შედარებისთვის ნაჩვენებია დეტალის დამუშავების ღირებულება სხვა კომპანიაში, აგრეთვე გარეთ ნაყიდი ასეთივე დეტალის ღირებულება.

სანარმოს ყველა სამსახური და განყოფილება აწვდის ანალიტიკურ ჯგუფს საჭირო ინფორმაციას პროდუქციის შესახებ, ასევე წინადადებებს მისი ხარისხის გაუმჯობესების და დამზადების ხარჯების შემცირების შესახებ. დიდი მნიშვნელობა ენიჭება მომხმარებელთა შეფასებებს (ხარისხის, სანდოობის, მოდის მოთხოვნებთან შესატყვისობის, ესთეტიურობისა და ერგონომიულობის კუთხით).

თვალსაჩინოებისთვის კარგია პროდუქციის წარდგენა კვლევითი ჯგუფის წევრებისთვის სპეციალურ სტენდზე დაშლილი სახით. აქ დეტალები იმ რიგითობით უნდა იყოს განლაგებული, როგორც მოხდება მათი აწყობა მზა ნაწარმის მისაღებად. სასარგებლო იქნება კონკურენტთა ანალოგიურ პროდუქციის გაცნობა.

3. ანალიტიკური ეტაპი გულისხმობს ნაწარმის ფუნქციების შესწავლასა და მათი უზრუნველყოფისთვის ხარჯების განსაზღვრას. განიხილება შემდეგი საკითხები:

- რას წარმოადგენს ნაწარმი?
- რა ფუნქციები აკისრია მას?
- რომელი ფუნქციებია აქედან საჭირო და სასარგებლო, რომელია ზედმეტი, რაც ზრდის თვითღირებულებას?
- როგორია ნაწარმის ნამდვილი ღირებულება.
- როგორი უნდა იყოს ნაწარმი?

➤ რას შეადგენს მისი ახალი ღირებულება?

დანვრილებითაა აღწერილი მთლიანობაში ნაწარმის ტექნიკურ-საექსპლუატაციო, ესთეტიური, ერგონომიული თვისებები და ცალკეული ნაწილების ტექნიკური ფუნქციები (დეტალების, დეტალების ჯგუფებისა და კვანძების). ფუნქციები იყოფა ძირითად (A), მეორეხარისხოვან (B) და უსარგებლო (C) ფუნქციებად.

უსარგებლო ფუნქციების განთესვით, მცირდება ზედმეტი ხარჯები. ანალიზი შეიძლება ჩატარდეს შემდეგი სქემის გამოყენებით (ცხრილი 1).

ცხრილი 1

ABC პრინციპით პროდუქციის ფუნქციების განაწილება

| დეტალები | ფუნქციები | | | | | | ... |
|----------|-----------|---|---|---|---|---|-----|
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | |
| 1 | B | B | A | B | B | - | |
| 2 | B | B | - | C | - | A | |
| 3 | B | B | - | - | - | A | |
| 4 | A | B | - | - | C | - | |

მსგავსი სქემა არ უნდა იყოს ძალიან დიდი, რომ არ დაიკარგოს თვალსაჩინოება. პარალელურად, შესაძლებელია მეორე სქემის შედგენა, სადაც ქვემდებარებად მოცემული იქნება იგივე დეტალები, შემასმენელად კი – ცალკეულ კალკულაციის მუხლების მიხედვით მათი წარმოების ხარჯები. შემდეგ მიზანშეწონილია ფუნქციების წონაობის (მნიშვნელობის) შეფასება და მათი უზრუნველყოფისათვის ხარჯების გადახედვა. შეფასება ხორციელდება ხარჯების შემცირების შესაძლებლობის გამოსავლენად შემდეგი მიმართულებებით:

1. რა გავლენას ახდენს მოცემული დეტალი ნაწარმის ფასზე

მთლიანობაში?

2. მასზე განუული ხარჯი რამდენად შეესატყვისება მის სარგებლიანობას?

3. სჭირდება თუ არა მოცემული დეტალს ყველა არსებული მახასიათებელი?

4. შესაძლებელია თუ არა მსგავსი დეტალის უფრო იაფად დამზადება?

5. შეიძლება თუ არა ანალოგიური დეტალის სხვაგან, უფრო დაბალ ფასად შექმნა?

6. მოხერხდება თუ არა მისი ცალკეული ფუნქციების სხვა დეტალებზე გადანაწილება? და ა.შ.

მეოთხე პუნქტისთვის შეიძლება გამოიყოს დამაზუსტებელი კითხვები:

1. შესაძლებელია თუ არა ერთი მასალის მეორე, უფრო იაფით შეცვლა;

2. მიზანშეწონილია თუ არა მომწოდებლის შეცვლა, რათა მივიღოთ მასალები უფრო ნაკლებ ფასად;

3. რამდენად შესაძლებელია პრინციპულად ახალი მასალების გამოყენება.

საკითხები, რომლებიც უკავშირდება დამუშავებას, საჭიროებს შემდეგი ასპექტების დაზუსტებას: დანადგარის შეცვლის შესაძლებლობა, ოპერაციების შეცვლა, ზოგიერთ ოპერაციაზე უარის თქმა და ა.შ.

განხილულ ეტაპზე განისაზღვრება ნაწარმის სამომხმარებლო მახასიათებლების ერთობლიობაში ცალკეულ ფუნქციათა ხვედრითი წონა და ხდება მისი შედარება თითოეული ფუნქციის მისაღებად განუული ხარჯის ხვედრ წონასთან.

ცალკეული ფუნქციათა ხვედრითი წონას ნაწარმის სამომხმარებლო მახასიათებლების ერთობლიობაში უწოდებენ **მნიშვნელობის კოეფიციენტს**. ფუნქციების ჩამოთვლა ხდება მათი მნიშვნელობის შემცირების ხარისხის მიხედვით. მნიშვნელობის კოეფიციენტის განსაზღვრისას შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას მომხმარებელთათვის ყველაზე არსებითი პარამეტრები (ცხრილი 2).

მნიშვნელობისა და ხარჯების კოეფიციენტთა შედარება

| პარამეტრები | მნიშვნელობა, % | ცალკეული პარამეტრების სვედრითი წონა (%) ხარჯების მიხედვით |
|-------------|----------------|---|
| 1 | 50 | 80 |
| 2 | 30 | 10 |
| 3 | 15 | 5 |
| 4 | 5 | 5 |
| სულ | 100 | 100 |

პარამეტრის (ფუნქციის) სვედრითი წონის შეფარდებას მის მნიშვნელობასთან ეწოდება **ცალკეულ ფუნქციათა ხარჯების კოეფიციენტი (K)**. მაგალითად, ცხრილ 2-ში ყველაზე მნიშვნელოვანი პარამეტრი (ფუნქცია) — პირველია. ხარჯებისა და მნიშვნელობის კოეფიციენტების შეფარებით ვიღებთ ხარჯების კოეფიციენტს $K_1=80:50=1,6-6$. რადგან იგი 1-ზე მეტია, ეს იმაზე მეტყველებს, რომ პარამეტრის მისაღებად ხარჯები მნიშვნელობასთან არაშესადარისია.

ფუნქციონალური ანალიზის თეორიასა და პრაქტიკაში გამართლებული შეფარდება ხარჯებსა და მნიშვნელობას შორის უნდა უტოლდებოდეს ან უახლოვდებოდეს 1,0-ს. თუ კოეფიციენტი 1-ზე ნაკლებია, მაშინ მიიჩნევენ, რომ შეფარდება ხელსაყრელია. თუ კოეფიციენტი 1-ს აღემატება, მაშინ რეკომენდებულია ხარჯების შემცირება, რათა მიღებული იქნას პარამეტრი. ცხრილში მოცემული მე-2, მე-3 და მე-4 პარამეტრების მიხედვით ვიღებთ:

$$K_2=0.33; K_3=0.33; K_4=1$$

პარამეტრების მნიშვნელობის განსაზღვრისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას რანჟირება და საექსპერტო შეფასების მე-თოდი.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე ხდება გადანყვეტილებათა რამდენიმე ვარიანტის შემოთავაზება. თითოეულ მათგანს გააჩნია დადებითი მხარე და გარკვეული ეკონომიკური ეფექტი. ეს დადებითი მხარეები შესაძლოა განსხვავდებოდნენ: ერთი ვარიანტის მიხედვით ხარისხის უმნიშვნელო გაუმჯობესებისას იზრდება ხარჯები, ხოლო მეორე ვარიანტის შემთხვევაში — ხარჯები მცირდება, ხარისხი კი შენარჩუნებულია. არსებობს მესამე ვარიანტიც, როცა ხარისხი უმჯობესდება უმნიშვნელოდ, თვითღირებულება მცირდება, მაგრამ უფრო ნაკლებად, ვიდრე მეორე ვარიანტის შემთხვევაში. ასეთ დროს, რომელ ვარიანტს უნდა მიენიჭოს უპირატესობა?

ვარიანტის არჩევა ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო გადანყვეტილებაა, ამიტომ ანალიტიკური სამუშაოების ეტაპზე აუცილებელია ეკონომიკური გაანგარიშებების ჩატარება, რათა განისაზღვროს ამა თუ იმ გადანყვეტილების ზეგავლენა პროდუქციის თვითღირებულებასა და რენტაბელობაზე.

ოპტიმალური ვარიანტის არჩევის შემდეგ, საჭიროა მისი „დაცვა“ ფირმის ხელმძღვანელობის დონეზე. ამასთან, ახალი პროდუქციის შემუშავებასთან დაკავშირებული ყველა ღონისძიებისათვის დანერგვის კუთხით დამახასიათებელია როგორც ზოგადი, ისე სპეციფიკური სამუშაოები.

4. კვლევით ეტაპზე ხდება — იმ გადანყვეტილებათა ვარიანტებისა და იდეების შეფასება, რომელთა შემუშავება მოხდა წინა ეტაპებზე, რათა გამოირიცხოს დისპროპორციები ფუნქციებსა და ხარჯებს შორის.

5. სარეკომენდაციო ეტაპი დაკავშირებულია მოცემული წარმოებისთვის ყველაზე მისაღები ვარიანტის არჩევასთან ნაწარმის სრულყოფის მიზნით.

6. დანერგვითი ეტაპი წარმოადგენს დასკვნით ეტაპს, სადაც ხდება სარეკომენდაციო ეტაპის შედეგების გათვალისწინება და ტექნიკის სრულყოფის ამორჩეული ვარიანტის დანერგვა.

დასკვნა: ფუნქციონალური ანალიზის ჩატარებისას ითვალისწინებენ იმ ფაქტს, რომ ანალიზი უტარდება პროდუქციის სამომხმარებლო ღირებულებას, რომელიც ყოველთვის არ

განისაზღვრება რაოდენობრივი მაჩვენებლებით. ამიტომ მისი ხარისხობრივი და სიტყვიერი აღწერითი შეფასებისას (გემო, ესთეტიკური და ეკონომიური თვისებები) იყენებენ ქულებს. ხარჯების შემადგენლობასა და სიდიდეს ანგარიშობენ პროდუქციის მთლიანი თვითღირებულების ხარჯიდან გამომდინარე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქ. კინმარიშვილი. ინოვაციური მენეჯმენტი. 2016 წ.
2. Инновационный менеджмент, под ред. С. Ильенковой, М., 2014.
3. Иновационный менеджмент, под ред. В. Горфинкеля, М., 2007.
4. [http: //www.russba.ru/](http://www.russba.ru/)

REFERENCES:

1. Q. Kitsmarishvili. Innovative Management (In Georgian Language).
2. Ilenkov S. M. Innovative Management, 2014. (In Russian Language).
3. Gorfinkel V. M. Innovative Management, 2007. (In Russian Language).
4. [http: //www.russba.ru/](http://www.russba.ru/)

STAGES OF FUNCTIONAL-VALUE ANALYSIS

Ketevan Kitsmarishvili

Associated Professor of GTU

RESUME

One of the methods for the improvement at all stages of life cycle of any object is the functional - value analysis (FVA). It is a complex method for the economic-technical research of the object that aims to develop its useful functions, during the optimal correlation of costs toward significance and fulfillment to its consumer.

Keywords: Preparation, information, analytical, research, recommendation and implementation phases.

საქართველოს სატრანზიტო პოტენციალი, რეალობა და პერსპექტივები

ინგა გიგაური

ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური
დოქტორი, სტუ უფროსი მასწავლებელი

ცირა ელგენდარაშვილი

ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური
დოქტორი, სტუ ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

საქართველოს ხელსაყრელი გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობიდან გამომდინარე უჩნდება რეალური შანსი გაატაროს და გადაამუშაოს დამატებითი ტვირთების ნაკადი, რაც საგრძნობლად გაზრდის ქვეყნის შემოსავლებს, შექმნის მეტ სამუშაო ადგილს, ხელს შეუწყობს წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებას. საქართველოს სატრანზიტო პოტენციალი განუზომლად დიდია და მის გასამყარებლად მომავალშიც ბევრი ქმედითი ღონისძიებაა გასატარებელი. უდავოა, რომ ტრანსპორტირების ალტერნატიუარლი მარშრუტების კონკურენტუნარიანობა ძირითადად დამოკიდებულია ტრანსპორტირების დანახარჯებსა და სატრანზიტო გადასახადებზე, ასევე ზოგადად ლიბერალური საკანონმდებლო ბაზა, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და რეგიონის სწრაფი ეკონომიკური განვითარება ინვესს საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთნაკადების თანდათანობით ზრდას, ამიტომ აუცილებელია სპეციალური საკრედიტო ინსტიტუტების ჩამოყალიბება, რომლებიც განახორციელებენ ექსპორტის გრძელვადიან დაკრედიტებას, საგარეო ბაზრებისათვის განკუთვნილი პროდუქციის წარმოებას.

საკვანძო სიტყვები: სატრანზიტო პოტენციალი; სატრანსპორტო ბაზრების კონიუნქტურა; საგზაო ინფრასტრუქტურა.

შესავალი

სატრანზიტო გადაზიდვები კვლავაც რჩება ქვეყანაში საინვესტიციო საქონლის შემოტანის ერთ-ერთ მთავარ წყაროდ. ეკონომიკის აღმავლობისათვის აუცილებელი ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით, საჭიროა შემუშავდეს ყველა ძირითადი სახეობის სატრანსპორტო საშუალების კომპლექსური განვითარების, აღრიცხვის, განაწილებისა და სწორი საექსპლოატაციო კლიმატის შექმნის ერთიანი მექანიზმი. შეიძლება ითქვას, რომ ავტოსატრანსპორტო მეურნეობის ცალკეულ სახეებს შორის ჩვენს ქვეყანაში განვითარების ყველაზე დიდი პერსპექტივა აქვს საავტომობილო ტრანსპორტს. საქართველოში საავტომობილო ტრანსპორტის მეშვეობით ყოველწლიურად ხდება 257 მლნ.მგზავრისა და 24.5 მლნ.ტონა ტვირთის გადაზიდვა.ტრანზიტული ტვირთების გადაზიდვის მთლიან რაოდენობას ექსპორტი, იმპორტი და ადგილობრივი გადაზიდვების მოცულობა წარმოადგენს და თითოეული ცალ-ცალკე უდიდეს ზეგავლენას ახდენს გადაზიდვებიდან მიღებულ შემოსავლებზე[1]. მოსალოდნელია საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ტრანზიტული ტვირთების მოცულობის მკვეთრი ზრდა, ტრანსკავკასიური კორიდორის სრული სიმძლავრით ამოქმედების შემთხვევაში, რაც გაზრდის ჩვენი ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლებს. 2015 წელს საერთაშორისო ტვირთების ხვედრითი წილი შეადგენდა 51%-ს; იმპორტი 42%-ს; ხოლო ექსპორტი 8%-ს. იქიდან გამომდინარე,რომ სატრანსპორტო სფეროში მოქმედებს გამყიდველთა, ანუ სატვირთო და საკონტეინერო გადაზიდვა კომპანიათა დიდი რაოდენობა, ამიტომაც ამ დარგში კონკურენციაც მაღალია.

ძირითადი ნაწილი

სავტომობილო-სატრანზიტო გადაზიდვების მოცულობის შემცირების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ტრანზიტის უსაფრთხოების დაბალი დონე. ქვეყნის ამჟამინდელი არასტაბილური პოლიტიკური ვითარება მნიშვნელოვნად აფერხებს სატრანსპორტო პოტენციალის სრულად გამოვლენასა და ეფექტურად

გამოყენებას და ამასთან ერთად, საგრძნობლად ზრდის სატრანსპორტო მომსახურების ფასს საქართველოში.იხ.ცხრილი.ეს და სხვა მრავალი ფაქტორი უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის იმიჯზე და გვევლინება საქართველოს გავლით ტვირთნაკადების გატარების შედარებით ნაკლები ზრდის ტემპით.

სახმელეთო ტრანსპორტის მიერ საერთაშორისო ტვირთების ტრანსპორტის ტრანსპორტირების ძირითადი მონაცემები (ათასი ტონა) [2] ცხრილი

| რეჟიმი | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 |
|------------|--------|--------|--------|--------|--------|--------|--------|--------|
| ტრანზიტული | 71172 | 77430 | 90342 | 91347 | 91580 | 92790 | 94528 | 82930 |
| იმპორტი | 62794 | 61548 | 69721 | 68521 | 67325 | 81218 | 69178 | 68100 |
| ექსპორტი | 9313 | 12338 | 7022 | 15740 | 17350 | 32118 | 14221 | 12147 |
| სულ | 143279 | 151316 | 167085 | 175608 | 176255 | 206126 | 177927 | 163177 |

ტვირთის გადაზიდვის და მგზავრთა გადაყვანის სატრანსპორტო ტარიფების ცვლილება მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობასთან და მისი განვითარების ტენდენციებთან.მაგალითად,სატრანსპორტო კომპლექსში შემავალი ყველა სახის ტრანსპორტისათვის საერთაშორისო გადაზიდვებზე ტარიფები (ლარის ექვივალენტით) ყალიბდებოდა საერთაშორისო სასაქონლო და სატრანსპორტო ბაზრების კონიუნქტურის გავლენით.ეროვნული სატრანსპორტო

კომპანიებისათვის ყველაზე მტკიცენულ პრობლემებს წარმოადგენს საგზაო ინფრასტრუქტურა; საკანონმდებლო ბარიერები-საბაჟო პუნქტებში, წარსადგენი დოკუმენტაციის დიდი რაოდენობა; მაღალი საპროცენტო განაკვეთი სესხებზე; ნავთობ პროდუქტებზე არასტაბილური ფასები(არაპროგნოზირებადი ზრდა); შეფერხებები საბაჟო პუნქტებზე; პოლიტიკური არასტაბილურობა.

ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჩვენს გადამზიდავ კომპანიებს არაკონკურენტუნარიან მდგომარეობაში უწევთ ყოფნა სხვა ქვეყნის გადამზიდავებთან შედარებით. მაგ: ტვირთბრუნვისა და ტვირთგადატანი საქმეში მონოპოლიზებული სივრცე უკავია კონკრეტულად „APM ტერმინალს და „მაერსკს“, რომლებიც ახალ ბიზნესს-პირობებს აყენებენ და თვითონ განსაზღვრავენ აღნიშნული სექტორის საფასო პოლიტიკას. აღნიშნული გარემოება კლავს კონკურენციას და აზიანებს საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის იმიჯს. არის საფრთხე, რომ აღნიშნულ სანარმოებში მოსამსახურე ათასობით ადამიანი უმუშევარი დარჩეს. არაკონკურენტული გარემო და ტარიფების ზრდა კი ინვესტორთნაკადების შემცირებას, ერთი ტონა ტვირთის დამუშავებაზე ტარიფი 8 დოლარით გაიზარდა. განსაკუთრებული პრობლემებია ტვირთების გადატანა-დასაწყობებისა და ტვირთმფლობელებთან პარტნიორობაში. გაფორმების ეკონომიკურ ზონაში ტვირთების გადატანა მნიშვნელოვნად აძვირებს გადაზიდვის პროცესს, რითაც ფაქტიურად, საკონტეინერო ტერმინალები კარგავენ ტვირთმფლობელებს. საქართველო, თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის მაქსიმალური რეალიზაციისათვის, რომელიც პირველ რიგში გულისხმობს აზია-ევროპის შემაერთებელი დერეფნის ეფექტიან ფუნქციონირებას, საჭიროებს საავტომობილო ინფრასტრუქტურის თანამედროვე სტანდარტების დონეზე გადასვლას და განვითარებას. სწორედ ამ მიზნით. დღეს, როგორც არასდროს, ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა არსებული გზების რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია და ახალი უსაფრთხო საავტომობილო გზების მშენებლობა,

რაც ხელს შეუწყობს საავტომობილო საერთაშორისო მნიშვნელოვან მანქანებზე გამტარუნარიანობის შეუფერხებელ ზრდას. ანაკლიის ღრმანყოფიანი პორტის მშენებლობას არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება კონტეინერების, ნაყარი, მშრალი და თხევადი ტვირთების ტრანსპორტირების მომსახურებაში. ანაკლიის პორტის სიღრმე შესაძლებელს გახდის პანამაქსის და პოსტ პანამაქსის ტიპის გემების მიღებას. პორტის გამტარუნარიანობა 100 მლნ ტონა იქნება წელიწადში. გაცხადებული ინფორმაციის თანახმად პორტის მშენებლობა მოხდება 3 ეტაპად და ითვალისწინებს მშენებლობის დაწყებიდან 12 წლის ვადაში არანაკლებ 40 მლნ ტონა ტვირთის გამტარუნარიანობას (მე-3 წელს არანაკლებ 7 მლნ. ტონა. მე-7 წელს 20 მლნ. ხოლო მეოთხეეტი წელს 40 მლნ. ტ) პორტის მე-4 და მისი მომდევნო თითოეული ეტაპი უნდა დაიწყოს მას შემდეგ, რაც პორტის იმ ეტაპისთვის არსებული დატვირთვა (ტვირთბრუნვა) პორტის გამტარუნარიანობის 90%-ს მიაღწევს. პორტს შეეძლება მინიმუმ 6500 კონტეინერით დატვირთული გემის მიღება. ანაკლიის საზღვაო პორტის სიღრმე 20,5 მეტრი (ბათუმში – 14 მეტრი, ფოთში – 8,5 მეტრი), ანუ აქ შემოსვლა შეუძლია ისეთ გემებს, რომელთა ტვირთმზიდაობა 50-150 ათას ტონას შეადგენს. პროექტი ითვალისწინებს 32 ნავმისადგომის აგებას საერთო სიგრძით 12 300 მეტრი. ახალი პორტი ანაკლიაში, რომელიც 3000 ჰექტარზე მეტს დაიკავებს, შეძლებს წელიწადში 60-70 მილიონი ტონა მოცულობის ტვირთის გადამუშავებას, ხოლო პერსპექტივაში 180-200 მილნ ტონისაც, ანუ რამდენჯერმე უფრო მეტის, ვიდრე ერთად აღებული ბათუმი, ფოთი და ყულევი[3]. რაც შეეხება ქვეყნის გარე ფაქტორებს, რომლებიც პირდაპირი წესით ასახვას ჰპოვებენ ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალზე, დაკავშირებულია, ერთი მხრივ, კასპიის აუზში მოპოვებული ნავთობის, ნავთობპროდუქტებისა და ბუნებრივი გაზის მოცულობის ზრდასთან, მეორე მხრივ, რუსეთ-სომხეთის ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების გახშირებასთან ევრაზიული საბაჟო კავშირის ფარგლებში და ზოგადად, საქართველოს სატრანზიტო დერეფანში ტვირთზიდვის ზრდაზე

უმნიშვნელოვანესი გავლენა ექნება „აბრეშუმის გზის“ მოსაზღვრე ყველა ქვეყნის ურთიერთსავაჭრო ურთიერთობების გახშირებას, თუმცა აქაც შესაძლოა ქვეყანა გარკვეული ტიპის რისკების წინაშე დადგეს. ახალი აბრეშუმის გზა ნამდვილად წარმოადგენს ჩინეთიდან ევროპამდე უმოკლეს გზას და შესაბამისად, სატრანზიტო დრო ჩინეთიდან საქართველომდე დაახლოებით 7-9 დღეა, მაშინ როცა საზღვაო მარშრუტი საშუალოდ თვენახევარს ანდომებს საქართველოს პორტებში ტვირთის გადმოზიდვას. თუ კი კარგად დავაკვირდებით და გავანალიზებთ მსოფლიოში წამყვანი საზღვაო კორპორაციების ტარიფებს მივხვდებით, რომ საზღვაო ტრანსპორტირება მკვეთრად უფრო იაფი ჯდება საქართველოში, აზერბაიჯანში, სომხეთში და თურქეთში ვიდრე ახალი აბრეშუმის გზით მულტიმოდალურად გადაზიდული ტვირთის ტრანსპორტირება ჩინეთის ძირითადი პორტებიდან (ქინგდაო, ნინგბო, შანხაი) ევროპის უმსხვილეს პორტებამდე, როგორებიცაა, როტერდამი, ჰამბურგი, ანტვერპენი, ლე ჰავრე, ფელიქსთოუ და სხვა. საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის სამომავლო გაძლიერება დამოკიდებული იქნება საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მიწოდების ჯაჭვის ყველა შემაერთებელი რგოლის სარკინიგზო, საპორტო და საავტომობილო ინფრასტრუქტურისა და ლოჯისტიკური ცენტრების განვითარება/ადაპტირებაზე, საქართველოს სარკინიგზო საზღვრებზე სატრანსპორტო კოორდინაციის გაუმჯობესებაზე, საბაჟო პროცედურების დახვეწა და სხვა ვაჭრობის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარებაზე.

დასკვნა

აღსანიშნავია, რომ ახალი რეალობა შესაძლებელს ხდის შეიქმნას ახალი სატრანსპორტო მარშრუტები, რომლებიც ერთმანეთთან დააკავშირებს სხვადასხვა ეკონომიკურ რეგიონებს. ამასთან, ქვეყნებს შორის, რომლებზეც შესაძლოა მარშრუტებმა უნდა გაიაროს, მზარდი კონკურენციაა, რამდენადაც საერთაშორისო სატრანსპორტო კორიდორები განიხილება როგორც საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ერთგ-

ვარი გარანტია. ერთიანი, ძლიერი საკანონმდებლო ბაზის არარსებობა და შესაბამისად შეუთანხმებელი მიდგომები საერთაშორისო ტრანზიტული გადაზიდვებისადმი, საკანონმდებლო პრობლემების გადაუწყვეტელობა სასაზღვრო საბაჟო გადასასვლელებზე, პორტებში, რკინიგზაზე და სხვ.ზარალს აყენებს სატრანსპორტო კორიდორების ფუნქციონირების სტაბილურობას და კონკურენტუნარიანობას. აუცილებელია მცირე და საშუალო საწარმოების ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის პოლიტიკის შემუშავება და მისი რეალიზაციისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. მონესრიგებული, უნიფიცირებული საკანონმდებლო ბაზა არის ის ოპტიმალური ვარიანტი, რაც ხელს შეუწყობს და აამაღლებს როგორც შიდასახელმწიფოებრივი, ისე საერთაშორისო გადაზიდვების ხარისხს. ექსპორტული პოტენციალის გაძლიერების თვალსაზრისით დიდი პერსპექტივები გააჩნია მართლაც სატრანზიტო დერეფნის შესაძლებლობების გამოყენებას,ე.ი ისეთი საწარმოების შექმნას, ან მოდერნიზაციას, რომლებიც აწარმოებენ საექსპორტო პროდუქციას შესაბამისი ნედლეულის გამოყენების ბაზაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვალერი ხარიტონაშვილი „სატრანსპორტო ლოჯისტიკა, თბილისი, 2010წ.
2. www.geostat.ge.
3. Sputnik-georgia.com/Caucasus/20160311/230547148.html

REFERENCES:

1. Valeri Kharitonashvili „Logistics of Transport” Tbilisi, 2010 (In Georgian Language).
2. www.geostat.ge
3. Sputnik-georgia.com/Caucasus/20160311/230547148.html

GEORGIA'S TRANSIT POTENTIAL, REALITY AND PROSPECTS

Inga Gigauri, Academic Doctor of
Business Administration,
Head Teacher of GTU
Cira Elgendarashvili, Academic Doctor of
Business Administration,
Associate Professor of GTU

RESUME

Based on its favorable geopolitical location Georgia has a real chance to carry and process more cargo flow that will significantly increase the country's income, create more job places, promote to development of production and trade. The transit potential of Georgia is immeasurably large and for its strengthening in future it would be necessary to carry out a lot of viable measures. It is undoubtedly that competitiveness of transportation alternative routes largely depends on transportation costs and transit fees, as well as generally on liberal legislative framework, improved infrastructure and region's rapid economic development causing gradually the increase in the road transport freight traffic. Thus it is necessary to establish the special credit institutions that implement the export of long-term lending, manufacture of production for foreign markets.

Keywords: Transit Potential; Conjunction of Transportation Markets; Road Infrastructure.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფინანსური მხარდაჭერა სახელმწიფოებრივი აუცილებლობა

გიორგი თეთრაძე,
სტუ დოქტორანტი

პაატა კოლუაშვილი,
სტუ პროფესორი,
საქართველოს სსმ მეცნიერებათა
აკადემიის ნამდვილი წევრი

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ქვეყნის აგროეკონომიკურ სექტორში შექნილი უმწვავესი პრობლემები და კოოპერაციის შესაძლებლობები აგრარული რაიონების განვითარებაში. წარმოჩენილია კოოპერაციის ფართო შესაძლებლობები და შემოთავაზებულია მისი ეფექტურად გამოყენების მექანიზმები. მრავალმხრივი ანალიზისა და უცხოური გამოცდილების ფონზე შემოთავაზებულია სპეციალიზებული საგარანტიო კომპანიის ჩამოყალიბების საკითხი. ავტორები მიიჩნევენ, რომ სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებისგან განსხვავებით, სამეწარმეო საქმიანობის დაგეგმვის, მართვისა და კონტროლის ასეთი მოდელი და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის დამახასიათებელი შიგასანარმოო ურთიერთობები წარმოადგენს სამეურნეო რისკების მინიმუმამდე დაყვანისა და მდგრადი განვითარების საფუძველს. თუ ამ მიმართულებით ქმედითი ღონისძიებები არ გატარდა, შეიქმნება სერიოზული პრობლემები, რაც ნეგატიურად აისახება გატარებული ღონისძიებებზე და დაგეგმილ სისტემურ-სინერგიულ ეფექტზე.

სკვანძო სიტყვები: აგრარული სექტორი, კოოპერატივი, ეფექტიანობა, ინვესტიცია, საგარანტიო კომპანია, დაგეგმვა, მართვა, კონტროლი.

ქირითადი ნაწილი

წარმატებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებმა სახელმწიფო ხელშეწყობისა და დაფინანსების პრიორიტეტულ მიმართულებად კოოპერაციულ სანაწილებზე ფუნქციონირებადი ორგანიზაციების ხელშეწყობა მიიჩნიეს, რადგან მხოლოდ კოოპერირების საშუალებით არის შესაძლებელი ორი სანაწილის გაერთიანება: საკუთრებისა, რომელიც აძლევს მის მფლობელს არჩევანის თავისუფლებას და მასშტაბური წარმოებისა, რომელიც განაპირობებს, ერთი მხრივ – ტექნიკურ და ეკომომიკურ უპირატესობას და, მეორე მხრივ – ავტორიტეტსა და წონას სასაქონლო და საფინანსო ბაზრებზე.

საქართველოს აგრარული სექტორის არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, სწორედ კოოპერაციული, ანუ ეკონომიკური და სოციალური სოლიდარობის სისტემის ხელშეწყობით არის შესაძლებელი სოფლად სიღარიბის დაძლევისა და ჯანსაღი საშუალო ფენის ჩამოყალიბების რთული პროცესის განხორციელება. ამიტომ აგროსამრეწველო ინტეგრაციის ეფექტური მოდელის შექმნის მიზნით კომპლექსური ზემოქმედების სუბიექტის განსაზღვრისას, სხვადასხვა ორგანიზაციულ ფორმებს შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და გადამამუშავებელი საწარმოს მდგრადი დაბალანსებული განვითარების საფუძველს მათი ურთიერთინტეგრაცია წარმოადგენს. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ფარგლებში ვერტიკალური ინტეგრაციის, როგორც სპეციფიკური ფორმის გამოყენება წარმოადგენს ობიექტურ აუცილებლობას საწარმოო ურთიერთობების განვითარების იმ ეტაპზე, როდესაც განსაკუთრებით იზრდება ორგანული ურთიერთკავშირის აქტუალობა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებასა და გადამამუშავებელ საწარმოს შორის. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ფარგლებში კოოპერაციისა და ვერტიკალური ინტეგრაციის პრინციპებზე დამყარებული მოდელი გახდება საფუძველი პირველადი პროდუქციის წარმოების, გადამამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი ციკლის

შექმნისა, სადაც პროდუქციის ღირებულება ყოველ სამეურნეო საფეხურზე იზრდება და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრები მიიღებენ მნიშვნელოვნად გაზრდილ შემოსავლებს საბოლოო პროდუქციის რეალიზაციიდან. ასეთი ტიპის სამეურნეო სისტემაში თითოეული სამეწარმეო რგოლი წარმოადგენს დანარჩენებთან ორგანულად ინტეგრირებულ ნაწილს. კოოპერატივის თითოეული წევრი შემოსავლების გაზრდის მიზნით დაინტერესებულია აწარმოოს უფრო მეტი რაოდენობისა და მაღალი ხარისხის პროდუქცია და ამავე დროს აქტიურად არის ჩართული გადამამუშავებელი საწარმოო პროცესების ტექნიკურ-ტექნოლოგიურ სრულყოფაში, საბოლოო პროდუქციის რეალიზაციაში და ახორციელებს ერთიანი ციკლის მონიტორინგს სამეწარმეო საქმიანობის ყველა დონეზე. მეურნეობრიობის ეს ფორმა ერთის მხრივ - საფუძველს უქმნის შემდგომ ეტაპზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაციის უფრო მაღალი (მეორე, მესამე) დონის მქონე კოოპერაციული ფორმების შექმნას, ხოლო მეორე მხრივ - ქმნის აგრარულ საწარმოთა დაფინანსებაში ახალი, ეფექტური ელემენტების შეტანის საფუძველებს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფარგლებში აგროსამრეწველო ინტეგრაციის მხარდაჭერა შესაძლებელია ინტენსიური პირველადი წარმოების და მაღალი დონის საწარმოო ინფრასტრუქტურისა და გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის გზით. გარდა ამისა, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ შესაძლებელი გახდება - ტიპიური საბანკო კომერციული კრედიტის სოფლის მეურნეობისათვის არაეფექტური და მოუქნელი ფორმა თამამად ჩანაცვლდეს ისეთი ფინანსური ინსტრუმენტებით, როგორცაა თავდებობა, ლიზინგი, შეღავათიანი კრედიტი. ფინანსური ურთიერთობის ასეთი ფორმა გავრცელებულია წარმატებული ეკონომიკის მქონე ბევრ ქვეყანაში და უმეტესად სწორედ კოოპერაციულ სისტემებთან არის დაკავშირებული.

მიმდინარე პერიოდში კოოპერატივები ვერ იღებენ სესხს კომერციული ბანკებიდან და შესაბამისად ვერ ხერხდება მათი ჩართვა „შეღავათიანი აგროკრედიტის“ პროგრამაში შემდეგი მიზეზების გამო:

- მათი უმრავლესობა პრაქტიკულად იმყოფება „სტა-

რტ-აპ“-ის მდგომარეობაში, რაც მიუღებელია ბანკებისთვის;

- მათ უმრავლესობას არ გააჩნია საბანკო სესხის საგარანტიო უზრუნველყოფის რესურსი. კომერციული ბანკების საქმიანობის პრიორიტეტი კი მიმართულია მხოლოდ გარანტირებული უკუგების მქონე სფეროებზე და შესაბამისად საგარანტიო უზრუნველყოფით გამყარებულ პროექტებზე;

- ბანკების მხრიდან კოოპერატივებზე სესხის გაცემა დაკავშირებულია კოოპერატივის მრავალრიცხოვანი წევრების ფინანსურ-ეკონომიკური და მატერიალური მდგომარეობის შესწავლასთან, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ამ ღონისძიების დროსა და დანახარჯებს. ამიტომ ბანკები უპირატესობას ანიჭებენ მცირეწევრებიანი, ან სულ არცერთი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის ორგანიზაციების დაფინანსებას.

ინვესტიციების დაცულობის კუთხით, მართვის დემოკრატიული პრინციპები და კოოპერატივის ფარგლებში ერთიანი საწარმოო ციკლის შექმნის პერსპექტივა აყალიბებს სამენარმოო რისკების მინიმუმამდე დაყვანის რეალურ პირობებს, რაც უაღრესად მნიშვნელოვანი და მიმზიდველია სწორედ „სარისკო კაპიტალის“ ინვესტირებით დაინტერესებული კომპანიებისთვის და გზას უხსნის კოოპერატივებს „შელავათიან აგროკრედიტსა“ და სხვა სახელმწიფო თუ არასამთავრობო პროგრამებში მონაწილეობისათვის.

„სარისკო კაპიტალი“ არის დაფინანსების ისეთი ფორმა, რომელიც დღემდე პრაქტიკულად არ არსებობდა საქართველოში და განსაკუთრებულად მიმზიდველია დამწყები და ზრდადი ბიზნესებისათვის. „სარისკო კაპიტალის“ ინვესტიციის მეშვეობით ინვესტიციის გამცემი (შემდგომში ფონდი) პარტნიორის სახით მონაწილეობს ინვესტიციის მიმღები კომპანიის რისკისა და მოგების განაწილებაში. ასეთი ტიპის პარტნიორობა შეიძლება განხორციელდეს კომპანიაში წილის შექმნით, საფინანსო ინსტიტუტების წინაშე საგარანტიო უზრუნველყოფით ან მონაწილეობრივი სესხის გაცემით. ასეთ სესხს გააჩნია კომერციულ ბანკებთან შედარებით უფრო დაბალი გირაოს მოთხოვნილება და უფრო გრძელი დაფარვის ვადა, გადახდე-

ბი კი როგორც წესი, მიბმულია დაგეგმილი ფულადი სახსრების მოძრაობასთან. ვინაიდან ფონდი ინანილებს რისკებსა და სარგებელს, იგი აქტიურად მუშაობს კომპანიის ხელმძღვანელობასთან ერთად კომპანიის საერთო მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად. ეს თანამშრომლობა მოიცავს დახმარებას სტრატეგიულ დაგეგმვაში, ფინანსურ კონტროლში, მარკეტინგის საკითხებში, წარმოების სტანდარტებში, გაყიდვებში, მომგებიანობაში და ა.შ. რადგან ფონდის წარმატება მეტწილად დამოკიდებულია ინვესტიციის მიმღების წარმატებაზე, ნებისმიერი საინვესტიციო პროექტის განხორციელების წინაპირობაა ამბიციური, კვალიფიციური და მჭიდრო თანამშრომლობაზე ორიენტირებული მენეჯმენტის მოძიება. ასეთი თანამშრომლობის მნიშვნელოვანი ასპექტი მდგომარეობს ფონდის მხრიდან საოპერაციო და სტრატეგიულ მხარდაჭერაში, რაც არაა ტიპური ტრადიციული კომერციული სესხის გამცემი ორგანიზაციებისათვის. ფონდი მოახდენს კაპიტალის ინვესტირებას მხოლოდ წარმატების პოტენციალის მქონე საინვესტიციო პროექტებში. იგი თავად ახდენს მათ გამოვლენას და იდენტიფიცირებას. ამიტომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფონდი განახორციელებს ინვესტირებას ინდივიდუალური გეგმის მიხედვით.

არსებულ ეტაპზე აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშემწყობ ღონისძიებებში ჩაერთოს დაფინანსების ეს ახალი, ძლიერი ელემენტი, რომლითაც კოოპერატივის რეალური საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობისა და შესაძლებლობების, საკადრო საკითხების, განვითარების პერსპექტივებისა და სიცოცხლის უნარიანობის შესწავლის შემდეგ მოხდება მისი ხელშემწყობა/ინვესტირება საგარანტიო უზრუნველყოფის ნაწილში. საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, სამეურნეო საქმიანობისათვის საჭირო კომერციული კრედიტის საგარანტიო უზრუნველყოფას ახორციელებენ სპეციალიზირებული საგარანტიო ფონდები.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშემწყობი სპეციალიზებული საგარანტიო ფონდი მონიტორინგის მონაცემებზე დაყრდნობით ახდენს სანარმოო რისკების შეფასებას და

ახორციელებს კრედიტის გარკვეული ნაწილის საგარანტიო უზრუნველყოფას. მნიშვნელოვანია, რომ სამეწარმეო საქმიანობის დაგეგმვის, მართვისა და კონტროლის ასეთი მოდელი (განსხვავებით სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებისაგან) და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის დამახასიათებელი შიგასაწარმოო ურთიერთობები წარმოადგენს სამეურნეო რისკების მინიმუმამდე დაყვანისა და საბოლოო ჯამში მდგრადი სიცოცხლისუნარიანობის საფუძველს შემდეგი მოტივების გამო:

1. კრედიტის საგარანტიო უზრუნველყოფის ობიექტს მნიშვნელოვან წილად თვით ამ კრედიტით შექმნილი ძირითადი საშუალებები წარმოადგენს;

2. კოოპერატივის ფარგლებში ერთის მხრივ - ერთიანი საწარმოო ციკლის (ღირებულებათა ჯაჭვი) შექმნა, სადაც პირველადი სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლები დაინტერესებული იქნებიან საბოლოო პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგებით;

3. კოოპერაციული სისტემისათვის დამახასიათებელი ეკომომიკური თვითმმართველობა (თვითანაზღაურება, თვითრეგულირება, თვითკონტროლი);

4. კონსულტირება, მონიტორინგი და აუდიტი დაფინანსების (საგარანტიო უზრუნველყოფის, სადაზღვევო პროდუქტის) გამცემის და/ან შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანიზაციის მხრიდან.

არსებულ ეტაპზე საქართველოში შექმნილია 1500-მდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელთა მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან ხორციელდება სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს“ მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში. სახელმწიფო პროგრამებთან ერთად 2014 წლიდან ოთხნობიან პერიოდში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფინანსურ და ტექნიკურ მხარდაჭერას ახორციელებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამა (160 კოოპერატივის მხარდაჭერა ოთხნობიან პერიოდში). მიუხედავად ამისა, სპეციალიზებული კომპანიების ჩართვის გარეშე, მხოლოდ ზემოთხსენებული ინსტიტუტების ძალისხმევა არ არის საკმარისი

იმ გამოწვევების მიმართ, რასაც მოითხოვს ქვეყნის მასშტაბით ამ უაღრესად მნიშვნელოვანი პროცესის ინტენსიური განვითარება. კოოპერაციის პროცესის სწორად წარმართვისათვის აუცილებელია რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს კოოპერატივების ფინანსური მხარდაჭერი (საინვესტიციო) ინსტიტუტების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, ამ კუთხით განვითარებული არაერთი ქვეყნის მსგავსად, სადაც კოოპერატივების ფინანსური ხელშეწყობის და ინვესტირების ინსტიტუციონალური მოწყობის პრაქტიკა არაერთ ათეულ წელიწადს ითვლის.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ცხადია, რომ მიმდინარე პერიოდში აგროსამრეწველო ინტეგრაციის ეფექტური მოდელის შექმნისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერი, უაღრესად მნიშვნელოვანი ინიციატივების შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვის კუთხით, სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს და მათი განვითარების მხარდაჭერ საინვესტიციო კომპანიებს განსაკუთრებული როლი უნდა მიენიჭოს. აღნიშნული საკითხის სისტემური გადაწყვეტა ხელს შეუწყობს რეგიონებში მერუნეობრიობისათვის საჭირო პირობების შექმნას.

ძლიერი კოოპერაციული გაერთიანებების ჩამოყალიბება, მოსახლეობის აქტივობის ამაღლება, სამეურნეო საქმიანობაში მათ მასიურ ჩართულობა საბოლოო ანგარიშით შექმნის მყარ გარანტიებს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადაჭრისათვის. საკითხი ეხება აგრარულ სექტორში მრავალმხრივი და კომპლექსური ხასიათის მექანე ახალი საინვესტიციო პოლიტიკის გატარებას, რაც უზრუნველყოფს მის ყველა ფუნქციის ბალანსს და იძლევა საწარმოთა ფუნქციონირების ოპტიმალურთან მიახლოების ყველაზე კარგ საშუალებას.

დასკვნა

პრობლემის სისტემური გადაწყვეტა ხელს შეუწყობს აგრარულ სექტორში მეურნეობრიობისათვის საჭირო პირობების შექმნას, აღწარმოების მასშტაბების გადიდებას და კონკუ-

რენტული გარემოს ფორმირებას, რაც, საბოლოო ანგარიშით შექმნის მყარ გარანტიებს, ერთის მხრივ - ძლიერი კოოპერაციული გაერთიანებების ჩამოყალიბებისა და მეორეს მხრივ - სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადაჭრისათვის. საკითხი ეხება აგრარულ სექტორში მრავალმხრივი და კომპლექსური ხასიათის მქონე ახალი საინვესტიციო პოლიტიკის გატარებას, რაც უზრუნველყოფს მისი ყველა ფუნქციის ბალანსს და იძლევა საწარმოთა ფუნქციონირების ოპტიმალურთან მიახლოების ყველაზე კარგ საშუალებას. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სახელმწიფო დაფინანსებისა და რეგულირების სისტემაში, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კერძო კომპანიების საინვესტიციო საქმიანობაში ახალი ელემენტების დანერგვა ქმნის საფუძველს იმ წინააღმდეგობათა გადალახვისათვის, რაც აფერხებს აგრარული სექტორის ტრანსფორმაციას მრავალფეროვანი საწარმოო და საფინანსო ურთიერთობების გაფართოებულ სისტემებზე.

REFERENCES:

- 1. Koguashvili P., Observation of food safety practices is the first responsibility of the Government.** Social economy – of the 21st century. №5, 2013.
- 2. Koguashvili P., To promote the process of cooperation, it is necessary to govern industrial relations.** Journal „ECONOMICS“, №9-10, 2013.
- 3. Koguashvili P., Georgian village capacity.** Journal „Economics and Business“. №3, 2014. pp. 43-46.
- 4. Koguashvili P., The village left to the mercy of the commercial banks cannot solve the agricultural problems.** (1.04.2013) <http://topnews.mediamall.ge/?id=18010>
- 5. Koguashvili P., Support for cooperatives in agricultural sector must be a fundamental task of State** (27.07.2015) <http://www.newspress.ge/ekonomika/70927-paata-koghuashvili-sasoflo-sameurneo-kooperativebis-khelshetsyoba-sakhelmtsifosumthavresi-amocana-unda-iyos.html?ar=A>

6. The Law of Agricultural Cooperatives <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1972742>

7. Koguashvili P., **Salvation lies in agricultural cooperation!**
http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=11&id_artc=26835

SUPPORT FOR AGRICULTURAL COOPERATIVES IS THE GOVERNMENTAL NECESSITY

Giorgi Tetradze, PhD Student of GTU
Paata Koghuashvili, Professor of GTU

RESUME

The development of cooperation in agrarian sector is one of the most important areas of agro-economic reform. In this paper, the authors review the most burning problems that have arisen in agro-economic sector of the country, as well as the opportunities for cooperation in the development of agrarian regions. They demonstrate the huge cooperation opportunities and suggested the mechanisms of using it effectively. Against the background of a thorough analysis and the existing international experience, there has been suggested the issue of establishing a specialized guarantee fund, on which a model of this fund and cooperation is built. The authors believe that unlike the other organizational-legal forms, such a model of planning, management and control of entrepreneurial activities, as well as industrial relations characteristic of agricultural cooperatives, represents the basis for minimizing production risks and ensuring the sustainable development. Unless the effective measures are made in this regard, we will face the serious problems that would have an adverse impact on the effectiveness of these measures and the planned systemic-synergistic effect.

Key words: Agrarian Sector; Cooperative; Effectiveness; Farmer; Guarantee Fund; Planning; Management; Control.



ბიზნესი, მენეჯმენტი, მარკეტინგი



კრიზისულ სიტუაციაში საწარმოების ბაკოტრების მქაანიზმები და რეგულაციები საქართველოში

ინგა გიგაური

ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური
დოქტორი, სტუ უფროსი მასწავლებელი

ცირა ელგენდარაშვილი

ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური
დოქტორი, სტუ ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

ჩვენს ქვეყანაში საწარმოთა დიდი ნაწილი ვერ ახერხებს მოგების სათანადო დონით მიღებას და კოტრდება ელემენტარულად იმის გამო, რომ მას არ გააჩნია სწორი სტრატეგიული ხედვა, მართვის უნარი, რომ აღარაფერი ვთქვათ მთელ რიგ საწარმოო, ორგანიზაციულ, თუ ფინანსურ დარღვევებზე, რამაც მიიყვანა მათი უმეტესობა კრიზისამდე. რა თქმა უნდა, აქ გასათვალისწინებელია ეგზოგენური ფაქტორებიც, რომლებიც არანაკლები სიძლიერით მოქმედებენ ფირმის ფინანსურ მდგრაობაზე. საქართველოში უამრავი კომპანიაა, რომლებსაც ძალიან დიდი დავალიანება აქვს, კრედიტორებს კი მათი გაკოტრების რეჟიმში გადაყვანა აზრად არ მოსდით. ექსპერტები ამის მიზეზად მოუქნელ გაკოტრების კანონს, გაკოტრების შიშსა და დაბალ კულტურას ასახელებენ. არადა გაკოტრება ევროპული გამოცდილებით საწარმოს გაჯანსაღებას (სანაციას) გულისხმობს. მაგ: ამერიკაში 2 მილიონამდე საწარმო კოტრდება. საქართველოშიც ძალიან ბევრი კომპანიაა, რომელიც გაკოტრებას საჭიროებს, თუ ეს არ მოხდა, ეს კომპანიები უფრო და უფრო განადგურდებიან. კომპანიების მენეჯერების მხრივ

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს კრიზისული სიტუაციების სიმპტომების დროულ აღმოჩენასა და პრევენციული ღონისძიებების გატარებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დიაგნოსტიკის ეტაპს, რომელიც მოიცავს როგორც კომპანიის ფინანსურ ანალიზს, ისე ბაზრისა და დარგის ტენდენციების შესწავლას.

საკვანძო სიტყვები: საწარმოთა კრიზისი; გაკოტრების რეჟიმი; სახელმწიფო რეგულაციები; საწარმოს გაჯანსაღება(სანაცია).

შესავალი

ეკონომიკის საბაზრო სისტემა მკაცრი კონკურენციის პირობებში იწვევს მეურნეობის ცალკეული სუბიექტების არაქმედითუნარიანობას, ან მათ დროებით გადახდისუუნარობას. ხშირია შემთხვევები, როდესაც ფინანსური დაგეგმვის, შემოსავლების მიღებისა და ვადების არასწორი პროგნოზირების გამო, საწარმო ხდება გადახდისუუნარო. საქართველოში მომქმედი კომპანიებისათვის ძალზე რთულია აღნიშნული ფაქტორების პრიორიტეტულობის განსაზღვრა. საწარმოს დაბალი საქმიანი აქტივობის პირობებში, მის ფინანსურ მდგომარეობაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს გარეგანი ფაქტორები. მათგან მთავარია პოლიტიკური, ეკონომიკური და ფინანსური არასტაბილურობა. ამა თუ იმ ფაქტორის ნეგატიური გავლენის შედეგის პროგნოზირება შეიძლება და აქედან გამომდინარე, შესაძლებელია დროულად მივიღოთ შესაბამისი ზომები მათ აღმოსაფხვრელად ან შესასუსტებლად. თუ მუდმივად ვადვენებთ თვალყურს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესაძლო გაუარესების ნიშნებს, ცხადი ხდება, რომ ერთ-ერთი მიზეზია ცვლილებები ბალანსის მუხლებში (როგორც პასივის, ისე აქტივის). განგაშის ნიშანია საწარმოს აქტივებში დებიტორული დავალიანების, ე.ი მყიდველთა ვალის ფარდობითი წილისა და ასევე ვადების ზრდა, ეს ნიშნავს, რომ ან საწარმო ატარებს კომერციული კრედიტის არაგონივრულ პოლიტიკას თავის შემკვეთებთან მიმართებაში, ან თვით შემკვეთები არიან

გადახდისუუნარონი.მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში სახელმწიფო მიმართულია იმ პრობლემების გადაჭრისაკენ,რომლებიც საწარმოს მცირე შესაძლებლობების გამო წარმოეშობა და შეიძლება ითქვას, არათანაბარ კონკურენტულ მდგომარეობაში აყენებს მსხვილ საწარმოებთან მიმართებაში.

ქირითაღი ნაწილი

ხელისუფლება, ბიზნესი და საზოგადოება არის ის სამი მხარე, რომელთა ერთიანობა, კოორდინირებული შეთანხმებული მოქმედება საშუალებას მოგვცემს დაძლეულ ან მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი კრიზისის უარყოფითი შედეგები. ხელისუფლება უნდა იყოს შუამავალი, მაორგანიზებელი, დამხმარე და დამაკავშირებელი ბიზნესის გარე სამყაროსთან.პირველ რიგში, ძალისხმევა უნდა წარიმართოს მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისაკენ. უფრო მეტი ზრუნვის ობიექტი გახდეს თითოეული ბიზნეს-წარმონაქმნი ძლიერი და ეფექტიანი სახელმწიფოს თანადგომით[1].ეს აუცილებელია კრიზისის უარყოფითი შედეგების შესამცირებლად.მეორე მნიშვნელოვანი პრიორიტეტი ხელისუფლებისათვის არის ინვესტიციების(როგორც პირდაპირი,ისე შუამავალი ინსტიტუტების მეშვეობით) მოზიდვა ქვეყანაში.მან უნდა შექმნას ყველა აუცილებელი პირობა ექსპორტის ზრდისათვის.ცხადია რაც უფრო მეტი ინვესტიცია შემოდის და რაც უფრო მეტი პროდუქტი და მომსახურება გადის ქვეყნის გარეთ, მით უფრო ნაკლები იქნება კრიზისის უარყოფითი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე,ბიზნესზე და მთლიანად საზოგადოებაზე.

საწარმოთა გაკოტრების საქმის წარმოება და რეგულირება ხორციელდება „გაკოტრების შესახებ“ კანონით.მიუხედავად იმისა,რომ გაკოტრების ინსტიტუტი საქართველოში 1996 წლიდან შემოვიდა, ჩვენთან გაკოტრების პრაქტიკა სრულყოფილად მაინც ვერ დაინერგა. მიუხედავად აღნიშნულ კანონში 2001 წლიდან მოყოლებული ნორმატიულ-მეთოდოლოგიური ცვლილებების განხორციელებისა, ვერც ამის შემდეგ მოხერხდა ფინანსური სიძნელეების მქონე საწარმოთა ანტიკრიზი-

სული რეგულირება. მისი დაბალი ეფექტურობა გამოწვეული იყო იმით, რომ ეს კანონი მაინც აბსტრაქტულ მოდელს წარმოადგენდა და ქართულ საბაზრო ეკონომიკის კონკრეტული პირობების პროდუქტი ვერ გახდა [2]. მისმა შემადგენლებმა არ გაითვალისწინეს სხვა ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილება. კანონში უამრავი ცვლილება შევიდა, თუმცა სპეციალისტების თქმით, ცვლილებები იმდენად გაუაზრებელი იყო, რომ გაკოტრების პროცედურების აღსრულება უფრო და უფრო რთული ხდებოდა. არ არსებობდნენ ისეთი მენარმეები, რომლებიც შეძლებდნენ ფინანსური სიძნელების მქონე საწარმოების ანტიკრიზისულ მართვას. ასევე არ ხდებოდა სახელმწიფოს მხრიდან დახმარებებისა და ინვესტიციების განხორციელება საწარმოთა ფინანსური გაჯანსაღების მიზნით. ბოლო პერიოდში საქართველოში მოქმედი საწარმოების ზარალიანი მუშაობის შედეგებმა ცხადყო, რომ აუცილებელია საქართველოს მთავრობამ იზრუნოს გაკოტრების რეფორმის აუცილებლობაზე. ცნობისათვის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საწარმოთა რაოდენობა, რომლებმაც საანგარიშო წელი ზარალით დაამთავრეს 2007 წელს შეადგენდა-3700, 2008 წელს-4166, ხოლო 2009 წელს 5493-მდე გაიზარდა და ეს პროცესი დღემდე გრძელდება. გაკოტრების კანონის მოუქნელობის პრაქტიკული მიზეზები მისი განხორციელების პროცედურებში უნდა ვეძებოთ, რომლებიც იმდენად ხანგრძლივია რომ ზოგჯერ წლები გრძელდება და ეს საკმაოდ ხარჯიანი პროცესია.

გაკოტრების პროცედურების განხორციელებისას სახელმწიფო სტრუქტურები განსაკუთრებული უფლებებით რომ სარგებლობენ, ამას მოწმობს კონკრეტული ქმედებები სახელმწიფოს მხრიდან. კერძოდ, თუ ისინი თვლიან, რომ მენარმემ საწარმო გაკოტრებულად ვალების ჩამოწერის მიზნით გამოაცხადა, სახელმწიფო ინსტიტუტებს რეჟიმის შეწყვეტის უფლება აქვთ, თუმცა როგორ და რა პირობებით, ეს პროცესი კანონში განწერილი არ არის. კანონი სახელმწიფო სტრუქტურებს თვითნებობის საშუალებებს აძლევს. ასე რომ, კანონმდებლობა

დასახვევია.გაკოტრების რეჟიმში მყოფი საწარმოების ვალეზის გასტუმრება კატეგორიის მიხედვით ხდება.არაპრივილეგიურ მდგომარეობაში უფრო მეტად კრედიტორთა დაკმაყოფილების განრიგში მყოფი მუშა-მოსამსახურეები არიან. კანონის მიხედვით, საწარმოს მათ წინაშე 10 წლის დავალიანებაც რომ ჰქონდეთ,მხოლოდ სამი თვის ხელფასს მიიღებენ. ექსპერტთა აზრით, ქართველმა მენარმეებმა ფსიქოლოგიური მომენტი ვერ დაძლიეს, ვინაიდან მათთვის გაკოტრება საწარმოს საბოლოო განადგურებას ნიშნავს.კანონის ეფექტურობას ხშირად მასში გაუაზრებელი ცვლილებებიც აფერხებს.

დასკვნა

გაკოტრებული საწარმოების მაგალითზე ჩატარებულმა კვლევამ დაგვანახა სახელმწიფოს მხრიდან ასეთ ზარალიან საწარმოებზე მორგებული საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების აუცილებლობა.კრიზისული სიტუაციების დადგომის შემთხვევაში საწარმოებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ იაფ კრედიტებზე და ხშირ შემთხვევაში სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ასეთი ფირმების დავალიანებათა რესტრუქტურზაციაზე.სახელმწიფო რეგულაციები მიზანშეწონილია განხორციელდეს განვითარებული ქვეყნების მაგალითზე.კერძოდ გავიზიაროთ აშშ-ს სამართლებრივი საფუძვლები.აშშ-ს კანონმდებლობა რეორგანიზაცია/გაკოტრების შესახებ ვალდებულია დაიცვას როგორც კრედიტორების ისე მევალეების ინტერესები.ნორმატიული ბაზა ვალეებისაგან განთავისუფლების გზას უხსნის იმ კეთილსინდისიერ და პასუხისმგებელ მევალეებს,რომლებიც მართლაც საჭიროებენ „ახალ სტარტს“ კონკურენციის პირობებში[3].გაკოტრების ევროპული კოდექსი შეიცავს ნორმებს,რომლებიც არეგულირებენ როგორც საწარმოს ლიკვიდაციის პროცედურას,მისი არაქმედითუნარიანობის პირობებში,ისე შესაძლო რეორგანიზაციის შემთხვევებს ფინანსირების სფეროში.კანონმდებლობის ლოგიკა დაიყვანება იმ პრინციპამდე, რომ კრედიტორებისაგან დაცვა შეუძლიათ პრაქტიკულად აშშ-ს ყველა საწარმოსა და მოქალაქეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Кукукина И. Г. Учет и анализ банкротств: учеб пособие-2-е изд-М Финансы и статистика, 2007
2. საქართველოს კანონი-გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ,თბილისი 2007წ.28 მარტი
3. Федорова Г. В. Учет и анализ банкротств. „Омега-Л“,248 ს,М 2008

LIST OF REFERENCES:

1. Kukukina I. Accounting and analysis of bankruptcies: Textbook, 2 nd ed-M Finance and Statistics, 2007(In Russian Language).
2. The Law-bankruptcy Case Proceedings, Tbilisi March 28, 2007(InGeorgian Language).
3. Fedorova GV Account and the analysis of bankruptcies. Omega-L“, 248, M 2008 (In Russian Language).

ENTERPRISES BANKRUPTCY MECHANISMS AND REGULATIONS IN GEORGIA DURING CRISIS

Inga Gigauri, Academic Doctor of Business Administration, Head Teacher of GTU
Cira Elgendarashvili, Academic Doctor of Business Administration, Associate Professor of GTU

RESUME

In our country the most enterprises are unable to receive a profit and come to ruin simply because they do not have the correct strategic vision, management skills, not to mention a range of industrial, organizational, or financial irregularities that led up to crisis. Moreover, there should be considered the exogenous factors that make the same affect on a

firm's financial stability. In Georgia there are plenty of companies, that have a very large debt, but the creditors are not transferring them into the bankruptcy mode. The reason of this is the rigid bankruptcy law, bankruptcy fear and low culture. However the bankruptcy by European industry experience stipulates recovering (sanation) of enterprises. For example: In America about 2 million enterprises are declared as bankrupt. In Georgia there are many companies that need the bankruptcy, if they do not do this, these companies will be more and more destroyed. From managers of companies a great attention should be paid to the timely detection and prevention of the symptoms of the crisis. What is more, the diagnosis phase is of particular importance that covers the financial analysis of the company as well as the study of the market and industry trends.

Keywords: Crisis of Enterprises; Mode of Bankruptcy; State Regulations; Improvement of Enterprises (**Sanation**).

ადამიანური რესურსების საერთაშორისო მართვა

მანანა სამადაშვილი

სტუ ასოცირებული პროფესორი

ეკატერინე გობჯიშვილი

სტუ აკადემიური დოქტორი

რეზიუმე

ადამიანების მართვა ხელოვნებაა. ყოველი პიროვნება თავისი სულიერებით, გრძნობებით და პიროვნული მახასიათებლებით განსხვავდება ერთმანეთისაგან. ადამიანური რესურსების საერთაშორისო მართვას ახორციელებენ საერთაშორისო ორგანიზაციები მთელ მსოფლიოში, ანუ ადამიანების დასაქმების და განვითარების პროცესს ქვეყნის საზღვრებს მიღმა. ე.ი. ადამიანური რესურსებით მომარაგება, განვითარება, სტრატეგიების და პოლიტიკის შემუშავება და მათი რეალიზება, კარიერის მართვა და ანაზღაურება ჩამოყალიბება და განხორციელება შეეხება საერთაშორისო სამუშაო ძალას. ისინი მუშაობენ ხანმოკლე შეთანხმებით ან ხანგრძლივი დროით.

ადამიანური რესურსების საერთაშორისო მართვა ნიშნავს ადგილობრივი და მესამე ქვეყნის მოქალაქეების სამუშაოდ აყვანას მთავარი ქვეყნის ფილიალებში, სანარმოებსა და სააგენტოებში უცხო ქვეყნებში ან შორეულ ტერიტორიებზე. საერთაშორისო დასაქმების განვითარების მთავარი ამოცანაა განავითაროს პერსონალის შესაძლებლობები და ორგანიზაცია უზრუნველყოს მაღალი დონის კვალიფიციური ხელმძღვანელებით მომავალში მთელი მსოფლიოს მასშტაბით სანარმოების სამართავად.

ადამიანური რესურსების საერთაშორისო მართვა უფრო რთულია, ვიდრე პერსონალის მართვა ერთი ქვეყნაში. პრობლემები რომლებიც წარმოიშობება დასაქმებისა და ანაზღაურების სფეროში განპირობებულია შვილობილი კომპანიების მიერ, როგორც თავიანთი ქვეყნის მოქალაქის, ასევე მასპინძელი ქვეყნის და მესამე ქვეყნის მოქალაქეების სამუშაოზე აყვანის შემთხვევაში. მე-

ნეჯერები სირთულეების წინაშე დგებიან, როდესაც ცდილობენ ადგილობრივ პირობებში სწრაფად გარკვევას და თავიანთ ძირითად კომპანიის მოთხოვნებთან მათ შესაბამისობას. ერთობლივ საწარმოში ხშირად წარმოიშვება პრობლემები საწარმოში მომუშავე ემიგრანტებს, მასპინძელი ქვეყნის და მესამე ქვეყნის მოქალაქეებს და სპეციალისტებს შორის, რომლებიც მიწვეულნი არიან კომპანიებში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად.

საკვანძო სიტყვები: ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, კადრების საერთაშორისო მართვის მახასიათებლები, საერთაშორისო მენეჯერების კომპეტენცია, მენეჯერის განვითარება, პერსონალის შერჩევა, საერთაშორისო დასაქმებისა და განვითარების პოლიტიკა

შესავალი

ადამიანური რესურსების მართვა წარმოადგენს სტრატეგიულ და ლოგიკურ დამოკიდებულებას ორგანიზაციის ყველაზე ღირებული კაპიტალისადმი ანუ იქ მომუშავე ადამიანებისადმი, რომლებიც ცალ-ცალკე და ერთად იღვნიან ორგანიზაციის მიზნების განსახორციელებლად.

კომპანიის ეფექტური ფუნქციონირება ორგანიზაციაში პერსონალის სწორი მართვის შედეგია. ორგანიზაციის მმართველობამ უნდა უზრუნველყოს ისეთი გარემოს შექმნა, სადაც პერსონალი მაქსიმალურად გამოიყენებს თავის უნარს და შესაძლებლობებს როგორც ორგანიზაციის, ასევე თავის სასარგებლოდ, ანუ კადრების მართვა ხორციელდება, როგორც ბიზნესის მართვის პროცესის ნაწილი.

ძირითადი ნაწილი

განსხვავებულმა კულტურამ, საზოგადოებრივმა სისტემამ და არსებულმა კანონიერმა მოთხოვნილებებმა შეიძლება წარმოშვას პრობლემები მართვის პროცესში. საერთაშორისო კადრების მენეჯერებს არ ეხებათ ამ პრობლემების მოგვარება და ვერც მოახდენდნენ ამ პრობლემის დარეგულირებას.

ურთიერთობებს, რომლებსაც აწარმოებენ ადამიანები ერთ-

მანეთში პირისპირ ვერ შეცვლის ვერანაირი სრულყოფილი ელექტრონული ინფორმაციის გაცვლის სისტემაც, რადგანაც ასეთმა ურთიერთობამ შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა პრობლემების წარმოქმნა.

მომდევნო პრობლემას წარმოადგენს საერთაშორისო ოპერაციების შესასრულებლად დაქირავებული შესაბამისი კადრებით უზრუნველყოფა. პერკინსის აზრით "კონკურენტუნარიანი უნდა იყოს ბაზარი თავისი მომსახურების შეთავაზებით, მიიზიდოს და შეინარჩუნოს მაღალკვალიფიციური, მსოფლიო დონის შესაძლებლობის მქონე კადრი".

კადრების საერთაშორისო მართვის მახასიათებლებს განსაზღვრავს:

- ძირითადი განსხვავებები ქვეყანაში არსებულ კულტურაში;
- დადებითი კომუნიკაციის არსებობა ორგანიზაციასა და მთლიანად მსოფლიოსთან;
- პერსონალის კომპეტენტურობა;
- ექსპერტების მოწვევა ადგილობრივი მოთხოვნილებების დასაგენად;
- კოორდინაცია, რომელიც ოფიციალური და არაოფიციალური მეთოდების შემუშავებას გულისხმობს საერთაშორისო ბიზნესის სხვადასხვა მხარის უფრო მჭიდროდ თანამშრომლობისათვის.

საერთაშორისო დასაქმებისა და განვითარების პოლიტიკა განიხილავს სამ ძირითად საკითხს: ცენტრალიზაცია, მმართველობითი თანამდებობების შტატებით უზრუნველყოფა და ხელმძღვანელების კვალიფიკაციის ამაღლება.

დასაქმების პოლიტიკას ზედამხედველობას უწევს კორპორაციის მთავარი სამმართველო, რასაც მოიცავს ცენტრალიზაციის პოლიტიკის სფერო. შტატებით დაკომპლექტება, დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება, კარიერაში წინსვლა და ანაზღაურების გადანყვეტილებების მიღება წყდება სათაო ოფისში(ცენტრში). ეს შეეხება მმართველობაში, პროფესიულ და ტექნიკურ სამსახურებში დაკავებულ ადამიანებს. სისტემური და მსოფლიო დონის მეთოდები გამოიყენება საერთაშორისო კადრების უნარის გასავითარებლად, მათი კარიერული წინსვლისათვის, ასევე მათ

მიერ მიღწეული შედეგების დასაფასებლად და წასახალისებლად.

ადამიანური რესურსების საერთაშორისო მართვის პროცესში მმართველ თანამდებობებზე პერსონალის დანიშვნას ახორციელებენ შემდეგი სახით:

- მთავარი ქვეყნის მოქალაქების დანიშვნა ყველა ძირითად თანამდებობაზე.

ორგანიზაციის პერსონალის კვალიფიკაცია საშუალებას იძლევა საზღვარგარეთის კომპანიებს და საწარმოებს გადასცენ ორგანიზაციის ნოუ-ჰაუ, მაგრამ პრობლემა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მდგომარეობს ქვეყნის კულტურასა, განსხვავებულ პირობებსა და მართვის მეთოდებთან შეგუებაში.

- შვილობილი კომპანიის მართვა მშობლიური ქვეყნის მოქალაქის მიერ.

მშობლიური ქვეყნის მენეჯერებსა და ადგილობრივ მენეჯერებს შორის პრობლემების წარმოქმნა განპირობებულია ენობრივი ბარიერით, განსხვავებული კულტურით, არალოიალური დამოკიდებულებით.

- შვილობილი კომპანიების მართვა ნებისმიერი ეროვნების მქონე პერსონალით. პრობლემა იჩენს თავს, როდესაც ქვეყანა ითხოვს თავიანთი მოქალაქეებით კომპანიის მმართველი შტატების უზრუნველყოფას.

საერთაშორისო ორგანიზაციაში მენეჯერის თანამდებობაზე პერსონალის შერჩევა უნდა ეფუძნებოდეს მის კომპეტენტურობას არა მარტო პროფესიულ, ტექნიკურ ცოდნას და კვალიფიკაციას, ასევე პერსონალის ქცევას მისთვის უცხო ქვეყნის ტრადიციებისა და კულტურის მიმართ. პერსონალის შესარჩევად აუცილებელია ასევე გავითვალისწინოთ:

- ზეპერსონალის საზღვარგარეთული გამოცდილება;
- ახალი კულტურის ათვისების უნარი;
- ახალ გარემოში სამუშაოსადმი პერსონალის ფასეულობების შესაბამისობა

საერთაშორისო დონის მენეჯერს საერთაშორისო კორპორაციაში მუშაობის დროს მოეთხოვება ყველა ის კომპეტენტურობა, რაც ნებისმიერ მენეჯერს ორგანიზაციაში, ამასთან ერთად მათ

უნდა შეეძლოთ:

- საერთაშორისო გუნდის შექმნა და მისი მართვა;
- იმ ქვეყნის მოქალაქეების ქცევების ათვისება, კულტურის აღქმა და შეთვისება, სადაც მუშაობენ კონფლიქტის თავიდან აცილებულად;
- ეთიკური და კულტურული განსხვავების აღქმა;
- გარკვეულ სიტუაციებში ინიციატივის ხელში აღება;
- ენის მოკლე დროში ათვისება;
- ახალ გარემოში სწრაფად შეგუება და სხვადასხვა ეროვნებისა და კულტურის ხალხთან მუშაობა

დასკვნა

საზღვარგარეთ საწარმოს ან კომპანიის შექმნის დროს სასურველია მივმართოთ საერთაშორისო ან ადგილობრივ კონსულტანტებს, რომლებიც დახმარებას გაგვინწვენ მაღალი დონის თანამდებობისათვის პერსონალის შერჩევაში. ისინი უნდა იყვნენ კომპეტენტურები დასაქმების საკითხში არსებული კანონებით გათვალისწინებულ მოთხოვნებში და შეეძლოთ დადებითი ადგილობრივი კონტაქტების დამყარება.

პერსონალის კვალიფიკაცია უნდა შეესაბამებოდეს ძირითადი კომპანიის მიზნებს, იზიარებდეს მის პოლიტიკას, უნდა იყოს მოქნილი და შორსმჭვრეტელი თავის გადამწყვეტილებებში და ქმედებებში და შეეძლოს საერთაშორისო კარიერის გაკეთება ორგანიზაციაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არმსტრონგი მ. "ადამიანური რესურსების მართვა", თბილისი 2002. ჩგვ. 601
2. კუტალაძე ი. "ადამიანური რესურსების მენეჯმენტი". თბილისი: შპს „არადანი“, 1999, გვ. 443
3. პაიჭაძე ნ. „პერსონალის მართვა“, თბილისი: თსუ. 2003, გვ. 463
4. Beardwell J. and Claydon T. “Human Resource Management”. UK: Prentice hall 2007, p. 694.

REFERENCES:

1. Armstrong M. "Human Resource Management Practice", Tbilisi, 2002, p.601 (in Georgian language);
2. Kotaladze I. "Human Resource Management", Tbilisi: Ltd "Aradani", 1999, p.443 (in Georgian language);
3. Paichadze N. "Personnel Management", Tbilisi, TSU., 2003, p. 463 (in Georgian language);
4. Beardwell J. and Claydon T. "Human Resource Management". UK: Prentice hall 2007, p. 694.

INTERNATIONAL HUMAN RESOURCES MANAGEMENT

Manana Samadashvili,

Associate Professor of GTU

Ekaterine Gobejishvili,

Academic Doctor of GTU

RESUME

Human Resources management is an art. Each person differs from others with the individual characteristics and feelings. International human resources management is run by the international organizations all over the world. These organizations manage the process of employment and development of workforce beyond the country. The organizations are designed to maximize their employee performance, to develop human resources, to work out and realize policy and strategies. These organizations undertake a number of offered activities, such as career management, employee benefits design, employee recruitment, training and development. All above mentioned issues are associated with the international workforce. They work according to short-term or long-term agreement.

International human resources management means employment of citizens from the native and third countries in the branches of the main country, as well as in the enterprises and agencies in foreign countries. The main goal of international employment development is to improve

the personnel abilities and supply an organization with the highly qualified managers to run enterprises throughout the world in the future.

Furthermore, international human resources management is more difficult than the personnel management in one country. The problems, which arise in the field of employment and salary, are caused by subsidiary (associated) companies in case of employment of the personnel from the main country, the host country and the third country. Managers find it difficult to clear out the local conditions in accordance with the main company's demands. In joint ventures there are the frequent problems arisen between the working immigrants, host country's and third country's citizens and specialists, who are invited to the companies to settle problems.

Keywords: Human Resources Management; Characteristics of International Personnel Management; Competence of International Managers; Managers' Development; Personnel Selection; Policy of International Employment and Development .

ახალი ტექნიკის წარმოების მომზადების პროცესის მართვა

ქეთევან კინძარიშვილი

სტუ ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

წარმოების კონსტრუქტორული მომზადება მოიცავს წარმოების ობიექტათვის საინჟინრო-ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებათა კომპლექსის ფორმირების პროცესებს, რაც უზრუნველყოფს წარმოების მზადყოფნას ახალი ნაწარმის ოპერატიული ათვისებისა და გამოშვების სტაბილური პროცესისთვის. ის შედგება: საინჟინრო პროგნოზირებისგან; წარმოების ობიექტთა პრამეტრული ოპტიმიზაციისგან; ფუნქციონალურ-ღირებულებითი ანალიზის გამოყენებით საცდელ-კონსტრუქტორული სამუშაოებისგან; პროდუქციის კონსტრუქციის საწარმოო და საექსპლუატაციო ტექნოლოგიურობის უზრუნველყოფისგან.


საკვანძო სიტყვები: ტექნიკურ-ეკონომიკური; სერტიფიკაცია; დისკრეტული მეთოდი, უწყვეტი მეთოდი.

შესავალი

წარმოების მომზადების საინჟინრო პროგნოზირება ხორციელდება ინოვაციათა მენეჯერთან მჭიდრო კონტაქტის პირობებში. მისი მიზანია პროგნოზირებადი პერიოდისთვის მოსალოდნელი სიახლეების გამოვლენა. ამ სტადიაზე განისაზღვრება ახალი პროდუქციის სამრეწველო ათვისების ვადები და წესი; განახლების ტემპი და ახალი ტექნიკური გადაწყვეტების გავრცელების მასშტაბები, მასალებისა და ტექნოლოგიების გავრცელება. აგრეთვე განისაზღვრება ობიექტთა განვითარების შესაძლო შეზღუდვები (რესურსული, ტექნიკური, სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური).

ძირითადი ტექსტი

ახალი ტექნიკის გამოშვებისთვის წარმოების მომზადება კომპლექსურ ხასიათს ატარებს. ეს პროცესი თვალსაჩინოადაა წარმოდგენილი ნახაზზე 1. წარმოების მომზადების მართვა ევალუბათ ფუნქციონალურ მენეჯერებს.



ნახაზი 1. ახალი ტექნოლოგიის წარმოების მომზადება

პირობითი აღნიშვნები: 1 – სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები; 2 – წარმოების კონსტრუქციული მომზადება; 3 – პროგრამირება; 4 – უზრუნველყოფა; 5 – წარმოება; 6 – პროდუქცია; 7 – წარმოების ტექნოლოგიური მომზადება; 8 – ინფორმაციული უზრუნველყოფა; 9 – საცდელი წარმოება; 10 – წარმოების ეკონომიკური უზრუნველყოფა; 11 – წარმოების სოციალური უზრუნველყოფა; 12 – სამრეწველო წარმოების ათვისება; 13 – წარმოების პროგრამული უზრუნველყოფა.

წარმოების მომზადება იყოფა შიდა და გარე მომზადებად.

გარე საკითხების მოგვარებას ახორციელებენ საპროექტო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, საკონსტრუქტორო ბიუროები და სხვა ორგანიზაციები.

შიდა მომზადება კი უშუალოდ საწარმოში ტარდება.

ახალი კონსტრუქციების შექმნა ემყარება ახალ ტექნიკაზე მოთხოვნის ანალიზის შედეგებს, სადაც ნაწარმის ტექნიკური მაჩვენებლებისა და მის ეკონომიურობისადმი მომხმარებელთა მოთხოვნებია ჩამოყალიბებული.

პროდუქციის კონსტრუქციის შემუშავება ხორციელდება ეტაპობრივად. ეს ეტაპებია:

- საჭირო გაანგარიშებების შესრულება;
- ექსპერიმენტული სამუშაოების ჩატარება;
- პროექტირება და კონსტრუირება;
- საცდელი ნიმუშების დამზადება;
- საკონსტრუქტორო დოკუმენტაციის კორექტირება.

მხოლოდ ყოველივე ამის შემდეგ იწყება წარმოების ტექნოლო-

გის დამუშავება, რაც მოიცავს:

- ტექნოლოგიური პროცესების დოკუმენტაციის შექმნას.
- სპეციალური ტექნოლოგიური დანადგარებისა და აღჭურვილობის პროექტირებას და დამზადებას.

შემდეგი ეტაპია ახალი ტექნიკის წარმოებაში გაშვება, კერძოდ:

- მონოდება;
- მონტაჟი;
- წარმოების ტექნიკური აღჭურვილობის დარეგულირება;
- სერიული და მასიური პროდუქციის მისაღები გამოცდა-შემოწმება.

ყოველ მოსამზადებელ სტადიაზე ტარდება შემდეგი სამუშაოები: სამენციერო-კვლევითი (თეორიული და ექსპერიმენტული); გაანგარიშებით; საპროექტო-ეკონომიკური. ისინი შეიძლება განხორციელდეს კონკრეტულ სტადიაზე, ანდა განსხვავებული შინაარსით გამეორდეს რამდენიმე სტადიაზე, ასე მაგალითად, ეკონომიკური გაანგარიშებები და გათვლები ყველა ეტაპზე აუცილებელია, მაგრამ სხვადასხვა სტადიაზე განსხვავებული ხარისხის დეტალიზაციითა და დაკონკრეტებით.

ტექნიკური დავალებების (ამოცანების) დამუშავებისა და დამტკიცების წესი, საცდელი ნიმუშების გამოცდა-შემოწმების წესი, სერიული და მასიური პროდუქციის მიღების გამოცდა-შემოწმების ჩატარება და ახალი ტექნიკის დამკვეთის, შემუშავებელთა, მწარმოებლებისა და მომხმარებელთა ფუნქციები შესაბამისი სტანდარტებითა და მეთოდური მასალებით არის რეგლამენტირებული.

წარმოების მომზადების ორგანოთა სტრუქტურა განისაზღვრება ისეთი ფაქტორებით, როგორცაა სიახლე, სირთულე, წარმოების ტიპი, პროდუქციის განახლების სიხშირე.

Initially, 103 agricultural cooperatives are taken from the total number of cooperatives. From the regression model 3, as expected, it is found that variable the managers' concern with the board's perception of him/her (ManResponse) has a significantly positive effect on dependent variable - GRADE3. It could be said that managers care for the board of director's attitude to him/her. In addition, if there are the high

expectations coming from the board of director's managers can handle their tasks better which leads to successful operation of the agricultural cooperatives in Georgia.

The final model represents only the part of agricultural cooperatives (70 agricultural cooperatives) which have positive sales in Georgia. In other words it means that if the cooperative has zero sales in 2015 it means it does not operate in the market. Initially, in the regression model it is expected that all of the independent variables should have the positive impact on the dependent variables. Surprisingly, in the model 1 the sales of the agricultural cooperatives (LogSales) had a significant negative effect for the cooperatives principles GRADE1. This surprising result should be further investigated in future research.

In the final model 1, manager's concern with the board's perception of him/her (ManResponse), participation in the training program concerning cooperatives structures and principles (TrainingSP) and participating in the trainings regarding in management (TrainingM) as expected have a positive effect on the manager's knowledge concerning cooperatives principles.

In the final model 3, manager's concern with the board's perception of him/her (ManResponse) has the positive effect on the mixed grade of manager's knowledge about the cooperatives principles and the managers versus to board of director's responsibilities.

Results of the regression models implies that there are an opportunities to broaden the managers' knowledge/capabilities concerning the cooperative principles and management. In other words it means that training programs in structure & principle and in management substantially positively affect managers' performance in Georgia. At the same time better skilled managers substantially positively affect the success and operation of the agricultural cooperatives in the country.

From the regression models it is found that variable the managers' concern with the board's perception of him/her (ManResponse) has a significantly positive effect on dependent variable - GRADE. In other words it could be said that managers can cope their tasks better if there are high expectations coming from the board of directors of the agricul-

tural cooperatives. Therefore, manager's better performance caused by the board of director's expectations lead as a success and proper operation of the agricultural cooperatives in the country. Based on the research if there is higher expectation of board of directors to managers, the managers have higher intention to perform better.

This research will be the step forward in broadening the knowledge in agricultural cooperatives area which may help to develop the policy making and consequently may support decision makers to address the problems faced in agricultural cooperation in Georgia.

REFERENCES:

1. Adrian, John. L., and Thomas Wade Green. 2001. Agricultural Cooperative Managers and the Business Environment. *Journal of Agribusiness*, 19 (1): 17 – 34.
2. Akwabi-Ameyaw, Kofi. 1997. Producer cooperative resettlement projects in Zimbabwe: Lessons from a failed agricultural development strategy. *World Development* 25: 437 - 456.
3. Bruynis, C., D. E. Hahn, and W. J. Taylor. 1997. Critical success factors for emerging agricultural marketing cooperatives. *American Cooperation*, pp. 50 - 54. [An annual publication of the National Council of Farmer Cooperatives (NCFC), Washington, DC.]
4. Cook, Michael. L. 1994. The Role of Management Behavior in Agricultural Cooperatives. *Journal of Agricultural Cooperatives*, Vol. 9: 42 - 58.
5. Cropp, Robert. 2002. Historical development. Wisconsin Center for Cooperatives, University of Wisconsin-Madison, USA.
6. Mather, J. Warren., Gene Ingalsbe, and David Volkin. 1990. Cooperative management. USDA Cooperative Information Report No. 1, Section 8. U.S. Department of Agriculture, Washington, DC.
7. Meyer, Tammy. M. 1994. Cooperative business principles. USDA Consumer Information Report. U.S. Department of Agriculture, Washington, DC.
8. Van Niekerk, JAS. 1988. Co-operative theory and practice. Silvertown, Pretoria: Promedia Publications.

ტრეინინგის მნიშვნელობა ადამიანური რესურსების მართვის პროცესში

მანანა სამადაშვილი

სტუ ასოცირებული პროფესორი

ეკატერინე გობეჯიშვილი

სტუ აკადემიური დოქტორი

რეზიუმე

ცვლილებები ორგანიზაციის პოლიტიკასა და სტრატეგიაში განაპირობებს ძირეულ ცვლილებებს პერსონალის მართვის სფეროშიც. ორგანიზაციის გარე თუ შიდა ფაქტორთა სწრაფი ცვლილება აიძულებს უზრუნველყოფილი იქნას ორგანიზაცია მისთვის შესაბამისი უნარ-ჩვევებისა და კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსით.

პრიორიტეტული ხდება ადამიანური რესურსების მართვის პროცესში ეფექტური ტრეინინგების თანამედროვე სისტემის გამოყენება. პერსონალის ცოდნის დონის ამაღლება და პროფესიული ჩვევების განვითარება ხელს უწყობს პერსონალის ფასეულობათა ახალი სისტემის ჩამოყალიბებას ორგანიზაციის სტრატეგიის შესაბამისად, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ორგანიზაციის ეფექტურ მუშაობას.

აქედან გამომდინარე, თანამედროვე ტრეინინგების სისტემის გამოყენების დანერგვა ნებისმიერ ორგანიზაციაში წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ და პრიორიტეტულ ამოცანას.

საკვანძო სიტყვები: ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, პერსონალის ტრეინინგი, პერსონალის მართვის სამსახურის ფუნქციები, ტრეინინგის შეფასების კრიტერიუმები

შესავალი

ტრეინინგი მრავალსიმომცველი სიტყვაა. იგი ერთდროულად სწავლებას, კვალიფიკაციის ამაღლებას, მომზადება-გადამზადებას, აღზრდასა და წვრთნას ნიშნავს.

თანამედროვე ბიზნესის პირობებში თვისებრივად იცვლება კომპანიების, დაწესებულებების ორგანიზაციული სტრუქტურა. ასევე ორგანიზაციების მენეჯმენტისა და ადამიანური რესურსების მართვის პრინციპები და მათდამი მიდგომებიც.

ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ თავის თანამშრომლებს უნდა შეუქმნას ისეთი სამუშაო გარემო, სადაც ორგანიზაციის პერსონალი მაქსიმალურად გამოიყენებს თავის უნარს და შესაძლებლობებს როგორც ორგანიზაციის, ასევე თავის სასარგებლოდ, ანუ კადრების მართვა განხორციელდება, როგორც ბიზნესის მართვის პროცესის ნაწილი. ადამიანური რესურსების ფუნქციები განსაზღვრავენ ისეთ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ორგანიზაციებში პერსონალის მართვასთან და მის განვითარებასთან. ეს ეხება ისეთ სფეროებს, როგორიცაა: ადამიანური რესურსების დაგეგმვა, პერსონალის შერჩევა და განვითარება, დაქირავებულთა ნახალისება, პერსონალის ტრენინგი, ჯანდაცვა, უსაფრთხოება, ადამიანური რესურსების ადმინისტრირება და სხვა.

ტრენინგების თანამედროვე სისტემის დანერგვა განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

1. ორგანიზაციაში ნებისმიერი სახის ინოვაციათა დანერგვით;
2. ადამიანური რესურსების როლის მნიშვნელოვანი გაზრდით;
3. ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნების და ამოცანების მიღწევებით.

ტრენინგის თანამედროვე სისტემის მიზანს და ამოცანებს წარმოადგენს:

- ორგანიზაციაში პროფესიულ-კვალიფიციური კადრების მომზადება ნებისმიერი თანამდებობის შესაბამისად
- ახალმიღებული თანამშრომლის პროფესიული ცოდნის დონის ამაღლება

ქირითაღი ნაწილი

ტრენინგების ნებისმიერი სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ტრენინგის საჭიროებათა განსაზღვრა. უცილებელია გაიმიჯნოს ახალმიღებულთა და

ორგანიზაციაში უკვე გარკვეული პერიოდის განმავლობაში მომუშავეთა ტრენინგების პროგრამები. პირველ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგებს, თუ რამდენად კარგად არის შესრულებული. მეორე შემთხვევაში კი რაში მდგომარეობს სამუშაოს არასათანადო დონეზე შესრულების მიზეზი.

პერსონალის ტრენინგის ჩატარება ატარებს პერიოდულ ხასიათს. ტრენინგის პერიოდულად ჩატარება განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

1. თეორიულ-მეთოდოლოგიური ცოდნის და პრაქტიკული მიდგომების პერიოდული სრულყოფა-განვითარების აუცილებლობა;
2. საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის შექმნის აუცილებლობა და შემდგომში მისი სრულყოფა-განვითარება;
3. ახალმიღებული თანამშრომლის სამუშაოზე ადაპტირება;
4. პერსონალის დაწინაურება სამუშაოზე;
5. პერსონალის კვალიფიკაციის შეუსაბამობა სამუშაოს მოთხოვნებთან;
6. ახალი პროფესიულ-კვალიფიკაციური მოთხოვნების შეუსაბამობა;
7. პერსონალის მართვის ახალი, თანამედროვე პროცედურების დანერგვა;
8. პერსონალის განვითარების აუცილებლობა;
9. ახალი პრაქტიკული მიდგომების გამოყენება;
10. პერსონალის არადაამაკმაყოფილებელი მუშაობა და სხვა.

ტრენინგების სისტემის მართვაში განსაკუთრებული როლი ეკისრება პერსონალის მართვის სამსახურსა და მის სასწავლო ცენტრს. მათ ძირითად ფუნქციებად მოიაზრება:

- ტრენინგების მეთოდოლოგიური საფუძვლების მომზადება;
- ტრენინგების ორგანიზაციული და მეთოდური მხარდაჭერა;
- ტრენინგების დაგეგმვა და განხორციელება;
- ტრენინგების კოორდინირება და ხელმძღვანელობა;
- ტრენინგების ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა;
- საქმიანი ურთიერთობების დამყარება სასწავლო დაწესებულებებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სხვა სახელმ-

ნივთო უწყებებთან;

- ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება ტრეინინგებსა და ადამიანური რესურსების განვითარებასთან დაკავშირებით ტრეინინგის შეფასებას განსაზღვრავენ შემდეგი კრიტერიუმები:

- ტრეინინგში მონაწილე პერსონალის რეაქციები;
- ტრეინინგში მონაწილე პერსონალის მიერ შეთვისებული ფაქტები, პრინციპები და უნარები;

- ტრეინინგის პროგრამის გავლის შედეგად მუშაობის პროცესში გამოწვეული ცვლილებები;

- ტრეინინგის პროგრამის გავლის შედეგად მიღებული შედეგები, რაც გამოიხატება მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებაში

ტრეინინგის და განვითარების პროგრამების შედეგებისას გათვალისწინებული უნდა იყოს მათი გამოყენების შედეგად მიღებული შედეგების პოზიტიურობა, ნეგატიურობა ან ნეიტრალურობა.

ტრეინინგის პროგრამის შედეგის დროს დადებითი შედეგი განპირობებულია შემდეგით:

1. სამუშაო გარემოსა და ტრეინინგის ჩატარების მაქსიმალური სიახლოვით;

2. რეალურ სამუშაო პირობებში ტრეინინგის მონაწილეთათვის მიწოდებული ცოდნის და მისი გამოყენების პრინციპების სწორად გამოყენებით;

3. მან მონაწილეებს უნდა მისცეს რეალური სიტუაციის გამკლავების აუცილებელი გამოცდილება

ტრეინინგში წარმატების მიღწევის მოტივაციაზე გავლენას ახდენენ შემდეგი ფაქტორები:

- პოზიტიური სამუშაო გარემო;
- ადამიანის სუსტი მხარეების გამოსწორება ტრეინინგის მეშვეობით;

- ტრეინინგის შედეგების ეფექტურად გამოყენება;
- მწვრთნელის, ხელმძღვანელის და თანამშრომლების მხრიდან უკუკავშირის არსებობა;

- ტრეინინგის პროგრამის გავლის შედეგად მიღებულ სასურველ შედეგებში დარწმუნება

დასკვნა

ტრენინგი განსაზღვრავს ორგანიზაციაში საჭირო ცვლილებებს და მოთხოვნებს როგორც პერსონალის, ასევე ორგანიზაციის მიზნების და ამოცანების დეტალური ანალიზის საფუძველზე. პროგრამის ეფექტურობის განსაზღვრისათვის ტრენინგის გავლის შედეგად მიღებული შედეგები უნდა შევადაროთ საწყის მონაცემებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შევიტანოთ ცვლილებები.

ტრენინგის შედეგები შეიძლება შეფასდეს:

- ორგანიზაციაში უკვე არსებული ტრენინგების სისტემის ნაკლოვანებებით და მიღწევებით;
- ტრენინგის დასრულების შედეგად მიღებული ცოდნის გამოყენებით კონკრეტული სამუშაოების შესასრულების დროს;
- ახალი და ეფექტიანი სასწავლო პროგრამებით შედგენით და მისი გამოყენებით;
- სასწავლო პროგრამების ორგანიზაციის სტრატეგიასთან შესაბამისობით;
- სწავლების ეფექტიანი მეთოდების და ფორმების გამოყენებით;
- ორგანიზაციის პერსონალის მიერ ტრენინგის სისტემის შეფასებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კუტალაძე ი. „ადამიანური რესურსის მენეჯმენტი“, თბილისი: შპს „არადანი“, 1999, გვ. 443
2. პერსონალის მართვა., ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი გურგენიძე ვ., UNDP., 2005, თბილისი. გვ. 551
3. არმსტრონგი მ. „ადამიანური რესურსების მართვა“, თბილისი 2002. გვ. 601
4. Beardwell J., Claydon T., Human Resource Management, A Contemporary Approach., (5th Edition), FT Prentice Hall., Spein., 2007. p.694

REFERENCES

1. Kutaladze I. Human Resource Management, Tbilisi: Ltd “Aradani”, 1999, p.443 (in Georgian language)
2. Gurgenidze V.”Human Resource Management”, Tbilisi, 2005.p.551(in Georgian language)
3. Armstrong M.”Human Resource Management Practice”, Tbilisi, 2002.p.601(in Georgian language)
4. Beardwell J. and Claydon T. “Human Resource Management”. UK: Prentice hall 2007, p. 694.

THE IMPORTANCE OF TRAINING IN HUMAN RESOURCES MANAGEMENT PROCESS

Manana Samadashvili

Associate Professor of GTU

Ekaterine Gobejishvili

Academic Doctor, GTU

RESUME

Changes in the policy and strategy of an organization stipulate the essential changes in the sphere of personnel management. Rapid changes in the organization’s outer and inner factors make the organization be provided with the appropriately qualified and skilful human resources.

The use of contemporary and effective training systems in human resources management process become priveleged. Knowledge upgrading in the peronnel and development of professional skills promote forming a new system of personnel value according to the organization’s strategy, that stipulates the effective work of the organization.

Thus, implementation of contemporary training system in any organization represents one of the most important and priveleged item.

Keywords: Human Resources Management; Personnel Training; The Functions of Personnel Management Services; Criteria of Training Evaluation.

მარკეტინგული პროცესების მართვაში სინერგეტიკული მიდგომის თავისებურებები

ნანა ნადირაშვილი

გორის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტის მასწავლებელი,
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

ეკონომიკური ზრდის მოდელში წამყვანი უნდა გახდეს ახალი ტექნოლოგიების, კერძოდ, პროდუქტებისა და მომსახურების ინოვაციური პროცესების სისტემა, რომლებიც, ჩვენი აზრით, სინერგეტიკული მიდგომით გამოირჩევა. ინოვაციური მიდგომა უნდა განვიხილოთ როგორც სიახლეთა შექმნის, შემოქმედების სიღმისეული პროცესი, როგორც ინოვაციური ალტერნატივის მაქსიმალურად რეალიზების, ინოვაციურ მოთხოვნათა და სამეწარმეო ძალისხმევებისა და ღონისძიებების პერმანენტული პროცესი.

მარკეტინგის სისტემის მართვისას მეცნიერული მიდგომებით, მით უფრო სინერგეტიკული და სინერგეტიკული იდეების მომარჯვებით ვეზიარებით ახალ ინოვაციურ მეთოდებს, რომელთა მეშვეობით შედეგად ვიღებთ არსებითად სრულიად ახალ ჯგუფს. სინერგეტიკული იდეების გამოყენება გვეხმარება მართვის ეფექტიანობის ამაღლებაში, კერძოდ, განსაკუთრებული დანახარჯების გარეშე შევიცნოთ და გავიაზროთ მნიშვნელოვანი ხარვეზები და მათი აღმოფხვრის გზები. სწორედ ასეთი მიდგომით შეიძლება მოვახდინოთ სახსრების და ხარჯების დაზოგვა-მინიმიზირება.

საკვანძო სიტყვები: სინერგეტიკული მიდგომა, მარკეტინგი, ინოვაცია.

შესავალი

ინოვაციური შინაარსის შემცველი მიდგომები, არის არა რაღაც სიახლის დანერგვის ერთჯერადი აქტი, არამედ დამუშავების, დანერგვის, შეჯერება-ათვისების, წარმოების, დიფუზიისა და

სიახლეთა კომერციალიზაციის ღონიძიებათა მიზანმიმართული სისტემა.

სინერგია ხელს უწყობს და უზრუნველყოფს მთლიანი სისტემის გამართულ მუშაობას, დიდი ეფექტის მიღებასა და მიღწევას, ვიდრე ერთად აღებული ცალკეული ქვესისტემებისა და შემადგენლების ეფექტიანი ჯამურობა.

ქირითალი ტექსტი

სინერგია ეკონომიკაში ნიშნავს სტრატეგიულ უპირატესობებს, რომლებიც წარმოიშობა ერთიანი, ერთობლივი ხელმძღვანელობით ორი ან მეტი სანარმოს შეერთება-თავმოყრით. ამ დროს მატულობს და მაღლდება ეფექტიანობა, რომელიც გამოვლინდება ნაყოფიერების ზრდით, წარმოების დანახარჯების შემცირებით: ასე რომ, პრობლემების გასამკლავებლად ერთობლივი მოქმედებით მიიღწევა უფრო დიდი და მაღალი ეფექტი, ვიდრე ინდივიდუალური ძალისხმევით. სინერგეტიკული ეფექტი სანარმოს დონეზე შეიძლება შეფასდეს სანარმოს მუშაობის შედეგების მიხედვით; დარგში გაერთიანებისა და კონკურენციის გაძლიერებით; ორგანიზაციის პერსონალისა და ნოვატორ-ინოვატორების არაწინააღმდეგობრივი ურთიერთმოქმედებით; მართვის წესებითა და მარკეტინგის ვარიაციული სახესხვაობით; პიროვნული და პროფესიულ-პროფესიონალური განვითარების სრულყოფით.

სინერგეტიკაში გასაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ატრაქტორის გაგებას, რომელიც სინონიმია სიტყვა „მიზანისა“, როგორც საბოლოო მდგომარეობის“ გამომხატველისა. ცნება ატრაქტში, გულისხმობენ „სისტემის შედარებით მყარ ვითარებას“, რომელიც თავისკენ იზიდავს სისტემის ტრაექტორიების მთელ სიმრავლეს, რომლებსაც სხვადასხვა სანყისი პირობა აქვს. თუ არამყარი, არამდგრადი სისტემა მოხვდება გარკვეული ატრაქტორის მიზიდულობის არეში, სისტემა გარდაუვლად გადაიხრება მდგრადი მდგომარეობის განვითარებისაკენ და შეუძლია ამ მდგომარეობაში დაჰყოს მანამ, სანამ სისტემა რაიმე მიზეზით კვლავ არ დაუბრუნდება არამყარ მდგომარეობას.

სინერგეტიკის საგნის სპეციფიკა ისაა, რომ იგი ხაზობრივი

აზროვნების თვალთახედვით ღია სისტემებში შეისწავლის თვითორგანიზაციის პროცესებს. *თვითორგანიზება* არის მოწესრიგებულობის, ურთიერთობების, ურთიერთკავშირებისა და შეზღუდულობათა თვითნებურად წარმოშობილი პროცესი, რაც მეტად მნიშვნელოვანია თანამედროვე მართვაში. თვითორგანიზების პროცესის მსვლელობისას სისტემამ შეიძლება შეიძინოს ნიშანდობლივი თვისებები, რომლებსაც მის შემადგენელ ელემენტთაგან არ ფლობს არც ერთი. ამიტომაც მკვლევრები სინერგეტიკას, როგორც ასეთს – თავისთავადს მიიჩნევენ, რასაც ჩვენც ვიზიარებთ, მეტიც: იგი არის მეცნიერება ახალი თვისებების წარმოჩენის შესახებ. ცხადია, სინერგეტიკა არ წარმოადგენს მთლიან, სრულიად ჩამოყალიბებულ სამეცნიერო დარგს. ამიტომ იმყოფება იგი ჩამოყალიბებისა და ინტენსიური განვითარების ეტაპზე, რადგანაც, თუნდაც ეკონომიკაში ახალი დამოუკიდებელი დისციპლინა დგამს ნაბიჯებს დისციპლინათშორისი გამოკვლევების გზაზე. ეს რომ ასეა, ცხადყოფს განსხვავებულ სამეცნიერო სფეროთა წარმომადგენლების სწრაფვა სინერგეტიკისაკენ, მისი უფრო ღრმად წვდომის, შეცნობისა და გამოყენებისაკენ. განსაკუთრებით ეს ითქმის მარკეტინგის დარგის წარმომადგენლებზე.

მარკეტინგის სისტემის მდგომარეობა შეიძლება დავინახოთ ორხარისხოვნად: უპირველესად, ეს გახლავთ: 1) რელაქსაციის უნარი და 2) ენტროპიის კონდენსაციის დონე.

სტაციონარული მდგომარეობის შესანარჩუნებლად სისტემისათვის აუცილებელია მუდმივი ენერგია, რომელიც აუცილებელია ნახტომების შემდეგ განუწყვეტელი მოწესრიგებისათვის. თუ სისტემა ხაზობრივი და იტერატიულია, ის შეიძლება იყოს განუწყვეტელივ ანუ სიცოცხლისეული ციკლი პერმანენტულია. არახაზობრივ სისტემაში იტერატიულობის რამდენიმე რაოდენობის შემდეგ იწყება შეუქცევადი პროცესები, რამდენადაც იდეალური სახაზო სისტემები არ არსებობს, დისკრეტიულობა საბოლოოდ აუცილებლად წარმოჩინდება. პერმანენტობა და დისკრეტიულობა აუცილებელი პირობებია, რომლებიც უზრუნველყოფენ სისტემის სასიცოცხლო ციკლს.

მარკეტინგის სისტემის არსი მდგომარეობს მოწესრიგე-

ბლობიდან მუდმივი მონესრიგებულობისაკენ. ასე რომ, მარკეტინგის სისტემურობა მონესრიგებულობაა. მონესრიგებულობის დანყების ძირითადი ნიშანია სისტემის ქცევაში ბიფურკაციების რიცხვის სულ უფრო გაზრდადობა – მზარდი გადიდება.

სინერგეტიკული მიდგომა გულისხმობს იმანენტური (საგნის შინაგანი ბუნების) და ტრანსცენდენტური (კვლევის საზღვრებს მიღმა არსებულის) მოვლენების ან მისი გამოვლინებების შესწავლას, რომლებიც სისტემაში ფლუქტუაციას ინვევენ, რომლებიც თავის მხრივ განიხილება როგორც ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის შედეგები – როგორც ცვლილებების მიზეზები ან ნანამძრვრები.

მარკეტინგის მართვის სისტემის შეფასებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სინერგეტიკული მიდგომის ინოვაციური გამოყენება. პირველ ყოვლისა, გასათვალისწინებელია, მარკეტინგის განხრის მენეჯერი მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი იყოს და იგი, როგორც არაერთი ეკონომიკური დისციპლინის მცოდნე, აღიჭურვოს ყველა მონინავე იდეითა და მართვის ფორმით, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდა შეისწავლოს, გამოიყენოს და დანერგოს პროგრესული ცოდნა და ინოვაციური ტექნოლოგიები, მეორე მხრივ სისტემის ფუნქციონირების შესწავლა-დაკვირვებისას მან უნდა გააანალიზოს და შეაფასოს სისტემა, იმავდროულად უნდა გაითვალისწინოს და პროგნოზირება მოახდინოს იმ მდგომარეობებისა, რომლებსაც შეუძლიათ გავლენის მოხდენა საწარმოს მთლიანი საქმიანობის შედეგებზე. რადგანაც შემამფოთებელ სიტუაციებში სრულყოფილი ეკონომიკური სისტემები ფლობენ სიმყარეს და საწინააღმდეგო-საპირისპირო მოქმედების შესაძლებლობას, რომელიც ინვევს დინამიზმის რეჟიმის დარღვევას, საწარმოს ხელმძღვანელობამ უნდა უპასუხოს იმ პროცესების განვითარებით, რომლებიც მონოდებული არიან ამ ზემოქმედებათა კომპენსაციაზე ან კიდევ მათ ნეიტრალიზებაზე.

სინერგეტიკამ ანუ თვითორგანიზაციის თეორიამ უკვე გამოიკვლია რთული სისტემების ევოლუციის საიდუმლოს ბუნება, რომელსაც შეუძლია შეასრულოს მართვისათვის მძლავრი ფუნდამენტობის ფუნქცია, რომელიც ორიენტირებულია შეცნობა-

დობაზე, თვითორგანიზებდი ტენდენციების ამოქმედებასა და მხარდაჭერაზე.

ჩვენი აზრით, მართვისადმი სინერგეტიკული მიდგომა იმაში მდგომარეობს, რომ მომავალი უნდა აშენო, საჭიროა კვლავ აშენო, მაგრამ ამავდროულად ორგანიზაციამ საკუთარი თავის კონსტრუირებაც უნდა მოახდინოს. ეს გახლავთ არსებულ სინამდვილესთან განუწყვეტელი მცდელობა-ექსპერიმენტირება.

მართვის ტრადიციული სქემები ჩვეულებრივ „თანამშრომლობს“ აღმოცენებული გარდაქმნების შედეგებთან. ინოვაციური ამოცანა ის გახლავთ, რომ შექმნას მართვის ის მეთოდები, რომლებიც მისადაგებული იქნება არა მხოლოდ გარდაქმნების, არამედ გარდაქმნების ტემპთანაც. ამისათვის კი საჭიროა შეიქმნას თვითცვალებადი სტრუქტურები, რომლებიც იმუშავებენ თვითცვალებადი წესებით და მასთან ერთად მოახდენენ შეთანხმებული ქცევის დემონსტრირებას. ამავდროულად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს წმინდა ადამიანური ფაქტორი, რომელიც დაფუძნებულია ნდობაზე, სოლიდარობაზე, ერთგულებაზე, თავდადებაზე, აგრეთვე ორგანიზაციის მდგომარეობის მართვის მგრძობელობაზე.

დასკვნა

ამგვარად, ჩვენ გამოვყავით სინერგეტიკული მიდგომის შემდეგი უპირატესობები: ა) ორგანიზაციის შიგნით ევოლუციური პროცესების შეგნებული გამოყენება, რომლებიც მიმდინარეობს მარეზულტირებადი ორი ძალის ზემოქმედებით: კერძოდ, გარეგანი ფლუქტუაციებით და სისტემის შინაგანი რეაქციებით; ბ) თვითცვლილებადი სტრუქტურების შექმნა, რომლებიც მუშაობს თვითცვალებადი წესების მიხედვით და ამასთანავე ადასტურებენ შეთანხმებულ ქცევას; გ) ღია სისტემებში თვითორგანიზაციის პროცესების შესწავლა არხაზობრივი აზროვნების ზეგავლენის კუთხით; დ) პერმანენტულობისა და დისკრეტულობის იმიტაციური მოდელირება – იმ სავალდებულო პირობების, რომლებიც განსაზღვრავენ სისტემის სასიცოცხლო ციკლს; ე) გარეშე შემამოფოთებელი იმპულსების ფიქსაცია, რომლებიც აღმოცენდება

მაკროსისტემაში და პარალელურ სისტემებში, ინფორმაციის შეკუმშვა, შეკვეცა და დამუშავება ამ შემოფოტებების შესახებ, შინაგანი იმპულსების შერჩევა, რომლებიც სისტემას საშუალებას მისცემს მოახდინოს გარეშე ზემოქმედებებისადმი ადაპტირება; ვ) ახალი ხარისხის აღმოცენების გამო განსხვავებული მასშტაბის სტრუქტურული დონეების კავშირის განხორციელება სისტემის ნაწილაკების კოოპერირების სახით, რაც უზრუნველყოფს სინერგეტიკული ეფექტის წარმოჩენას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ე. ბარათაშვილი, ვ. დათაშვილი, გ. ნაკაიძე, რ. ქუთათელაძე - ინოვაციების მენეჯმენტი, თბ. 2008.
2. ა. აბრალავა, ლ. გვაჯაია, რ. ქუთათელაძე - საინოვაციო მენეჯმენტი, თბ. 2009.

REFERENCES:

1. E. Baratashvili, V. Datashvili, G. Nakaidze, R. Kutateladze – Management of Innovations, Tb.2008. (in Georgian Language).
2. A. Abralava, L. Gvajaia, R. Kutateladze – Innovation Management, Tb.2009. (in Georgian Language).

THE PECULIARITIES OF SYNERGISTIC APPROACH IN THE MANAGEMENT OF MARKETING PROCESSES

Nana Nadirashvili, Teacher of Gori State
Teaching University, GTU PhD Student

RESUME

The system of new technologies, particularly the innovative processes of products and services, having distinguished a synergetic approach in our opinion, should become a key model for economical growth. The innovative approach shall be discussed as the depth process of making novelties and creative work, as well as the maximal realization of innovative alternative, permanent process of innovative demands and entrepreneurial facilities and efforts.

During managing the marketing system with scientific methods, especially with synergism and synergetic ideas, we are introduced to the new innovative methods as a result of which we get completely the original group. The usage of synergetic ideas helps us to increase the management effectiveness, particularly to realize and become aware of important defects and their remedies without the special expenditures. Such method makes it possible to conserve-minimize the resources and costs.

Keywords: Synergistic Approach; Innovation; Marketing.

ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების (IMC) ბანკითარების პირითაღი ეტაპები

ნინო დგვევაძე
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

ტრადიციული მარკეტინგული თეორიების სახეცვლილების შესწავლა და ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების (IMC) კონცეფციის ჩამოყალიბება და ტრანსფორმაცია ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად არის მიჩნეული მარკეტინგის სფეროში მოღვაწე მკვლევარებისთვის მთელი მსოფლიოს მასშტაბით. აღნიშნული სტატიის მიზანია მარკეტინგის სფეროში მოღვაწე მკვლევარების ნაშრომების შესწავლის და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე მივიღოთ ნათელი სურათი იმისა, თუ რა ტენდენციებით ხასიათდება IMC-ს კონცეფცია მისი წარმოშობის დღიდან დღემდე და როგორ მოხდა მისი მნიშვნელობის ტრანსფორმაცია. ასევე, სტატია მოიცავს IMC-ის თანამედროვე მკვლევარების ნაშრომების ანალიზს და მის აქტუალურ განმარტებას. თუ ტრადიციული მარკეტინგული კომუნიკაციების მთავარი საფუძველი იყო მარკეტინგული მიქსი, IMC-ის თანახმად, მისი ფუნდამენტი არის მთლიანად ორგანიზაცია. ინტეგრაცია არის არა მხოლოდ მარკეტინგული მიქსის სხვადასხვა ელემენტების კოორდინირება, არამედ კონკურენტული უპირატესობა, რომელსაც შეუძლია ურთიერთობის ოპტიმიზაცია შეტყობინებებს, არხებს და მიმღებებს შორის (1).

საკვანძო სიტყვები: ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები (IMC); შიგნიდან-გარეთ მიდგომა; გარედან-შიგნით მიდგომა; ჯვარედინფუნქციური მიდგომა; მარკეტინგის სახეცვლილება; ინტერაქტიული კომუნიკაცია; ინტეგრაცია; ერთხმოვანება; ერთსახოვნება; ბრენდის კომუნიკაცია.

შესავალი

IMC-ს კონცეფციის სახეცვლილება და მისი მუდმივი განვითარება, ძირითადად, განპირობებულია მუდმივი დიჯიტალური სიახლეებით, ახალი არხების დაბადებით და მედია არხების ფრაგმენტაციით. დიჯიტალიზაცია და ინფორმაციული კავშირები გარდაქმნიან უშუალოდ კომუნიკაციის არსს, რომელიც აკავშირებს მომხმარებელს და ბრენდებს. IMC-ი კონცეფციის საწყისი, ე.წ. “შიგნიდან-გარეთ” ხედვის მიდგომა, რომელიც გულისხმობდა მხოლოდ მარკეტინგული საკომუნიკაციო არხების ინტეგრაციას ტაქტიკურ დონეზე და კომპანიისგან წამოსული ნებისმიერი სახის კომუნიკაციის “ერთხმოვანებას” (2), წარსულს ჩაბარდა. აღნიშნულმა კონცეფციამ მნიშვნელოვანი სახეცვლილება განიცადა თანამედროვე საკომუნიკაციო არხების განვითარების პარალელურად.

ფრენკ მულჰერნი თავის ნაშრომში აცხადებს, რომ “მედიის დიჯიტალიზაცია წარმოადგენს კომუნიკაციების ისტორიის ცვლილების ფაზას” (3) და სწორედ ეს ტრანსფორმაციის ფაზა ხდის IMC-ს საინტერესოს მთელი მსოფლიოს მასშტაბით მარკეტინგის სფეროში მოღვაწე მკვლევარებისთვის.

ძირითადი ნაწილი

IMC-ის თემაზე პირველი კვლევა განხორციელდა ქივუდის, შულცის და ვანგის (2) მიერ 1980-იანი წლების ბოლოსკენ და პირველი კონცეპტუალური იდეები 1993 წელს გამოქვეყნდა ნიგნში “Integrated Marketing Communications” შულცის, თანენბაუმის და ლაუთერბორნის ავტორობით (4). სწორედ ამ ნიგნში მკვლევარები გვთავაზობენ 60-იანი წლების მიდგომის და მაკარტნის 4 P-ს ჩანაცვლების საჭიროებას 4 C მოდელით: მომხმარებელი (Consumer) პროდუქტის ნაცვლად, ხარჯები (Costs) ფასის ნაცვლად, მოხერხებულობა (Convenience) ადგილის ნაცვლად და კომუნიკაციები (Communication) სტიმულირების ნაცვლად.

ამ პერსპექტივას აგრძელებენ დუნკანი და მორიართი, გვთავაზობენ რა “კომუნიკაციაზე დაფუძნებულ ურთიერთობათა მარკეტინგის” მოდელს, რომელშიც კომუნიკაცია და არა დარწ-

მუნება არის მომხმარებელზე ფოკუსირებული მარკეტინგული ძალისხმევის საფუძველი (5). მიუხედავად იმისა, რომ კომუნიკაცია ყოველთვის მარკეტინგის კრიტიკული ელემენტი იყო, ავტორები ცდილობენ წარმოაჩინონ, რომ ინტერაქტივის მაღალი დონე კიდევ უფრო ფასეულს და მნიშვნელოვანს ხდის კომუნიკაციის როლს.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში IMC-ს კონცეფციის განვითარება შემდეგი სახით შეიძლება კლასიფიცირდეს (1), ესენია:

1. “შიგნიდან-გარეთ” (Inside-Out) მიდგომა
2. “გარედან-შიგნით” (Outside-In) მიდგომა
3. “ჯვარედინ-ფუნქციური” (Cross-functional) სტრატეგიული მიდგომა

“შიგნიდან-გარეთ მიდგომა”

IMC-ის კონცეპტუალიზაციის საწყის ეტაპზე მომხმარებელზე ორიენტირება არ იყო მისი საფუძველი. IMC წარმოადგენდა შედარებით მარტივ კონცეფციას, რომელიც გულისხმობდა მარკეტინგული კომუნიკაციების გაერთიანებას და ინტეგრაციას ბრენდის “ერთხმოვანებისთვის”. Northernwestern University-ის მიერ შემოთავაზებული IMC-ს ერთ-ერთი პირველი განმარტება ამერიკის სარეკლამო სააგენტოების ასოციაციის (AAAA) მიერ იქნა მიღებული 1989 წელს და ის შემდეგნაირად ჟღერს: “მარკეტინგული კომუნიკაციების დაგეგმარების კონცეფცია, რომელიც აღიარებს სრულყოფილი გეგმის დამატებით ღირებულებას, აფასებს სხვადასხვა საკომუნიკაციო დისციპლინების სტრატეგიულ როლს, როგორცაა მაგ. რეკლამა, პირდაპირი გამოსხაურება, გაყიდვების სტიმულირება და საზოგადოებასთან ურთიერთობა და აერთიანებს ამ დისციპლინებს, რათა უზრუნველყოს სიცხადე, თანმიმდევრულობა და კომუნიკაციის მაქსიმალური ზეგავლენა”. ამ განმარტების თანახმად, მიუხედავად სიტყვა “სტრატეგიულისა”, IMC არის მხოლოდ ტაქტიკური იარაღი, რომლის საშუალებითაც სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების ინტეგრაციით ხდება “ერთხმოვანების” მიღწევა. აღნიშნულ კონცეფციას აკლია მთლიანი კომპანიის სტრატეგიული ხედვა და სწორედ ამაში მდგომარეობს მისი სისუსტე.

ანალოგიურად, მკვლევარებმა დუნკანმა და ევერეტმა 1993

წელს შემოგვთავაზეს IMC-ის ავტორებისეული განმარტება, როგორც აღქმული ბრენდის ღირებულებაზე გავლენის მოსახდენად ორგანიზაციის მიერ გამოყენებული ყველა შეტყობინების და მედიის სტრატეგიული კოორდინაცია (6). აღნიშნული განმარტება, ასევე, მოიცავს ზედსართავს „სტრატეგიულს“, მაგრამ არ წარმოადგენს განსხვავებულ პერსპექტივას. ამ განმარტებაშიც IMC-ი რჩება ტაქტიკურ და არა სტრატეგიულ იარაღად.

ამავე დროს, მკვლევარები პერსი, როსიტერი და ელიოტი ამტკიცებდნენ, რომ IMC-ი წარმოადგენს “ყველა ტიპის მარკეტინგულ კომუნიკაციას, რომელიც საჭიროა ბრენდის, მომსახურების ან კომპანიის მთელი რიგი საკომუნიკაციო მიზნების დასაკმაყოფილებლად” (7). ქივუდის, შულცის და ვანგის ადრეულ (1991) განმარტების თანახმად კი: “[IMC წარმოადგენს] მარკეტინგული კომუნიკაციების დაგეგმარების კონცეფციას, რომელიც აღიარებს სხვადასხვა საკომუნიკაციო დისციპლინებს - რეკლამა, პირდაპირი გამომხაურება, გაყიდვების წახალისება და საზოგადოებასთან ურთიერთობა - და აერთიენებს ამ დისციპლინებს სიცხადის, თანმიმდევრულობის და მაქსიმალური შედეგის მისაღებად” (2). ამ განმარტების თანახმადაც ავტორები მიიჩნევენ, რომ IMC-ს კონცეფცია ამყარებს საკომუნიკაციო მიქსის ელემენტების ეფექტურობას იმ შემთხვევაში თუ ისინი ერთიანდებიან ტაქტიკურ დონეზე.

დაბრკოლება იმისა, რომ IMC-ი განისაზღვროს ადექვატურად, ნაწილობრივ არის ცნების სწრაფი განვითარების და მისი ორგანიზაციებისა და მეცნიერების მხრიდან სხვადასხვაგვარად გამოყენების პრაქტიკა. თავდაპირველად, IMC-ს განსაზღვრებები ფოკუსირებული იყო ოპერაციულ და საკომუნიკაციო ტაქტიკურ საკითხებზე და შემდეგ ეტაპზე ავტორებმა თანდათან გააცნობიერეს მისი უფრო მეტად ყოვლისმომცველი და ჰოლისტიკური მიდგომის საჭიროება (1).

გარედან-შიგნით (The outside-in) მიდგომა

IMC კონცეფციის განვითარების შემდეგი ეტაპის ყველაზე მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას მკვლევარებმა (1) გარედან-

შიგნით მიდგომაზე გადასვლა უნოდეს. აღსანიშნავია, რომ ეს ტრანსფორმაცია ძირითადად არ არის დაკავშირებული გარკვეული პერიოდთან და ის IMC-ზე მომუშავე მკვლევარების ხედვას ასახავს. შესაბამისად, IMC-ის განვითარების ამ ეტაპზე მკვლევარები უკვე აღიარებენ მომხმარებლის მნიშვნელობას და უფრო აქტიურად ცდილობენ გაიგონ თუ რა სურთ მომხმარებლებს და კლიენტებს, როდის და სად სურთ, და, ასევე, რა საშუალებებით.

1998 წელს მკვლევარები დონ შულცი და ჰეიდი შულცი აცხადებდნენ: “ბაზრის მართვა ვეღარ მოხდება მარკეტერების მიერ, რომლებიც სთავაზობენ მხოლოდ იმას, რასაც ისინი ქმნიან; ახალი ბაზრის მამოძრავებელი იქნება მომხმარებლის სურვილი, ის თუ როდის, რა პირობით და რა სახის სადისტრიბუციო არხით სურთ მათ ამათუი პროდუქტის ან სერვისის მიღება” (8). ამ თვალსაზრისით, მკვლევარებმა (1998) შემოგვთავაზეს განსაზღვრება, რომელიც IMC-ის განიხილავს, როგორც “სტრატეგიულ ბიზნესს პროცესს, რომელიც გამოიყენება იმისთვის, რომ დაგეგმო, შექმნა, განახორციელო და შეაფასო დროთა განმავლობაში კოორდინირებული, გაზომვადი, ბრენდის დამარწმუნებელი საკომუნიკაციო პროგრამა მომხმარებლებისთვის, კლიენტებისთვის და სხვა მიზნობრივი, შესაბამისი შიდა და გარე აუდიტორიისთვის” (8). ამ განსაზღვრებაში ნათლად ჩანს IMC-ისადმი, როგორც „ბიზნეს პროცესისადმი“ მიდგომა და მისი სტრატეგიული როლის გააზრება, რაც ხელს უწყობს ჯაჭვური სისტემის შექმნას, რომელშიც ყველა ქმედება იქნება დაგეგმილი, განხორციელებული და შეფასებული. IMC-ს არსებულ განმარტებაში ხაზგასასმელია სიტყვა “შეფასების” გამოჩენა და აქცენტირება “გაზომვად” გეგმის შემუშავებაზე. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ამ განმარტების თანახმად ავტორები უკვე აღიარებენ, როგორც შიდა ისე გარე აუდიტორიას.

მკვლევარმა ფილმა კიდევ ერთხელ დაადასტურა თანმიმდევრული კომუნიკაციის და სტრატეგიული განვითარების იდეა, როდესაც მან IMC-ი განიხილა როგორც „მართვის პროცესი, რომელიც აძლიერებს ბრენდის შეთავაზებას“ (9). ამ ავტორის თანახმად, IMC-ი არამარტო კომუნიკაციასთან არის დაკავშირებული,

არამედ მნიშვნელოვანია მისი კავშირი ბიზნესთან და ბრენდის მართვასთან.

ჯვარედინ-ფუნქციური სტრატეგიული მიდგომა

აღნიშნული მიდგომის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო თანამედროვე ბაზრების დემასიფიკაციამ და უფრო მრავალფეროვანი და პატარ-პატარა ბაზრების ჩამოყალიბებამ. მისი მამოძრავებელი იყო, ასევე, ელექტრონული მედიის და სოციალური ქსელების სწრაფი განვითარება. შედეგად, ინდივიდუალური მომხმარებლის სიღრმისეული შესწავლის და დეტალური სეგმენტაციის აუცილებლობა და “მონაცემთა ბაზების მარკეტინგის” (10) ჩამოყალიბება დადგა დღის წესრიგში.

ჯვარედინ-ფუნქციური სტრატეგიული მიდგომა სცილდება მასტიმულირებელი ელემენტების შედარებას (შეპირისპირებას) და მხოლოდ ბაზრის კვლევის განხორციელებას. ის ეფუძნება ორგანიზაციის რესტრუქტურისა და მნიშვნელოვანი რესურსის ინვესტირებას სეგმენტირებულ მონაცემთა ბაზების შექმნისთვის მომხმარებელთა სიღრმისეული შესწავლის სისტემის შესაქმნელად. ამ კონტექსტში, IMC-ი წარმოადგენს რეალურ ცვლილებას და მნიშვნელოვან ინვესტიციას. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკომუნიკაციო რესურსი არის ინვესტირებული, გაზომვადი და დაკავშირებული რეალურ მომხმარებლის ქცევასთან, შესაძლებელია მიღებული სარგებლის შეფასება ფინანსური თვალსაზრისით (1).

ტომას დუნკანმა 2002 წელს შეიმუშავა მოდელი, რომელიც განსხვავდება სხვა მომხმარებელზე დაფუძნებული IMC პროცესის მოდელებისგან და რომლის საფუძველიც არის კომუნიკაცია. ეს ავტორი გვთავაზობს IMC-ის ახალ განსაზღვრებას, როგორც „მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის პროცესი, რომელიც მართავს ბრენდის ღირებულებას. [IMC] არის ჯვარედინ-ფუნქციური პროცესი მომხმარებლებთან და დაინტერესებულ მხარეებთან მომგებიანი ურთიერთობის შესაქმნელად ყველა იმ მესიჯის სტრატეგიული კონტროლით ან გავლენის მოხდენით, რომელიც იგზავნება ამ ჯგუფებთან მონაცემებზე დაფუძნებული და მიზან-

მიმართული დიალოგის სანარმოებლად” (11).

ცნება “ჯვარედინ-ფუნქციური” (crossfunctional) პროცესი გულისხმობს, რომ კომპანიის ყველა დეპარტამენტმა და კომპანიის პარტნიორმა გარე სააგენტოებმა უნდა იმუშაონ ერთად ბრენდის ინტეგრირებული მარკეტინგული საკომუნიკაციო გეგმის შემუშავების და მართვის ყველა ეტაპზე.

მკვლევარები დუნკანი და მულჰერნი (12) ვარაუდობენ, რომ IMC-ი შესაძლოა იყოს უფრო მეტად სტრატეგიული, ვიდრე აღმასრულებელი და ის უნდა სცილდებოდეს მასტიმულირებელ გაყიდვებს და სარეკლამო მესიჯებს. მათი მოსაზრებით, ის უნდა მოიცავდეს ორმხრივ კომუნიკაციას და იმართებოდეს შედეგების თანახმად. ამ ინფორმაციას მივყავართ IMC-ის განახლებულ განსაზღვრებამდე, IMC-ი, როგორც „ბრენდის კომუნიკაციის დაგეგმვის, აღსრულების და შეფასების მიმდინარე, ინტერაქტიული, ჯვარედინ-ფუნქციური პროცესი, რომელიც გაცვლის პროცესში აერთიანებს ყველა მხარეს ერთმანეთის სურვილების და საჭიროებების ორმხრივად დაკმაყოფილების მაქსიმიზაციის თვალსაზრისით”, ასახავს რა სახეცვლილ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც მარკეტინგული კომუნიკაციების მართვა წარმოადგენს პროცესების სერიას, რომლებიც კვეთენ ტრადიციულ დარგობრივ-დისციპლინარულ საზღვრებს. შესაბამისად, IMC ხდება არამარტო მარკეტინგის დეპარტამენტის საზრუნავი, არამედ მის შექმნაში, განხორციელებაში და გაზომვაში მთელი კომპანიაა ჩართული.

აღსანიშნავია, რომ მუდმივ სახეცვლილებას განიცდის არა მარტო IMC-ის განმარტება და მისი შინაარსი, არამედ ის თუ რა დისციპლინებს აერთიანებს იგი. ტრადიციული 4 დისციპლინის (რეკლამა, გაყიდვების სტიმულირება, საზოგადოებასთან ურთიერთობა, პირდაპირი მარკეტინგი) მიქსის სახეცვლილ ვერსიებს გვთავაზობენ მკვლევარები. მაგალითად, თომას დუნკანის ტრადიციული ერთმხრივი საკომუნიკაციო არხები მოიცავს რეკლამას, საზოგადოებასთან ურთიერთობას, გაყიდვების სტიმულირებას, მერჩენდაიზინგს, შეფუთვისას, ლიცენზირებას და მარკეტინგულ ატრიბუტიკას (speciality items). მის მიერ ორმხრივ

საკომუნიკაციო არხებად კი გამოიკვეთა პერსონალური გაყიდვები, პირდაპირი გომომხაურების მარკეტინგი, ღონისძიებები და სპონსორობა, თრეიდ შოუები, ელ. კომერცია და მომხმარებელთა მომსახურების აქტივობები (13). კოტლერის და ქელერის მოსაზრებით, რომელიც მათ 2012 წლის “მარკეტინგის მენეჯმენტის” სახელმძღვანელოში დააფიქსირეს, IMC მოიცავს, როგორც არა-პერსონალურ ანუ მას მედიის არხებს, როგორებიცაა: რეკლამა, გაყიდვების სტიმულირება, საზოგადოებასთან ურთიერთობა და პაბლისიტი, ღონისძიებები და გამოცდილება, ისე, პერსონალურ არხებს, როგორებიცაა: პირდაპირი მარკეტინგი, ინტერაქტიული მარკეტინგი, პერსონალური გაყიდვები და სიტყვიერი რეკომენდაცია ე.წ. WOM (word of mouth).

IMC-ში შემავალი დისციპლინების ჩამონათვალი განსხვავდება მკვლევარების მიხედვით და აშკარაა ტენდენცია, რომ ძირითად დისციპლინებს სულ უფრო და უფრო მეტი ახალი საკომუნიკაციო მიქსის ელემენტი ემატება.

დასკვნა

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ IMC-ის განვითარების სანყის ეტაპზე გარკვეული მკვლევარები ეჭვსაც კი გამოთქვამდნენ და დებატებს მართავდნენ იყო თუ არა IMC მხოლოდ “მენეჯმენტის მოდა” თუ “განვითარებადი აკადემიური თეორია” (14), ცხადია, რომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში IMC-ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემა გახდა, როგორც მკვლევართა ისე პრაქტიკოსების წრეში და კვლავ არ წყდება დებატები მისი მუდმივი სახეცვლილების შესახებ.

„ერთხმოვანება“ ე.წ. “one voice” კომუნიკაცია (15) წარმოადგენს ინტეგრაციის მთავარ ღირებულებას, რადგან ის გულისხმობს თანმიმდევრული მესიჯების ზუსტ მინოდებას მარკეტინგული კომუნუკაციების ყველა ინსტრუმენტის მეშვეობით. ამ მიზნით, საერთო სტრატეგიამ უნდა გააერთიანოს მარკეტინგის საქმიანობა საზოგადოებასთან ურთიერთობასთან, რეკლამასთან, გაყიდვების სტიმულირებასთან, პირდაპირ და ინტერაქტიულ მარკეტინგთან და IMC-ში შემავალ ყველა სხვა საკომუ-

ნიკაცო მიქსის ელემენტებთან. “თითქმის ყველაფერი რასაც მარკეტერი აკეთებს, ესეა ან წარმოადენს მომხმარებელთან ან სამიზნე აუდიტორიასთან ურთიერთობის გარკვეულ ფორმას” (16).

აღსანიშნავია, რომ ინტერაქტიულობა არის პარადიგმის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი, რადგან IMC-ი ისწრაფვის შექმნას მუდმივი დიალოგი ორგანიზაციას და მის შემადგენლობაში შემავალ მხარეებს შორს, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ მომხმარებლებს, არამედ ყველა დაინტერესებულ მხარეს.

ბიბლიოგრაფია:

1. Lucija Porcu, Salvador del Barrio-Garcia and Philip J. Kitchen (2012). How Integrated Marketing communications (IMC) Works? A theoretical review and an analyses of its main drivers and effects. *Communication Y Sociedad*, Vol. XXV. No 1 – 313-348.
2. Caywood, C. Schultz, D.E., and Wang, P. (1991) *Integrated Marketing Communications*, Northvestern University Medill School of Journalizm, Evanston, Illinois.
3. Frank Mulhern, (2009) “Integrated Marketing Communications: from Media Channels to Digital Connectivity”, *Journal of Marketing Communications*, Vol. 15, Nos. 2-3, April – July, 85 – 101.
4. Schultz, D.E., Tennenbaum, S.I. and Lauterborn, R.F. (1992), *Integrated Marketing Communications: Putting it Together and Making it Work*. Lincolwood IL.: NTC Business Books.
5. Cfr. Duncan, Thomas, Moriarty, Sandra, “A Communication-Based Marketing Model for Managing Relationships”, *Journal of Marketing*, vol. 62, # 2 April, 1998, pp. 1-13.
6. Duncan, Thomas, Everett, Stephen E., “Client Perception of Integrated Marketing Communications”, (1993) *Journal of Advertising Research*, Vol. 32, No. 3, p. 33-39.
7. Percy, Larry, Rossitier, John and Elliot, Richard, *Strategic Advertising Management*, 2001, p. 270.
8. Schultz Don. E., and Schultz Heidi F. (1998), *Transitioning Marketing Communication into Twenty-first Century*. *Journal of Mar-*

keting Communications Vo. 4 pp. 8-26.

9. Fill, Marketing Communications: Contexts, Strategies and Application, Prentice Hall, London, 2002, P. 15.

10. Peltier, J.W., Schibrowsky, J.A., and Schultz, D.E. (2003) Interactive integrated marketing communication: combining the power of IMC, the new media and database marketing. *International Journal of Advertising*, 22 (1), 93-115.

11. Duncan, Thomas, IMC. Using Advertising and Promotion to Build Brands (International Edition), Mc. Graw Hill, New York, 2002, p. 8.

12. Duncan, Thomas, Mulhern, Francis, A White Paper on the status, scope and future of IMC, McGraw Hill, New York, 2004, p. 9.

13. Duncan, Thomas R. (2002), IMC: Using Advertising and Promotion to Build Brands, New York, NY: McGraw-Hill, Inc.

14. Schultz, D.E. and P. J. Kitchen (2000) "A Response to Theoretical Concept of Management Fashion?" *Journal of Advertising Research*, 40, 5: 17-21.

15. Phels, Joseph and Edward Johnson (1996), "Entering the Quaqmire: Examining the 'Meaning of Integrated Marketing Communications,'" *Journal of Marketing Communications*, 2, 159-172.

16. Schultz, Don. E., Stanley F. Tonnenbaum and Richard F. Lauterborn, (1993), *The New Marketing Paradigm, Integrated Marketing Communication*, Chicago, IL: NIC Publishing.

MAIN DEVELOPMENT STAGES OF INTEGRATED MARKETING COMMUNICATIONS (IMC)

Nino Dgvepadze

PH D Student of Georgian Technical University

RESUME

Traditional Marketing theory transition and IMC concept development and its constant transformation is regarded as one of the main subjects for the researchers of Marketing all over the world. Through study and critical analyses of IMC definitions proposed by the researchers we try to highlight all the tendencies characterized by IMC from the very birth of it, depict how it was transformed and what kind of developmental stages it went through. We present the up-to-date definitions of the modern researchers as well. If the traditional marketing theory was based on the marketing mix, according to modern IMC the fundamental of it is the whole organization. Integration is the competitive advantage that can manage to optimize relations among the messages, channels and receivers and not only simple coordination of various marketing mix elements (1).

Keywords: Integrated Marketing Communications (IMC); inside-out approach; outside-in approach; cross-functional approach; marketing transition; interactive marketing; integration; one-face; one-voice; brand communication.



**THE IMPACT OF REFUGEES
AND MIGRANTS ON ECONOMY
(Case: Refugees and Migrants in Germany)**

**Zura Gamtenadze, Gocha Lobjanidze, Teimuraz Bejanidze,
Mariam Gliashvili, Tornike Shevardnadze**
TSU Bachelor Students of Political Sciences, 3rd and 4th years.

Key words: Migrants, economic and social impact, macroeconomics, social welfare.

INTRODUCTION

There were lots of political, social and economic changes during the XX century. Political changes caused deviations of social and economic conditions in some states, which, on the other hand, gave a stimulus to groups of people to flee from one place to another because of military or political conflicts. People got the direction towards industrialized and advanced states. The German Federal Republic wasn't an exception of the states, which has been receiving the groups of people from different part of the world. Even that time there were discussions about the impact of those migrations on the economy of Germany (The West Germany, GFR). It is really discussable whether the „cheap“ labor force had a good impact of the post-war devastated economy of Germany, however, that is not the topic of our research. Carl Föhl claimed, that in long-term perspectives, the migrants from Turkey and other states would have an unprofitable impact on German Economy.¹ On the other hand, Carl Kindleberger argued that the foreign labor force helped Germany and other European states to recover from war destruction.

1 Föhl, C., 1967. Stabilisierung und Wachstum bei Einsatz von Gastarbeitern. *Kyklos*, 20(2), pp.119-146.

The history moves around almost every time. After the war in Syria and Iraq caused by Islamic State of Iraq and Syria/Levant (respectively, ISIS/ISIL) or just Islamic State, hundreds of thousands of people, mostly from Syria, Jordan, Iraq, Afghanistan, Pakistan,¹ fled to the European Union, where the conflict is still going on. According to BBC article, which is based on Eurostat figures, is claimed, refugees (or migrants, we define these two words later) prefer to start new life in Germany and apply for asylums there.² Therefore, the questions erupt immediately – what affect will the newcomers have on the Economy of Europe? And for us it is interesting the economy of Germany, which now is flourished and prospered. Will newcomers spread German economy more and make Germany much richer or they will be reason of recession and unemployment?

The topic is interesting and important, because of the results of such researches or high-level studies about will lead policy makers to some actions, which impact on the other states, especially, when the research is about Germany, immigration policy of which often have effects on the total EU migration policy. Some theorists and economists claim that refugees will make the same impact as it happened in the second half of the previous century – proved fact of left-wing theorists, that in short and middle-term perspectives migrants would have profitable effect on the market, which was lacking cheap labor force, however, in long-term – newcomers gradually would bring with them rest of their families and start applying for citizenship, in order to benefit more from the German common goods.³ Hence, the main purpose of this research paper is to understand what real impact have migrants on the hosting economies, this paper is free from any kind of ideological directions, we discuss only ideology-free negative and positive economic effects on the market,

1 Eurostat, Asylum and first time asylum applicants by citizenship, age and sex Annual aggregated data (rounded) - http://ec.europa.eu/eurostat/product?code=migr_asyapctza&language=en&mode=view

2 BBC; March 4, 2016, Migrant Crisis: Migration to Europe explained in seven charts. - <http://www.bbc.com/news/world-europe-34131911>

3 Cohen, R., 1987. The new helots: migrants in the international division of labor.

budget and the whole economy of Germany.

ქართველები სამინათმოქმედო ცივილიზაციის შექმნის სათავეში იდგნენ და მინათმოქმედება მათთვის არა მხოლოდ უბრალო სამეურნეო საქმიანობა, არამედ ერთგვარი ღვთისმსახურება იყო.² ჩვენი წარსული და მომავალი განპირობებული და გაშინაარსებულია მიწასთან დაკავშირებული რელიგიური, რაციონალური და ემოციური სანყისებით. ყოველივე ამან განაპირობა ქართველთა განსხვავებული ჩვევები, სურვილები და მისწრაფებები პრაქტიკულ ცხოვრებაში, რაც მიწასთან მარადიული ურთიერთობის თავისებურებებიდან გამომდინარეობს [1].

* * *

დღეს საქართველოში არის და საზოგადოებრივ ასპარეზზე მოღვაწეობს იმგვარ ადამიანთა ძალიან მრავალრიცხოვანი „კო-

1 საქართველო თავისი ღრმა ქრისტიანული კულტურის, თავისი ფეოდალური ისტორიის (ხოლო მთაში – ე.წ. „სამხედრო დემოკრატიის“ ანუ თემობაზე დამყარებული ისტორიის) წყალობით ტიპოლოგიურად დასავლური ქვეყანაა, თავისი მთელი ისტორიის მანძილზე სწორედ დასავლეთთან კავშირისკენ მოსწრაფე.

2 სოფელი და სასოფლო-სამეურნეო წარმოება ეროვნული იდენტურობისა და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ელემენტია. ფსიქოლოგიურად და კულტურულად სოფელი და ღონიერი გლეხკაცი ერის თვითმყოფადობის (ვინაობისა და რაობის) შენარჩუნების ერთ-ერთი მძლავრი იარაღია.

ჰორტა”, რომელიც თავისი აზროვნების წესითა და ღირებულებრივი ორიენტაციით, ღრმა პროვინციალნი არიან (ასევე, თავისი პროფესიული და სოციალური ქცევითაც). სახელდობრ, აზრად არ მოსდით და არ წარმოუდგენიათ, რომ თვითონ ჰმართებთ და, რაც მთავარია, შეუძლიათ მონაწილეობა იმ ნორმათა შემუშავებასა და დადგენაში, რომელთა მიხედვითაც ცხოვრება უწევთ თვითონ მათ, მათ ოჯახებსა და მათ საზოგადოებას. მათ იციან მხოლოდ ერთი რამ: ნორმები მზა სახით შემოდის, როგორც იმპორტული საქონელი, დღეს საქართველოზე უკეთ განვითარებული ეკონომიკურად და სოციალურად უფრო ძლიერი და სოციალური სტრუქტურით უფრო ორგანიზებული ქვეყნებიდან, და პირადად მათ, მათ ნაცნობთა წრეს და მათ საზოგადოებას მთლიანობაში, ამ ნორმათა შესახებ – მათი ავკარგიანობის, მათი შესაძლო სრულყოფის, მათ შორის არჩევანისა და მათში კორექტივების შესახებ – ფიქრი არც მოეთხოვებათ, არც შეუძლიათ და არც სათანადო უფლება აქვთ. სოფელზე მათი შეხედულება მარტივია და ერთი ფრაზით გამოხატვადი: სოფელი ქვეყნის ყველაზე ჩამორჩენილი ნაწილია. მისი მოსახლეობა რაღაცა საშუალოა რობოტებსა და საქონელს შორის. სოფლის მეურნეობაში ჩაბმული მოსახლეობის პროპორცია უნდა დავიდეს (და, თუ განვითარება სათანადო სისწრაფით მოხდება, დავა კიდევ) 3%-ზე, როგორც ყველაზე განვითარებულ ქვეყნებშია, ხოლო დანარჩენი მოსახლეობა სად წავა, ეს საინტერესო აღარ არის. ჯანდაბამდის გზა ჰქონია! ეს არის ბალასტი, რომელიც ისტორიამ უკვე განირა“. მათი ამ გონებრივი დაღტონიზმის წყარო მხოლოდ ის არ არის, რომ ეროვნულ შეგნებამდე განვითარებულნი არ არიან. მათი ხსენებული დეფექტის ეტიმოლოგიის არსებითი ელემენტია ისიც, რომ კაცობრიობის სოციოლოგიის ევოლუციის, ანუ ადამიანთა არაფორმალური ურთიერთობების მექანიზმთა ევოლუციის პროცესში მთავარი ტენდენციის დასანახავად საჭირო ალლო არ ჰყოფნით. მოღვაწეთა ეს სახეობა, რომელიც ფართო მასამ უკვე „გრანტიჭამიების“ არც თუ საპატიო ტიტულით აღბეჭდა, ყველა ჰუმანიტარული არგუმენტაციისადმი, რომელიც მათ პოზიციის საწინააღმდეგოდ ქვეყნის (და მსოფლიოს) ინტელექტუალურ ელიტას გააჩნია, ყრუა და მუდამ ყრუდ დარჩება. ამიტომ, იძულებულნი ვართ, მათი ზემოხსენებული პირწმინდად ანტიმეც-

ნიერული, უკაცრავად პასუხია, „კონცეფცია“ ამ ანტიმეცნიერულობაში ვამხილოთ ჰუმანიტარული კატეგორიების გვერდის ავლით, მათი უმეცრების საილუსტრაციოდ წარმოვადგინოთ პირწმინდად ობიექტივისტური არგუმენტაცია, რომელსაც შეხება არა აქვს ჰუმანიტარულ (ამ რიცხვში – აგრეთვე მორალურ) სფეროსთან და მხოლოდ სოციალური, ეკონომიკური, სოციოლოგიური, სტატისტიკური და სხვა ამდენადვე „უხეში“ ფაქტებით ოპერირებს. სახელდობრ ამ გონებით უმნიფრებსა და მათს ტლუ აუდიტორიას უნდა ვაჩვენოთ, რომ „სოფელი“ არის სავსებით გარკვეული ეკონომიკური, სოციალური, გეოგრაფიული, პოლიტოლოგიური და იურიდიული ცნება და ამ ცნებით აღნიშნულ ობიექტს თავისი არსებობისა და ფუნქციონირების სავსებით ობიექტურად შემეცნებადი კანონები აქვს. სახელდობრ, სოფელი რომ არც რუდიმენტია კუდუსუნივით და არც ბალასტი, არამედ მას თანამედროვე საზოგადოებაშიც და განჭვრეტად მომავალშიც თავისი ჩაუნაცვლებადი როლი და ფუნქცია გააჩნია.

თქმულის საილუსტრაციოდ, ჩვენი აზრით, შემდეგი „უხეში“ ფაქტობრივი გარემოებები კმარა.

სოფელი ეროვნული კულტურის ძირითადი შემოქმედი, განმაახლებელი და მცველია

სოფელი არის სტაბილური მოსახლეობა (დღევანდელი საქართველოს პირობებში – რამდენიმე ათეული კომლიდან რამდენიმე ათას კომლამდე) და მისი სახლობის ტერიტორია,¹ რომელიც ამა თუ იმ იურიდიული ფორმით მას ეკუთვნის. მოსახლეობის როტაცია სოფლიდან სოფელში, საქართველოსა და მსოფლიოს პრაქტიკის მიხედვით, სოფლის ყოველდღიური ცხოვრების წესში არ იგულისხმება (ამსოფლელები ძირითადად ისევ ამსოფლელებად რჩებიან) [2]. სოციოლოგიური ფაქტია (და, ამდენად, ობიექტური

1 სოფელი, პირველყოვლისა, არის სახლობის ერთეული და არა მეურნეობისა. სოფლის განვითარების ძირითადი მიზანია სოფლის მოსახლეობის ყოფითი (სოციალურ-კულტურული) სტატუსის მიახლოებით გათანაბრება ქალაქის მოსახლეობის სტატუსთან, რასაც სოფლად ადამიანთა რესურსების შენარჩუნება-განვითარებისთვის და ამგვარად, სოფლის მეურნეობისა და აგროსასურსათო წარმოების გაფართოებული აღწარმოებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს

მეცნიერული განხილვის საგანია) ის, რომ სადღეისოდ საქართველოშიც და, ზოგადად, მსოფლიოშიც ადამიანისათვის დამახასიათებელი ე.წ. შიგა-ჯგუფების (in-groups), ანუ ჩვენ-ჯგუფების (we-groups) რიცხვში „ოჯახის ნევრები“, „ნათესავეების“, „მეზობლების“, „თანამემამულეებისა“ და სხვა ბუნებრივი შიგაჯგუფების პარალელურად, „თანასოფლელთა“ სახით, კიდევ ერთი დამატებითი სიტბოს გამომცემი „შინაურობის“ კერა ღვივის. ის, თუ როგორ „ღვივის“ ეს „კერა“, მეცნიერების საგანი არ არის, იგი უფრო პოეზიის საგანია. მაგრამ ფსიქოლოგიური ფაქტი, რომ იგი ღვივის, მით უმეტეს, სტატისტიკა, რომ იგი მოსახლეობის **უმრავლესობის** გულში ღვივის, დიახაც მეცნიერებისათვის არსებითი ფაქტია, მაშასადამე – ყოველგვარი ანალიზისა, პროგნოზისადა დაგვეგმვისათვის არსებითი მნიშვნელობის ფაქტი.

ჯამურად, სოფლის როგორც გეოგრაფიული, სამეურნეო, სოციალური, სტრატეგიული და ფსიქოლოგიურ-ეგზისტენციალური ერთეულის, დღევანდელი ფუნქციობის ანალიზისა და მომავალი ფუნქციობის პროგნოზის თვალსაზრისით გასათვალისწინებელ (უფრო მეტიც: ამოსავალ) ფაქტთა შორის დავასახელებთ შემდეგს:

1. თანასოფლელებს საკუთარი სოფლის ხილული ბუნებრივი რესურსების უკეთესი ცოდნა აქვთ, ვიდრე ვისმე სხვას. შესაბამისად, მათ შეუძლიათ ამ რესურსების გამოყენება უფრო სრულად, ვიდრე ვისმე სხვას. ფიგურალურად რომ ვთქვათ, მათ შეუძლიათ სახნავი მიწის არც ერთი მეტრი მოუხნავი არ დატოვონ. სხვა პარამეტრია მიწის გამოყენების ინტენსივობის ხარისხი: შესაძლებელია, სოფელი ისე ხარისხიანად ვერ ხნავდეს მიწას, როგორც ამას იზამს გიგანტური სასოფლო-სამეურნეო კომპანია. სოფელს შეუძლია, თავისი შეძლებისდაგვარად, ამაღლოს და ამაღლოს მოხვნის ხარისხი თანამედროვე მსოფლიო სტანდარტებამდე. როდის რა წარმატების მიღწევა ძალუძს სოფელს ამ პროგრესში, გათვლადია. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამ ორ პარამეტრს შორის – რესურსის სრულად ათვისებასა და მის ინტენსიურად ათვისებას შორის – წინააღმდეგობა არ არის. ამიტომ შედეგის გათვლა, ჯამური პროდუქციის თვალსაზრისით, პრინციპში, შესაძლებელია ყველა შემთხვევაში.

2. სოფლელებს თავისი სოფლის სტაბილურ მოხმარებაში მყო-

ფი ტერიტორიისადმი – ამა თუ იმ ზომითა და ამა თუ იმ ფორმით – მისი **საკუთრობის** ცნობიერება და განცდა აქვთ. ამ განცდას ინახავს და კვებავს მინაზე ინდივიდის (და კომლის) „საკუთრობის“ – გამორჩეული ექსკლუზიური უფლების – ორივე ფორმა – ინდივიდუალურიც და კოლექტიურიც (ვენახი ჩემი საკუთრებაა, საძოვარი – საერთო და ა.შ.). ორსავე შემთხვევაში ამსოფლელს მის მიმართ ის უფლება აქვს, რომელიც არა აქვს „ვილაცას“, შემთხვევით პირს. შესაბამისად, სოფლელს არა მხოლოდ თავისი, არამედ სოფლის მთელი რესურსისადმი გაფრთხილების (მისი არგაფუჭებისა და არგანიავენის) ცნობიერება და განცდა აქვს. ორსავე შემთხვევაში მე, აქაურს, მის მიმართ ის უფლება მაქვს, რომელიც არა აქვს ვილაცას, შემთხვევით პირს. შესაბამისად, სოფლელი არ გაუწევს მტაცებლურ ექსპლუატაციას თავისი სოფლის ტყეს, არ მოუნდომებს განაშენიანებას საძოვარს და არ გააუქმებს სოფლის რომელსამე წყაროს, თუნდაც მრავალთა შორის [3].

3. სოფლის მოსახლეები არიან უშუალო მკვიდრნი თავისი სამუშაო ობიექტისა – მიწისა – და, ამავე დროს, თავისი შრომის ნაყოფის ნატურალური სახით მომხმარებელი, ანუ ისინი ცხოვრობენ იმ გარანტიის ცნობიერებითა და განცდით, რომ მათი სრული მონყვეტა საკვები კალორიებისაგან ვერ მოხდება ვერანაირი საზოგადოებრივი, თუნდაც საერთაშორისო კატაკლიზმების შემთხვევაში (მათ ვერ განყვეტს ვერც შიმშილი, ვერც ინფლაცია, ვერც ძლიერი სანარმოო კონკურენტის გამოჩენა და ა.შ.).¹ ურბან-იზებულ მოსახლეობას (მით უმეტეს, არა ურბანულ პირობებში შობილსა და გაზრდილს) ეს განცდა ვერ ექნება, რადგან ამ მეორე შემთხვევაში ეს განცდა ობიექტური კი არა მაცდური იქნება [4].

ურბანულ მოსახლეობას შიმშილით და წყურვილით განყვეტა

1 მიწა ერისთვის მისი ყოფიერების ტერიტორიაა, ფიზიკურადაც და ფსიქიკურადაც. იგი სასიცოცხლოდ აუცილებელი ზაზაა, რომელიც არსებითად განსაზღვრავს ქვეყნის ყოველმხრივი დამოუკიდებლობის ხარისხს და ფაქტობრივად წარმოადგენს მოცემულ სივრცეში ერის სულისდგმისა და შემოქმედების აუცილებელ პირობას. მიწისაგან გლახკაცის მონყვეტა გამოიწვევს არა მარტო მისი, როგორც მენარმე ინდივიდის, მოსპობას, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, სოფლის, როგორც ეროვნული კულტურის საძირკვლის, ყოფაცხოვრების წესის შემოქმედის, შემნახველისა და განმაახლებლის, ფუნქციის მოშლასაც.

ემუქრება პირველსავე შემთხვევაში, როცა რაღაცა კატასტროფის მასშტაბი გადააჭარბებს შესაძლებელი ჰუმანიტარული დახმარების მასშტაბს. ამ საშიშროებისაგან (დროებით) ჯერ-ჯერობით დაცულნი არიან მხოლოდ ძალიან ძლიერი სახელმწიფოები, რომელთაც უახლოეს მომავალში სამხედრო წარუმატებულობა და დარტყმით გამოწვეული ჰუმანიტარული კატასტროფა არ ელით.

სოფლის მოსახლეობა არის თანამედროვე ქვეყანაში ერთადერთი სოციალური ფენა, რომელსაც აქვს:

ა) თავისი, როგორც (გარკვეულ ფარგლებში) თვითკმარი და, ამგვარად, მოუსპობადი სოციალური ფენის ელემენტის განცდა და ცნობიერება, ერთი მხრივ, და თავისი ამ შესაშური სტატუსიდან თავისი ვერავის მიერ ვერ ჩამოგდებადობის ცნობიერება და განცდა, მეორე მხრივ. შესაბამისად, მათ აქვთ იმის ცნობიერებაც და განცდაც, რომ ისინი მოცემული ერის ყველა სხვა ფენაზე უფრო სტაბილური და გადარჩენისუნარიანი ნაწილი – მისი „ხერხემალი“ არიან. საქართველოში დღეს და განჭვრეტად მომავალში ამგვარი ცნობიერების მატარებლები მხოლოდ სოფლელები არიან. სხვა ალტერნატივა (ანუ ანალოგიური ცნობიერების მატარებელი სხვა ფენა) მოაზრებადია, მაგრამ კონკრეტულად საქართველოში – ჯერ ვერა. ესაა იმგვარი მეცნიერულ-ტექნიკური, მკაფიოდ გამორჩეული პროფესიული ელიტა, რომელსაც უყვედრებელი და უკონკურენტო თავდამკვიდრების უჭოჭმანო იმედი შეიძლება ჰქონდეს ნებისმიერ ქვეყანასა და საზოგადოებაში. ასეთი ზეგანვითარებული პროფესიული ელიტები დღეს არიან ზეგანვითარებული ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური ზედაფენები. მცირეთაგან ასეთი ელიტა დღეს შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ებრაელებში. მიუხედავად ამისა, ებრაელებმა მაინც კოლოსალური ძალისხმევა გაიღეს თავის ტერიტორიის ველ-მინდორზე გაშლილი, სასოფლო-სამეურნეო მოსახლეობით დაკომპლექტებული სახელმწიფოს შესაქმნელად ისრაელის სახით, და არა პირნმინდად ურბანულისა.

4. სოფლის მკვიდრ („მამაპაპურ“) მოსახლეს თავის სოფელში, ნებისმიერ სხვასთან შედარებით, წინასწარი უპირატესობის განცდა აქვს. ეს უპირატესობაა ის, რომ მას აქვს სახლ-კარი, რომელშიც

ვერავენ შეედავება (ახალმისულს, რაგინდარა წარმატებულსა და მდიდარს, შეიძლება შეედავონ „შენი ნაქურდალი ფულით რომ მოხვედი და ჩაგვისახლდი, ეგრე კი არ არის მართლა! ცოტა ხმას დაუნე და ისე გველაპარაკე!“ სოფელს მყარი იმედი აქვს, რომ მას ასეთი საყვედურით ვერავინ მიმართავს. ამიტომ, სოფლის მოსახლეობა უფრო ერთგულია თავისი სამკვიდროს დაცვაში, ვიდრე ამავე ტერიტორიის დაცვაში ამავე ქვეყნისა და ერის სხვა შვილები, რომლებიც ამსოფლელები არ არიან. თუ არა ამსოფლე-ლი (აქაური არამკვიდრის, გუშინნი აქ სახლნაყიდი და ნახევარ-მოაგარაკესაგან განსხვავებით), ცხრაჯერ დაფიქრდება, ვიდრე აიყრებოდეს და თავის სახლ-კარს გადამთიელს, დაუტოვებდეს, აქაური გლეხი¹ ამისათვის ათჯერ მაინც დაფიქრდება.

5. ვერც ადგილობრივი წარმომადგენლობითი არჩევითი ორგანოების მიერ, ვერც სამართალდამცავის მიერ და ვერც განათლების სისტემის მიერ კონკრეტული ტერიტორიის სამეურნეო, ადმინისტრაციული და იდეოლოგიური მართვის ამოცანა ვერ გაექცევა შესაბამისი დასახლების, როგორც ვაზი-მარადიულის, თვითმართვის შინაგანი პოტენციალის ოპტიმალური გამოყენების ამოცანას. უმისოდ მართვა შინაარსობრივად უკმარისი იქნება. სახელდობრ, კანონმდებლობა ვერ მოიცავს ყველა შესაძლო ტიპურ სიტუაციას, განათლების გზით გავრცელებული მორალური პროპაგანდა ვერ შეიმუშავებს აზრს ყველა სახის შესაძლებელ პრობლემაზე (ოჯახური, პირადურთიერთობლივი, სოციალურ თვითდამკვიდრებასთან დაკავშირებული და ა.შ.). ყველა ადეკვატური მართვა მოცემული ტერიტორიის მიმართ მოიცავს (და გულისხმობს) მეტ-ნაკლებად ტრადიციული სოციალური და, საერთოდ, პიროვნული ურთიერთობების ასე თუ ისე გაზიარებული საერთო კონცეფციების ქონას, ერთი მხრივ, და ავტორიტეტული არაოფიციალური საზოგადოებრივი აზრის ქონას, მეორე მხრივ.

1 გლეხკაცი, ძალიან ხშირად, უბრალოდ, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლად მიაჩნიათ, თუმცა, მისი როლი სცილდება ამ ჩარჩოებს. სინამდვილეში ის აუცილებელია სოფლისთვის, უფრო მეტიც, გლეხკაცი სოფლის მაცოცხლებელი და გარდამქნელია. სიტყვა „გლეხი“ სინონიმი არაა არც „არანასწავლის“, არც „ტლუსი“, არც „დაბალი ღობისა“. იგი სინონიმია „ქვეყნის პირველი ნომერი მარჩენალისა“, „საკუთარ ფეხზე მდგომისა“, „ერის ფესვისა და რეზერვისა“.

სოფელში ბუნებრივად მიმდინარეობს არაფორმალური ზნეობრივი და ინტელექტუალური ელიტის გამორჩევისა და აღიარების პროცესი. ვინ არიან ისინი, რომელთაც (არაფორმალურად) „ჭკუა ეკითხებათ“, სოფელმა, როგორც წესი, იცის ხოლმე (მზარდი ქალაქის ახალმა მიკრორაიონმა, ბუნებრივია, ეს არ იცის).

– მუდმივმოქმედი საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ხსენებულ მიკრორაიონს ვერ ექნება, და ამგვარად, როგორც წესი, სოფელს სჭირდება;

– ადგილობრივად ნდობამინიჭებული და ხმამიციემული ადგილობრივი მამასახლისი.

მსგავსი რამ ქალაქის მიკრორაიონსაც სჭირდება, მაგრამ, ბუნებრივია, არ მოუპოვება. ის, რომ ახალი მიკრორაიონები ამ მხრივ უზრუნველყოფილი არ არიან, ზოგადეროვნულ კატასტროფას არ ქმნის: რაოდენობრივი თვალსაზრისით ქვეყნის საზოგადოებრიობა, მთლიან მასშტაბით, ამ პრობლემებს **ერევა**. მაგრამ, თუ სოფელი მოიშალა, ანუ მთელი სივრცე ქვეყნის ამ მიკრორაიონის მდგომარეობაში აღმოჩნდა, ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში არ იარსებებს აღარც არაოფიციალური და ტელევიზიის მიერ მაყურებლისათვის არა თავს მოხვეული ნამდვილი საზოგადოებრივი აზრი, აღარც ახალდასახლებულ ერთეულთა რეალური თვითმართვა. კონკრეტულად, ეს ფაქტობრივად ნიშნავს საზოგადოების იდეოლოგიურ იმპოტენციას, ჯოგად ქცევას. **ჯოგს კი საზოგადოებათა** კონტექსტით (ანუ კაცობრიობაში) გადარჩენის ნულოვანი შანსი აქვს (ცნობისათვის: ამერიკელი სოციოლოგებისათვის ჯერ კიდევ ამ ორმოცი წლის წინ ცნობილი იყო მეტ-ნაკლებად ახალშექმნილ კოლექტივშიც და ძველშიც რეალური ლიდერების გამოვლენის მეთოდიკა. ჰკითხავდნენ – ყველას „დამისახელე სწრაფად, ვინც მოგაგონდება, ათი კაცი ამ კოლექტივიდან, საწარმოდან და ა.შ.. ვინც ყველაზე მეტისაგან დასახელდებოდა, ის ჩაითვლებოდა ლიდერად. ცდომილება, ამა თუ იმ დამატებითი ფაქტორების გამო, მცირე იყო. ამგვარი კვლევის ჩატარება დამქირავებლის შეკვეთით ერთ-ერთ დაუშვებელ ქმედებად იყო მიჩნეული სოციოლოგთა პროფესიული ეთიკის მიერ).

სავსებით პრაქტიკული გათვლაა: თუ საქართველოს ადამიანისეული პოტენციალის აქტივობა ჩვენი ჩამონათვალის 1-5

პუნქტებში თითო პარამეტრში თუნდ მხოლოდ 10%-ით შემცირდება, ეს იმას ნიშნავს, რომ სოფლურ სივრცეში მოქცეული ჩვენი მოსახლეობის პოტენციური ქვეყნისა და სახელმწიფოსთვის ყველაზე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ამ პარამეტრებში გამოიყენება მხოლოდ ორ მესამედზე ნაკლებად. პარალიზაციის ამ ხარისხს დედამიწის ვერც ერთი ერი (და, საერთოდ, ვერც ერთი მოსახლეობა), სხვა თავის მსგავსებთან მუდმივ მეტოქეობასა და არსებობისათვის ბრძოლაში ჩართული, ვერ გაუძლებს...

ამ პირნიმინდად პრაქტიკული მხარეების გარდა, ჩვენს თემას ჰუმანიტარული, კერძოდ, ფსიქოლოგიური მხარეც აქვს. მთლიანად მოსახლეობის ქცევას პროლეტარად, ანუ საკუთარი მუშა ძალის გაქირავებით მაცხოვრებელ პირად (შავი მუშიდან დაწყებული, ქვეყნისა და აკადემიის პრეზიდენტებით დამთავრებული) გარდუვალად ახლავს მთლიანად ამ კონკრეტული საზოგადოებისა და მთლიანად მისი ესტაბლიშმენტის სიმყიფის პანიკოგენური განცდა, რაც საზოგადოების ფსიქიკური ქმედუნარობის საფრთხეს უქმნის. ზეგანვითარებულ ქვეყნებში ესეც არ ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ **ჯერჯერობით** ამ ქვეყნებს სხვათაგან დამარცხებისაგან დაცულობის სრული რწმენა აქვთ. თუ საგარეო კონფლიქტში წარუმატებლობის გამო ეს რწმენა შეირყა, ამ რწმენის შეუქცევადი დაქვეითება დაიწყება. ფსიქიკური წონასწორობა, რომელიც ასეთ შემთხვევაში კითხვის ქვეშ დადგება, ე.წ. არამყარ წონასწორობათა რიცხვს ეკუთვნის (წვერზე დაყენებული ფანქრის წონასწორობა და არა, პირიქით, ძაფზე ჩამოკიდებული ბურთულასი). თუ სიტუაცია **ამ** მიმართულებით ვითარდება, მაშინ დემოკრატიული წესით მოწყობილი, პროლეტარებად ქცეული საზოგადოება, თავისი რეალური ხმისმიცემის მთავარ გადამწყვეტ აქტს – გადანყვეტილებას სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი გადარჩენისათვის ბრძოლის შესახებ ან, პირიქით, კაპიტულაციის შესახებ, – როგორც იტყვიან, ფეხებით მოახდენს და არა ბიულეტენით: იგი გაიქცევა საფრთხის ზონიდან და თავისი ახალი არსებობის დაწყებას შეეცდება სადმე სხვაგან – რა თქმა უნდა, მისთვის ცხოვრების ნაკლები ხარისხის მქადებულ, მაგრამ შედარებით უსაფრთხო ზონაში.

მოკლედ უნდა შევხებო ჩვენი თემის ჰუმანიტარული მხარის

ერთ დეტალსაც. „სოფლური“ ცნობიერების პლუსი, რომელიც ვახსენეთ, ქმნის მძლავრ მოტივაციას არა მხოლოდ ეროვნული პესიმიზმისაგან დასაცავად, არამედ ზოგადეროვნული მიზნებისადმი აქტიური დამოკიდებულებისთვისაც საერთოდ.

ამის გათვალისწინება აუცილებელია, როცა ვმსჯელობთ ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის ისეთ ფუნდამენტურ თემაზე, როგორიცაა ადამიანთათვის მათი არსებობის **აზრის** თემა. ჰომო საპიენსისათვის სიცოცხლის განცდის მიუცილებელი ნაწილია **თავისი თავდამკვიდრების** განცდა. თავდამკვიდრების ამ განცდის ფონი არაა უსულო ბუნება. **თავდამკვიდრება ხდება სხვა ადამიანთა ფონზე**. ადამიანს, როგორც საზოგადოებრივ არსებას („ძოონ პოლიტიკონ“. არისტოტელე) **სჭირდება ზეინდივიდუალური, ჯგუფური** („შიგაჯგუფური“) თავდამკვიდრებაც:

- მსოფლიოს მთლიანი პოლიტიკური სისტემის ფონზე და
- წარსული და მომავალი ისტორიის ფონზე.

ამგვარი თავდამკვიდრებისათვის ერს, როგორც შიგა-ჯგუფს, ვერც ერთი სხვა შიგაჯგუფი ვერ ჩაენაცვლება (მუსლიმანებში მიღებული ნამყვანი თვითიდენტიფიკაცია კონფესიური ხაზით, სავარაუდოა, გადამწყვეტნილად დათმობს თავის პოზიციებს ეროვნულის სასარგებლოდ ცნობიერების მნიშვნელოვანნილად სეკულარიზაციის გარდუვალად მიმდინარე პროცესის კონტექსტით). რაც შეეხება სოფლის როგორც ტერიტორიული და სოციალური ერთეულის როლს ერის [5], როგორც ასეთის პერსპექტივის განსაზღვრაში, იგი, ვფიქრობ, ახსნას არ საჭიროებს.

საქართველო, როგორც დედამიწის ნაწილი, ეკუთვნის ქართველ ერს, როგორც კაცობრიობის ნაწილს. ქართველ ერში შედის საქართველოს ყველა მოქალაქე. საქართველოს სახელმწიფოს შეუვალი მოვალეობაა უზრუნველყოს:

1. თავის მოქალაქეებისათვის სიცოცხლე (გამოკვება და უსაფრთხოება)

2. გარე ძალებისაგან დამოუკიდებლობა (საკუთარი თავის, მართვა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, თავდაცვის უნარი შესაძლო თავდასხმებისაგან)

3. პიროვნების, როგორც გონიერი და თავისუფალი სუბიექტის ბუნებრივ უფლებათა დაცვა იმ საზღვრებში, რომელშიც

ამას მოითხოვს სახელმწიფოს ზემოხსენებული ორი მოვალეობა.

4. უზრუნველყოს თავისი ერისა და სახელმწიფოს ზემოხსენებული ინტერესების დაცულობა უსასრულო მომავალში.

დასკვნის მაგიერ

ადამიანი ღვთის ქმნილებათა გვირგვინია, სამყაროს მწვერვალია. ამას გვეუბნება ჩვენი სარწმუნოება და ამასვე გვეუბნება მეცნიერება. ადამიანი ვერ განიხილება, როგორც სამუალება რალაც მიზნისთვის – იგი უნდა განვიხილოთ მხოლოდ, როგორც მიზანი. ეს არის ყოველივე მორალის პირველი საფუძველი (იმ. კანტი). გლეხის მონოდება და დანიშნულება არ არის მხოლოდ ის, რომ მოხნას, დაბაროს, გასხლას, მოუაროს პირუტყვეს, მოიყვანოს ხორბალი, მწვანილი, ხილი და ყურძენი. მისი პირველი დანიშნულება და მონოდებაა ის, რომ იყოს – იყოს, როგორც ღირსეული, ჯანსაღი, ყოველმხრივ გამართული ადამიანი, შვილების გამზრდელი და საზოგადოების გამომკვებავი. ქართველი გლეხკაცის მონოდებაა, იყოს ქართველი ბავშვების გამზრდელი, ქართველი ერის ხერხემალი, საქართველოს დემოგრაფიის დამცველი, მისთვის ოფლისა და სისხლის დამღვრელი (ისევე, როგორც ყველა სხვა მოქალაქე) და საქართველოს მიწის ყოველი ცალკეული გოჯის შემნახავი. საქართველოს დიდ პატრიოტ პოეტს ჯერ კიდევ სამასი წლის წინ აქვს ნათქვამი საქართველოს თავზე ამოვარდნილი მძიმე ქართვეილების ეპოქაში: „ოდეს ნახდა გლეხიკაცი, საქართველო დაძაბუნდა“.

ვისაც დღეს საქართველოს ეკონომიკის დაგეგმვა და წარმართვა ავალია, ამის დავინწყების უფლება არ აქვს. გლეხკაცი არის (და ყოველთვის იქნება, თუ მცდარმა ან დანაშაულებრივმა პოლიტიკამ არ შეუშალა):

– სოფლის, როგორც საზოგადოებისა, ერისა და ეკონომიკური ფუძე-ერთეულის, მოსახლე და შემნახავი;

– (სასაზღვრო ზონებში) ტერიტორიის გულით მონდომებული დამცველი;

– ნატურალური პროდუქციის ხარისხსა და რაოდენობაში გულწრფელად დაინტერესებული მეურნე;

– შთამომავლობის მრავალრიცხოვნებასა და მაღალხარისხოვან აღზრდაში დაინტერესებული მეოჯახე;

– ქვეყნის კეთილდღეობასა და ძლიერებაში ასევე გულწრფელად დაინტერესებული მოქალაქე.

ამისათვის მას სჭირდება:

– თავისი ოჯახის სავსებით დამაკმაყოფილებელი უზრუნველყოფა;

– ურბანულთან მაქსიმალურად მიახლოებული ცივილიზაციური კომფორტი;

– ურბანულთან მიახლოებული განათლების საშუალება ბავშვებისათვის;

– გონივრული ხარისხი დამოუკიდებლობისა ეკონომიკურ პარტნიორებთან საქმიან ურთიერთობაში (ღვინის ქარხანასთან, საკონსერვო ქარხანასთან, მექანიზაციით მომსახურების ფირმასთან, სანავიგო მოვაჭრესთან, ჩაის ფაბრიკასთან, რძის შემგროვებელ და გადამამუშავებელ საწარმოსთან, ხორცკომბინატთან, პირუტყვის სასაკლაოსთან, ლოგისტიკურ ცენტრთან, საცავ-მაცივართან და ა.შ.);

– თავისი შთამომავლობისათვის ფართო (გეოგრაფიულად და სოციალურად) პერსპექტივის იმედი.

ფყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აუცილებელი იქნება საქართველოს კანონის „სოფლის შესახებ“ მიღება, **სოფლისთვის სამართალსუბიექტის სტატუსის და სოფლად სათემო საკუთრების აღდგენა.**

სახელმწიფომ აკადემიურ სექტორთან თანამშრომლობით უნდა უზრუნველყოს სასოფლო დასახლებათა ინსტიტუციონალური და ინფრასტრუქტურული მოწყობა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოო (აგროწარმოება) ზონების კომპლექსური განვითარება მოდელით: **სოფლის განვითარება ემყარება სოფლის მეურნეობის განვითარებას.** უნდა შეიმუშაოს სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველმყოფელი სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა, **განსაზღვროს** სოფლის, როგორც ტერიტორიული ერთეულის განვითარების სტრატეგია და **შეიმუშაოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის** სისტემური განვითარების სამოქმედო გეგმა.

ისტორიულად, სამშობლოს დაცვით ქართველი გლეხკაცი თავის პირად მამაპაპურსაც, თავის „მამულსაც“ იცავდა. სხვა სიტყვით: თავის პირად მამულს იგი თავისი დიდი მამულის – თავისი სახელმწიფოს – დაცვის სახით იცავდა – და იცავს. ეს ბუნებისა და საზოგადოების ურყევი კანონია. ეს ფსიქოლოგიური კანონზომიერება მარადიულია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პ. კოლუაშვილი, ილია ჭავჭავაძე, მეურნის თვალთ, „მერიდიანი“ თბ. 2013 წ.
2. პ. კოლუაშვილი, რა უნდა გავიზიაროთ ამერიკული გამოცდილებიდან. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 19-38გვ. №1, 2015წ.
3. პ. კოლუაშვილი, გადავაქციოთ ყოველი სოფელი მწარმოებელ ბრენდად. „ეკონომიკა“, №1-2, 2015წ.
4. პ. კოლუაშვილი, დ. ზარდიაშვილი, მიწის საკითხი ანუ ბედი ამა ქვეყნისა, „ახალი აგრარული საქართველო“, №6(62), 2016 წ.
5. პ. კოლუაშვილი, დ. ზარდიაშვილი, ქართული სოფლის სტატუსის შესახებ, „ახალი აგრარული საქართველო“, №5, 2015 წ.

REFERENCES:

1. P. Koguashvili, I. Chavchavadze. In Farmer's View. "Meridiani", Tb. 2013y. (in Georgian Language).
2. P. Koguashvili. What should we share from American Experience. "Economics and Business", #1, 2015 y. (in Georgian Language).
3. P. Koguashvili. To Turn the Village into a Production Brand. Journal "Economics", #1-2, 2015 y. (in Georgian Language).
4. P. Koguashvili, D. Zardiashvili. The Issues of Land and the Destiny of this Country "New Agrarian Georgia", #6(62), 2016 y. (in Georgian Language).
5. P. Koguashvili, D. Zardiashvili. About the Status of Georgian Village". "New Agrarian Georgia", #5, 2015 y. (in Georgian Language).

THE GEORGIAN VILLAGE IS ETERNAL

Paata Koguashvili

Full Member of Georgian
Academy of Agrarian Sciences

In the present article, the author makes clear that Georgian village “is a small, but formed organic part of one of the civilizations” (academician Nicholas Marr) – Georgian life, integrity of eternal values, and a rather definite economic, social, geographical, political and legal concept; the village has the objectively cognizable laws of its existence and functioning, and it has its own indispensable role and function in modern society and in the foreseeable future as well.

The author clearly justifies that “the banishment” of the village to the periphery of conscience and existence, its evaluative abjection, representation as a rudiment or ballast, should be considered as a mental daltonism; but sacrificing it for a false social and economic relevance, leaving it to an uncertain fate or entrusting it to the market – is an unforgivable crime.

The author clearly demonstrates that among the so-called in-groups or we-groups specific to people, there grows “the all my people” hearth in the persons of “co-villagers”, which radiates warmth, and which if ignored or worse, if going up against it, is an obvious crime; besides this value aspect, the author presents irrefutable facts of the present and future functioning of the village, such as: the co-villagers’ better knowledge about their own environment and natural resources, higher emotional experience of living in their own land and disposal of their own property, in comparison with any other social group, as a result of which it becomes clear that the rural population in the modern country is the only well-rounded social stratum, which is particularly “chained” to the settlement territory by its rights and obligations of its administering, and therefore, it is the backbone defining the country’s national-territorial identity.

Based on this, in the concluding part of the article, the author shows that existential threat that can arise as a result of incorrect evaluation of the role of village and its population, and consequently, as a result of the exodus of the rural population, depopulation of the countryside and its “proletarianization” caused by wrong policies.

Keywords: Village; Peasant; Village Habitant; Agriculture; Development; Government; Responsibilities.

სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი:

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია უნდა მოიცავდეს მეცნიერული კვლევის **ახალ** შედეგებს ეკონომიკის შემდეგ თეორიულ და გამოყენებით სფეროებში:

ეკონომიკური რეფორმა; ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები; ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია; საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი უზრუნველყოფა; ფინანსები, ბანკები, ბირჟები; რეგიონული ეკონომიკა; დარგობრივი ეკონომიკა; ბიზნესის, მარკეტინგის, მენეჯმენტის აქტუალური საკითხები; მსოფლიო ეკონომიკა; რეცენზიები ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებზე.

მიღებულ სტატიებს იხილავს რედაქციის წევრები და დადებითი რეცენზიის შემთხვევაში აქვეყნებს, ასევე განათავსებს ინტერნეტში – ელექტრონულ ჟურნალში.

სტატიები მიიღება ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე, ქვეყნდება ორიგინალის ენაზე.

სტატიის გაფორმების წესი

სტატიის მინიმალური მოცულობა 5 გვერდი A4 ფორმატის;

რეზიუმე ქართულ, რუსულ და/ან **ინგლისურ** (აუცილებლად) ენებზე (100-250 სიტყვა);

საკვანძო სიტყვები ქართულ და ინგლისურ ენებზე;

სტატიის დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ავტორის (ავტორთა) სახელი, გვარი, აკად. ხარისხი ქართულ და ინგლისურ ენაზე, ელექტრონული მისამართი და ტელეფონის ნომერი;

სტატიის **შესავალი**, **ძირითადი ტექსტი** და **დასკვნითი** ნაწილი;

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ ქართულ შრიფტი Acad-nusx; ხოლო ინგლისური და რუსული ტექსტების შრიფტი – Times New Roman; შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5, ყველა კიდიდან დაშორება იყოს 2 სმ.

2015 წლის ნომრების შინაარსი

შინაარსი №1-2

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები და პარსკეპტივები

შალვა ჩიხლაძე, ამზა ჩარგაზია - პროექტი „აბრეშუმის გზა
ეკონომიკური სარტყელი“ და მისი სამომავლო პერსპექტივები ----- 7
შორენა ფარჯიანი - საქართველოში განხორციელებული პირდაპირი
უცხოური ინვესტიციების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე----- 20

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

ირმა ჩხაიძე - მოსახლეობის დემოგრაფიული
პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში----- 28
ლელა ბოჭორიძე, მია ჩინჩალაძე, ნინო დარსაველიძე -
მეცნიერება და ტექნიკა როგორც გლობალიზაციის ფაქტორები ---- 37
მანანა ბერუაშვილი - კულტურათაშორისი
ურთიერთობები გლობალურ ბიზნესში----- 42
ეთერ თაკალანძე - საზოგადოებრივი კულტურის ზღვრული
დონის ეტაპობრივი ამალღება პოლიტიკურ-ეკონომიკური
ისტორიის შემოქმედება - შენარჩუნების წინაპირობა ----- 49
შორენა ფარჯიანი - საქართველოში ეკონომიკურ ზრდასა
და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შორის
კავშირ-ურთიერთობა სექტორულ დონეზე ----- 69
გიორგი სუბელიანი - მდგრადი განვითარების
გლობალური რეგულირება და კონცეფცია----- 78

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

ალეკო ქუთათელაძე, ზურაბ ჩხაიძე - კომერციულ
ბანკებში აქტივების ხარისხის ეკონომიკური ანალიზი ----- 92

რეგიონული ეკონომიკა

ნინო ხახუბია - აჭარაში ტურიზმისა და მასპინძლობის
დარგის პერსონალის მოტივაციის კვლევის მოკლე მიმოხილვა ----- 104

დარგობრივი ეკონომიკა

| | |
|---|-----|
| ილია ჯიმშელიშვილი, ეთერ ხარაიშვილი - კონკურენცია ქართულ ავიაბაზარზე და მისი რეგულირება----- | 116 |
| სოფიო სტეფანიშვილი - ტურისტული კომპანიის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში კომპანიის „City Sightseeing Tbilisi“ სტრატეგიული ანალიზის მაგალითზე----- | 128 |
| თამარ დუდაური - აგრობიზნესის რისკების დაზღვევის სისტემა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში ---- | 143 |
| ნინო შაფათავა - რეკრეაციული რესურსები და რეკრეაციული კომპლექსების ფორმირების პირობები ----- | 155 |

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

| | |
|--|-----|
| ანა წულაია - ფირმის ბიზნეს-გეგმა და მისი კავშირი მარკეტინგულ პროგრამასთან----- | 163 |
| გიორგი ქაშიბაძე - ონლაინ და ოფლაინ მარკეტინგის არსი და მათი როლი თანამედროვე ბიზნესში ----- | 174 |
| Мераб Келенджеридзе, Расим Абдуллаев - СТРАНА ЛИДЕР В ЗАКАВКАЗИИ ПО ЭНЕРГОНОСИТЕЛЯМ---- | 185 |
| Mikheil Kiknadze - El estado actual de las pequeñas y medianas empresas en América Latina (The Current State of Small and Medium Business in Latin America) ----- | 193 |
| ალექო ქუთათელაძე, თემური მატყუა - საინვესტიციო პროექტი, როგორც მართვის ობიექტი----- | 199 |
| ქეთევან კინმარიშვილი - ორგანიზაციის კულტურის ფორმირება- 212 | |
| გიორგი ცინცაძე - მიგრაციული პროცესების მართვის საკანონმდებლო ბაზა საქართველოში ----- | 218 |

მსოფლიო ეკონომიკა

| | |
|--|-----|
| გიორგი ხიდუშელი, გოჩა ლობჯანიძე - ინდუსტრიალიზაციის მნიშვნელობა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სიძლიერის უზრუნველყოფაში საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის ნაციონალისტური ხედვის მიხედვით ----- | 229 |
|--|-----|

| | |
|---|------------|
| სალომე ონიანი, ზურა გამთენაძე, ამზა ჩარგაზია, | |
| თამთა კავლელაშვილი, თინათინ ბეშკენაძე - საერთაშორისო | |
| ურთიერთობების ახალი ეკონომიკური აქტორი: | |
| BRICS მოქმედებაში, მისი პოტენციალი და პერსპექტივები ----- | 239 |
| მიხეილ კიკნაძე - მცირე და საშუალო ბიზნესი ბრაზილიაში ----- | 252 |
| ნათია დაღელიშვილი- ქართული ფირმების | |
| ევროკავშირის ბაზარზე შეღწევის სტრატეგიები ----- | 265 |
| ნანა ლობჯანიძე, ქრისტინე ჯინჭველეიშვილი, | |
| ანი კენჭაშვილი, სალომე ლომსაძე - გლობალური უთანასწორობა: | |
| მოდერნიზაციისა და დამოკიდებულების თეორიის ანალიზი ----- | 279 |
| სალომე ონიანი, ზურა გამთენაძე, | |
| თამთა კავლელაშვილი - ტრანსნაციონალური კორპორაციების | |
| როლი ე.წ. სამხრეთის ქვეყნების განვითარებაში. ქეისი: | |
| ჩინური კორპორაციები აფრიკაში ----- | 294 |
| სტატის გამოქვეყნების სარედაქციო მოთხოვნები ----- | 305 |

შინაარსი №3-4

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები და პერსპექტივები

| | |
|---|----|
| თამარ ჩახუნაშვილი - ჯანდაცვის რეფორმის შედეგები პირველადი ჯანდაცვის რგოლის დაწესებულებებში ----- | 7 |
| Мераб Келенджеридзе - ОПРЕДЕЛЯЮЩИЕ ФАКТОРЫ РАЗВИТИЯ ЭКОНОМИКИ ПРИ ИННОВАЦИОННОЙ И ФИСКАЛЬНОЙ ПОЛИТИКЕ ----- | 23 |

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

| | |
|--|----|
| ნინო მაქაცარია, თამარ ბერიძე, დავით ბიბინაძე - ეკონომიკური ზრდა და სოციალური პროგრესი ----- | 38 |
| ნინო სამჭკუაშვილი - უცხოური ინვესტიციების მსოფლიო ბაზარი და საქართველო ----- | 48 |
| დიანა ვაშაყმაძე - სოციალური პასუხისმგებლობა და ქართული რეალობა ----- | 59 |
| რევაზ შენგელია - „მორალური გაცვეთისა“ და „მორალური მოძველების“ კატეგორიების ვინრო და ფართო გაგებისათვის ----- | 69 |
| ბადრი დავითაია - სანარმოთა ინვესტირების თანამედროვე ფორმები საბაზრო ეკონომიკის პირობებში ----- | 78 |
| ეთერ თაკალანძე - საზოგადოებრივი კულტურის ზღვრული დონის ეტაპობრივი ამაღლება ისტორიის შემოქმედება-შენარჩუნების წინაპირობა (ნანილი მეორე) ----- | 86 |
| მაია სოსელია, თამარ ბერიძე, თამარ როსტიაშვილი - ბუნებისდაცვითი პოლიტიკის ინსტრუმენტები და მათი პრაქტიკული გამოყენების საკითხები ----- | 97 |

წინანსები, ბანკები, ბირჟები

| | |
|--|-----|
| ოთარი კობახიძე - საქართველოს ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის კოორდინაციის საკითხები ----- | 109 |
| თამარ აბშილავა - კომერციული ბანკების საფასო-საპროცენტო სტრატეგია ----- | 119 |

| | |
|---|-----|
| ირაკლი ლაშხი - ინოვაციური პროცესების მართვა კომერციულ ბანკებში----- | 125 |
| მზევინარ ნოზაძე - საბანკო დაზღვევა, მისი არსი და დამახასიათებელი თავისებურებები----- | 137 |
| ოთარი კობახიძე - მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის კოორდინაციის პრობლემების თეორიული ასპექტები ----- | 145 |

რეგიონული ეკონომიკა

| | |
|---|-----|
| ლალი ხარბედია, მზისადარ ბჟალავა - ნავსადგურების ფუნქციები და მისი გავლენა რეგიონის ეკონომიკურ აქტივობაზე - | 154 |
|---|-----|

დარბოზრივი ეკონომიკა

| | |
|--|-----|
| ლელა ბოჭოიძე, მაია ჩინჩალაძე, ნინო დარსაველიძე - სატრანსპორტო ლოგისტიკური კლასტერების წარმოქმნის თავისებურებანი ----- | 162 |
| Мицкевич Андрей, Циклаური Жужуна - Контролируемые и регулируемые затраты и результаты----- | 168 |

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

| | |
|--|-----|
| მედეა შენგელია - საავტორო უფლებების მართვა ინტერნეტში -- | 174 |
| ანა კატუკია - მოტივაციის მრავალფეროვნება შედარებით მენეჯმენტში----- | 181 |
| ანა წულაია - კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მარკეტინგული ასპექტები ----- | 198 |
| ზურაბ ჯორბენაძე, არჩილ გოგრიჭიანი - სამენარმეო რისკის პრევენცია, როგორც სამენარმეო საქმიანობის განვითარების გზა ----- | 209 |
| ირმა მახარაშვილი - გადანყვევტილების მიღება როგორც პროცესი----- | 216 |
| ინგა გიგაური - სტრატეგიული მიმართულებები და სახელმწიფოს როლი სანარმოთა ანტიკრიზისულ მართვაში----- | 230 |
| მედეა შენგელია - პირატული ბაზრის პრობლემა მუსიკალურ ინდუსტრიაში ----- | 236 |
| მანია გოგიძე - ორგანიზაციაში ტოპ-მენეჯერების გუნდით მმართველობის მოდელი ----- | 243 |

| | |
|--|-----|
| ირმა მახარაშვილი - მმართველობითი გადაწყვეტილება, როგორც ინდივიდუალური და სოციალური ჯგუფის ქცევის უნივერსალური ფორმა ----- | 253 |
| ნინო მხეიძე, ციალა ლომაია - ახალი მიდგომები ლიდერობისადმი და ორგანიზაციული კულტურებისადმი გლობალიზაციის პირობებში ქსელური მართვის კონტექსტში ---- | 263 |

მსოფლიო ეკონომიკა

| | |
|--|-----|
| გურამ ჯოლია - გლობალიზაციის ვექტორის ინვერსია და განვითარებადი აზიის ასწლეული ----- | 278 |
| მანია გოგიძე - გუნდური მმართველობის და გადაწყვეტილების მიღების პოპულარული საერთაშორისო მოდელები ----- | 311 |
| მიხეილ კიკნაძე - მცირე და საშუალო ბიზნესი სინგაპურში----- | 321 |
| ქეთევან შენგელია - გლობალური კომპანიების ზეგავლენა და საქართველოს პერსპექტივები ----- | 331 |
| სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი --- | 343 |

შინაარსი №5-6

ეკონომიკური რეზორმა: ანალიზი, პრობლემატი და პერსპექტივა

ლევან ათუაშვილი - გადასახადების დიფერენცირება
და მისი როლი ბიზნესის განვითარებაში ----- 6

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემატი

ქეთევან მარშავა, შორენა ფარჯიანი - ახდენს თუ არა გავლენას
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკურ ზრდაზე ----- 16

ალექსანდრე ხვედელიანი - სარისკო კაპიტალი -
დანიშნულება და მიზნობრივი აუდიტორია ----- 29

ბადრი დავითაია - სანარმოთა სტრუქტურული გარდაქმნები
და საინვესტიციო საქმიანობის დაფინანსების მეთოდები
საბაზრო ეკონომიკის პირობებში ----- 41

ალექსანდრე ხვედელიანი - ინოვაციებისა და ტექნოლოგიური
განვითარების დადებითი ტენდენციები ----- 49

სოფიო მაჭარაშვილი - საგანმანათლებლო გარემო
და საგანმანათლებლო სივრცე ----- 64

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

ლელია დოლიძე - ბანკის პასიური და აქტიური ოპერაციები,
კრედიტის განსაკუთრებული ფორმები ----- 74

ლაშხიძე თამარი - სარეკლამო კომპანიების
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ----- 84

ღარგობრივი ეკონომიკა

გიორგი მიქელაძე - საქართველოს ძირითადი კაპიტალი
და მისი გამოთვლის ალტერნატიული მეთოდები ----- 94

თენგიზ ცაგარეიშვილი - სამშენებლო კლასტერში ფაქტორული
სივრცის და კლასტერის მონაწილეთა ადგილების განსაზღვრა --- 112

ნინო შაფათავა - რეკრეაციული მოთხოვნილებები და საკურორტო-
რეკრეაციული გარემოს მიმზიდველობის მოდელი ----- 122

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

| | |
|---|-----|
| თამარი ლაშხიძე - სარეკლამო ბიზნესის განვითარების პირობებისა და შესაძლებლობების განსაზღვრის ალგორითმი ---- | 132 |
| ქეთევან კინძარიშვილი - ორგანიზაციული სტრუქტურის ძირითადი ტიპები ----- | 139 |
| თენგიზ ცაგარეიშვილი - მართვის კლასტერულ სისტემაზე მშენებლობის გადაყვანის პირობების და სიტუაციების გამოკვლევა ----- | 144 |
| ლალი ხარბედია, მზისადარ ბჟალავა - მარკეტინგის ტრადიციული კომპლექსის ადაპტირება სანაოსნო კომპანიის საქმიანობასთან ----- | 153 |
| ლელია დოლიძე - ბანკის მსესხებელი ბიზნესის საწარმოებისა და ფიზიკური პირების კრედიტუნარიანობის შეფასების თავისებურებები----- | 162 |
| ქეთევან კინძარიშვილი - კონფლიქტის ფუნქციები და ქცევის სტილი ----- | 171 |
| მედია შენგელია, რევაზ შენგელია - უცხოური ინვესტიციების გავლენა საავტორო უფლებების დაცვაზე (მუსიკალური ინდუსტრიის მაგალითზე)----- | 177 |
| სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი --- | 184 |

შინაარსი №7-8

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემატიკა და პერსპექტივა

სოფიო მაჭარაშვილი - მისწრაფება უმალლესი განათლების მიღებისკენ ყოველთვის არ მთავრდება ცოდნის მიღებით -----6

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემატიკა

გულიკო ქათამაძე - ინფლაცია და მისი გამომწვევი მიზეზები საქართველოში ----- 13

ლაშარი ქურდაშვილი - ადამიანური კაპიტალის კვლავწარმოების თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში ----- 25

რევაზ შენგელია, ჟუჟუნა ნიკლაური-შენგელია, ნათია შენგელია - კრეატიული ადამიანი როგორც თვითმზარდი ღირებულება ----- 41

გიორგი მიქელაძე - ინვესტიციების ნეოკლასიკური მოდელის ემპირიული რეალიზაცია საქართველოს მაგალითზე ---- 50

ხათუნა შალამბერიძე - ფინანსურ ურთიერთობათა განვითარების თანამედროვე პრობლემები ----- 57

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

მირზა ხიდაშელი - თანამედროვე მონეტარული სისტემის კრიტიკული ასპექტები ----- 67

ხათუნა შალამბერიძე - საბანკო ინოვაციების ძირითადი ასპექტები ----- 82

საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი უზრუნველყოფა

დავით ნაჭყებია - მთლიანი შიდა პროდუქტი და ანგარებითი დანაშაული ----- 92

რეგიონული ეკონომიკა

იოსებ ხელაშვილი - ტურიზმი – საქართველოს დეპრესირებული რეგიონების აღორძინების გზა ----- 103

ღარგობრივი ეკონომიკა

ნანა კირვალიძე - საქართველოში სარკინიგზო მანქანათმშენებელი საწარმოების მარკეტინგული საქმიანობა ---- 115

ნანა სრესელი, მერაბ ჯიქია - ფულადი ნაკადების ანალიზის მეთოდები და მათი თავისებურებები ----- 129

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

Мераб Келенджеридзе, Нурана Маммадова - Женщина-Предприниматель, Деловая Женщина ----- 149

| | |
|--|-----|
| მუხრან ქამადაძე - შიდა აუდიტის როლი რისკის შეფასებაში----- | 159 |
| ელისაბედ ბალიაშვილი - ტურიზმის კლასტიკრიზაციის პერსპექტივები საქართველოში ----- | 170 |
| გიორგი ჭურაძე - კონფლიქტის გადაჭრა მესამე მხარის ჩარევის შედეგად----- | 179 |

მსოფლიო ეკონომიკა

| | |
|--|-----|
| გიორგი ხიდეშელი, მარი ჯავახიშვილი, გუგა ბერძენიშვილი, გოჩა ლობჯანიძე, ნინო გოზალიშვილი - სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ელექტრო ენერგეტიკის შიდასახელმწიფოებრივი, რეგიონული და გლობალური გამოწვევები ----- | 188 |
| დავით ქათამაძე - საქართველოს საგარეო სავაჭრო და საინვესტიციო კავშირების განვითარების ტენდენციები და პრობლემები----- | 205 |
| თამთა დარსალია, ქრისტინე ჯინჭველეიშვილი, ანი კენჭაშვილი, სალომე ლომსაძე - გლობალიზაცია ეკონომიკურ და პოლიტიკურ ჩრილში ----- | 216 |
| ნანა ლობჯანიძე, ქრისტინე ჯინჭველეიშვილი, ანი კენჭაშვილი, თამთა დარსალია - რუსეთის ენერგეტიკული სტრატეგია და ევროკავშირის ენერგოდამოკიდებულება მასზე ----- | 227 |
| გიორგი მინაშვილი, სალომე გიუნაშვილი, ანი ალადაშვილი - რეგიონული თანამშრომლობა სამხრეთ-კავკასიაში: ბაქო-თბილისი-ყარსი----- | 243 |
| გიორგი კვინიკაძე, კონსტანტინე შუბითიძე - ირან-რუსეთის ურთიერთობები /გეოეკონომიკური კონტექსტი/ - | 254 |

გამოსმაურება

| | |
|--|-----|
| ვახუშტი ფარცვანია - ოპტიმისტი ადამიანის დაუოკებელი სწრაფვა თვითმყოფობისკენ ----- | 278 |
| რევაზ მენგელია - გამოსმაურება გიორგი მაღალხიას ლექსების კრებულზე“ სულის ამბოხი.ფიქრები ლექსებად. ცხოვრების ფილოსოფია“ ----- | 284 |

რეცენზია

| | |
|---|-----|
| ზურაბ დავითაშვილი, თეიმურაზ ბერიძე - გეოგრაფიის დოქტორის გიორგი კვინიკაძის მონოგრაფია - „გეოეკონომიკური ნარკვევები: ფრიდრიხ ლისტიდან ედვარდ ლუტვაკამდე“----- | 285 |
|---|-----|

| | |
|---|-----|
| სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი --- | 287 |
|---|-----|

შინაარსი №9-10

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები და პერსპექტივები

ჯაბა ჩხარტიშვილი - სადაზღვევო ბაზრის
განვითარების ტენდენციები საქართველოში ----- 6

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

ნინო ქავთარაძე - ინფლაცია – არსი, გამომწვევი
მიზეზები და საქართველო ----- 20

ჯაბა ჩხარტიშვილი - საქართველოსა და ევროკავშირის
სადაზღვევო ბაზრების შედარებითი ანალიზი ----- 27

ლაშარი ქურდაშვილი - ადამიანური კაპიტალი-ტურისტული
სანარმოს განვითარების მნიშვნელოვანი რესურსი ----- 40

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

გიორგი თეთრაული - ფინანსური კრიზისები საშუალოვადიანი
ეკონომიკური ციკლების თეორიის თვალთახედვიდან ----- 48

გიორგი მაისაშვილი - სადაზღვევო ბაზრის
განვითარების ისტორია ----- 59

ელენე ჩარკვიანი - სამედიცინო მომსახურების
დაფინანსების ფორმის არჩევის შესახებ ----- 65

დარგობრივი ეკონომიკა

ეკატერინე ჯაფარიძე - შრომითი პროცესების მართვის
ძირითადი მიმართულებები სამედიცინო დაწესებულებებში ----- 72

ვაჟა ზეიკიძე - სოფლად პირველადი ჯანდაცვის
დაფინანსების ეფექტიანობის პრობლემები ----- 81

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

| | |
|---|-----|
| გიორგი მაისაშვილი - ორგანიზაციის მართვა: კონცეფციების რეტროსპექტივა და ახლებური მიდგომები ----- | 90 |
| ირინე დავრაშელიძე - სამშენებლო ბიზნესის მდგომარეობა და პრობლემები საქართველოში ----- | 99 |
| მაია როხვაძე - გუნდური მართვა თუ ჯგუფური მართვა? ----- | 107 |
| მარიამ კვირიკაშვილი - მომხმარებლებთან ურთიერთობის მენეჯმენტი და CRM-პროგრამა ----- | 118 |
| ჟუჟუნა ნიკლაური, ნათია შენგელია, რევაზ შენგელია - Determination of a Company's Strategic Plan with the Help of Business and Financial Analysis ----- | 124 |

მსოფლიო ეკონომიკა

| | |
|---|-----|
| ამზა ჩარგაზია, მარიამ ტლაშაძე, მარიამ ცაბაძე, ლევან ტლაშაძე, ნესტან ჯაჭვლიანი - ჩინეთისა და ევროკავშირის ურთიერთობები ----- | 132 |
| თეონა ახრახაძე, მარიამ ხვედელიძე - ბრექსიტი ეკონომიკურ ქრილში ----- | 141 |
| ამზა ჩარგაზია, მარიამ ტლაშაძე, მარიამ ცაბაძე, ნატა ქირია, მარიამ ხვედელიძე - რა როლს ასრულებს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება თანამედროვე მსოფლიოში ----- | 149 |
| სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი ---- | 158 |



შპს ჟურნალი „ეკონომიკა“
მისამართი: თბილისი – 0171, მ. კოსტავას ქ. 63.
ტელ: 599 56-90-78.
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

ООО журнал «ЭКОНОМИКА»
Адрес Тбилиси - 0171, ул. М. Костава 63
Тел. 599 56-90-78
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი
გადაეცა ასაწყობად 15.11.2016 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.11.2016 წ.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 16,5.